ზარი ჩაფიძე

სიყვარულის საიდუმლო

გარი ჩაფიძე

სიყვარულის საიდუმლო

დეტექტივური რომანი

თბილისი 2012

პროფესორი გარი ჩაფიძე გვთავაზობს თავის ორმოცდაათტომეულის მეთერთმეტე ტომს, რომელშიც შესულია თხზულება „სიყვარულის საიდუმლო“ და ორი დეტექტიური ჟანრის რომანი.

„გადასახადი“ – ამ რომანის შთაგონების წყარო ავტორისათვის გამხდარა ეპიგრაფში აღნიშნული ხალხური სიბრძნე. ნაწარმოები ისტორიულ-პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტებსაც მოიცავს და ამავე დროს შემეცნებითი ხასიათისაა. უამრავ საინტერესო ინფორმაციას აწვდის, ისტორიულ ფაქტებს აცნობს და კიდევ ერთხელ ჩააფიქრებს მკითხველს პოსტსაბჭოურ სივრცეში მომხდარი მოვლენების შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა თუნდაც რომანოვების ისტორია.

„საგამომძიებლო ნათლობა“ – ეს დეტექტიური ჟანრის რომანი გვიჩვენებს, რომ რაც მტკიცე არის, ის წმიდაა, და რაც წმიდაა ის – მტკიცე. სწორედ ამაზე მიუთითებს ნაწარმოების მთავარი გმირის მოქმედება, რომლისთვისაც მთავარი სიცოცხლის სიხარულია, სიყვარულია.

მწერალი და მეცნიერი გარი ჩაფიძე თავისი შემოქმედებითი ხელოვნებით გულწრფელად ახერხებს ერთი ამოსუნთქვით წააკითხოს მკითხველს წინამდებარე წიგნი.

რედაქტორი: მაკა ხატიაშვილი

ISBN 978-9941-0-4319-2

სიყვარულის საიდუმლო

...და მაინც რა პატარაა ეს სამყარო... რაც თავი მახსოვს, ჯერ ჩემს მშობლებს დავყავდი ყოველ აღდგომას თავიანთი მშობლების, ჩემი ბებია-ბაბუისა და მათი წინაპრების საფლავებზე, ახლა კი... ჩემი მშობლების და წინაპრების საფლავებს ვსტუმრობ... ჰო, მიდიან თაობები და კაცმა არ იცის აქაა უკეთესი თუ იქ, სადაც უამრავი ნაცნობ-მეგობარი, ნათესავ-მოკეთე, მშობლები თუ სატრფო-თაყვანისმცემლები გველოდებიან... ყველაფერთან ერთად მაშინდელი აღდგომის დღეებს რაღაც სხვა ელფერი ჰქონდა, ალბათ უფრო ბავშვურ-მეამიტურად ვუყურებდი ყოველივეს და ამიტომ, ისე კომუნისტები კრძალავდნენ ამ დღესასწაულს და დღევანდელობასთან შედარებით გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა სააღდგომო წითელი კვერცხი... თუმცა ახლა ამის სათქმელად არ დამიწყია წერა, უბრალოდ ხელი გამექცა და...

ჰო, წელსაც არ მიღალატია ტრადიციისათვის, რომელიც ესტაფეტად წინაპრებისაგან მერგო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული აპრილის შუა რიცხვებში გახლდათ. მშობლების მარადიულ სასუფეველზე მიტანილ უამრავ წითელ კვერცხებთან ერთად რამდენიმე საფლავსაც ვეწვიე... ხან ერთნი მეპატიჟებოდნენ ღვინიან ჭიქას თავი წაუქციე, წარსულთა მოსახსენიებლადო, ხან მეორენი: – ბატონო გარი გვადღეგრძელეო, რომ მიცვალებულებს მომხსენებელნი არ მოაკლდეთო... მე კი სასაფლაოზე მოხვედრისთანავე, უცნაური ფიქრი ამეკვიატა: – თითქოს უზარმაზარ ქალაქში ვიმყოფებოდი, სადაც კაცმა არ იცის, რამდენი მილიონი „მაცხოვრებელია“, რამეთუ სასაფლაო მეხუთე საუკუნეში აშენებული ეკლესიის გალავანშია მოქცეული...

თუმცა აქ ეკლესიის აშენებამდეც მოჰყავდათ მიცვალებულები და აქვე იმკვიდრებდნენ სამუდამო სასუფეველს

სულები... რაღაც უხილავი ძალა დამეუფლა და ნათლად დავინახე, ამ უზარმაზარ ქალაქში თუ როგორ დადიოდნენ, როგორ ცეკვავდნენ, როგორ ზეიმობდნენ ისინიც ჩვენთან ერთად აღდგომის დღესასწაულს...

– ბატონო გარი! – ფიქრებიდან გამომიყვანა და თითქოს უხეში ხელით სულის სიღრმეს შეეხო, ისე შემაჟრჟოლა ჩემი ბიძაშვილის ხმამ.

– ეს ქალბატონი, ქებაძის ქალია, ჩვენი დიდი ბებოს ჩამომავალი – მიმანიშნა მან გვერდით მდგომ წარმოსადეგ მანდილოსანზე, რომელსაც მარცხნივ ოცდახუთიოდე წლის, საოცრად მიმზიდველი გოგონა ედგა. დავიბენი, თავი უხერხულად ვიგრძენი, რომ მხოლოდ ახლა შევამჩნიე მოსულნი, ბიძაშვილი კი განაგრძობდა: – რამდენი ხანია, შენთან შეხვედრა უნდათ, შენ კი ჩემო ძმაო ხან უკრაინაში ხარ, ხან ჩეხეთში, ხან ამერიკაში, ხან იტალიაში და ხან ვინ იცის სად... ვიცოდი, აღდგომას რომ უსათუოდ ჩამოხვიდოდი და ესენი ამიტომაც დავიბარე...

ქალმა ოდნავ წინ წამოდგა ნაბიჯი და:

– ლამარა! – თქვა წყნარად, როდესაც მის გამოწვდილ ხელს ხელი შევაგებე, განთავისუფლებული ხელი გოგონას გავუწოდე და...

– ინგა! – მითხრა მან კიდევ უფრო წყნარად და სიწითლემ გადაჰკრა, თუმცა შეძლო სიმორცხვე დაეძლია და განაგრძო: – მეამაყება, რომ ერთი რაიონიდან ვართ, კრაკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობ, პოლონეთში, თითქმის ორი წელია სოციოლოგიის საგნის ლექტორი, ახალგაზრდა პროფესორი მარტა ტარნოვსკა მხოლოდ თქვენზე გვესაუბრება მთელ კურსს, იმ დღიდან, როდესაც გაიგო, რომ ქართველი ვიყავი... იცით – გოგონა კიდევ უფრო გაწითლდა-მგონია, რომ ძალიან უყვარხართ, ამასვე ამბობენ ჩემი კურსელებიც... ახლა მინდა მარტას თქვენი წიგნები წავუღო საჩუქრად...

... და მაინც რა პატარაა ეს სამყარო...

ჰოო... მრავალმნიშვნელოვნად შევხედე მოსაუბრეს აბა როგორ გავაწბილებდი ამ ანგელოზ გოგოს, ამ ბრწყინვალე აღდგომის დღეს და ავტომანქანიდან წიგნების ბოლო ტომები გადმოვიღე, რომელზედაც მარტასთვის მიძღვნილი სიტყვები რუსული ბეჭდური ასოებით ლამაზად გამოვიყვანე და ფიქრის მორევში ჩავიძირე:

– „დამთავრდა რეგისტრაცია თვითმფრინავზე 1882; რეისი რომი-კუვეითი, რეგისტრაცია გავლილ მგზავრებს გთხოვთ, მობრძანდეთ თვითმფრინავში ჩასასხდომად მეათე გასასვლელთან“ – უკვე მეორედ აცხადებდა რეპროდუქტორში მანდილოსნის სასიამოვნო ხმა, არც თუ დიდი ბარგი მქონდა, დიახ, ბარგიც არ ეთქმოდა ჩემს ერთ „დიპლომატს“, რომელშიც ორი პერანგი, ჩემი წიგნები და საჭირო დოკუმენტაცია მედო, მეორე ხელში პიჯაკი მეჭირა, ამიტომ ორივე ხელი დაკავებული მქონდა და მოსაცდელ დარბაზში შესვლისთანავე ცარიელი სკამისაკენ გავეშურე, ცოტაც და გვერდით ლამაზი გოგონა ჩამომიჯდა... კალმით ნახატზე უკეთესი – „ესეც ბედია, რატომ მაინც და მაინც ჩემს გვერდით?!“ – გამიელვა წამიერად და თვალი მოვავლე მოსაცდელ დარბაზს, შევცდი, ყველა ადგილი შევსებული იყო, ამიტომაც ჩემს გვერდით არსებულ თავისუფალ სკამზე მოკალათდა ეს ლამაზი ასული, რომელმაც ისე ამიშალა საღერღელი, რომ მიუხედავად ჩემი ძალზე მწირი ინგლისურისა დარწმუნებული ვიყავი საუბარი მაინც შედგებოდა, თუმცა... კიდევ ერთი ბედის ირონია:

– რუსი ხართ?! – მომმართა მან ინგლისურად.

– არა ქართველი! – ინგლისურადვე ვუპასუხე.

– რუსული გეცოდინებათ! – ახლა უკვე რუსულად მითხრა და ღმერთო ჩემო, ისეთი ხავერდოვანი, მოსასმენად სასიამოვნო და მიმზიდველი ხმა ჰქონდა, აუცილებლად სიმპა-

თიით განიმსჭვალებოდით ამ მართლაც ულამაზესი ასულის მიმართ.

– პედაგოგი ბრძანდებით?! – ანგარიშმიუცემლად მივახალე:

– დიახ, კუვეითში, ნაციონალურ აკადემიაში მივფრინავ სალექციო კურსის ჩასატარებლად.

– რა სპეციალობით?

– სოციოლოგიას ვასწავლი...

– ერთი გზა გვქონია, მეც მაგ აკადემიაში ვარ მიწვეული, პოლიტოლოგიაში – სამყაროს გარდაქმნის ახალი მოდელს ვსწავლობ და ვასწავლი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, თავი ოდნავ დავუკარი.

– საოცარია! – გაიღიმა და ღიმილმა კიდევ მეტად გაალამაზა – ხშირად მიწევს ფრენა, თუმცა სიმაღლის ისეთი შიში მაქვს, რომ... დედამ დამაშინა სიმაღლეებით პატარაობაში, ახლა თვითონ სად არ დაფრინავს-და სად არა... მე კი... ჰო, მართლა, პოლონეთიდან ვარ, კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორი მარტა ტარნოვსკა, ქართველებსა და პოლონელებს ბევრი საერთო გვაქვს, ამიტომაც ძალზე გამეხარდა თქვენთან შეხვედრა! თუ შეიძლება თქვენს გვერდით დავჯდები, იქნებ შიში უფრო დავძლიო.

– უკვე ზიხართ!

– არა თვითმფრინავში! – თქვა და გაწითლდა...

– თუკი მიკადრებთ... სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ ჩასხდომის ტალონები მოგვთხოვეს და პირდაპირ თვითმფრინავისაკენ წავედით, რომელიც შენობასთან სპეციალური გასასვლელი ხიდით იყო დაკავშირებული, ამდენად ტრაპის გარეშე შევედით ბოინგ 737-ის სალონში.

– ჩემი 7-A არის, – ვუთხარი მარტას და კიდევ ერთი ბედის ღიმილი, როდესაც გავიგე, რომ მისი ადგილი 7-B იყო, მოვკალათდით...

– რაო, როგორ უნდა მოგმართოთ პატივცემულო პროფესორო – ძალზე გავშინაურდი – მარტა ხომ, საოცარი სახელია, თუ რასაკვირველია, მარტივით ჭირვეული არ იქნებით, არ თქვათ ახლა რომ მარტში ხართ დაბადებული...

– საიდან მიხვდით? თუმცა ამას ჩემს სახელთან არავითარი საერთო არ აქვს!

– საოცარია!

– საოცრება მხოლოდ ჩემი თქვენთან შეხვედრაა ბატონო აკადემიკოსო! – ბოლო ორი სიტყვა განსაკუთრებული სითბოთი მითხრა – გაოცებული ვარ თქვენი ინგლისურენოვანი წიგნებით და საკმაოდ აღფრთოვანებულიც გახლავართ, განსაკუთრებით „პოლიტიკურ ფილოსოფოსთა პათეონმა“ მომხიბლა...

... ასეთ „საქმიან“ საუბარში ვიყავით, რომ თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე დადგა და მიმართულება საუდის არაბეთისაკენ აიღო... მალე ჩვენი ლაინერი ქულა ღრუბლებში გაუჩინარდა, ცოტაც და... ჩვენს ქვემოთ ნელ-ნელა მიცოცავდა ხმელთაშუა ზღვა... ილუმინატორთან მარტა იჯდა, თუმცა მის გვერდით მოკალათებული, მეც ნათლად ვხედავდი პატარა კუნძულ მალტას საოცრად მიმზიდველ სილამაზეს... ამ კუნძულზე ორჯერ ვიყავი ნამყოფი სამსახურეობრივი მივლინებით და ორჯერვე გაოცებული დავრჩი აქაურთა გულთბილი მიღებით, შრომისმოყვარეობითა და მართლაც გასაოცარი ბუნებით... ლექციების კურსი მრავალ ქვეყანაში წამიკითხავს, მაგრამ აქ განსაკუთრებული ხიბლით იყვნენ სტუდენტები გამსჭვალული ცოდნის მიღების აუცილებლობით... დიახ, აქ ნამდვილად იციან სწავლის ფასი...

თვითმფრინავი უეცრად შეზანზარდა და თითქოს ათასი რეაქტიული ძრავი ერთდროულად ჩაერთოთ ისეთი გამყინავი სირენის ხმა ფარავდა ბოინგ 737-ის სალონს, მერე ავი-

ალაინერმა მიმართულების ორიენტაცია დაკარგა და თითქოს ფრთა მოაწყდაო, მთელი 45 გრადუსით ამოტრიალდა, ჩვენ ქვედა მხარეს მოვექცევით და ილუმინატორიდან მხოლოდ ხმელთაშუა ზღვას ვხედავდით, რომელშიც ბლომად დაცურავდნენ გემები... თვითმფრინავი უსათუოდ ამ ზღვაში ვარდებოდა,ა მიტომაც ჩვენი დასაჯდომების ქვეშ მოთავსებული სპეციალური ჟილეტების ჩაცმა გვიბრძანა ეკიპაჟმა და თვითმფრინავის ავარიული კარებები მარჯვენა და მარცხენა მხრიდან ფართოდ გააღეს, საიდანაც ანგარიშიუმცემლად ვხტებოდით წყალში მაშველ როგოლთან ერთად... მალე თვითმფრინავი ზღვის ზედაპირს შეეხო A – გასასვლელიდან პირდაპირ წყალში ამოჰყობდი თავს, B – გასასვლელიდან კი ჯერ ავიალაინერის ფრთაზე, ხოლო შემდეგ ზღვის მლაშე წყალში ყურყუმალობა მაინც გარდაუვალ გახლდათ...

– აი ჩემი შიშის საფუძველი! – მითხრა მარტამ და ისე მომეკრა თითქოს ერთი სხეული ვიყავი და ერთი მაშველი რგოლი გაგვაჩნდა; ჩემსკენ მოვაცურე, თვითმფრინავი ჩვენი გადმოხტომიდან ხუთიოდე წუთის შემდეგ შეეხო წყლის ზედაპირს, მაგრამ ჩვენიდან ისე შორს იყო, რომ თითქმის ჰორიზონტზე მოჩანდა უკვე ავიალაინერის კუდი, რომელიც ზღვაში იძირებოდა...

– ჩემი პერანგები და დაუმთავრებელი რომანი!

ვთქვი დანანებით და ორივეს ხმამაღლა გაგვეცინა მივიხედ-მოვიხედე, ჰორიზონტზე მარტო მე და მარტა ვიყავით ხელიხელჩაკიდებულნი და კიდევ უფრო გულიანად გამეცინა, არა ეს სიცილს კი არა, უფრო გედის სიმღერას ჰგავდა, სასოწარკვეთილი ადამიანისას... გადარჩენის ინსტიქტი კი მკარნახობდა: – ხელი გამენძრია, რომ მიწისმაგვარი რამ მეხილა და კურსი ცურვით იქეთ ამეღო... არადა უკუნით ღამეში, ორიენტირის აღდგენა ძალზე ჭირდა...

– ზურგზე დაწექი და ისე იცურე, აღარ დაიღლები! – ვუთხარი მარტას და ვაჩვენე ეს როგორ უნდა გაეკეთებია...

მთელი ღამე სამხრეთის მიმართულებით ვიცურეთ და გამთენიისას (ღმერთო ჩემო, რა ლამაზია ზღვიდან დანახული განთიადი) ჰორიზონტზე რაღაც წერტილივით გამოჩნდა... გემი?!

ზურგზე ცურვიდან მხარულზე გადავედით და თანდათან მართლაც გემის სილუეტები გამოიკვეთა... ცოტაც და მეზღვაურებმა გემბანზე აგვიყვანეს, გაოცებულები სპეციალური ხსნარით გვიზელდნენ სხეულს და უამრავ შეკითხვებს გვისვამდნენ, ჩვენიდან მიღებული პასუხის შემდეგ კიდევ მეტად უფართოვდებოდათ თვალები გაოცებისგან...

– იცით? – გვითხრა კაპიტანმა-თქვენ ახლა იტალიის სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემზე იმყოფებით, ავიალაინერის 1882-ის კატასტროფის შესახებ გუშინვე შევიტყვეთ დასანანია, რომ სტატისტიკის მიხედვით ვერავინ გადარჩა და გასახარია, ის რომ თქვენ ცოცხლები ხართ, რაც იმედს გვაძლევს კიდევ ვიპოვით ვინმეს...

– ალბათ უკვე გამოგიგლოვეს... – მითხრა მარტამ და ისე გაიღიმა, რომელი ღიმილიც საიქიოდან დაბრუნებული ადამიანის თანხვედრია.

მეზღვაურებმა დაგვაპურეს და ბინა კაიუტაში მიგვიჩინეს.

– ცოლ-ქმარი ვგონივართ! – მითხრა მარტამ ჩურჩულით, როდესაც მარტონი დარჩით.

– შენთან შეხვედრითა და ამ სასწაულებრივი გადარჩენით, უზარმაზარი სიმპათიები დამიგროვდა, მომწონხარ და მეშინია, ეს მოწონება მართლაც დიდი სიყვარულში არ გადაიზარდოს!

– არადა არაფრის არ მეშინიაო?! – გამომაჯავრა.

– სიყვარულის მეშინია! შენი სიყვარულის! რომელსაც შეიძლება გაგრძელება არ ეწეროს.

– მე კი არ მეშინია! მიყვარხარ და მეტი არაფერი მაინტერესებს... – მითხრა, ჩვენი ტუჩები ერთმანეთს შეეწება და სიყვარულის მორევში ჩავიძირეთ...

– ძალიან მინდა ჩვენზე რომ დაწერო, მე შენგან შვილი მინდა, რომელიც ჩვენი, ორი ერის პოლონელთა და ქართველთა მეგობრობის სიმბოლო იქნება – ჩვენი სიყვარულის საიდუმლო... – მითხრა მარტამ დამშვიდობებისას.

– მართლაც, ამდენ საოცრებათა შემდეგ, ნეტავ მას ვინც ხვალ დაიბადება, ჩემო მარტა! – ვუთხარი და მკერდში ჩავიკარი...

გადასახედი

– „ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოჰკვეთა კბილი...“ – ეს ხალხური სიბრძნეა, – თქვა მასწავლებელმა და სათვალის ზემოდან გადახედა კლასს...

– მე აქ სიბრძნეს ვერაფერს ვხედავ! – მხრები აიწურა მერაბმა, რომელიც სკოლის მერხს მიჯდომოდა და თითქოს გულისყურით უსმენდა მასწავლებელს.

– აქ ცხოვრებისეული სიბრძნეა! – თქვა მასწავლებელმა, – ამის ახსნა და განმარტება, რომ დავიწყოთ ნამდვილად არ გვეყოფა გაკვეთილისათვის განკუთვნილი დრო. ეს საკითხი შემდეგისათვის გადავდოთ, ან აგიხსნით, ან კიდევ ცხოვრება თვითონ გიჩვენებთ „ტყემლის სიმჟავეს“.

– კარგი რა მასწ... რა ტყმეალი, რი ტყემალი. შვილიშვილს ალბათ იმიტომ მოჰკვეთა კბილები, ბაბუა იყო უკბილო. – თქვა მერაბმა და კლასში საერთო ხარხარი გამოიწვია.

მერაბი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მაგრამ თავის წლოვანებასთან შედარებით ენაკვიმატობდა. ის ყოველთვის მართალი უნდა ყოფილიყო, კი გრძნობდა, რომ მეტ შემთხვევაში ტყუოდა, მაგრამ მოკამათეს ტვინს გამოულაყებდა და ბოლოს გამარჯვებული რჩებოდა, რადგან მოკამათე თავზე ხელებშემოჭერილი გაურბოდა. ასე რომ თავისი გაგებით ტოლს არავის უდებდა, სკოლის ყოჩბიჭებშიც მეგობრობდა ჩუმად მასწავლებლების აგენტიც იყო. ბევრი ვერ ხვდებოდა მის მზაკვრულ ორ ფრონტზე ბრძოლას და „კარგი ბიჭის“ სახელით სარგებლობდა. ვინც ხვდებოდა, ის კი ამბობდა! – „გველის წიწილი, გველად გაიზრდებაო“.

განვლო დრომ, მერაბი დავაჟკაცდა და მის ცხოვრებაში განუკურნავი ტრაგედია დატრიალდა, მამა თოხით დაუჩეხეს, მყისვე ქვეყანას მოედო სახელგანთქმული ადამიანის

სიკვდილი და დაიძრა ხალხის ნაკადი, რათა სამძიმარი ეთქვათ განსვენებულის ოჯახისათვის.

მეზობელი სოფლიდან სამძიმარზე წამოსული მოხუცი მასწავლებელიც მიუხალოვდა განსვენებულის შემოგარენს, გზაზე ძალზედ ნელა მიმავალი კაცი შენიშნა, მიესალმა მასწავლებელი და ნელა სიართულის მიზეზი გამოკითხა:

– სამძიმარზე მივდივარ, – უთხრა კაცმა, – მაგრამ ტირილი არ მეხერხება, კიდევ ისიც, რომ მარტოდ მისვლა მეუხერხულება და ნელა მივდივარ, იქნებ დამეწიოს ვინმე, ერთად მივალთ და უფრო გამოვჩნდებითო.

– ეგ არაფერი! – უთხრა მასწავლებელმა – მეც სამძიმარზე მივდივარ, წამოდი ერთად წავიდეთ, რომ არ დაგიფიცო, მეც მეუხერხულებოდა მარტოდ მისვლა, ტირილის კი ნუ გედარდება, ტირილიც კარგი ვიცი და ღიმილიცაო.

გაეხარდა მგზავრს, რომ მეგზური ნახა და ასე შეაღეს მიცვალებულის ეზოს ჭიშკარი. მასწავლებლის დანახვაზე ჭირისუფლებმა ტირილი ასტეხეს. მასწავლებელი კი მივიდა, მიცვალებულს გადახადა, დაუკვირდა, შემდეგ წყნარად თქვა: – „არ მჯეროდა და მართლა მომკვდარა. ეჰ, მომკვდარა, მართლა მომკვდარა“ – ჭირისუფლებს ხელი ჩამოართვა, მიუსამძიმრა, მიცვალებულს შემოუარა და გარეთ გამოვიდა, როგორც მასწავლებელი მოიქცა, ასე მოიქცა ის მგზავრიც, რომელიც მასთან ერთად მივიდა სამძიმარზე, მაგრამ როდესაც ეზოს გარეთ გამოვიდნენ, მგზავრი ეცა მასწავლებელს!

– ეს არის ტირილი ვიციო? რატომ შემარცხვინე? თუ არ იცოდის ვერ თქვი და შენთან არ წამოვიდოდიო! – მე შენ გითხარი, ტირილიც ვიცი და ღიმილიც-მეთქი – უპასუხა მასწავლებელმა. წამოდი წავიდეთ აქედან მეგობარო, ერთი მგზავრი ვართ გზაზე ვისაუბროთ.

– რაღა ვისაუბრო, შევრცხვი კაცი ამხელა საზოგადოებაში, სად დაინახე შენ საზოგადოება, ეს ხალხი ხომ ომეხის ჭირისუფლები იყვნენ? ესე იგი იგივე ომეხეები!

ტირილი ჩემო მეგობარო, როგორ მეშლება, რაც ჩემს თვალზე ცრემლი დაგორებულა, რომ იმისი შეკრება შეიძლებოდეს მთელი ზღვა იქნება და შიგ ომეხეების დინასტია მთლიანად დაიხრჩობოდა.

– მაინც რა დააშავა ომეხიმ შენს თვალში ვერ გამიგია! – ჩემს თვალში კი არა საზოგადოების თვალში დააშავა და ამიტომ არ მიუდგა ტირილის სტატია. მიცვალებული ყველა სწორ გზაზე მიმავალია და იქ ხომ არ ვიტყოდი ვინც იყო ის, არ მჯეროდა თუ ასეთი ადამიანები კვდებიან და იმიტომ ვთქვი – „არ მჯერავდა და მართლა მომკვდარა-მეთქი“.

– მაინც უნდა გეტირა!

– ვიტირე კიდეც როგორც შეესადაგებოდა იმის პიროვნებას, შენ სულხან-საბა ორბელიანის „სოფლის ამომგდები“ თუ გაქვს წაკითხული? ის ნაწარმოები სწორედ ომეხის შეესაბამება. სოფლის ამომგდები იყო ცხონებული, საკუთარი „მე“-სთვის ყველაფერის მკადრებელი, ჰოდა იქ როგორ მეტირა, მეთქვა: პურ-მარილიანი იყავი-მეთქი – არ იყო!

– ვაჟკაცი იყავი-მეთქი – არ იყო!

ცხოვრებაში ვინმესთვის კარგი გაეკეთებინოს ვერ მომიგონებია, რომ ხოტბა შემესხა ხალხი დამძრახავდა „ხომ ხედავთ, რამხელა ტყუილს კადრულობს მოხუცი მასწავლებელიო“ – იტყოდნენ. მე კი სიმართლე ვერ ვთქვი, აბა როგორ მეთქვა: შპიონი იყავი და არა ერთხელ გაგიწირავს ბიძაშვილები და მთელი სოფელი დასაღუპად-მეთქი. როგორ მეთქვა ძროხა რომ გაყიდა, ფული ვიღაც გამომძიებელს მისცა და საკუთარი ძმა ციხეში გამოამწყვდია, როგორ მეთქვა სკოლაში რომ მოგვიხტა მთელ პედაგოგიურ კოლექტივს დაჭერით დაგვემუქრა და „მშიერი მასწავლებლები“ გვეძახა.

როგორ მეთქვა დამარხული ბიძაშვილი რომ მოთხარა და იმისი ტანსაცმელი დღეს მკვდარს ეცვა?! კიდევ ბევრი რამ შეიძლება ჩამოვთვალოთ ასეთი უმსგავსობა, მაგრამ...

– კი მაგრამ, კანონი არ არსებობდა, სადაც ომეხი ცხოვრობდა? – ვეღარ მოითმინა და საუბარში ჩაეჭრა მგზავრი მასწავლებელს.

– როგორ არა – უპასუხა მასწავლებელმა – კანონი მთელი სიმკაცრით მოქმედებდა დამნშავეთა მიმართა, მაგრამ ომეხისი თვით კანონმდებლებსაც ეშინოდათ და ყველა თავს არიდებდა მასთან კამათს.

დაუმთავრებელი საუბრით დაცილდა მგზავრი მასწავლებელს და უფრო სწორად, უსიამოვნო მოგონებებს გაექცა ორივე.

მერაბის კი მართლა გაუჭირდა მამა-მარჩენალის დაკარგვის შემდეგ, ოჯახის სიმძიმე მხრებზე დააწვა, რომელიც დღემდე არ ეკითხებოდა და ოდნავ ბეჭებშიდაც მოიხარა, მაგრამ როგორი მერაბი იყო გაჭირვებას შეშინებოდა და მამის გზას არ გაჰყოლოდა, სცადა კიდეც სოფელ-კუთხის დაშინება, მაგრამ არ გამოუვიდა და სხვა გამოსავალს დაუწყო ძებნა. მეზობელს ფულის სასასხებლად მიადგა კარზე, მაგრამ მეზობელმა უთხრა: – „ფულს როგორ დაგიკავებ შვილო, ფულმა ფულის მეტი რა იცის, ჩვენ კი ადამიანები ვართ და ხელი უნდა მოუმართოთ ერთი-მეორეს, მაგრამ მამაშენს ფული რომ ვასესხე ათიოდე წლის წინათ, დღესაც არ მოუცია, მივაკითხე დამიბრუნე-მეთქი ვალი, იმან კი ყვირილით მიპასუხა: – „ციხეში რომ არ გალპობ შენ კიდევ ვალის გასტუმრებას მთხოვო?!“

– რა დანაშაული გქონდა, რომ ციხით გემუქრებოდა?

– მილიციაში დანაშაულს არ კითხულობენ. როდესაც გამომძიებელს წინ უდევს ათასნაირი ცრუ ფაქტებით დამტკიცებული შპიონის განცხადება. იქ ძვლების მტვრევაზე და-

გეშილი ათლეტები არიან და ადვილი შესაძლებელია ცოცხალი პრეზიდენტის მკვლელობა დაიბრალო.

– შენ მაინც არა ხარ სწორი!

– ჰო, ომეხიც მუდამ ასე მსჯელობდა, ის შენსავით ყოველთვის მართალი უნდა ყოფილიყო.

– თუ კაცი ვყოფილვარ, არ გაპატიებ მამაჩემის გალანძღვას! – კბილების ღრჭიალით გამოსცრა მერაბმა და ჩქარი ნაბიჯით გასცილდა მეზობელს. გასცილდა ერთ მეზობელს და შეუმდურდა კიდეც, მაგრამ იყო და იცხოვრო სოფელში მეზობლის გარეშე, შეუძლებელია. ამიტომ, მერაბი მეორე მეზობელს მიადგა კარზე.

– ძია ვანო, ერთი სათხოვარი მაქვს და უარს ნუ მეტყვი, მთაში, ნავენახარს რომ ეძახიან კარტოფილი მოვიწიე და ვირი მათხოვე რომ ჩამოვიტანო.

– ოჰ, შეგარცხვინოს ღმერთმა, ამხელა მობოდიშება რად უნდოდა ვირის ნათხოვრობას, მგელმა კი შეჭამოს მაგისი თავი და ტანი, ვირი რად მინდა თუ მეზობელს, კეთილსა და ნათესავს არ გამოადგება, ვირს შეშვენის ვირობა, ადამიანს კი არა. ახლავე შვილო! – უთხრა მეზობელმა და სახლისაკენ წავიდა. მერება რომ ეგონა ვანო ვირს გამოიყვანდა, მან ყდაშემოცვეთილი რვეული გამოიტანა.

– მოდი აქ, შვილო! – უთხრა მერაბის და რვეულის გადაფურცვლა დაიწყო.

– აი ისიც აგერ! ომეხი რიჟამაძე! – თქვა ვანომ ათიოდე ფურცლის გადაფურცვლის შემდეგ და ბატიფეხურ ნაწერს თითი გააყოლა.

– ქალიშვილი რომ გავათხოვე, ქორწილში დამიტპატიჟებია და არ მოსულა, შვილიშვილი შემეძინა, ძეობა გადამიხდია, არც მაშინ დაუფასებივარ, მამა გარდამეცვალა – თავისი სიკვდილით, არავის არ მოუკლავს, – არ მოსულა არც სამძიმარზე და არც დაკრძალვაზედ. მამის დაღუპვი-

დან ერთი წლისთალვის აღმინიშნავს, არც მაშინ მოსულა. სახლის მშენებლობა რომ მქონია, ხარის ნათხოვრობა მითქვამს, არ უნათხოვრებია, სახლის დახურვაზე წვეულება გადამიხდია, არც მაშინ მოსულა წვეულებაზე და საეროდ, ჩემი წვეულება რომ ჩაეშალა და შევერცხვინე, ქვევრში ნავთი ჩამისხა და ღვინო მომიწამლა. აი ხომ ხედავ, ასეთ კეთილგანწყობაში ყოფილა ჩვენი ოჯახები ბატონო მერაბ, თორემ ვირს დასაკლავად არ დავუკავებ მეზობელს.

– არ ვარგებულხართ, სუყველანი საქონლები ხართ, ერთი კაცი როგორ გერეოდათ სუყველას, რომ არავინ მადლიერი არა ჰყავს? – იღრიალა მერაბმა.

– ყველას გვერეოდა, მაგრამ ბოლოს იმასაც მოერივნენ და შენ როგორ გგონია დამნაშავეა მკვლელი? არა, მხოლოდ კანონია მტყუნებს მკვლელს და იმას კი არ ამბობენ, მკვდარმა რა დააშავა. – ციური დღეს კაცის მკვლელობისათვის ზის ციხეში და სასამართლოს ელოდება, შენ კიდევ მოითხოვ იმის მკაცრად დასჯას, როდესაც იცი, რომ მამაშენი ხეზე ჩამოსაკიდებელი და ჩამოსალპობია ციურის წინაშე.

– დედაკაცის მოსაკლავი კაცი არ იყო მამაჩემი!

– არც მამაშენი იყო კაცი.

– ვინ არ იყო კაცი, შენ უნდა თქვა ჩემს ოჯახზე ეს? თუ კაცი ვყოფილვარ არ გაპატიებ მამაჩემის გალანძღვას.

– ნუ მაშინებ თუ კაცი ხარ, მამაშენისაგან ისე ვარ დაშინებული, ხომ ხედავ აღარაფერის მეშინია.

– აბა ვნახოთ! – დაიღრიალა მერაბმა და ჭიშკარი ისე მაგრად გაიხურა, ჩარჩოეზე ანჯამები აძვრა.

– „ნუთუ მართლა ყველასათვის საზარელი იყო ჩემი მამა? – ფიქრობდა დადარდიანებული მერაბი და მამის აჩრდილს ხმამაღლა ესაუბრებოდა. არა შვილო, ვერ ჩაწვდა ხალხი ჩემს სიბრძნეს, მშივრები, მათხოვრები, მეტი უნდა

თქვან ჩემს ოჯახზე, რომ ციხეში არ ამოვალპე – უპასუხა მერაბის მამის აჩრდილმა.

– ქალს მაინც არ მოეკალი მამა! – თქვა თვალცრემლიანმა მერაბმა.

– ქალი კი არა სატანა გამოდგა, მხოლოდ ის ჩაწვდა ჩემს სიბრძნეს და ხვდებოდა ყოველივე ჩემს ფიქრებს, ამიტომ არ ვზოგავდი და არც მან დამზოგა ბოლოს. ვიცოდი, საბოლოო ჩემი ასეთი სიკვდილი იქნებოდა, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, თუ ქალის ხელით მოვკვდებოდი.

– მაინც რა გინდოდა, რას ემართლებოდი მას?

– ყველაფერი მინდოდა, ქალებისათვის ქალური სითბო უნდა გამომესრუტა, კაცებისათვის ვაჟკაცური ძალა, აი რა მინდოდა, თითქმის მივედი ამ შემართებამდის, მაგრამ ბოლომდის კი ვერ მივიყვანე ჩემი განზრახვა.

– მაგარი იყავი შენ მამა, მე კი არ შემიძლია შენოდენი, ახლა რა ვქნა, მე როგორ ვიცხოვრო?!

– თუ ჩემი სისხლისა ხარ, ჩემი გზაც არ უნდა დაკარგო.

– მეც თოხით მომკლან?

– სიკეთე რომ თესო, უკვდავი იქნები?

– კეთილი კაცის სახელი რომ დაიმკვიდრო ამ საწუთროში არა ჯობია?

– ნაკლებად ჩანს კეთილი, ბოროტს ფართო გზა აქვს კეთილთა შორის! – ახლა გვიანია „თითზე კბენანი“. სიკეთის ფესვი უნდა გქონდეს, რომ კეთილი იყო. ვიცი, ორმოცი დღის შემდეგ ჩემთვის ნათელი ჩქარება და დადგება დღე განკითხვისა: – გაცოცხლდებიან მიცვალებულნი შენნი, აღსდგებიან მკვდარი სულები! აღსდექით და იზეიმეთ დამხობილნი ფერფლად: რამე თუ ნამი შენი მცენარეთა ნამია და მიწა ამოაფრქვევს ცხედრებს“. 26, 19 ისაია.

ასე ამბობს წინასწარმეტყველი ისაია და აღსრულდება ეს.

– მაშ მე რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე?

– არაფერი, სხვაგვარად არ შეიძლება, ჩემს კვალს უნდა მისდიო!

– და მეც დავკარგო ნათელი?

– ნათელი რომ არ დაკარგო, ფესვი უნდა გქონდეს კეთილი, შენ კი ყოველი დაკარგული გაქვს, იქნებ მე ვარ დამნაშავე, იქნებ ჩემი მამა – ბაბუაშნი, იქნებ მათი წინაპარი და იქიდან მოდის ბოროტ სლუთა გამოძახილი. ჩვენ არ გვიწერია სამუდამო ცხოვრებისათვის განცხრომა რადგან დანიელ წინასწარმეტყველი ამბობს: – „დან 12,2: და ბევრნი მიწის ფერფლში მძინარე გაიღვიძებს, ერთნი სამუდამო ცხოვრებისათვის, მეორენი სამუდამო გაკიცხვისა და შერცხვენისათვის“.

– მე არ მინდა შერცხვენისათვის ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე. რად ჩამაგდე ასეთ საგონებელში და რად არ იფიქრე შვილებზე, გაგეწმინდა ფესო შენი და შვილები მაინც დაგეყენებინა სიმართლის გზაზე?

– მე სხვაგვარად არ შემეძლო, ახლა შენ მოიქეცი ისე, როგორც მე მარიგებ.

– მე თუ მაინც ვერ ვეზიარები სინათლეს და სამუდამო განცხრომას, რატომღა მოვიქცე კეთილად?

– შვილებისათვის!

– შვილებისათვის არა ის...

– ჰო, ასე ვფიქრობდი მეც და შენს მიერ საყვედური დავიმსახურე.

– გამარჯობა ყმაწვილო! – მოესმა მერაბის და მოულოდნელობისაგან შეკრთა, მამის სული თუ აჩრდილი მყისვე გაქრა, მის წინ წარმოსადეგი, შუახნის მამაკაცი იდგა.

– რას ჩაფიქრებულხარ ყმაწვილო, ვაჟკაცი კაცი ჩანხარ, ფიქრს თავი არ გაუყარდრო ბიჭო! – უთხრა უცნობმა.

– არა, ისე ჩაფიქრდი! – დაბნეულად უპასუხა მერაბმა.

– კარგი ახალგაზრდა ჩანხარ, ვისი ხარ შენ ყმაწვილო? – შეეკითხა უცნობი.

– ომეხი რჟიამაძის ვარ, თუ გაგეგონებათ!

– როგორ არ გამეგონება, ომეხის ალბათ მთელი საქართველო იცნობს, ის ისეთი კაცი იყო რომ...

როგორ არის ბიჭო მამაშენი, ხომ არის ძველებურად, ხომ არ მოხუცებულა?

– მამაჩემი გარდაიცვლა!

– აუჰ, რა მითხარი ეს, ნამდვილად მეწყინა იმის დაღუპვა და გულით გითანაგრძნობთ. დარდი შემომაწვა ასეთი ცუდი ამბის გაგონებით. სიგარეტი ხომ არ გექნებათ, რომ ეს მწუხარება კვამლში ჩავახრჩო?! – არა, არ ვეწევი ბიძიკო!

– შენ მგონი აქვე ახლოს ცხოვრობ, თუ არ ვცდები, წამოდი სასაფლაოზე წავიდეთ, მამაშენის ხსოვნის შესანდობარი ვთქვათ, აი ფული, გამოართვი ვინმეს ერთი ბოთლი ღვინო – უთხრა უცნობმა და ათლარიანი გაუწოდა მერაბის, მაგრამ მერაბმა იუარა:

– არა ბიძაჩემო, ღვინოს არა ვსვამ! – რას იზამ, არ სვამ და კარგია რომ არ სვამ, კარგი ახალგაზრდა ჩანხარ და დარდს თავი არ დააჩაგვრინო ბიჭო, ჰა, მოწიე! – უცნობმა ჯიბიდან „პარლამენტის“ კოლოფი ამოიღო და სიგარეტი მერაბს მიაწოდა.

– რადგან მოკითხულია მოვწევ! – თქვა მერაბმა და თამბაქოს კვამლი ხარბად ჩაისუნთქა.

– ეჰ, შესახედავად მამაშენსაც არა უშავდა, მაგრამ საქონელი იყო, ნამდვილად მწყინს მამაშენის კვალს რომ გაყოლიხარ და გლახის შვილი გლახა დამდგარხარ. ვაი საქართველო, თუ შენისთანები მომრავლდა. – თქვა უცნობმა ლაზათიანად გვერდზე გადააფურთხა და მერაბმა სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, რომ უცნობი აუჩქარებელი ნაბიჯით გაუყვა შარას.

დიდხანს გასცქეროდა ნელა მიმავალ მგზავრს მერაბი, გასცქეროდა სანამ თვალს არ მიეფარა, შემდეგ კი, რატომ-

ღაც სკოლა, მასწავლებელი გაახსენდა, მოაგონდა ტყემალზე თქმული ანდაზა და ხმამაღლა წამოიძახა: – „აუჰ, რა მწარედ ვიგრძენი ტყემლის სიმჟავე“.

შემდეგ დაფიქრდა და საკუთარ თავს შეეკითხა: – რა ვქნა ახლა მე? რომელ გზას დავადგე? სიკეთის გზა ჩემთვის დახშულია, მამაჩემიც ხომ მუდამ ამას ჩამჩიჩინებდა „ჩემი გზით იარეო“ – ჰო და მიფრთხილდი კეთილის მსურველო ადამიანო. გზაზე არ გადამეღობო, არავინ გთხოვს ჩემი სისხლიანი გზის გაწმენდას. მე მინდა სისხლიანი კვალი დავტოვო. – თითქოს გაუხარდა კიდეც ცხოვრების გზის არჩევანი და მამის საყვარელი სიმღერა წაუღიღინა:

„რადგან ეშმაკი ჩემში დასახლდა,
მინდა მეც მისი გზებით ვიარო,
გავუზიარე ეშმაკს საწუთრო
შენ კი მიფრთხილდი ადამიანო“.

ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა ხომ არ უბიძგა მერაბის გზის არჩევანში? ალბათ ასეა, თორემ არ შეიძლებოდა კეთილი ადამიანია სეთ მოკლე დროში ბოროტად გარდაქმნილიყო და სისხლიანი გზა აერჩია. ადამიანის მეხსიერებას ხომ ერთი საუკეთესო თვისება აქვს.მ ას ავიწყდება მოყვრის წყენინება, მერაბისაც შეეძლო დაევიწყებინა „ტყემლის სიმჟავე“ და სიკეთის გზა აერჩია ცხოვრებისათვის, მაგრამ არა, მას ხომ წინაპართა გენები უკარნახებს, თესოს ბოროტება და იბატონოს მოყვასზედ. დემოკრატეც ხომ იგივე ამბობს:

– „ძლიერი მარტო ის კი არ არის, ვინც მტერთან იმარჯვებს, არამედ ისიც, ვინც ბატონობს მასზედ“ – მე კიდეც გავიმარჯვებ და კიდეც ვიბატონებ! – ამბობს მერაბი და სრულებითაც არ ფიქრობს იმას, თუ რა მოყვება მის გამარჯვებას და ბატონობას, ის მხოლოდ დასაწყისს ხედავს და როგორი იქნება დასასრული, არც აინტერესებს მცირედიდაც რომ წარმოიდგინოს. ის ხშირად იმეორებს ერთსა და

იგივეს – ეპიკურის აზრს: „არ შეიძლება იცხოვრო სიამოვნებით, თუ არ იცხოვრებ ისე, როგორც მოგწონს“.

მაგრამ მერაბის ვერ წარმოუდგენია მოსაწონი ცხოვრება რომ დროებითია და რა არის იმის შედეგი, იცის დასასრული მამისეული სიკვდილია, მაგრამ მას მხოლოდ სიკვდილი წარმოუდგენია და არა სიკდვილის შემდგომი პერიოდი. მერაბის არჩეული გზა სხვის უბედურებაში საკუთარი უიღბლობის ჭვრეტაა. მას არ გააჩნია წინათგრძნობა უბედურებისა, რომელიც გარდაუვლად დაატყდება თავს, ვერ წარმოუდგენია სხვებს დაეხმაროს, რომ ისინი თავის მხრივ დაეხმარონ გაჭირვების ჟამს, არც ერთ ბობოქარ ვნებას არ შეუძლია შეცვალოს ბოროტებისაკენ ლტოლვის მცდარი აზრი, ეს აზრი მიუხედავად მისი სიჩლუნგისა, ხშირ შემთხვევაში მძლეთამძლე ძალად გვევლინება. ამ აზრის ჭიამ თუ ერთხელ დაიდო ბინა გულში, ვერავითარი სიკეთის ლტოლვა გულში ვეღარ შეაღწევს, ის ყოველთვის წინ ეღობება ისეთ ბობოქარ ვნებასაც კი, რომელსაც სიყვარული ჰქვია. მართალიაწინაპართა გენები ეძახის ადამიანს და მგელი მგლობას არ მოიშლის, მაგრამ მე მაინც ხალხი, საზოგადოება მიმაჩნია მთავარ დამნაშავედ მერაბის სწორი გზიდან გადახვევაში, ადამიანისადმი კეთილგანწყობა და მეგობრული მიდგომა ყველას აცვლევინებს აზრს. „წვეთი თაფლი მეტ ბუზს იზიდავს, ვიდრე მთელი გოლონი ღვარძლი“ ამბობდა ლინკოლნი. ამ შემთხვევაში ბუზია ადამიანი, თუ გინდა ის კეთილი საქმისაკენ გადმოიბირო, მცირედი სიტკბო აჩუქეთ მას, დაარწმუნეთ თქვენს ერთგულებაში, ეს კი ის ერთი წვეთი თაფლი იქნება თქვენგან გაცემული, რომლითაც სიყვარულს დაიმსახურებთ მსმენელთა წინაშე. ეს კი პირდაპირი გზაა გონებისაკენ მიმართული, რომელიც კეთილგონიერებისაკენ უბიძგებს ყოველ ადამიანს, ბოროტმოქმედსაც კი. მერაბს არავინ აღმოუჩნდა „წვეთი თაფლის“ მიმწოდებელი.

პირიქით, მის გულში შხამი და ღვარძლი ჩააგუბეს იმ მამა-პაპათა მოგონებით, რომელთაც ოდესღაც ტყემალი ეჭამათ და იმის სიმჟავეს დღეს მერაბს აცდევნებდნენ.

მერაბმა მძიმედ ჩაიქნია ხელი, რომ მოძალებული აბეზარი ფიქრები გაეფანტა, ფანჯრის დარაბები ჩაჭედა, კარები ფრთხილად გამოიხურა, კლიტე სამჯერ გადაატრიალა და სანამ მამლები მესამედ იყივლებდნენ, ის უკვე ქალაქში იყო ჩასული.

ქალაქში ხალხმრავლობა იყო. დილით ყველას სამუშაოზე ან სადღაც საშოვარზე მიეჩქარებოდა, მერაბის არსად არ აგვიანდებოდა, მაგრამ მაინც მიჰყვა ხალხის ნაკადს და ტროლეიბუსში ავიდა. ერთხმა ახალგაზრდამ იდაყვამდის ჩაუყო შარვლის ჯიბეში ხელი, მერაბმა ხელი დაუჭირა ბიჭს და თითქოს ამას დაეძებდაო, გაუღიმა. ახალგაზრდამაც გაუღიმა და ხელისგათავისუფლება სცადა, მაგრამ მან არ გაუშვა და პირველსავე გაჩერებაზე ორთავენი ტროლეიბუსიდან ჩამოვიდნენ. ქურდს ეგონა ნაღდად „გავებიო“ და გასაქცევად იყო შემართული. მაგრამ მერაბის ღონიერ ხელს ვერღარ გაექცა.

– გამიშვი რა და ჰა, რაც ამ დილით ვიშოვე! – უთხრა ქურდმა და ჯიბიდან კარგა ბლომად ამოიღო ფული.

– არა, ფული არ მინდა, ერთად ვიმუშაოთ! – უთხრა მერაბმა. ქურდს გაუკვირდა და გველური ცივი თვალებით ჩახედა მერაბს თვალებში, რათა ამოეკითხა იმისი აზრის სიმართლე. ბევრი ყოყმანის შემდეგ:

– ჩამომეფარები?

– რას მიბრძანებ! – ყრუდ თქვა მერაბმა.

– მოდი ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი, ფარაონიდან რომ იყო, ასე არ მომექცეოდი. როგორც გეტყობა გიზიდავს ჩვენი ხელობა, მე „დოლარინო“ მქვია – უთხრა ქურდმა.

– მე კიდევ მერაბი!

– მერაბი რა სახელია, ეს სახელი ჩვენთან არ გამოგადგება. მეც მერქვა ადრე ავთანდილი, მაგრამ ახლა კი გითხარი „დოლარინო“ მქვია, იცოდე დღეიდან შენი სახელი „კიკო“ იქნება.

– კარგი, თანახმა ვარ, „კიკო“ იყოს, თუმცა „დოლარინო“ კი ჯობია, რაც არ უნდა იყოს ფულიანი სახელია.

– ჰო და ჩემი კიკო, დღევანდელი სამუშაო დღე დამთავრებულად გამოვაცხადოთ და შენი გაცნობა საზეიმო ვითარებაში აღვნიშნოთ – თქვა დოლარინომ და რესტორან „არაგვისკენ“ ჩაუხვია.

წელზე ოთხად მოხრილი შეეგება რესტორნის გამგე დოლარინოს. განსაკუთრებული „კუპე“ შეურჩია და ბრძანება გასცა ღირსეულად მომსახურებოდნენ ძვირფას ადამიანს.

– რატომ მღებულობენ ასე მოწიწებით თუ ხვდები? – შეეკითხა დოლარინო კიკოს!

– ალბათ გავლენიანი პირი ხართ მისთვის! – უთხრა კიკომ.

– არა, ცდები. ესენი პიროვნებას არასოდეს არ სცემენ პატივს. აქ ფულის მოყვარული ხალხია. ჩვენ კი ამით ვართ ძლიერნი, რომ რასაც ვშულობთ, იმასვე ვხარჯავთ. შენც ასე უნდა მოიქცე ძმაკაც თუ ჩვენთან მუშაობა გადაგიწყვეტია. ჩვენთან სახლებს არ აშენებენ, არც ოჯახს ქმნიან. ჩვენთვის სახლები აშენებულია, არიფები ციხეს რომ ეძახიან. ოჯახებიც შედგენილია, გოიმები „ფიდარასტებს“ ეძახიან მათ. ისინი ჩვენ კარგ მეუღლეობას გვიწევენ, – ჰო, დანარჩენი შემდეგ ვილაპარაკოთ – თქვა დოლარინომ, როდესაც შენიშნა, რომ ორმა ახალგაზრდა მომტანმა მაგიდას გაწყობა დაიწყო. უხვად გაჩნდა მაგიდაზე პროდუქტ-სანოვაგე თუ სითხე-ალკოჰოლი, აქ კაცი ვეღარაფერს ინატრებდა, რადგან ხელის გაწვდენაზე იყო ყოველივე.

– ჭამის მადაზე მოგვიყვანსო! – თქვა დოლარინომ და ფრანგული კონიაკით სავსე ფუჭერით დაილოცა. იგივე გაიმეორა კიკომ და შეიქმნა ქეიფი, საკადრისი მეფეთა.

მაგიდასთან დუმილი ჩამოწვა, მყუდროების გასაფანტავად დოლარინომ ახალი სადღეგრძელო შამპანურით თქვა და სალაპარაკო საღერღელიც აეშალა.

– კიკო, რატომ აირჩიე ჩვენი პროფესია? ხომ იცი ჩვენთან რომ ჩაებმები თანამშრომლობაში. როდესაც გინდა მოხვალ და როდესაც მოგეხოშება წახვალ, ასე არ არის ძმაკაც, შენ დაფიქრებულხარ რა ნაბიჯსაც დგამ?

– ბევრი ვიფიქრე და ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა!

– შენ ადამიანი რომ შეიბრალო, შეგიძლია?

– არა!

– მე კი მებრალებოდა პირველად. ერთ ქალს პორტმანი წავართვი, ქალმა იმხელა წივილ-კივილი ასტეხა და ცრემლი ზღვას შეუერთა, რომ შემეცოდა და პორტმანი დავუბრუნე.

– არ შეგეშინდა რომ დაუბრუნე?

– არა, ისე ჩაუდევი ჯიბეში, არავის შეუმჩნევივარ, შემდეგ კი ხმამაღლა ვუთხარი: „ჯიბეებში მოიძებნე, შეიძლება არც კი დაგკარგვია-მეთქი“ – დამიჯერა და პორტმანე რომ აღმოაჩინა, იმის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე არასოდეს არ დამინახავს იმხელა სიხარული, ვერც კი წარმომედგინა თუ სიხარულის დანახვა შეიძლებოდა და თურმე შეძლებულა.

ეს არის რაღაც ზებუნებრივად მონიჭებული ბედნიერება, რომ წუთების წინ გაუბედურებული ადამიანი უცებ განიცდის სიხარულს. ზუსტად ეს არის აუღწერელი ბუდნიერება, რომელსაც განიცდის წუთების წინ რწმენადაკარგული ადამიანი და უნებლიედ ეს სიხარული გადმოდის შენზედაც, რადგან შენც ხარ მონაწილე ამ სიხარულისა. ვინც ამას განიცდის, დარწმუნდეს, რომ არ არსებობს უფრო მეტი ბედნიერება, როდესაც ცრემლიან თვალებში სიხარულის ნაპერწკალს დაინახავ. ეს მე დავინახე და განვიცადე, იმ დღიდან კიდეც შევეშვი ჩემს ხელობას, მაგრამ არ გამომივიდა. „კო-

კიმ“ კინაღამ არ გამასაღა – „შეეჩვევიო“ მითხრა „კოკიმ“ და მართლაც შევეჩვიე. ახლა „ქაჯების“ ტირილი სიამოვნებას მგვრის, როდესაც ვიცი ჩემს ჯიბეში მათი პორტმანეა. ამ საქმეს ისე შევეჩვიე, ფულის დათვლა აღარ მჭირდება, ადრინდელი მეპატრონის ცრემლით ვატყობ პორტმანე რა თანხისაც არის. ახლა კანონიერ ქურდობას მპირდებიან და ვნახოთ, ალბათ ამ თვეში მაზიარებენ.

– როგორ კანონიერი, ქურდი კანონიერიც არის და უკანონოც?

– აბა როგორ?!

– მე კი მეგონა ქურდობა ყველა უკანონო იყო, მაგრამ საინტერესოა, როგორ განსხვავდება ერთი-მეორისაგან?

– როგორ განსხვავდება? ჯერ მართლაც „გოიმი“ ყოფილხარ, შენ „კარგი“ აღზრდა გესაჭიროება, რომ ყველაფერში გაერკვე. კანონიერი ქურდი, ძმაო, საქმეებს არჩევს. ქურდი კი ყველაა დღეს. ყველა იპარავს, ჯიბის ქურდიც და წარმოების დირექტორიც, მაგრამ კანონიერი ქურდი სულ სხვაა ძმაო, ხალხისაგან განათლება უნდა გქონდეს მიღებული, რომ საქმეები გაარჩიო!

– რა საქმეები გაარჩიო დოლარინო, შენ ქურდებზე მელაპარაკები თუ მოსამართლეებზე? საქმეებს ჩვენში მოსამართლეები არჩევენ ან პროკურორები, ხანდისხან ვექილებიც კი: ვერ გამიგია საქმის გარჩევასთან ქურდს რა ხელი აქვს?

– მოსამართლეები კოდექსით არჩევენ ძმაო საქმეს, ქურდებს კიდევ დაუწერელი კანონები აქვთ, რომელიც „შავ სამყაროს“ ემსახურება.

– რატომ აქვთ დაუწერელი კოდექსი, თუ კანონიერად არჩევენ საქმეს კოდექსიც დაეწერათ. თუ არა და ყველანი ერთ კანონმდებელს რომ დავემორჩილოთ, აქ რა არის ცუდი?

– ის კანონმდებლები, მოსამართლეებს რომ ეძახიან, საწყალ ხალხს ატყავებენ, რომ კანონიერად გაარჩიონ საქმე.

– ქურდები კი არ ატყავებენ და მუქთად არჩევენ საქმეს?

– არა, მაგრამ... – სიტყვა ვეღარ მოძებნა დოლარინომ და უცებ აენთო – შენ რა, სიმონ, აღმზრდელობით „პედაგოგიკას“ მიკითხავ თუ რა?

– ნუ ცხარობ დოლარინო, მე ხომ შენი მოწაფე ვარ დღეიდან და მინდა ყველაფერში გავერკვე.

– მოსწავლე ხარ, მაგრამ ასე ვერ ისწავლი, ხანდისხან ტყუილზედაც თავის ქნევას უნდა მიეჩვიო, ყველაფერი ადამიანის მოსაწონი ღმერთსაც არა აქვს დაკანონებული და შენ რა უფლება გაქვს შეუსწორო უფალს? კამათი რად უნდა, ყველა ხვდება, რომ ადამიანი დღეს ვერ ცხოვრობს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად, მას გააჩნია მრავალნაირი უნარი, რომელსაც ვერ იყენებს, ან უფრო სწორად არ აყენებინებენ, ამიტომ იმ მრავალნაირი უნარიდან ერთი უნდა შეარჩიო, რომლითაც ადამიანს მოერგები, ამ შემთხვევაში კამათი გამორიცხულია, შენ უნდა იმის არჩევანს მოერგო, რომელთანაც მეგობრობა გსურს, მაგრამ თუ შენ მეგობარში სიმართლის ძებნა დაიწყე, მეგობარს დაკარგავ, ასე, რომ ან მეგობარო ძმაო, ან კიდევ კამათი სიმართლისათვის! გამიგე?!

– გავიგე, მაგრამ ვერაფერიც ვერ გავიგე. მე ადამიანთა საწინააღმდეგო ნაბიჯი ადამიანთა სიძულვილმა გადამადგმევინა, ნუთუ ყველას ისე გეზიზღებათ ადამიანები, როგორც მე. გისმენ და ქართველების სადღეგრძელოს განსხვავებული კათხით სვამ, მათზე წაგლეჯილ ფულს, მათსავე სადღეგრძელოში ხარჯავ, რომელშიც სისხლი და ცრემლი ურევია. მე ქურდობას ვერ დავიწყებ, ქურდობას ყაჩაღობა მირჩევნია. შენ აი დაძვრები ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში, იპარავ, მაგრამ არ იცი ვის პარავ, ქურდი ხარ თუ ყაჩაღი, ექიმი თუ ზეინკალი, საშმობლოს მოაღალატე არ უნდა იყო, შენ ქალს პარავ ფულს, რომელსაც შავ თალხებზე ხუთი პირტიტველა ბიჭის სურათი აქვს მკერდთან დაკე-

რებული. ეს ბიჭები საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის დაიღუპნენ, მათმა დედამ, პენსია რომ აეღო და შვილებისათვის საკურთხი გაეკეთებინა, სულთმოფენობის დღეს, პარლამენტი შეაწუხა და ძლივს გაუხერხეს ერთი თვის კუთვნილი პენსია, ზის ტროლეიბუსში, მიდის ბაზარში პროდუქტის საყიდლად, მიდის კიდეც და ევაჭრება ათიოდე მარცვალ ბალს გამყიდველს, მორიგდნენ ფასში, მაგრამ ფული ფაფუ – შენ შორიდან უცქერი და სიცილით იგუდები, გსიამოვნებს შვილების დაღუპვის ცრემლით, რქოვანა გადამწვარი დედის ცრემლები, ჩვენ თუ არ შეგვიძლია თანაუგრძნოთ ასეთ პატრიოტ დედებს, ნუ გავქურდავთ მაინც და მწუხარების თანაგრძნობით გაზიარებას სხვა ეროვნების ხალხისაგან ვისწავლოთ. ამერიკის გაერთიანებისათვის ომში დაღუპული ხუთი შვილის დედას ლინკოლმა ისეთი მგრძნობიარე წერილი მისწერა, რომ 1926 წელს ეს წერილი აუქციონზე თორმეტი ათას დოლარად გაიყიდა, ეს თანხა ბევრად აღემატება იმ დანაზოგს, რაც ლინკოლმა მეოთხედი საუკუნე თავისი დაუღალავი შრომის შედეგად დააგროვა.

– კარგი რა კმარა, სიმონ ნუ შეალაგე, თორემ დაგბრიდავ. ჩემი დედა... წამოიძახა დოლარინომ და მაგიდა ისე მძლავრად დაჰკრა მუშტი, რომ შამპანურის ბოთლი ჯერ აკანკალდა და შემდეგ აქაფდა.

– თვითონ კარგი რა, ნუ გაახურე, ისაუბრე და მუშტებს ძალას ნუ დაატან, ეგ ხელები კიდევ გამოსადეგია. მე შენ კიკო დამარქვი, ახლა სიმონს მეძახი და თან მუშტებს უბაგუნებ მაგიდას, ნეტავი როგორ დავიმსახურე ესოდენ დიდი ყურადღება? – ღიმილით უთხრა კიკომ. – ღიმილი მაცდური საშუალებაა და დოლარინოსაც გაეღიმა.

– შენ ისე ხომ არ მოგდის ძმაო, მეგრელმა რომ ინგლისურის სასწავლებლად გაგზავნა ბავშვი და ინგლისელების იმ უბანმა, სადაც ბავშვი მიაბარეს, ყველამ მეგრულად დაიწყო

ლაპარაკი, შენ თუ ჩემი სხვა გზით გადაბირება გინდა, ტყუილი მცდელობა გამოგივა. შენ მე ხვალიდან ჩამომეფარები და თან დაეუფლები ხელობას, ეს თხოვნა კი არა, ბრძანებაა ჩვენი დაუწერელი კანონით.

– ადამიანს ის უნდა გააკეთებინო, რაც მას შეუძლია. შენ მიბრძანებ გავაკეთო ის, რაც შენ გსურს, ჩემს სურვილს კი არ იზიარებ, როდესაც მე არ შემიძლია გავაკეთო ის, რასაც მიბრძანებ.

– აბა შენ რა შეგიძლია?

– ხომ გითხარი ყაჩაღობა-მეთქი!

– ყაჩაღობა ადვილი სათქმელია, ყაჩაღობას დიდი სასჯელი მოსდევს ჯიგარ!

– მე სასჯელისათვის არ ვემზადები!

– ყველაფერი წინასწარ უნდა გაითვალისწინო, ჩვენში ეს მოსალოდნელი კი არa გარდაუვალია! ციხე ჩვენია, თავისუფლებa კი „გოიმების“!

– ჰო, თავისუფლებაზე გოიმები არიან. გუშინ ვიღაც ქაჯი გამომეკიდა „ფირმენი“ ავტომანქანით, გზიდან ტალახში გადავხტი, ჭაობში კალოშები დამრჩა და ისე მოვცოცხე ყანებზე ავტომანქანა რას დამეწეოდა? ის „გოიმი“ იყო, მე კი „ძველი ბიჭი“, ის უშიშარ დროს ატარებს, ისეთ დროს, რომელსაც დროსტარება ჰქვია, ჩვენ კი პენსიონერებს უკანასკნელ საარსებო კაპიკებს ვპარავთ და ციხის მოლოდინში ვკანკალებთ!

– შენ მაინც რას მირჩევ!

– ყაჩაღობას!

– ჩემი ბუნაგიდან ასე ადვილად არ შემელევიან!

– ციხეში რომ გიკრან თავი, მაშინ ხომ შეგელევიან?

– ციხე-ციხეა, მიტოვება კიდევ სულ სხვაა.

– შენ არაფერსაც ტოვებ. პირიქით, აძლიერებ შენს შესაძლებლობას, აბა თვითონ წარმოიდგინე, კაცმა ქარხა-

ნა იყიდა და შენ კალოშებიც ვერ შეგიძენია, ასეთი კაცის გაქურდვა ან დაყაჩაღება არც ღმერთისთვის არის საწყენი და არც კაცისთვის. მეორე კაცმა სახელმწიფო გემები გაყიდა. შენ კი ყველი რომ წაიღე გასაყიდად, პოლიციამ ცნობა მოგთხოვა მრგვალი ბეჭდით დამტკიცებული, რომ ძროხა გყავდა ნამდვილად, მე მგონია არც გემების გამყიდველის დაყაჩაღებაა ცოდვა: – „რომელითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ“ – ამბობს წინასწარმეტყველი.

– ეჰ, გემების გამყიდველს, დაცვაც გემების მაგვარი ჰყავს.

– გეშინია?

– შიში რა შუაშია, შიში და დოლარიანო ერთად არ თავსდება, მაგრამ წინასწარ ხომ უნდა გაითვალისწინო და გაისიგრძეგანო მოსალოდნელი ხიფათი, აბა ყრუდ ხომ არ უნდა წააღირო კისერი და წახვიდე ტყვიაზე?

– რა თქმა უნდა პენსიონერის გაქურდვა უფრო ხელსაყრელია, ისინი ხომ იარაღს არ ატარებენ, მითუმეტეს ქალები.

– შენ რას გადაეკიდე ამ პენსიონერებს, სხვა სალაპარაკო არ გაქვს?

– მე სხვა სალაპარაკო მაქვს, მაგრამ შენ არა გყავს სხვა გასაქურდი!

– მოკეტე. დაგბრიდავ სიმონ, დოლარინოსთან ასე ჯერ არავის ულაპარაკია.

დაწყნარდი, ჩვენ ხომ შევთანხმდით, წყნარად და გაგებულად ვისაუბროთ-მეთქი, შენ კი სულ დაბრედვას გაიძახი. მოგიკლავს კაცი დოლარინო?

– ჯერ არა და შენიდან დავიწყებ ნამდვილად!

– არ იქნება აგრე, მე შენ საბაბს არ მოგცემ, რომ მომკლა და ვერც თავს ვერ მოგაკვლევინებ, მე მარტო ჩემს სასარგებლოდ არ ვდგამ ნაბიჯს, ვფიქრობს იმაზედაც, ვისთანაც

მიწევს თანამშრომლობა, სოფლელი კაცი ვარ, პირადად ძალზედ მიყვარს შავპილპილმოყრილი ხინკალი, მაგრამ რატომღაც ჩემს ძროხას თივის ბულული ურჩევნია, ამიტომ, როდესაც ძროხა მიმყავს საბალახოდ, ჩემს სურვილებს ვივიწყებ და იმაზე ვფიქრობ, სად და რომელ მოხერხებულ ადგილზე მივიყვანო, რომ უფრო კარგად და მოხერხებულად იბალახოს. ასეა ადამიანიც. თუ ჩვენ ერთმანეთისათვის ვიფიქრებთ ისე, რომ საკუთარი სურვილები უკუვაგდოთ, ნამდვილად ვერ დაგვამარცხებს გემების გამყიდველის გემისებური დაცვა.

– შენ ძმაო, ორატორი უნდა იყო, რა გეყაჩაღება, წადი ბავშვებს ლექცია წაუკითხე და მომავალი თაობა აღზარდე პროფესორებად.

– მაგაზედაც ვიფიქრე, მაგრამ ჩემი ფიქრი ავაზაკურ ცხოვრებასთან გაიყინა. ახლაც ვფიქრობ, ღვინო იმიტომ არ მომეკიდა, შენ კი დათვერი.

– რას ფიქრობ?

– სად წავიდე, ამ ქალაქში ღამის გასათევი ადგილიც არა მაქვს სახლში კი ვეღარ დავბრუნდები, იქ კარებები უკვე ჩავჭედე.

– ეგ საფიქრალი არ არის, ეგ საკითხი მოგვარებულად ჩათვალე, სადაც მე ვიქნები, იქ იქნები შენც დღეიდან, ახლა აქ ქალიშვილები მოვლენ და წაგვიყვანენ – თქვა დოლარინომ და ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, ნომერი აკრიფა, ვიღაცას წყნარად ელაპარაკა და ადგილსამყოფელის მისამართი მისცა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მართლაც ორი მზეთუნახავი ქალიშვილი კუპეში ტანის რხევით შემოვიდა.

– არჩევანი თქვენზე იყოს, რომელი რომელთან! – თქვა დოლარინომ და სკამი გამოწია. ქალიშვილები არჩევანს დიდხანს არ მონდომებიან, დაჯდნენ და ქეიფსაც მეტი ლაზათი მიეცა.

– ავტომანქანებით ხართ? – ჰკითხა დოლარინომ.

– ორივე! – თითქმის ერთდროულად უპასუხეს ქალიშვილებმა.

– რად გინდოდათ ორი „ტაჩკა“ ერთში ვერ ჩაეტეოდით?

– ამაღამ ფარების შუქზე ბუნებაში გადავწყვიტეთ გრიალი!

– ასეც იყოს, მაშ წავიდეთ!

– ჯერ აქ მოვასუფთაოთ, ჩვენ გვშია – თქვეს ქალიშვილებმა და შთანთქეს ყოველი, რაც მაგიდაზე იყო. გოგონები შეზარხოშდნენ, ვაჟები დათვრენენ, შემდეგ ავტომანქანებში უხვად ჩატვირთეს სასმელები და ათასნაირი პროდუქტი. საჭეს მიუჯდნენ ქალიშვილები და გადაჭარბებული სიჩქარით ქალაქგარეთ გააქროლეს ავტომანქანები. ცენტრალური გზიდან გადაუხვიეს და სადღაც ნაძვების ხეივანში ერთმანეთის მოპირდაპირედ დააყენეს. ჩაირთო სინათლეები, აგრიალდა მუსიკა, მინდორზე გაიშალა პურმარილი, დაიწყო ნამდივლი ქეიფი და დროსტარება, ისმოდა სიმღერები, სიცილ-კისკის-ხარხარი და ხანგამოშვებით კვნესაც კი. გოგონები თვრამეტი წლისანი ძლივს იქნებოდნენ და ღამის წყვდიადში, ავტომანქანების სინათლეზე მართლაც მფრინავ ანგელოზებს ჰგავდნენ ცეკვის დროს. ეტყობოდათ პირველად არ იყვნენ აქ ეს ფიზიკურად სუსტი, მაგრამ სულიერად ძლიერი, მდედრობითი სქესის წარმომადგენელები.

– ჩვენ არც კი გაგვიცვნია ერთმანეთი. მე ნინო მქვია, – თქვა ერთმა ანგელოზმა და კიკოს კისერზე ჩამოეკიდა. – მე კიდევ ნანა! – დაიძახა მეორე ანგელოზმა და დოლარინო ძირს დასცა, რადგან იმის კისერზე ჩამოკიდებას ვერ გაუძლო.

კიკომ მკერდზე მოისრისა ქორფა სხეული და რაღაც აუღწერელი სითბო იგრძნო.

– რად ეწევით ვულგარულ საქციელს? – ყურში წასჩურჩულა კიკომ.

– ვახ! აღმზრდელობითი პოლიტიკაა! – გაიკვირვა ნინომ და თვალებში ჩახედა პარტნიორს.

– არა, მე მირჩევნია ასეთი რომ ხარ, მაგრამ უბრალოდ მებრალები!

– საინტერესოა! ნეტავი რა მაქვს შესაბრალებელი?

– ის, რომ ლამაზი ხარ, ჯიშიანი და შენგან კარგი ოჯახი შეიქმნებოდა.

– როგორ, მე ვერ ვიყენებ ჩემს სილამაზეს, ან რას მიქვია ოჯახის შექმნა? გავთხოვდე და ქმარს ნიფხავი ვურეცხო? შენ სანამ აქ მოხვიდოდი ძმაკაც, მანამდე უნდა გაგეგო, როგორ „კამპანიაში“ ხარ მოხვედრილი და რა სიამოვნებას გაზიარებენ. გათხოვილი ქალები ასეთ სიამოვნებას მოკლებულნი არიან. ისინი „ოჯახურ პატიმრობაში“ იმყოფებიან, ქმარს ხელებში შეჩერებიან ლუკმა პურისათვის, მე კი აქ ქალღმერთი ვარ, ჩემს შეუკითხავად წყალსაც ვერ დაღვრით.

– აგაშენა ღმერთმა! შენ ჩვენ გამოგვადგები!

– უეჭველად, თუკი ღმერთი დაგაჭირვებს ჩემს დახმარებას.

მართალია ნაძვნარში მზის სხივი მკაფიოდ არ აღწევდა, მაგრამ მაინც გამოაღვიძა ავტომანქანებში ჩაკეტილი მოქეიფენი, აკვნესდნენ, ადგნენ და წყაროზე წავიდნენ მოსაწესრიგებლად.

– შეიძლება ამათი ნდობა? – ჩუმად შეეკითხა კიკო დოლარინოს.

– საკუთარი თავივით! – უპასუხა დოლარინომ.

წყაროდან დაბანილ-დასუფთავებულნი დაბრუნდნენ.

ქალიშვილებმა ავტომობილის საბარგულიდან საველე გაზქურა ამოიღეს და რამდენიმე წუთში საუზმე მზად იყო.

მთელი ღამის ნაქეიფარნი უმადოდ შეექცნენ საუზმეს. თითოეულს ლაპარაკის წამოწყება უნდოდა, მაგრამ საუბ-

რისათვის თავი ვერ მოება, ყველას დაწყება უჭირდა, ბოლოს კიკომ დაარღვია მყუდროება:

– ახალი პარტიის ჩამოყალიბებას საერთოდ ორი კაცი იწყებს, ჩვენ კი ოთხნი ვართ, მოდით მომავლისგეგმას ჩავუყაროთ საფუძველი.

ჩემი გეგმა საფუძველჩაყრილია, ძმაო, მე ჯიბის ქურდი ვარ და ვერავინ ვერ შემაცვლევინებს განზრახვას. თქვა დოლარინომ.

– ჩვენ კიდევ რაცა ვართ, ისა ვართ! – თქვეს ქალიშვილებმა და გადაიკისკისეს.

– მეშინ მე ვრჩები თამაშგარეთ და წავალ დროულად ბედის საძებნელად – თქვა კიკომ და წამოდგომა დააპირა.

– თამაშგარეთ რატომ რჩები, შენ ჩამომეფარე სანამ ისწავლიდე! – უთხრა დოლარინომ.

– არა, კაპიკებზე ვერ შევაჩერდები პენსიონრებს ხელში, მსხვილი ფული მინდა, ერთიანი – თქვა კიკომ.

– ოო, საინტერესოა, ნეტავი რას შემოგვთავაზებ? – თქვა ნინომ.

– ყაჩაღობას!

– არა, სველ საქმეზე მე ვერ წამოვალ! – თქვა დოლარინომ.

– ნუ დაასველებ და არ დასველდება!

– კი ვამბობთ ასე, მაგრამ ხანდისხან გამოუვალი ხიფათია.

– გამოუვალი ხიფათი ყოველთვის არის შენს სამუშაოზე.

– ბოლოს და ბოლოს რას გვთავაზობ?

– გოგონები დავასაქმოთ, აი რა გოგონებო, თქვენ ლამაზები ხართ, ნებისმიერი მამაკაცი ყოველთვის გაებმება თქვენს მიერ დაგებულ მახეში, გაიცანით ვინმე „მელეხი“ მოიპოვეთ იმისი ნდობა, დაადგინეთ სახლში შესასვლელი გზაკვალი, მოგვაწოდეთ ინფორმაცია და ჩვენ ვიმოქმედებთ.

– გონივრულია! მე უკვე ვიცი ასეთი – თქვა ნინომ.

– ვინ არის! – შეეკითხა დოლარინო.

– გრანიტის კარიერის დირექტორი! – უპასუხა ნინომ.

– რა იცი, რომ მაყუთი ბაითში აქვს?

– ვიცი სეიფში აქვს, ყვითელიც აქვს ბლომად!

– თუ იცი სადაც არის ფული და ოქრო, მაგ საქმეს ყაჩაღობა სრულებით არ უნდა, ძარცვაზე გადავივლით იოლად – თქვა კიკომ.

– ვიცი, ყველაფერი ვიცი, სეიფის ადგილსამყოფელი და სახლის განლაგებაც. სახლში შეღწევა ძნელია, სიგნალიზაციაზეა შეერთებული მთავარი შესასვლელი კარები, ფანჯრები და სეიფიც...

– სეიფს თუ დაუკვირდი, შეხების დროს ჩაირთო სიგნალიზაცია თუ გაღების დროს?

– გაღების დროს!

– ესე იგი კარებში აქვს ჩამონტაჟებული საგანგაშო ღილაკი. ჩვენ თუ კარებს არ გავაღებთ და სეიფს ისე გავხსნით, განგაშიც გამორიცხული იქნება.

– შენ რა „სვარკით“ აპირებ კარების გამოჭრას?

– არა, სხვაგვარადაც შეიძლება სეიფის გახსნა.

– მაინც როგორ?

– – ჯერ არ ვიცი, დავფიქრდები, შევიმუშავებ გეგმას და ხვალ მოგახსენებთ.

– სახლში შეღწევის გეგმაც არ დაგავიწყდეს, – დაცინვით უთხრა დოლარინომ.

– შენ გაიცინე, მე გეგმას შევიმუშავებ! – თქვა კიკომ და ისევ ნინოს გადახედა.

– შენ საიდან იცი, რომ სეიფში აქვს ფული?

– როგორ არ ვიცი, ერთი ღამის სიამოვნებისთვის დილით სეიფი გააღო და ასდოლარიანების შეკვრა მაჩუქა.

– ყოჩაღ! შენ რად გინდა ჩვენთან ძმაკაცობა, ისევ მიაკითხე და ისიამოვნე ათიათას დოლარიანი ღამით.

– ახლა იქ ვიღა მიმიღებს, მაშინ სიდედრი გარდაეცვალა და იქ იყო მთელი ჯალაბი გახიზნული.

– სახლში შესასვლელი კარები ხის არის თუ რკინის?

– მუხის!

– ნამდვილად იცი?

– ნამდვილად! მოჩუქურთმებულია, თვითონ ქვა ათასი დოლარი მარტო ჩუქურთმა დამიჯდაო!

– რამდენი ხანია რაც აღარ გინახავს?

– ვინ, არჩილი?

– ეს არჩილი ვინღაა?

– არჩილი გრანიტის კარიერის დირექტორი, თუ ის გაინტერესებს!

– ჰო, ის არჩილია თუ ვიღაც ამოგდება, რამდენი ხანია რაც აღარ გინახავს?

– დაახლოებით სამი თვე იქნება!

– არ შეგიძლია დაუკავშირდე და შესთავაზო დროსტარება?

– არ ვიცი, როგორ დამთანხმდება, ისე მოვსინჯავ და შედეგსაც თვითონ მოისმენთ, თქვა ნინომ და დოლარინოს ისე ოსტატურად ამოაცალა მობილური ტელეფონი ჯიბიდან, თვით დოლარინოსაც გაუკვირდა. შემდეგ ნომერი აკრიფა და რამდენიმე წამის შემდეგ ყურმილში მამაკაცის ომახიანიხმა გაისმა.

– გისმენთ!

– ბატონი არჩილი ბრძანდებით? – სულ მთლად გაინაზა და დაატკბო შეკითხვა ნინომ.

– დიახ! ვისთან მაქვს ასეთი სასიამოვნო ხმის მოსმენის პატივი?

– მე ნინო ვარ, ალბათ გახსოვარ, „სიტკბოების დიდოსტატი“, რომ მიწოდე!

– ო, მახსოვხარ, როგორ არა!

– ჰო და ნუ გაგიკვირდებათ, ტელეფონის ზარით რომ შეგაწუხეთ, იმ ღამის შემდეგ სულ მთლად დავკარგე მოსვენე-

ბა, რა ვქნა თქვენი ვაჟკაცური ალერსი მენატრება „სექსის დიდოსტატო“.

– რა ვქნა ნინო, ძალზედ შეზღუდული ვარ და აბა რა ვიცი როდის მოვახერხებ თქვენთან შეხვედრას!

– ისე მაინც არ შეიძლება, რომ დაგინახო და ერთი წამით მაინც თავი დავადო შენს ფართო მკერდს? ვერ გეტყვით, რომ უცოდველი ბატკანი ვარ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით,თ ქვენებრი შემართების მამაკაცი არ მინახავს, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ადამიანის გადარჩენა, ძალზედ გთხოვთ შემხვდეთ, თორემ იძულებული ვარ თქვენს ავტომანქანას შევუვარდე საბურავებში.

– რა მოგდის, შენ სრულ ჭკუაზე იმყოფები?

– სავსებით ნორმალურად გამოვიყურები, მაგრამ ხომ გითხარით, რომ ვერ გნახოთ, თავს შემოგწირავთ-მეთქი!

– ოჰ, მე შენ შეცდომით გიწოდე „სიტკბოების დიდოსტატი“ შენთვის „სიყვარულის გიჟი“ უნდა მეწოდებინა!

– რაც გინდა ის მიწოდე, მხოლოდ ამ „გიჟ სიყვარულს“ ნუ გამიწბილებ, ნუ მომიკლავ შენი ნახვის სურვილის მერცხალს, ძალიან გთხოვთ, მხოლოდ ერთი საღამო, ერთი საათი და ბოლოსა და ბოლოს ერთი წუთი გამონახეთ ჩემთან შესახვედრად!

– ჰო, კარგი, კარგი, შენ ხომ ეშმაკსაც შეაცდენ, შენი „გიჟური სიყვარულით“, ჩემი დაჩა იცი სად არის?

– კი ვიცი!

– ჰო და იქ წავიდეთ, სახლში დავრეკავ, რაღაცას მოვიგონებ, შენ კი საღამოს რვა საათისათვის ოპერის თეატრთან დამელოდე!

– ოი, არჩილ უკვე განვიცდი შენს ალერსს და თმები ყალყზე დამიდგა, ოჰ, ღმერთო, ნეტავი ჩქარა დაღამდებოდეს.

– აბა, კარგად, გელოდები!

– ჩაო! – ჩასძახა ყურმილში ნინომ, თან ალერსიანი კოცნაც გაუგზავნა არჩილს და ტელეფონი დოლარინოს დაუბრუნა.

– მოისმინეთ?! – ღიმილით შეეკითხა ნინო, ღიმილად ქცეულ თავის „კომპანიონებს“.

– მოვისმინეთ და ფრიად საინტერესოა, მართლა ასეთი ვაჟკაცია ის ვიღაც არჩილი, როგორც შეამკეთ? – კითხა დოლარინომ.

– ვაჟკაცი არა, სლიპინა გომბეშოა და მეტი არაფერი, მაგრამ თუ ადამიანის გული გსურს მოინადიროთ, რაც შეიძლება მეტისმეტად შეაქეთ – უპასუხა ნინომ.

– ვგრძნობ, მეტისმეტად სახიფათო მახეში ვდგამთ ნაბიჯს, მაგრამ უარყოფაც არ შემიძლია, მე ჯიბის ქურდი ვარ და ჯიბის ქურდად მიცნობენ, რასაც ვშოულობ, ძმებს პატივს ვცემ და კმაყოფილი ვარ ჩემი შემოსავლით, არ მინდა ღმერთმანი მილიონები, ტკბილი ლუკმა მირჩევნია სახრჩობელას! – თქვა დოლარინომ.

– სულ სხვის ჭუჭყიან ჯიბეში ძრომიალს, არ გირჩევნია ერთი „რისკი“, შემდეგ კალიფორნიაში დაჩა და მილიონერის სახელით გრიმიტი? – შეეკითხა კიკო.

– ნამდვილად არ მირჩევნია, მაგრამ უარსაც არ გეტყვით. მხოლოდ ორი პირობით: პირველი ის, რომ ჯიბის ქურდობას თავს არ დავანებებ, შენც ჩემთან ივლი კიკო და ჩამომეფარები, ეს საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენზე არავითარი ეჭვი არ აღძრან ყაჩაღობაზე. მეორე – საქმეში ვიქნებით მხოლოდ ეს ოთხელები. არავითარი გამოკლება და არც დამატება, ვივლით წყნარად და თითოეულ ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს ზესაიდუმლოდ შევინახავთ. თუ რომელიმე თანახმა არა ხართ ჩემს წინადადებაზე, ახლავე ვაღიაროთ და დავშალოთ ჩვენი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ორგანიზაცია – თქვა და თავისი წინადადება წამოაყენა დოლარინომ.

– ძალიან კარგი, შენთან ერთად მოვკვდები დოლარინო, თუ ამას ჩვენი პარტია მოითხოვს! – წამოიძახა აქამდე მუნ-

ჯივით გაჩუმებულმა ნანამ და ყველას გაეცინა იმის სიტყვაზე.

– უსაქმოდ ყაყანს თავი ანებეთ და აზრი მომაწოდეთ, თუ როგორ მოვიქცეთ ამ საღამოს, თუ მუქთად ყაყანებთ და იმ სლიპინა გომბეშოს საალერსოდ გამიმეტეთ იცოდეთ ვერც ერთი ცოცხალი ვერ გადამირჩებით – თქვა ნინომ და კიკოს გადახედა.

– შესაძლებელია არჩილმა არასწორი ინფორმაცია მოგაწოდა და დაჩაზე ნებივრობის მაგივრად სულ სხვა ადგილზე მიგიყვანა, ჩვენ უკან გამოყოლა ეჭვში ჩააგდებს შენს არჩილს, ამიტომ უნდა მოახერხო, რომ როგორმე დაუკავშირდე დოლარინოს მობილურს და მოგვაწოდო ყოველგვარი ინფორმაცია, თუ სად იმყოფები, როგორ შეიძლება თქვენთან შემოღწევა, დანარჩენს ჩვენ თვითონ მოვახერხებთ.

– კი ბატონო, ვემორჩილები თქვენს ბრძანებას, მობილური ტელეფონი მეც მაქვს ავტომობილში და მწამს ადვილად მოვახერხებ თქვენთან კავშირს.

– უმჯობესი ხომ არ იქონება ატვომანქანა ჩვენთან დატოვო და მას დაელოდო ოპერის თეატრთან როგორც გითხრა? – უთხრა დობილს ნანამ.

– არა, მე ჩემი ავტომობილით გავყვები უკან. „სლიპინა გომბეშოს“ დაჩაზე კი მოგეცა სიხარული, ჩემი ავტომობილი კი არა მთელი ქალაქის ავტოსაწარმო მოთავსდება.

– მოახერხებ კი ჩვენთან დაკავშირებას?

– მე ის „გომბეშო“ კარგად მყავს შესწავლილი, საკუთარ მეუღლესავით მენდობა, სულ ორი სირჩა კონიაკი ყოფნის, ისე მივაძინებ, ხელის მოფათურებასაც ვერ მოასწრებს და შემდეგ ვიმოქმედებ როგორ გამეხარდება.

– იცოდე სიფრთხილე გმართებს!

– სიფრთხილე ჩემზე მეტად თქვენ გმართებთ. ნუთუ არ გებრალებათ ის ადამიანები, რომლებიც უნდა აწამოთ?

– შენ ასე გულჩვილი თუ ხარ უმჯობესია ჩვენთან არ იმეგობრო, ჩვენ კი სრულებითაც არ გვებრალება სხვათა შეუბრალებელი ადამიანი. საკმარისია წარმოიდგინო ის პიროვნება, ვინც რაიმე ცუდი გაგიკეთა ცხოვრებაში და შეუდგე საქმეს. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ტანჯვა სიამოვნებას მოგგვრის – თქვა კიკომ.

– შენ ჯერ მთლად ახალგაზრდა ხარ, საინტერესოა, ვინ მოგაყენა იმხელა ტრავმა, რომ იმის წარმოდგენით გინდა აწამო ადამიანები? – შეეკითხა დოლარინო.

– მამაჩემის სახელით ჯვარზე გავაკრავ ყველას!

მამაშენის სახელით? – სამივემ ისე გაიკვირვა, რომ თვალები გაუფართოვდათ.

– ჰო, მამაჩემის სახელით!

– რა დაგიშავა ასეთი? – შეეკითხა ნინო, რომელსაც უკმაყოფილების ჩრდილი თვალებში ჩადგომოდა.

– ტყემალი ჭამა ბევრი!

– ტყემალი? თითქმის სამივემ ერთდროულად იკითხა და შეკითხვას გულიანი სიცილი მოჰყვა.

– ჰო, ტყემალი, თქვენ გეცინებათ და ტყემალი ალბათ უბრალო რამე გგონიათ, რომელსაც თქვენი აზრით შემწვარი გოჭის ხორცის ამოსავლებად იყენებენ, არა! ტყემალი ისეთი რამე ყოფილა, რომლის სიმჟავე საშვილიშვილოდ გასდევს შთამომალვობას.

– შენი ბაგენი რაღაც ორაზროვან სიბრძნეს ღაღადებენ და ნუთუ არ შეიძლება მდაბიოთა წრისათვის უფრო გასაგები ენით განმარტოთ? – იკითხა დოლარინომ.

– სხვაგვარად ახსნა არ ძალმიძს, დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს.

– ძალიან კარგი, არც სულელურად მსჯლობ, საქმეშიც თუ ასე მახვილგონივრულად იმოქმედებ, წარმატება გარდაუვალი იქნება.

– კომუნისტურ პარტიაზე ფიქრი პირველად ორმა კაცმა დაიწყო, ჩვენ კი ოთხნი ვართ, ოთხი ადამიანის შეერთებული ტვინი უზარმაზარია, ახალი ბოროტმოქმედების გამოგონება კი არა, ახალი კომპიუტერის შექმნა არ გაგვიჭირდება. ჩვენი განზრახვა ნორმალური ცხოვრების დინების საწინააღმდეგო სვლაა, ამიტომ მოსალოდნელია საზოგადოებისაგან დევნა განვიცადოთ, რადგან ძალლური ცხოვრება აგვირჩევია საარსებო წყაროდ. ძაღლი კი, მოგეხსნებათ, სამყაროს შეიგრძნობს ცხვირითა და ყურით, მისი ყნოსვა ადამიანის ყნოსვაზე ორმოცდარვაჯერ ფაქიზია და სმენა უნდა განვავითაროთ და ძაღლს ვაჯობოთ, რადგან ჩვენ თავის ტვინიც გაგვიწევს დახმარებას.

– ბრავო!

„მოვკლავ დედას, მოვკლავ მამას
თუ პარტია გვეტყვის ამას!“

წამოიკნავლა ნანამ და როგორც ყოველთვის საერთო ხარხარი გამოიწვია.

ნინომ საათს დახედა – წასვლის დროა! – თქვა და წამოდგა.

– ჯერ ადრეა, რა გეჩქარება იმ გომბეშოსთან, მოასწრებ ალერსს – უთხრა კიკომ.

– სატრფოს ლოდინი არ უყვარს, წავალ, ცოტა ხანს ქალაქში ვიჯირითებ და ჩემს მსხვერპლს ადრიანად მოვჩანგლავ. დაელოდეთ ტელეფონის ზარს! – თქვა ნინომ და ავტომობილი ისეთი სიჩქარით მოწყვიტა ადგილიდან, ბევრ ავტომრბოლელს შეშურდებოდა.

– პროფესორის შვილია, თავქარიანი! თქვა დოლარინომ და მიმქროლავ ავტომობილს ხარბად გააყოლა თვალი.

– რა ეგლახავება ასეთ გზას რომ დადგომია, ფული აკლია თუ პური? – იკითხა კითომ.

რომ არაფერი აკლია, სახიფათო გზაც იმიტომ აირჩია,

რა დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს, მამიკო მაინც არ გაიმეტებს ციხისთვის.

– სანდო პიროვნებაა?

– ბევრ ვაჟკაცს შეშურდება სიამამაცე!

– გააჩნია დღეს რას მოიმოქმედებს და მაგის შესაშური ვაჟაცობაც გამოჩნდება.

პურ-მარილი განახლდა და ზლაზნით გადიოდა დრო ტელეფონის ზარის მოლოდინში.

ღამის თორმეტი საათი სრულდება და აჭიკჭიკდა დოლარინოს მობილური ტელეფონი, სამივემ ყურმილისაკენ წაიწია, მაგრამ დოლარინომ ყველას დაასწრო:

– ალო, ლაპარაკობს საერთაშორისო მობილური ტელეკომპანია „ნინო“ – გაისმა სასიამოვნო ხმა ყურმილში, ნინოს ხმაზე ეტყობოდა ცოტა ალკოჰოლურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. – ვიმყოფებით წყნეთში, სამკერვალო ფაბრიკის გვერდით ორსართულიანი წითელი აგურით აშენებული სახლია. ვართ მეორე სართულზე. შემოსასვლელიდან მეორე ოთახი მარჯვნივ, მოგნება არ გაგიჭირდებათ, რკინის ჭიშკარზე თეთრი ალამი ავაფრიალე, შეგიძლიათ იმოქმედოთ. მეც მომაყენოთ შეურაცხყოფა, მცემოთ კიდეც, მხოლოდ მსუბუქად! ჭიშკარი და სახლის კარებები ყველა ღიაა, „სლიპინა გომბეშოს“ სძინავს„ – დოლარინომ ვერაფრის შეკითხვა ვერ მოასწრო, ყურმილი დადუმდა.

– შევიმუშაოთ გეგმა, როგორ ვიმოქმედოთ – თქვა ნანამ.

– გეგმა შემუშავებულია, ჭიშკარი და კარებები ღიაა, დანარჩენს ადგილზე გვიჩვენებს მდგომარეობა – უპასუხა კიკომ.

– ესე იგი „ციხე შიგნიდან გატყდა“, აბა ჰე, მოვახტეთ „ჯორებს“, მსხვერპლი გველოდება, დღეს შენ იქნები თამადა კიკო, ასეთ საქმეში მე მთლად გამოუცდელი ვარ და ყოველგვარ შენს ბრძანებას ვასრულებთ – თქვა დოლარინომ

და სავარძელი შეასწორა. საჭეს ავტორბოლში მრავალჯერ გამარჯვებული ნანა მიუჯდა და როდესაც თვითონ წყნეთის ტყეში იმყოფებოდნენ, ნაკარნახევ მისამართზეც რამდენიმე წუთში მივიდნენ. კიკომ ეზოს ჭიშკარი ფრთხილად გააღო და ავტომობილი ეზოში უხმაუროდ შეაგორეს, ჭიშკარიც უხმაუროდ ჩაკეტეს შიგნიდან და კიკომ ნანას უთხრა: – აქ დაგველოდეო! თვითონ კი დოლარინოსთან ერთად გრანტის მოჩუქურთმებულ კიბეს აუყვა.

– „კოდაკი“ არ დაგრჩეს! – წასჩურჩულა კიკომ დოლარინოს, – არა მომაქვს – ჩურჩულით უპასუხა დოლარინომაც. შესასვლელიდან მეორე კარები მარჯვნივ, კიკომ კარების სახელური დასწია, ოთახი მკაფიოდ იყო განათებული ნარინჯისფერი სხივით, რომელსაც მაგიდაზე დადგმული ბროლის ჭაღი აფრთქვევდა. ორსაწოლიან ტახტზე მთლად შიშველი ორი გვამი იდო, ეს იყო გვამები „სილამაზის შერწყმა“ „ჯოჯოხეთურ საშინელებასთან“. „სილამაზეს“, „საშინელებისათვის“ თავი მკერდზე დაედო და მსუბუქად, მაგრამ აჩქარებით სუნთქავდა. ეს კი უტყუარი საბუთი იყო იმისა, რომ „სილამაზეს“ არ ეძინა, თუმცა რა დააძინებდა, „საშინელება“ ისეთი ხმით ხროტინებდა, რომ ჯოჯოხეთის ურჩხულსაც კი შეეხარბებოდა იმისი ხრიალი.

„საშინელებას“ მოკლე ხელები ჰქონდა, მოკლე ფეხები, დიდი თავი და უზარმაზარი მუცელი, ვაზაში ჩადებული ყვავილებივით ჰქონდა ყურებში ამოსული თმა, დანარჩენი ადგილები მთლად შიშველი გამოიყურებოდა. თავი, წარბები და ასე გაიგეთ, რომ ქვედა სასქესო ორგანოებთანაც არ გააჩნდა ერთი ღერი თმაც კი. მართლაც „სლიპინა გომბეშოა“, „რა კარგი სახელი შეურქმევია ნინოს“, გაიფიქრა კიკომ და ძილმოგონებულ ნინოს გახედა, ეს იყო „საშინელებათა“ გვამზე დასვენებული უნაკლო სხეული. „აი, რასა ჩადის ფული, ნუთუ არ ეშინია ნინოს?“ – გაიფიქრა კიკომ

და ახლა მზერა ათასნაირი პროდუქტითა და ალკოჰოლური სასმელებით დატვირთული მაგიდისაკენ გადაიტანა.

– სურათები გადაუღე ყველაფერს! – ხმამაღლა წარმოთქვა კიკომ და დოლარინომაც ყოველგვარი კამათის გარეშე, რამდენჯერმე გააკვესია ფოტო-აპარატს. თითქოს ფოტო-აპარატის სხივმა შეაკრთო დაგამოაღვიძა ნინო, ხმამაღლა შეჰკივლა:

– აა! არჩილ მიშველე!

არჩილი თვალებგაფართოებული გადმოგორდა, მაგრამ მუცელი ვერ აზიდა და ისევ სასთუმალს მიესვენა.

– არ გაინძრეთ! მკაცრად ბრძანა კიკომ – შენ კი ძუკნა, უფრო ახლოს ჩაეხუტე გომბეშოს, – „კოდაკმა“ კიდევ რამდენჯერმე გაკვესა, ნინომ კიდევ დაიკივლა და უფრო მაგრად მიეკრა არჩილს.

– ნუ კივიხარ ძუკნა! არავის ეშინია შენი კივილის. მოდით წყნარად ვილაპარაკოთ, მოვრიგდეთ, ჩვენც ხალხი ვართ, მუქთად არავის ვიმეტებთ დასაღუპავად – თქვა კიკომ და შიშველ სხეულებს საბანი გადააფარა.

– რას მოითხოვთ, ღვთის გულისათვის მხოლოდ ბრძანეთ! – დაბნეულად და ლუღლუღით წარმოთქვა არჩილმა.

– ხომ ხედავთ ბატონო არჩილ ვისთანაც ნებივრობთ, დილით თქვენს ოჯახთან ერთად მთელი საქართველო გაიგებს, თქვენი სულწაწყმედილი მრუშობის ამბავს. ეს გოგონა იცით ვისი ქალიშვილია? იქნებ არც ის იცით ვისი საცოლეა, დილით თქვენს მოკვეთილ თავს თქვენსავე ჭიშკარზე ჩამოკიდებენ!

– ააა! მიშველე არჩილ! – შეჰკივლა ნინომ – ის არც მე დამინდობს!

– ღვთის გულისათვის, ნუ გაგვთქვამთ, თქვენი ფოტო-აპარატი მომყიდეთ! – ახლა უფრო დაწყნარებულად გამოიყურებოდა არჩილი.

– კი ბატონო, ფოტო-აპარტს მოგყიდით, შენც „სუ“ და ჩვენც „სუ“, მხოლოდ ვაჭრობა არ გამაგონოთ, მე ჩემს „კოდაკს“ ოთხ მილიონ დოლარად ვყიდი. ასე, რომ ერთი ცენტიც არ დააკლდება, ფიქრისათვის ათი წუთი დრო მომიცია, სანამ ჩვენ ფრანგულ კონიაკს შევექცევით, თქვენ აირჩიეთ, რომელი გირჩევნიათ: ოჯახი, კარიერა, საკუთარი სიცოცხლე თუ ფული?

– ამ საქმეს ფიქრიც არ უნდა, რა თქმა უნდა სიცოცხლე ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ ფული აქ რომ არა მაქვს?

კიკომ კონიაკი უხმოდ ორ ჭიქაში დაასხა: – შენ გაგიმარჯოს არჩილ – თქვა სადღეგრძელო შესვენებით. ფული კი აქა გაქვს, ჩვენ მას შენი დახმარებით მოვძებნით, რადგან შენ წამებას ვერ აიტან, ფულს მთლიანად წავიღებთ, აღარ „კოდაკს“ მოგყიდით და სანამ წამების შედეგად მოყენებული ჭრილობები შეგიხორცდებათ, მანამ თქვენი თავი თქვენივე ეზოს ჭიშკარზე დაიწყებს ქიანს! თუმცა რას ვამბობ ჯერ ხომ ათი წუთი არ გასულა?

არჩილს ხმა აღარ ამოუღია, ჩაფიქრდა, საბნის ქვეშ ნინო ბწკენდა და ჩუმად ეუბნებოდა: – დათანხმდიო!

კიკომ და დოლარინომ მეორედ შეავსეს ჭიქები კონიაკით, ამჟამად ქალბატონის სილამაზე ადღეგრძელეს და დროც მიიწურა.

– კარგი, თანახმა ვარ! აქ იყავით, დამელოდეთ, მოვიტან! – წარმოთქვა არჩილმა.

კიკოს და დოლარინოს გულიანად გაეცინათ: – ჩენ ბანდიტები ვართ, დებილები კი არა ბატონო არჩილ! – უთხრა კიკომ.

– როგორ, ფიქრობთ გავიქცევი? ფოტო-აპარატი ხომ თქვენ გაქვთ. სად წავალ? მე თქვენ ჩემს საიდუმლო საუნჯეს ვერ გასწავლით, ვაჟკაცის სიტყვას გაძლევთ, ჩემი ხელით მოვიტან ზუსტად ოთხ მილიონ დოლარს!

– ჩვენც ვაჟკაცურ სიტყვას გაძლევთ, თქვენი განძის ადგილსამყოფელს არ ადვიმახსოვრებთ და თუ კიდევ ჩვენში ეჭვი გეპარებათ, ადგილი შეუცვალეთ! – უთხრა კიკომ.

– რომ მომკლათ? – შეეკითხა არჩილი.

– ნუ გეშინია, ჩვენ სველ საქმეზე არ ვმუშაობთ! – უთხრა დოლარინომ.

– ჰა ჩაიცვი! – უთხრა კიკომ და შარვლის მიწოდება უნდოდა არჩილისათვის, რომ ხელში სიმძიმე იგრძო, შარვლის ჯიბეში ხელი ჩააცურა და „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო – ოჰოჰო, ძილის წინ ამას ბალიშის ქვეშ ინახავენ! – თქვა ღიმილით.

– ყოველთვის ასე ვიქცეოდი, მაგრამ დღეს ღმერთი თქვენს მხარეზეა, სანთელი აუნთეთ, უფალმა გადაგარჩინათ! – უთხრა არჩილმა.

– რატომ სანთელი, ცხვარს შევწირავთ, როგორ, ფული არ გვექნება თუ რა?

– რა თქმა უნდა არ დაგენანებათ, იოლი გზით არის ნაშოვნი!

– თუ არა შენ ძნელი გზით გაქვს ნაშოვნი, ხელებზე ჯერ კიდევ არ მოგშუშებია მაზოლები.

– ხელებზე არა და მუცელზე მართლა საგრძნობლად ეტყობა! – თქვა დოლარინომ და მოსწრებულ პასუხზე არჩილსაც გაეღიმა.

– შენ ამ ძუკნა კახპას მიხედე! – უთხრა კიკომ დოლარინოს – შენ კი ბატონო არჩილ, წინ გამიძეხი ყოველგვარი ბოროტი ფიქრის გარეშე, თუ არ გინდა შენივე „ბრაუნინგი“ შენსავე გვამთან დავაგდო. კიკომ ვერ შეამჩნია, თუ სად, რომელ ღილაკს დააბიჯა ფეხი არჩილმა, რომ მის ფეხებთან იატაკი გაიხსნა. წამიც და უზარმაზარი მიწური ელექტრო დენით გაჩირაღდნდა, არჩილი მიწურში ხვეული კიბით ჩაეშვა, უკან იარაღმომარჯვებული კიკო მიჰყვა.

არჩილი ბუხარს მიუახლოვდა და ისევ ვერ შეამჩნია კიკომ თუ როგორ შეტრიალდა ბუხარი და არჩილს ზურგი უჩვენა, ბუხრის უკანა მხარეში სეიფი აღმოჩნდა ჩამონტაჟებული.

– საგანგაშო სიგნალიზაციაზე ხომ არა გაქვს შეერთებული? – შეეკითხა კიკო.

– არა! – იყო არჩილის მოკლე პასუხი.

– გაფრთხილებ, ჩემს გვამთან ერთად შენს გვამსაც გაიტანენ!

– ნუ დარდობ, ცეცხლთან არ ვთამაშობ!

– სეიფში იარაღი თუ გაქვს, იცოდე გამართვას ვერ მოასწრებ!

– ხომ გითხარი ცეცხლთან არ ვთამაშობ-მეთქი!

არჩილმა სეიფის კარებზე მიმაგრებული ნომერი აკრიფა და სეიფის კარებიც უხმაუროდ გაიღო.

– ცოტა მოშორებით დადექი! – თქვა არჩილმა. კიკომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან ისე, რომ არჩილისათვის თვალი არ მოუშორებია.

არჩილმა სეიფიდან ტყავის ჩანთა გამოიღო, დაბერტყა და შემდეგ შიგ ასდოლარიანების შეკვრა ჩააწყო.

– ოთხი მილიონია! – თქვა მან და სეიფი უხმარუოდ დაიხურა.

– ისევ წინ გამიძეხი! – უთხრა კიკომ.

არჩილი უხმოდ აუყვა ხვეულ კიბეს, დოლარინოს ნინო ხელებაწეული დაეყენებინა კუთხეში და არჩილის დაბრუნებას ელოდებოდა.

– ჩანთა ამ ტიპს გადააწოდე, უთხრა არჩილს კიკომ და დოლარინოზე მიუთითა.

– იარაღს ნუ წაიღებთ, ტაბელურია! – თქვა არჩილმა.

კიკომ პისტოლეტიდან სავაზნე კოლოფი გამოიღო, შეამოწმა, ჩახმახს გამოსწია, ლულაში ჩადებული ტყვია გამოაგდო და ცარიელი „ბრაუნინგი“ არჩილს გაუწოდა.

– ჰა, ხომ ხედავთ ადამიანურად გეპყრობით, სისულელე არაფერი ჩაიდინო, თორემ მიწაშიდაც ვერ დაგვემალები.

– სისულელე თქვენ არაფერი ჩაიდინოთ და მეტად აქ აღარ მოხვიდეთ, ახლა კი ფოტო-აპარატი მომაწოდეთ! – თქვა არჩილმა.

კიკომ ფოტო-აპარატი გახსნა, კოჭი ამოიღო, ლენტი დაასინათლა და ფოტო-აპარატთან ერთად არჩილს გაუწოდა.

– ჰა, გამომართვი. ეს შენ, მამაჩემო ბევრი ტყემლის ჭამისათვის! – თქვა კიკომ.

არჩილს ფოტო-აპარატი ხელში გაუშეშდა. ვერ გაეგო, ვისი მამა იყო და რომელი შვილი ელაპარაკებოდა, მხოლოდ ნინო და დოლარინო მივხდნენ კიკოს აზრს და გაეღიმათ.

– ახლა ბატონო არჩილ, გთხოვთ გაგვაცილოთ, ეს ძუკნა კი აქ დაგელოდებათ და შეგიძლიათ უშიშრად გაატაროთ მთელი ღამე სიამოვნებაში. – უთხრა კიკომ და შავი ნაჭრით თვალები აუხვია არჩილს. დოლარინომ მკლავში ხელი გამოსდო და ფრთხილად ჩაიყვანა კიბეზე, შემდეგ ავტომობილის კარები გაუღეს, უკანა სალონში ფრთხილად დასვეს სავარძელში და მარჯვენა და მარცხენა მხრიდან მიუჯდნენ ყაჩაღები, ნანამ ძრავი ჩართო დაგადაჭარბებული სიჩქარით გასცდნენ სადაჩო დაბას. ოთხიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ, არჩილი ავტომობილიდან ჩამოსვეს.

– კარგად ბრძანდებოდეთ მამიკო, მადლობელი ვარ ტყემლის ჭამისთვის! – უთხრა კიკომ და მაგრად ჩამოართვა ხელი.

მეორე დღეს ბუნებაში ძველ ადგილზე შეიკრიბნენ მეგობრები, კიკო დაგვიანებით მოვიდა.

– სადა ხარ აქამდის? – უსაყვედურ დოლარინომ.

– რა მოხდა, ხომ არ იფიქრეთ ფული გაიტაცა და გაუჩინარდაო? – უპასუხა კიკომ და მხარზე გადაკიდებული ჩანთა მოიხსნა.

– არა, ეგ არ გვიფიქრია, თუმცა ყველასაგან მოსალოდნელია, ასეთი თანხის გატაცება ცოდვაში არავის ჩაეთვლება.

– მადლობა ღმერთს, რომ იმ „ყველას“ არა ვგავარ, თორემ დიდხანს მოგიწევდათ ლოდინი, ისე შენ კი ხარ ღირსი, ძლივს დაგიყოლიეთ ამ საქმეზე, ნეტავი რამდენ ხანში შეაგროვებდი მილიონს ჭუჭყიან ჯიბეებში. ხელის ტუნტურით?

– კარგი რა, ნუ გადამატანე! მომკალი თუ გინდა, მე ის უფრო ტკბილ ლუკმად მეჩვენება!

– აბა ბიჭო ეს ფული ყელზე დაგადგება!

– მაინც როგორ მიხვდი, რომ ფული დაჩაზე ექნებოდა?

– მამაჩემმა მითხრა, დიდ ხალხს ფული და ძვირფასი ნივთები საცხოვრებელ ადგილიდან შორს აქვთ გადამალულიო.

– ეს როდის გითხრა ტყემალს რომ მიირთმევდა? – სიცილით უთხრა ნანამ.

– არა, ეს ცოტა მოგვიანებით მიხრა, ტყემალი უკვე საგრძნობლად ბევრი ჰქონდა ნაჭამი.

– ბრძენი კაცი ყოფილა შენი მამა! – უთხრა დოლარინომ.

– მართლაც ბრძენი იყო, მაგრამ სოფელში ცხოვრობდა და ხალხს ვერ აუწყო ფეხი, ვერავინ ხვდებოდა იმის სიბრძნეს და უჭირდა ცხოვრება. თავის ოჯახის წარმატებისათვის თუ მეზობელს დააბეზღებდა, ამას „შპიონობას“ ეძახდნენ, თუ სხვაზე მეტ მიწის ნაკვეთს მიითვისებდა „ღორობას“ და ასე იყო სოფლისაგან გარიყული.

– წამოდით დავჯდეთ, გოგონებმა მწვადები უკვე შეწვეს და სუფრაც გააწყვეს!

– არ მინდა, ნინოსი არც შამწვარი იჭმება და არც მოხარშული. წუხელის ისეთ გომბეშოს ეხვეოდა, რომ გამახსენდება გული მერევა.

– იმას რომ ვეხვეოი შენზედ ვფიქრობდი! – არ დარჩა სიტყვის ვალში ნინო. ყველას გაეცინა. სუფრას მიუჯდ-

ნენ. მართლაც გემრიელი იყო, ბუნებაში შემწვარი მწვადები, თითქოს ბუნებას თავისი სურნელი ჩაეღვაროს შეწვის დროს მწვადებში და მადიანადაც შეექცეოდნენ კონიაკით მადაზე მოსული ახალგაზრდობა.

დანაყრდნენ, კიკომ ჩანთა გახსნა.

– იცით რა მძიმე ყოფილა ფული? არ მეგონა თუ ფულის ზიდვა გამიჭირდებოდა, ჰა, მიითვალეთ, თითო მილიონი-გერგებათ! – თქვა მან.

– არა? არა! სად წავიღოთ ამდენი ფული, დავფიქრდეთ და უმჯობესი იქნება სადღაც ხელსაყრელ ადგილზე შევინახოთ! – წინადადება წამოაყენა ნანამ.

– შენ თვითონ დაფიქრდი, რაც არ უნდა იყოს პოლკოვნიკის შვილი ხარ და იურიდიულზე სწავლობ – უთხრა დოლარინომ.

– რაო? იურიდიულზე სწავლობს? – შეიცხადა კიკომ.

– დღეს ჩვენთან ერთად დარბის და შეიძლება ხვალ ჩვენ დაგვიწყოს დევნა.

– ჯავრი ნუ გაქვს, მე არც გამომძიებელი ვიქნები და არც მოსამართლე, დამცველი კი ყველა ბოროტმოქმედს ესაჭიროება.

– დამცველი რა დოზანად გვინდა, პოლიციაც კარგად იცავს პატიმრებს! – ვითომ ვერ მიუხვდა ნათქვამს კიკო.

– ჰო, კარგი, ვექილი იყოს, უფრო დახვეწილი ქართულით გეტყვი თუკი გაიგებ – წყენა დაეტყო ნანას.

ყველა ჩაფიქრდა, თითქმის საგონებელში ჩავარდნენ თუ სად შეენახათ ეს უზარმაზარი თანხა.

– ფულის არქონებას ბევრჯერ შევუწუხებივარ, მაგრამ არ მეგონა თუ ქონებაც შემაწუხებდა – თქვა კიკომ და ჩანთა გადაკეტა.

– ვისთვისაც უცხოა სიღატაკე, არც ისე მდიდარი იქნება, როგორც თვითონ ჰგონია, ამიტომ სიმდიდრესაც და სიღარიბესაც ერთნაირად შევხვდეთ წელში გამართულნი, არა-

ვინ შეგვამჩნიოს რომ დოლარებში ვცურავთ და ნურც ქედს მოვიხრით ისე, თითქოს გვშიოდეს – თქვა ნანამ.

– შენ ის გვითხარი სად შევინახოთ ეს ღვთისაგან ნაბოძები ფული და თუ როგორ მოუვაროთ, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ – უთხრა ნინომ.

– მე არც მიშოვია და შენახვაზედაც ხელი დამიბანია, უბრალოთ თანამოსაქმე ვარ და როგორც ჭკვიანი ადამიანი, წილში ვიმყოფები – უპასუხა ნანამ.

– საქმე თუ საქმედ ჩავარდა, წლებსაც თანაბრად გავინაწილებთ – თქვა დოლარინომ.

– ღმერთმა დაგვიფაროს! – გამოეპასუხა ნანა.

– ესე იგი ვერაფერი მოიფიქრეთ? – იკითხა კიკომ.

– საქმეც შენი მოფიქრებულია და შესანახი ადგილიც შენ მოიფიქრე – უთხრა დოლარინომ.

– კარგი, ერთ წინადადებას შემოგთავაზებთ. თუ ხელსარყელი იქნება, ისე მოვიქცეთ, როგორც საქმეს აწყობს. თუ არა და სხვა უკეთესი გზა ვეძებოთ! – თქვა კიკომ.

– ამოშაქრე რა! – უთხრა დოლარინომ.

– შობე რა! – გამოაჯავრა ნინომ.

– თქვენ კარგად მოგეხსენებათ, დაიწყო კიკომ – სოფლელი კაცი ვარ, ოჯახის წევრები არავინ არა მყავს, კეთილნათესავებზე კი შემწყრალი გახლავართ, სახლი დაკეტილი მაქვს, თუმცა ღიაც რომ დამეტოვებინა, ვერაფერს მომპარავდნენ. თითქმის არაფერი გამაჩნია, მაგრამ რომც გამაჩნდეს სიმდიდრე, მაინც ვერავინ შემობედავდა ჩემს სახლში. სახლის გვერდით მაქვს მიწისქვეშა მარანი. იქ წვენებს, მურაბებს, კომპოტებს და ასეთ რაღაცეებს ვინახავთ, იქ ჩვენ შეგვიძლია დავმალოთ სეიფები ისე, რომ ვერც ვერავინ მიაგნებს და აზრდაც არავის მოუვა, რომ მე მარანში მოპარული ფულით სავსე სეიფები მაქვს. ჩემი წინადადებაა შევიძინოთ ოთხი ცალი სეიფი, ერთი მეორეზე გადავასვარ-

კოთ და კედელში ჩატანებულ რკინებზე დავასკვარკოთ, რომ შეუძლებელი იყოს იქიდან გამოტანა, ყველას გვექნება საკუთარი სეიფი, საკუთარი გასაღებით და საკუთარი ანგარიში, თითოეულმა ფულიც ისე დახარჯოს, როგორც მოესურვება, მხოლოდ სასურველი იქნება ფული სწამოღების დროს ოთხივე მივიდეთ-ხოლმე ერთად, რომ ეჭვი არაფერზე აიღონ მეზობლებმა, თუმცა ისინი ჩემზედ მოშორებით ცხოვრობენ, მაგარმ მაინც უცხო ადამიანი სოფელში შორიდანაც შესამჩნევია.

– ბრავო! მომწონს ეს გადაწყვეტილება! – თქვა დოლარინომ.

– მარანში ტყემალი გაქვს? – წამოიკნავლა ნანამ და მისმა შეკითხვამ ხარხარი გამოიწვია.

– რაღას ველოდებით, წავიდეთ! ცენტრალურ საწყობში მიმიყვანეთ, სეიფებს იქ შევიძენთ, საწყობის გამგე ჩემი, ძველი მეგობარია! – თქვა ნინომ და ისევ ყველას გაეცინა, რომ მთელი ქალაქის ნინოს „მეგობარია“.

– თუ წასასვლელები ვართ, ჩქარა წავიდეთ, თორემ ამაღამაც რომ სახლში არ მივიდე, საკავშირო ძებნა გამოცხადდება ჩემზე და ნაღდად დავიწვებით! – თქვა ნანამ.

წავიდნენ.

შეიძინეს სეიფები და ორი „ფირმენი“ ავტომანქანა მიადგა ომესი რიჟამაძის ეზოს რკინის ჭიშკარს.

„სიფრთხილეს თავი არ სტკივა“, წყნარად და ფრთხილად გადმოტვირთეს სეიფები ავტომობილებიდან და მიწურ მარანში ჩაიტანეს.

– ეს ადგილი მართლაც დაცულია, რაღა არჩილის „ბუნკერი“ და რაღა ეს – თქვა ნინომ.

– არჩილის „ბუნკერის“ შედარებას ცოტა უკლია, იქ ყველაფერი ავტომატიზირებულია და შიგ უპატრონოდ რომ დარჩე, შეიძლება გზაც ვერ გამოიგნო – უპასუხა კიკომ.

– არჩილს კიედვ ბევრი ჰქონდა ფული სეიფში? – იკითხა დოლარინომ.

– ბევრი, ძალიან ბევრი, მაგრამ სხვა დროისათვის შევინახე. მოდით იმ ფულს „ხელუხლებელი სათადარიგო განსაკუთრებული შემთხვევის თანხა ვუწოდოთ“ – თქვა კიკომ.

– ახლა რატომ არ წამოიღე! – ისევ შეეკითხა დოლარინო.

– არ უნდა იღორო, ადამიანი მთლად არ უნდა გაამწარო და თუ დაგვჭირდება ჩვენი არ არის?

ახალგაზრდობა შრომას შეუდგა, კედელი არმატურებამდე გამოანგრიეს, დასვარკეს, შენიღბეს, ასდოლარიანების ას-ასი შეკვრა შეაწყო თითოეულმა თავის სეიფში და თავისივე საიდუმლო შრიფტითა და გასაღებით ჩაკეტეს. მარანში ჯერ კიდევ ომეხის სული ტრიალებდა, ჭურში ომეხის დაწურული ღვინო კამკამებდა, ოთხეულმა პირველი წარმატება დალოცა, მომავლის გეგმა დასახეს და კარგადაც გამოთვრნენ არომატული ღვინით. – შენ შენს ხელობას არ მიატოვებ, ხანდახან მეც ჩამოგეფარები-ხოლმე, ასეც აჯობებს ეჭვში არ იქნები – უთხრა კიკომ დოლარინოს.

– გვჯერა და გემორჩილებით, პირველი წარმატების კეითლად დამთავრებისათვის უფლება არ გვაქვს არ დაგემორჩილოთ – თქვა დოლარინომ.

– თქვენ კი გოგონებო! – განაგრძო კიკომ – თქვენ საქმეს გააგრძელებთ, გევალებათ გაიგოთ და შეისწავლოთ მილიონერთა საცხოვრებელი სახლები, თორემ სეიფები დაგვიცარიელდება და სირცხვილს ვჭამთ. საერთო მოვალეობა კი ყველამ პირნათლად იცით – სეიფების გავსებაა!

– შენი დავალება მოვისმინეთ და პირნათლად შესრულებას გპირდებით, მაგრამ ახლა ჩემი თხოვნაც მოისმინეთ: ნუღარ დავიგვიანებთ, წავიდეთ თორემ ძებნას დამიწყებენ! – თქვა ნანამ.

ნანას თხოვნას ყველა უხმოდ დაემორჩილა, აიშალნენ და წყნარი ღიღინით გასცილდა სოფელს ორი ავტომობილი.

მეორე დღეს, თვალში რომ არავის გაჩხეროდა, კიკომ ერთოთახიანი კომუნალური ბინა იყიდა დედაქალაქის ცენტრი, რომელიც შემდგომში სათათბიროდ და ბოროტმოქმედთა თავშეყრის ბუნაგად იქცა.

– მე და ნინომ სამსახური გავინაწილეთ: – თქვა ერთი კვირის შემდეგ ნანამ. – ამჟამად მე მერგო მილიონერის აღმოჩენა და აღმოვაჩინე კიდეც.

მე, როგორც უშიშროების მომავალი მოსამსახურე, უშიშროების მუშაკის ნაძარცვი ქონება აღმოვაჩინე: აშოტ ოგანესიანი, რიგითი ორგანოს მუშაკია (მილიციელი), მაგრამ აქტიურად მონაწილეობს ბოროტმოქმედთა შეპყრობაში, როდესაც ბოროტმოქმედის საცხოვრებელ ბინას პროკურატურის თანამშრომლები პროკურორის სანქციით გაჩხრეკენ, ოგანესიანი იმახსოვრებს, სად რა ძვირფასი ნივთი აქვს ეჭვმიტანილის ოჯახის წევრებს, იმ ღამესვე თავის მეგობარ ლოვა ვართანიანთან ერთად თავს ესხმიან გაბოროტებულ ეჭვმიტანილის ოჯახს და ფულთან ერთად ძვირფასი ნივთებისა და სამკაულების ძარცვას ეწევიან. ასეთი გზით ვართანიანსა და ოგანესიანს დაუგროვდა დიდ ძალი ფულადი თანხა და ძვირფასი სამკაულები.

– ესე იგი ოგანესიანი და ვართანიანი ერთდროულად ორ ეშმაკს ემსახურებიან? – იკითხა დოლარინომ.

– ასე გამოდის! უპასუხა ნანამ.

– რატომ დღემდე ვერ მიუკვლევია სამძებრო ორგანოს მძარცველებისათვის? – იკითხა კიკომ.

– იმიტომ, რომ ბოროტმოქმედები არიან პროკურატურის თანამშრომლები, რომლებიც „კეთილსინდისიერად“ ემსახურებიან პროკურატურას, მეორეც გამოძიებას ყოველთვის ხელს უშლიდა მცდარი წინასწარმეტყველება, რომელთაც

ეგონათ, თითქოს ფულსა და ძვირფას ნივთებს თვითონ მალავდნენ ეჭვმიტანილის ოჯახის წევრები. ამჟამად გამოძიებამ მიაკვლია მძარცვლებს და განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და ელოდებიან ახალ ბოროტმოქმედებას, რათა დანაშაულის ადგილზე დააკავონ მძარცველები. თქვა ნანამ.

– თქვენ საიდან იცით ეს ამბავი? – შეეკითხა კიკომ.

– პროკურატურიდან გამოჟონა – უპასუხა ნანამ.

– მძარცველები სად ინახავენ ფულსა და ნივთებს? – იკითხა დოლარინომ.

– ძველ მიტოვებულ სათავსოში, იქ დგას, ერთი უზარმაზარი სეიფი, რომელზედაც მიწყობილია დაპობილი შეშა, ასე გასინჯეთ, სათავსო დაკეტილიც არ არის, მხოლოდ სეიფი კი, მოგეცა ლხენა, მტკიცედ არის ჩაკეტილი და ვერც წარმომიდგენია, შევძლებთ თუ არა გაღებას ან უკიდურეს შემთხვევაში გაჭრას ან გატეხვას! – უპასუხა ნინომ.

– შენ იცი ის ადგილი სადაც სეიფი ინახება? – შეეკითხა კიკო.

– ვიცი და ამჟამად თქვენთან ერთად მე წამოვალ, ნინო კი გარეთ დარჩება ავტომობილში სათვალთვალო კოშკზე.

– ჰო და სეიფის გაღება ჩემზე იყოს!

– ჩვენ ამ ჩათლახ მილიციელებს, ერთავად კარგ საქმეს ვუკეთებთ, მათ მალე აიყვანენ, ფაქტზე დაიჭერენ და სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ვერაფერს უნახავენ, თუმცა სასჯელად ისიც ეყოფათ რასაც დაუმტკიცებენ – თქვენ დოლარინომ.

– სათავსოებში წყალ-კანალიზაციის მილგაყვანილობა თუ არის? – იკითხა კიკომ.

– რა თქმა უნდა, როგორც ყველგან, იქაც უამრავი მილებია, მხოლოდ არ ვიცი რომელი რას ემსახურება – უპასუხა ნანამ.

– თქვენ საიდან იცით ასე დაწვრილებით ქალბატონო ნანა ყოველივე წვრილმანი? – იკითხა დოლარინომ.

– საქმეს ვინც იძლევა, პასუხისმგებელიც უნდა იყოს ყველაფერზე, მე სანამ ამ წინადადებას წამოვაყენებდე, პირველად შევამოწმე სათავსო, იმისი ადგილმდებარეობა, გავითვალისწინე დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემდეგ წარვდექი სიტყვით თქვენს წინაშე – უპასუხა ნანამ. მართლაც შესაქები ხართ, კვალმაძიებლის ალღოთი მუშაობთ. – შეაქო კიკომ და განაგრძო – მაშ ასე, ოპერაცია დღისით განვახორციელოთ, რადგან ასე უფრო უხიფათოდ მიმაჩნია. მე და დოლარინო, სანტექნიკის ტანსაცმელს ჩავიცმევთ, ნანა ჩემთან ერთად სეიფზე იმუშავებს, დოლარინო კი სანტექნიკაზე, ნინო სადარბაზოსთან დააყენებს თავის ავტომობილს და დაგველოდება, მოსალოდნელი ხიფათის დროს მოგვცემს წყვეტილ სიგნალს...

– შენ რა გაგიჟდი სიმონ? დოლარინო და სან-ტექნიკა ვინ გაიგონა, ეს რომ ქურდობამ გაიგოს, რას იტყვიან? – ლაპარაკში ჩაეჭრა და შეაწყვეტინა კიკოს დოლარინომ.

– თუ პარტიას ჭირდება კუდსაც ვერ გაანძრევ – უთხრა ნანამ.

– შენ კი არა, ალექსანდრე კერენსკი რუსეთის იმპერატორი იყო და მდგომარეობამ რომ მოიტანა, ქალის ტანსაცმლით გაიპარა „ზამთრის სასახლიდან“ – კვერი დაუკრა ნანას ნინომ, რომ დოლარინო შემოთავაზებულ „თანამდებობაზე“ დაეთანხმებინათ.

– მე რა ვიცი ვინ იყო კერენსკი, ის იმპერატორი ყოფილა სიმონ, მე კი ქურდი ვარ. ჩემი დედა... – გადაირია დოლარინო.

– კარგი რა შენ ნუ გაახურე, ქურდი თუ არა, შენც მოახდენ მსოფლიო რევოლუციას ჭუჭყიან ჯიბეებშიხელის ტუნტურით. შენ კი არა, ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მას-

წავლებელი, ბრძენი და სწავლული სოკრატე მუდამ ფეხ-შიშველა დადიოდა... – თქვა კიკომ. ისევ არ დაასრულებინა აზრი დოლარინომ და ხმამაღლა აყვირდა:

– ბრძენი და სწავლული კი არა, თუ ჰქონდა და არ იცვამ-და გიჟი ყოფილა ის შენი სოკრატეა თუ კარაპეტა, მე კი სხვა ტანსაცმელი მაბადია სიმონ და აუცილებელია გაზინთხული „კომბინიზონი“ ჩავიცვა?

– რა მნიშვნელობა აქვს რაღაცას ჩაიცვამ, შენ ხომ ვერა-ვინ დაგინახავს, სადარბაზოსთან ავტომობილს ჩააყენებენ, გადმოხვალ ავტომობილიდან და სადარბაზოში შეხვალ, იქ, კანალიზაციის მილს სარქველს მოხსნი და ისეთ სუნს და-აყენებ სხვა კი არა შენც ვერ გაჩერდები აირწინაღის გარე-შე! – უთხრა კიკომ.

– რომ ჩავვარდე, სანტექნიკის ტანსაცმლით წავიდე ცი-ხეში?

– კარგი რა, ციხისთვის არავინ გაგიმეტებს, მორჩა ახლა და როგორც გითხარი ისე მოიქცე. შენ კი ნინო, ავტომო-ბილის საბარგულში იქონიე დაახლოებით თექვსმეტი-ოცი მილიმეტრიანი ბაგირი, ძალაყინი და „დანგრატი“, მსუბუქი ავტომობილის „დანგრატი“ არ გამოგვადგება, ჩვენთვის სა-ჭიროა გიდრავლიკური ან ხრახნიანი „დანგრატი“, რომლის მუშა მდგომარეობა უნდა იყოს არა ნაკლებიხუთი ტონისა. თათბირს დამთავრებულად ვაცხადებ, რა თქმა უნდა შე-კითხვა არ გექნებათ, ხვალ დილით ათ საათზე ვიქნებით იქ, სადაც სეიფი გეგულებათ – თქვა კიკომ და კონიაკით სავსე ჭიქა დოლარინოს მიუჭახუნა.

– ვინ გავიცანი ეს, ამის ჯიბეში ხელის ჩაყოფას ლომის ხახაში ჩამეყო ხელი არ მერჩივნა? – სადღეგრძელოს მაგივ-რად თქვა დოლარინომ და კონიაკი გადაკრა.

მეორე დღეს, ზუსტად ათ საათზე, დათქმულ სადარბა-ზოსთან დაამუხრუჭა ნინომ თავისი ავტომობილი, აუჩქა-

რებლად გადმოვიდა ავტომობილიდან ორი სანტექნიკი და ერთი აღმრიცხველი. საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ. დოლარინომ კანალიზაციის მილს სარქველი მოხსნა და კორდიდორში სიბინძურის ტბორი დააყენა. კიკომ და ნანამ საჩქაროდ გადმოაწყვეს შეშა, გამოჩნდა უზარმაზარი სეიფი.

– ოოო! ამას მართლაც ვერაფერს დააკლებ „დანგრატის“ გარეშე! – თქვა კიკომ და სეიფს ფოლადის ბაგირი შემოახვია, შემდეგ სეიფს კარებთან „დანგრატი“ ჩაუყენა და „დანგრატის“ მეორე თავი ბაგირს მიაბჯინა. „დანგრატი“ ამუშავდა, ბაგირი დაიჭიმა, დაიძაგრა და გაწყვეტა აზრადაც არ მოსვლია, სამაგიეროდ სეიფის კარებმა ნელ-ნელა დაიწყო შიგნით შეზნექა, გასაღები ჩაიმსხვრა და კარებიც შიგნით შევარდა. აუჩქარებლად მოხსნა ბაგირი სეიფს კიკომ და დოლარინოს თვალით ანიშნა „დანგრატი“ და ბაგირი ავტომობილის საბარგულში ჩაეწყო. სეიფის კარები უხმაუროდ გამოაღეს და თვალწინ ჯადოსნური საგანძური გადაეშალათ. რომელ სამკაულს იტყოდა ენა, რომ აქ არ იყო, ამერიკული დოლარების შეკვრას ხომ სათვალავი არ ექნებოდა და არც არავის უცდია იმისი დათვლა. ცეცხლსასროლი იარაღების კი ნამდვილი არსენალი ჰქონიათ სომეხ „წესრიგის დამცველებს“. რომელი ქვეყნის იარაღს იტყოდა ენა, რომ აქ არ იყო, ისრაელის ავტომატური თოფები, თუ რუსეთისა, რევოლვერები და პისტოლეტები, გერმანული, ამერიკული თუ რუსული წარმოებისა.

თხუთმეტიოდე წუთში დაიცალა სეიფი და უკანასკნელ კაპიკამდე ნინოს ავტომობილის საბარგულსა და უკან სალონში დაიდო დროებითი ბინა.

სეიფი დახურეს, პირვანდელი სახე დაუბრუნეს შეშას, რომელიც სეიფს მიაწყვეს, დახურეს კანალიზაციის სარქველი და ნორმალური სვლით ნინოს ავტომობილი კიკოს სახლისაკენ გაქროლდა.

გზაზე არცერთს ხმა არ ამოუღია, თითოეულს თავისი საფიქრალი ჰქონდა, ვის კეთილი აზრები მოსდიოდა, ვის ბოროტი, ძნელი ამოსაცნობი იყო სახის გამომეტყველებით თითოეულის აზრი.

ნინომ ავტომობილი კიკოს ეზოს ჭიშკართან დაამუხრუჭა, ნაძარცვი პირველად დიდ მაგიდაზე დაახვავეს. გაივსო უზარმაზარი მაგიდა ფულითა და სამკაულებით.

– აი ნაძარცვიც ამას მიქვიან, ალბათ ასობით ოჯახი ჰყავთ გამწარებული სომეხ „წესრიგის დამცველებს“ და „ქურდის ქურდი ცხონებულია“ – თქვა ნინომ.

მართლაც ძალზე დიდი რაოდენობით იყო. აქ თითქმის ყველა სახელმწიფოს ფული, ამერიკული დოლარი თუ ინგლისური სტერლინგი, კუვეიტის დოლარი თუ ქართული ლარი, ასკუპიურიანი გაუხსნელი ლენტები ფულის სურვილს დაავიწყებდა ადამიანს.

განძი და სამკაულები ძვირფასი ქვებით იყო მოჭედილი და როგორც ფულში ამერიკული დოლარის რაოდენობა, ასე სამკაულებში ბრილიანტი ჭარბობდა.

ოთხეულმა სწორად და უჩხუბრად გაიყო ყოველი, შემდეგ ნერვიულობით დაღლილები სახელდახელოდ გამზადებულ სუფრას მიუსხდნენ და ორიოდე ჭიქა ღვინის შესმის შემდეგ შვება იგრძნეს.

– როდესაც ღვინოს დავლევ, ტვინის ახალ-ახალი უჯრედები მებადებიან – თქვა ნანამ მოდით ერთდროულად ორი კურდღელი დავიჭიროთ, ოგანესიანს და ვართანიანს შევატყობინოთ, რომ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ისინი რა თქმა უნდა გაქცევას შეეცდებიან და თუ გაიქცევიან სეიფის გატაცებაც მათ დაბრალდებათ და ჩვენი მხარე ძიების არც ერთ ვარიანტში აღარ აღმოჩნდება.

– პოლიციამ იცის რომ მათ სეიფი აქვთ? – იკითხა დოლარინომ.

– იციან და ღამ-ღამობით დარაჯობენ კიდეც! – უპასუხა ნანამ.

– დაუკავშირდი, უთხარი, თუ დაგიჯერებენ დაგიჯერონ და თუ არა, ჩვენზე მაინც ვერავინ მოიტანს ეჭვს! – თქვა ნინომ.

– ყველაფერი ბრწყინვალედ დასრულდა, ეს კი კიკოს დამსახურებაა, საიდან ისწავლე მაინც „დანგრატით“ სეიფის გაღება, განგსტერის სკოლა ხომ არა გაქვს დამთავრებული? – იკითხა ნანამ.

– ეს ყველაფერი მამაჩემის დამსახურებაა, მიზეზი კი ტყემალია! დანაშაული, რომელიც ჩვენ ჩავიდინეთ დანაშაულად არ მიმაჩნია, ის ხალხი სახელმწიფოსთვისაც უვარგისია, ვინც ფულს აკონსერვებს, ფულს ჩვენისთანა ხალხი უყვარს, მხარჯველი. დავხარჯავთ, ღმერთი კიდევ მოგვცემს. ახლა ახალი დანაშაულის ჩადენაზე თავი შევიკავოთ, შეხვედრებსაც მოვერიდოთ და ერთ თვეში იმედი მაქვს ახალ საქმეს მოგვაწოდებს ნინო, თუ არ ვცდები ახლა მაგის რიგია – თქვა კიკომ.

– ჩემი აზრით უმჯობესი იქნება თუ შეძენილი თანხის გარკვეულ ნაწილს დავხარჯავთ და შემდეგ ვიფიქრებთ ახალ საქმეზე – წინადადება წამოაყენა დოლარინომ.

– არა, ოთხი ვართ და ოთხი საქმე გავაკეთოთ, ამჟამად უფრო ხელსაყრელია ბრძოლა მდიდრებთან, ჩვენ უკვე ყველა მარკის ცეცხლსასროლი იარაღი გაგვაჩნია, მე უკვე ჩანთაში მაქვს ჩემი საყვარელი იარაღი, რომელზედაც ვოცნებობდი – თქვა ნანამ და ხელში შეათამაშა ამერიკული სისტემის „კოლტი“.

– შენ მაინც ხარ მომავალი პროკურორი და სულ დანაშაულზე რომ ფიქრობ, როგორ გინდა თვალებში შეხედო დამნაშავეს, როდესაც მოსამართლის ან პროკურორის სავარძელში იქნები მოკალათებული? – ჰკითხა ნინომ.

– დანაშაული განა ექიმებს ეპატიებათ? შენ ხომ მომავალი ექიმი ხარ და განა მე და შენ სხვადასხვა თვალით ვუყურებთ დანაშაულს? დანაშაული ჩვენი მოგონილი არ არის, ის საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კერძო საკუთრების წარმოშობასა და საზოგადოების კლასებად დაყოფასთან ერთად წარმოიშვა, მე არასოდეს არ ჩავიდენდი დანაშაულს და ჩემს სამსახურსაც კეთილსინდისიერად მოვემსახურებოდი, რომ არ იყოს მატერიალური სახსრებით ძალმომრეობა. აი, ავიღოთ არჩილი, გრანტის კარიერის დირექტორი, მას ერთ ღამეში მთელი ქალაქის გაწყვეტა შეუძლია თავის მილიონებით და შენ როგორ ფიქრობ ჩვენს კვალს ვერ მოაგნებდა, რომ შენ პირნათლად არ შეგესრულებინა საყვარელი მეძავის როლი? ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ძნელად პასუხის გასაცემია თუ რატომ უნდა იყვნენ „წესრიგის დამცველ“ ორგანოში ისეთი მუწუკები, როგორებიც ოგანესიანი და ვართანიანები არიან? მათ ხომ ყოვლად ზნედაცემული გზით მოიპოვეს ეს უზარმაზარი დოვლათი და ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალი. რისთვის უნდოდათ ყოველივე ეს? რომ იცოდეთ ჩვენ მთავრობას ჩვენებურად ვეხმარებით, სხვა თუ არაფერი, არ ვაძლევთ დამნაშავეებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საშუალებას – თქვა ნანამ და თავისი იურიდიული ცოდნა ჩააქსოვა სადღეგრძელოში.

– დროა წავიდეთ! – თქვა დოლარინომ, გოგონებმა მაგიდა აალაგეს, ჭურჭელი დარეცხეს, მიინახეს, სეიფები შეამოწმეს და ნინო ავტომობილის საჭეს მიუჯდა. „მემღერება და ვმღერივარ“, სიმღერით გაუყვნენ გზას, სანამ გარეუბანში დედაქალაქის ნაგავსაყრელს არ გაუსწორდნენ. ნაგავში მატლებივით მოფუსფუსე ადამიანები შენიშნეს. ნინომ ავტომობილი შეაჩერა, ერთხანს ასე უცქერდა შემზარავი გარეგნობის ადამიანებს, რომლებიც არავინ არ იცოდა თუ

საიდან მოვიდნენ, სად გამოიზამთრეს, იქნებ სადღაც ჯურღმულში ედოთ ბინა, სადაც ადამიანის თვალთაგან უხილავნი იყვნენ.

ნინოს საზეიმო განწყობილება მოუკვდა, თვალწინ შიმშილი წარმოუდგა: გაშტერებული, მობარბაცე ქრონიკული შიმშილი, სასოწარკვეთილი, გაძვალტყავებული, დამცირებული, შეურაცხყოფილი, შიშჩამდგარით ვალები, მაგრამ ამავე დროს ხარბი, ეშმაკური, შურისძიების ცეცხლით მოგიზგიზე, ალბათ უფრო საშინელიც, დამთრგუნველი და შიშის ზარით გამომცემი თვალები, რომლებიც მზერას ვერავის უსწორებენ და ქექავენ ნაგავს, იმ იმედით, რომ „მოვა მათი დროც“. მხოლოდ აქ და ამდაგვარ ადგილებზე იბადება შავბნელი სურვილები, რომლებსაც ხშირად ასრულება უწერიათ, აქ არ შეიძლება შემოქმედებითი ნიჭის დაბადება, აქ მონობაა და მონობის კანონზომიერი სურვილები ცხოველური პროტესტის აგრესიაა, რომელიც დამანგრეველ სურვილებსა და იდეებს შობს.

ნინო ატვომობილიდან გადმოვიდა და ნაგავში მოფუსფუსე აკანკალებულ ქალს მიუახლოვდა, რომელსაც გაძვალტყავებული ჩვილი მკერდზე ჰყავდა მიკრული და სუსტი ხმით კნაოდა. ქალმა გაბოროტებული მზერა მიაპყრო ნინოს, შემდეგ ხელებზე შეხედა, გაიფიქრა, იქნებ ნაგავი მოიტანაო გადმოსაყრელად, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ისევ ნაგვის საქექად შებრუნდა, ნინომ შეაჩერა:

– ვინა ხარ საბრალო, აქ რამ მოგიყვანა? – შეეკითხა ნინო.

ქალს თვალები ცრემლით აევსო, არაფერი უპასუხა.

– იმათხოვრე მაინც! – გაუმეორა ნინომ.

– მათხოვრობასაც თავისი ტალანტი უნდა, აქ კი ასე მგონია საკუთარი შრომით ვასაზრდოებ ბავშვს – წაილუღლუღა ქალმა.

– იქურდე მაინც, ქურდობასაც დიდი ტალანტი უნდა?

– ვიქურდო და შვილს „ქურდი დედის“ იარლიყი დავუტოვო?

– ნაგვის მქექავს ქურდის იარლიყი არა სჯობია?

– რომ დამიჭირონ?

– აფსუს ციხე. ნუთუ ამაზე უარესი იქნება ციხეში?

– თუ კარგი იქნება იქ თქვენ წადით, მე აქ მირჩევნია სუფთა ჰაერზე. თქვა ქალმა და ნაგვის ჩამჩახებული სუნით ამყაყებული ჰაერიხარბად შეისუნთქა. ნინომ ჩანთა გახსნა, ასდოლარიანი ამოიღო და ქალს გაუწოდა, ქალმა გაკვირვებული მზერა შეანათა ნინოს. შეჩერდა, ფულის გამორთმევა ვერ გაბედა, მაგრამ ნინომ გაამხნევა: – აიღე, აიღე ნუ გერიდება, კი არ გჩუქნი, გასესხებ, როცა გექნება, მაშინ დამიბრუნე!

– მე ამდენი ფული არასოდეს არ მექნება – თქვა ქალმა.

– თუ არ გექნება, ნურც შენ დააბრუნებ – უთხრა ნინომ და ფული ჭუჭყიან უბეში ჩაუტენა.

ნინომ შემობრუნებაც ვერ მოასწრო, ზურგს უკან მამაკაცის აკანკალებულიხმა მოესმა:

– კეთილო ქალბატონო, იქნებ მეც შემეწიოთ ცოტაოდენ სავახშმო ფულს?

ნინო შემობრუნდა. იმის წინ წელში მოხრილი, აკანკალებული მამაკაცი იდგა, მხოლოდ მას სულ სხვაგვარი თვალები ჰქონდა, მეოცნებე, ეშმაკური და ცეცხლისმფრვეველი, იმისი თვალებიდან ოცნებაც თვალნათლივ ჩანდა, თითქოს ეს ადამიანი სულ მალე უზარმაზარ ქმნილებად გადაიქცეოდა, რომელსაც ვერაფერს ავნებდა ხალხის მტრობა, თვითონ კი ყველას საკადრისად გაუსწორდებოდა ვინც ასეთ დღეში ჩააგდო, ნაცარტუტად აქცევდა მთელ ქალაქს და ამ სანაგვესაც, სადაც ლუკმის თანამოზიარენი აქ ყოფნასაც ეცილებოდნენ.

ნინომ ამ მამაკაცსაც ასდოლარიანი გაუწოდა და გუნება-განწყობილება გაფუჭებული ავტომობილის საჭეს მიუჯდა.

– რა ჰქენი განათლე ღატაკნი? – დაცინვით შეეკითხა ნანა.

– „რწმენამ თავისმან იხსნას ყოველი“ – უპასუხა ნინომ.

– კი არ გიხსნის, სწორედ მაგათგან მოგელის უდიდესი უსიამოვნება! – უწინასწარმეტყველა ნანამ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთია ქართველი ადამიანის მოდგმა, მათ მხოლოდ შური და ღვარძლი ამოძრავებთ, დასაბამიდან ერისა. ქართველები, რაც ისტორიულად მოიხსენიებიან ოთხი ათას წელზე მეტია და მუდამ სანაგვესა და თოხს ჩამოფარებულნი საკუთარი ცხვირის მიღმა არ იყურებიან, ერთმანეთის შუღლითა და მტრობით გაბრუებულნი ერთი მეორეს საბოსტნე მიწას ეცილებიან, ძმა – ძმის მოძულეა და მთელი სოფელი – ერთი მეორის მტერი. აი ის ადამიანი, რომელსაც შენ ასდოლარიანი შეაწიე შენს ფულს პოლიციაში მიიტანს და იკითხავს საიდან გქონდა სანაგვეზე გადასაყრელი ფული.

ასეთია დღევანდელი ქართველების მოდგმა, თუმცა არც ადრე ყოფილან უმტრო და უშუღლო, როდესაც ჩვენთან ცივლიზაცია ჰყვაოდა, სწორედ მაშინ – 862 წელს, რუსის ტომი პირველად გამოჩნდა ვოლგის სანაპიროებზე, საიდან მოვიდნენ, არავისთვის არ იყო ცნობილი და დღესაც საიუდმლოებით არის მოცული, ჟამთა მწერლის შეკითხვაზე თუ საიდან მოვიდნენ, ისინი პასუხობდნენ – „ჩვენ მოვდივართ ადამიდან“ – აი, ამ ერთმა მუჭა ტომმა დაიწყო თავისი „ქვეყნის“ საზღვრების გაფართოება. დაიპყრო კავკასია და ქალაქს „ვლადიკავკაზი“ უწოდა, რაც „ვლადიეიუ კავკაზ“ – ვფლობ კავკასიას ნიშნავს და აღმოსავლეთის მიმართულებით წავიდნენ, იქ კი ბოლო წერტილზე, ოკეანის სანაპიროზე რომ მივიდნენ, ქალაქს „ვლადივოსტოკი“ დაარქვეს,

ესე იგი „ვლადეიუ ვოსტოკ“ – ვფლობ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ ააგეს სატახტო ქალაქი „ვლადიმიტრი“, ესე იგი „ვლადეიუ მირ“ – ვფლობ მსოფლიოს, ჩვენ კი ქართველებს, რატომ უნდა გაგვეფართოვებინა სახელმწიფო საზღვრები, როდესაც საბოსტნე მიწა გვქონდა გასაფართოებელი და მოძმესთან სადაო?

– ან წინაპრებს რა უნდა ექნათ, მცირერიცხოვანი ერი ვიყავით, მათ რაც დაგვიტოვეს ისიც ვერ შევინარჩუნეთ, ზოგი თურქმა წაგვგლიჯა და ზოგიც სპარსმა, შინაურ მტრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ – თქვა ნინომ ისე, რომ ცოტა თუ ბევრად წინაპრებს გამოექომაგა.

– პირველი ტომიც მცირერიცხოვანი იყო რუსეთის, მაგრამ დღეს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლება მსოფლიოში, რომლის ბუნებრივი სამრეწველო სიმდიდრე მეცნიერების გამოანგარიშებით 380-ტრილიონ დოლარს უდრის, ეს კი ის თანხაა, რომ ორ მილიონ ნახევარი დოლარი მოუწევს თითოეულ რუსეთში მაცხოვრებელს, ბავშვებისა და მოხუცების ჩათვლით.

– ეს ახლა, მაგრამ რანი იყვნენ რუსები?

– ოჰ ღმერთო ჩემო, რანი იყვნენ და მაგრები ყოფილან. ეს მითხარი ჩვენ რანი ვიყავით?

– რანი ვიყავით და რუსების პირველი ტომი რომ შემოსულა ვოლგის სანაპიროებზე, ჩვენ მაშინ ოთხასი წლის ნათარგმნი გვქონდა ბიბლია.

– კარგი რა, თუ ღმერთი გწამს გაჩუმდი, შენ ის მითხარი დღეს ვინა ხარ თორემ შენზე უძველესი კულტურის მქონე სახელმწიფოებიც არიან, საქართველო არც კი არსებობდა შუმერებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3500 წელს ჰქონდათ სადამწერლო სკოლები. კარუნას უნივერსიტეტი კი 859 წელს დაარსდა მარკოში, ჩვენ რანი ვიყავით მაშინ? ბიბლია გვქონდა ნათარგმნი? ვინ გვყავდა ბიბლიის წამკითხველი?

საქართველოში წერა-კითხვა სოფლის იმ ექიმბაშს ჰგავდა, რომელიც ბალახებით მკურნალობდა და თავის ცოდნას მხოლოდ ერთს უტოვებდა იმ მრავალი შთამომავლობიდან, რომელიც გააჩნდა. ასე რომ ოდითგანვე კერძო საკუთრების ავადმყოფობაა თითოეული ადამიანის ორგანიზმში გამჯდარი, ჩვენ დღეს ფულით სავსე სეიფი გვაქვს, გვინდა ვიღაცას დავეხმაროთ, მაგრამ გვეშინია ის ან თავს დაგვასხამს მძარცველებს, ან პოლიციაში გვიჩივლებს, რადგან ვერ აიტანს მასზედ მდიდრები რომ ვართ.

– მაინც ყველას ვჯობივართ რომ ქართველები ვართ და მეამაყება კიდეც, რომ ასეთი მცირერიცხოვანი ერი ვიბრძვით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ დედაღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ვცხოვრობთ და მწამს გავიმარჯვებთ.

– ღმერთმა ჰქნას, მაგრამ გვიან მოგვივიდა ბრძოლის უნარი. ამ „მცირერიცხოვან“ ერს ერთ დღემდე ვერ აგვიღია ბრძოლის მაგალითი ჩვენზედ მცირერიცხოვანი ერისაგან, რადგან გვგონია ჩვენ ყველას ვჯობივართ, სინამდვილეში კი ყველაზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა ვატიკანის დამოუკიდებელ სახელმწიფოს ჰყავს. იქ მხოლოდ ათი ათას მაცხოვრებელს ითვლიან, მაგრამ საკუთარ ერთან შუღლი არ გააჩნიათ და არც ბრძოლას არ წყვეტენ სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით. ვატიკანმა ევროპის „მასონურ ლოჟებში“ გააერთიანა უამრავი საკუთარი აგენტი, რომლებმაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს და ეს ათიათას მაცხოვრებლიანი სახელმწიფო დღეს სახელმწიფო საზღვრების გაფართობაზე და ათიათას მილიონიან სახელმწიფოზე ფიქრობს.

– ფარ-ხმალს ვყრი უძლური თქვენი ძლევამოსილი განათლების წინაშე, მაგრამ მე ქართველი ვარ და ქართველი

ყველა ერს მირჩევნია, საქართველო კი ყველა ქვეყანას. – თქვა ნინომ და ავტომობილი რესტორან „არაგვთან“ გააჩერა. უკან სალონში კიკოს და დოლარინოს ერთი მეორესთან თავი-თავ მიდებულს ჩასძინებოდათ, ნინომ მაგნიტოფონი მთელი სიმძლავრით ჩართო და ორივენი შეშინებულნი ზეზე წამოიჭრნენ. – გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ ზარმაცებო, დღეს რესტორანში ჩემი ანგარიშით გეპატიჟებით! – ყურთან დაუყვირა ნანამ ბიჭებს და ლოყებზედაც საისამოვნოდ მოუთათუნა ხელი.

– უჰ, რა კარგად მეძინა, ძილზე უკეთესს რესტორანში რას მომიტანენ, შემეშვი რა, – დაიღრინა დოლარინომ.

– ადექი, ადექი, მშურს შენი მარტო რომ გძინავს! – უთხრა ნანამ.

– „განიშორეთ უკუე ყოველი უკეთურობაი და ყოველი ზაკვაი და შური და ყოველივე ძვირი სიტყვაი“ – თქვა დოლარინომ პეტრეს ეპისტოლე და წამოდგა.

კარგი იყო ომეხი რიჟამაძის მარანში პურის ჭამა, მაგრამ რესტორანი სულ სხვა არის, ადამიანი რესტორანში ზუსტად აღიქვამს პურის ჭამის სიამოვნების სინამდვილეს, ხოლო რესტორანი ადამიანს სიამოვნებით მიუჩენს სათანადო ადგილს, აქ მომსახურე პერსონაჟი იმდენად სიზუსტით არის დაგეშილი, რომ წინასწარ იცის, რომელ მოქეიფეს რა ესიამოვნება. ადამიენს კი ტკბილი სასმელითა და გემრიელი მომსახურებით წარსულის ყველა ეპიზოდი ავიწყდება. აქ ეგოიზმი არ ჭაჭანებს, ყველა ჯიბე სავსე შემოდის და ყველანი ჯიბე ცარიელი გადიან, უკანასკნელი გროშიც კი პირადი სიამოვნებისათვის იხარჯება და დანახარჯს კი არ მიტირიან, მიღებული სიამოვნებით ბედნიერნი არიან.

როდესაც ოთხეული რესტორანში ქეიფობდა და ბოლომდე წუწნიდა აუღწერელ სიამოვნებას, გამართლდა ნანას

წინასწარმეტყველება, პოლიციის სამორიგეოში ტანსაცმელშემოფლეთილი და შმორის სუნად აყროლებული მამაკაცი შემოვიდა, მოსულს იმდენად ჭუჭყის მძაფრი სუნი შემოჰყვა, რომ პოლიციის კაპიტანმა ცხვირზე ცხვირსახოცი აიფარა:

– რისთვის შეწუხებულხართ მოქალაქე? – ზრდილობიანად მიმართა კაპიტანმა მოსულს.

– მე ყოფილი პედაგოგი ვარ, ვასწავლიდი...

– მოკლედ მითხარით რისთვის შეწუხებულხართ, არ მაინტერესებ ვის, სად ასწავლიდით – სიტყვა შეაწყვეტინა მოსულს პოლიციელმა.

– მოკლედ მოგახსენებთ, სანაგვეზე ვიყავი, ლუკმა პურს დავეძებდი, ვიღაც მთლად ახალგაზრდა გოგონამ გამოიქროლა ავტომობილით, შევეცოდე, გააჩერა და აი ეს ასდოლარიანი მომცა.

– კარგი ნადავლია, – შეეხარბა პოლიციელს – მერე და ჩემგან რას მოითხოვთ?

– დაადგინოთ ვინ იყო ეს ახალგაზრდა, საიდან ჰქონდა სანაგვეზე გადასაყრელი ფულები და სამაგალითოდ დასაჯოთ – უთხრა მოსულმა.

– ავტომანქანის ნომერი თუ დაიმახსოვრეთ? – შეეკითხა პოლიციელი.

– ავტომობილს ნომერი არ ჰქონია, თვითონ კი შავი ფერისა იყო.

ჰო კარგი, დატოვეთ ეგ ასდოლარიანი, იმას კი ვიპოვნით, ვინც ასეთ საგონებელში ჩაგაგდოთ და საკადრის პასუხს მივაგებთ – უთხრა პოლიციელმა, ას დოლარიანი მოწიწებით გამოართვა მენაგვეს და ჯიბეში ჩაიკეცა.

როდესაც მენაგვე გარეთ გავიდა, პოლიციელმა გაიცინა და ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა: – ძველი პედაგოგის პედაგოგიური ჩვევაა.

ასეთი ამბები მთელ რესპუბლიკაშიხდებოდა და ახალ-ახალი ამბებით ცხოვრობდა დედაქალაქიც. იმჟამად დედაქალაქში „სიცილის სექცია“ იყო შემოღებული დევიზით „მოდით ერთად ვიცინოთ“. უსაქმურობამ მოიტანა და ამ სექციაში მრავალი ახალგაზრდა იყო გაერთიანებული. ძირითადად აი რას წარმოადგენდა ეს სექცია, მარტოხელა ვაჟის ან ქალიშვილის ოჯახში შეიკრიბებოდა რამოდენიმე ახალგაზრდა, დაწერდნენ და რამდენჯერმე გაკეცავდნენ ფურცლებს, რომელსაც დახურულ აბგაში ყრიდნენ, სათითაოდ მიდიოდნენ ახალგაზრდები და ამოჰქონდათ დაკეცილი ფურცლები, რომელზედაც ეწერა თუ რა უნდა გაეკეთებინა წერილის მფლობელს. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ქალიშვილებს ხვდებოდათ ვაჟის მოყვანა, რაც ქალიშვილებისთვის სრულებითაც არ წარმოადგენდა სიძნელეს, ქალიშვილი ვაჟს მოიყვანდა, თავისი გასაღებით აღებდა სახლის კარებს და რას ხედავს ვაჟი, აქ ხუთი თუ ექვსი ლომივით ვაჟკაცი ქეიფობს, საქციელწამხდარი ვაჟი, ვეღარც უკან ბრუნდება და ვეღარც წინ მიდის, გიყვარდეს სიცილი, საბრალო ანკესზე წამოგებულ ვაჟს სასტიკად ექცევიან მოქეიფენი, ხან ამღერებენ, ხან მაგიდის ქვეშ აძვრენენ და მაგიდაზე გამეტებით უბრახუნებენ მუშტებს, ხან კიდევ რას მოიგონებენ და ხან კიდევ რას, ეშმაკმა უწყის.

სწორედ ასეთ მახეში გაება მეორე დღეს ნამთვრალები კიკო, რომელსაც ჯიბეში ახლად შეძენილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ჰქონდა და საკეტს აწვალებდა. წინ ქალიშვილი გადაუდგა, გაუღიმა და თვალი ჩაუკრა:

– „რას მიღიმი დევის ქალო, რას მიელვებ ბაგე კბილსა, სომეხი ვარ ტანტრე მქვია, დავკარგე და ვეძებ ვირსა“... – უთხრა კიკომ.

– ვირს მე გაპოვნინებთ, თუ თქვენი ალესის ღირსს გამხდით! – სიცილით უთხრა ქალიშვილმა.

– თქვენ ყოველთვის იმას დაეძებთ, რაც თქვენ გესიამოვნებათ, მაგრამ არასდროს მამაკაცებს არ ეკითხებით, ესიამოვნებათ თუ არა თქვენი ალერსი – უპასუხა კიკომ.

– ქალიშვილი ასეთ პასუხს არ მოელოდა, მაგრამ ის ხომ სათანადოდ იყო დაგეშილი და იმის კლანჭებიდან თავის დახსნა არც თუ ადვილი იყო, რადგან ღიმილით საწადელს ვერ მიაღწია ქალიშვილმა, მორალურ თავდასხმაზე გადავიდა.

– როგორ, გეშინია? – ღიმილით შეეკითხა ქალიშვილი და შეატყო ვაჟს თუ როგორ შეულახა თავმოყვარეობა.

– არა, არ მეშინია, მაგრამ უბრალოდ დაღლილი ვარ ალერსით – უთხრა კიკომ.

– იცი რას გეტყვი? ერთ კაცს გზაზე ჭირი შემოხვდა.

– სად მიდიხარ ჭირო? – შეეკითხა კაცი.

– ამა და ამ სოფელში მივდივარ, ათი კაცი უნდა მოვკლაო! – უპასუხა ჭირმა. კაცი თავისი გზით წავიდა, ჭირმა კი ნაჩვენები სოფლისაკენ შეუხვია, ორიოდე კვირის შემდეგ, როდესაც უკან ბრუნდებოდა კაცი, იმ სოფელზე გამოიარა, სადაც ჭირს ათი კაცი უნდა მოეკლა და რას ხედავს – მთელი სოფელი გაწყვეტილა, დამმარხავიც აღარ ჰყავთ ვინმე.

– „ეს რა ჩაგიდენია ჭირო, თქვი ათი კაცი უნდა მოვკლაო და შენ მთელი სოფელი გაგიწყვეტია!“ – უსაყვედურა ჭირს კაცმა.

– არა ვარ დამნაშავე – უთხრა ჭირმა, მე როგორც გითხარი ათი კაცი მოვკალი, დანარჩენი კი შიშმა გაწყვიტაო. შიში ჭირზე უარესია ბიჭაუ, ვაჟკაცი ბიჭი ჩანხარ, შიშს თავი არ დააჩაგვრინო და არ დაამონებინო, თორემ გროშიც არ იქნება შენი ფასი.

– გმადლობთ რჩევისთვის, ვეცდები ძილშიც მახსოვდეს სიბრძნე შენი – უთხრა კიკომ და წასვლა დააპირა, მაგრამ ქალიშვილმა ხელკავი გამოსდო, ახლოს მიიზიდა და სავსე მკერდი ბეჭზე მიასრისა.

– რა იყო ბიჭაუ დასაჭურისებული ხომ არა ხარ? – უთხრა ქალიშვილმა.

– ეს როგორ გავიგო? რას ნიშნავს დასაჭურისება? – მართლაც გულწრფელად იკითხა კიკომ, რადგან ასეთი სიტყვა არასოდეს არ გაეგონა.

ქალიშვილს გაეღიმა ვაჟის გამოუსვლელობაზე და უთხრა, – დასაჭურისება კულტურულად ითქმის, თქვენებურად, გლეხურად დაკოდვას ნიშნავს.

ახლა კიკოსაც გაეღიმა და წავიდეთო! – უთხრა ქალიშვილს. მიხვეულ-მოხვეულ გზებითგაიარეს ერთი კვარტალი და ცხრასართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდნენ.

– მე აქ ვცოვრობ ბოლო სართულზე, მარტო ვარ სახლში! – უთხრა ქალიშვილმა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა. კიკომ უპასუხოდ დატოვა მისი წარმოთქმული წინადადება და ყოველი შემთხვევისათვის „მაკაროვის“ ღილაკი ძირს დასწია მზადყოფნისათვის. ქალიშვილმა მართლაც საკუთარი გასაღებით გააღო სამოთახიანი ბინის კარები, სიბნელეში კედელზე ხელი მოაფათურა და ზალაში სინათლე აანთო, ვაი რას ხედავს კიკოს თვალები, მაგიდას ოთხი ლომივით ვაჟი და ორი მელიას მსგავსი გოგონა მიჯდომია, სინათლე როგორც კი ჩაირთო სუყველამ ერთხმად რაღაც გაუგებარი ფრაზა დაიღრიალა და მაგიდაზე ხელები ააბარტყუნეს, კიკოს თითქოს შეეშინდა, მომყოლი ქალიშვილი ახლოს მოიწია და ჩამოეფარა, ამ დროს მაგიდასთან მჯდომი ყველაზე ზორბა ახალგაზრდა წამოიმართა და კიკოს უთხრა:

– მოდი რა ძმაკაც დაგვილიე!

– არა გმადლობთ, დასალევად არ მოვსულვარ, ჯერ ამ ქალიშვილთან ანგარიშს გავასწორებ და შემდეგ ვნახოთ – უთხრა კიკომ.

– შენ რას, „ნაგლობ“? რა ანგარიში გაქვს სიმონ მაგასთან? – შეეკითხა ზორბა.

– უნდა გავაუპატიურო, ასე ვართ გარიგებაში! – აუღელვებლად უთხრა კიკომ.

– რაო! – ერთხმად იღრიალა სუყველამ და ზეზე წამოიმართნენ.

კიკომ მაგიდას გახედა, თავისუფალი ადგილი შეარჩია, რომ ტყვია არავის მოხვედროდა და შამპანურის ბოთლი ტყვიამ ნამსხვრევებად აქცია.

– დაჯექით! – ბრძანა კიკომ და „მაკაროვი“ ისე ოსტატურად შეათამაშა ხელში, რომ ყველანი მიხვდნენ, განგსტერთან ჰქონდათ საქმე.

ბრძანება შესრულდა, ყველა თავის ადგილზე დაჯდა, კიკომ მომყოლ ქალიშვილს წელზე ხელი მოხვია და კარებისკენ უბიძგა.

– გამიშვი მხეცო, რას სჩადიხარ, ვიკივლებ! – გაწიწმატდა ქალიშვილი.

– ჭკუით, თორემ აგხადე ქალა! – უთხრა კიკომ.

– არ დამღუპო, გამიშვი! – უკვე ფოიეში ეხვეწებოდა ქალიშვილი.

– ნუ გეშინია, ხომ იცი შიშის ზეგავლენა ადამიანზე, ვაჟკაცურად შეხვდი განსაცდელს, ახლა კი შენი გასაღებით კარები ისევ დაკეტე, რომ გარეთ არავინ გამოვიდეს, თუ გებრალება მათი სიცოცხლე და შენს სიცოცხლეზედაც არა გაქვს ხელი ჩაქნეული.

ქალიშვილმა ბრძანება შეასრულა, კიკომ კარები შეამოწმა და ქალიშვილს სახლის სახურავისაკენ უბიძგა... უკან დაბრუნებული ქალიშვილი ბედს შერიგებოდა.

– რა გქვია მაინც ბიჭო მითხარი, ან სად შეიძლება შენი ნახვა? – მუდარის ხმით, თვალცრემლიანმა ჰკითხა ქალმა.

– ამას კულტურულად გაუპატიურება ჰქვია, გლეხურად კი შენ თვითონ გეცოდინება რასაც ეძახიან! – უპასუხა კიკომ და ლიფტს არ დალოდებია, ისარივით დაეშვა ფეხით კიბეებზე.

ქალმა კარები ფრთხილად გააღო, პირველად სამზარეულოში შევიდა, კედელზე დაკიდებული ხორცის საკეპი ნაჯახი ჩამოხსნა და ზალაში გავიდა:

– კურდღლებო, მე მაჩვენებდით თავს ლომებად? – იკივლა ქალმა და „ზორბას“ მთელი ძალით უთავაზა ნაჯახი თავში, სავალალოდ სხვას ვეღარ მოასწრო, გააკავეს, წაართვეს ნაჯახი, მაგრამ ქალი კბილით იბრძოდა, დაიღალა, დაიქანცა და ბოლოს ქალურმა სისუსტემ სძლია, გული შეუწუხდა.

ხშირად ხვდებოდნენ მეგობრები ერთმანეთს, მაგრამ „საქმეზე“ მოსალაპარაკებლად, ბოლო „საქმის“ პირნათლად დაგვირგვინებიდან ორი კვირის შემდეგ შეიკრიბნენ კიკოს ერთოთახიან ბინაში.

– ჩვენ დანაშაულს არ ჩავდივართ, – დაიწყო ნინომ მოხსენების წაკითხვა, როგორც თათბირის დროს ჩვეოდათ-ხოლმე კომუნისტებს – ჩვენ ღმერთი გვალძევს დოვლათს, რადგან დოვლათის მეპატრონე ზედმეტად უნიათოა და ჩვენ მის ხარჯვაში ვეხმარებით. ჩვენ ასე შორს ვერ წავიდოდით ღმერთის წყალობა რომ არ გვახლდეს თან. ვისაც ჰგონია, რომ განგების დაუხმარებლად იოლად გავა ფონს, ისინი ყველანი ციხეში არიან, თქვენც ხედავთ უფალი როგორ გვეხმარება, დიდება მას. ჩვენი სიმდიდრის ყოფილი მეპატრონენი კი არ დაეძებენ მძარცვლებს, პირიქით ილოცებიან, რომ ჩვენ თვითონ არ გავთქვათ ისინი და ზედმეტი უსიამოვნება არ შევყაროთ. კარგი იყო ჩვენ მოგვეხმარა ეს უზარმაზარი თანხა, რომელიც გაგვაჩნია და ახლის ათვისებას შევშვებოდით, მაგრამ რადგან ითქვა ოთხი „საქმის“ გაკეთება, მეც თანახმა ვარ, იყოს ოთხი. მესამე „საქმის“ „დაზღვერვა“ მე მერგო წილად და გულისყურით მომისმინეთ: ბინა, რომელიც მე აღმოვაჩინე, თოთხმეტსართულიანი სახლის მესამე სართულზე მდებარეობს, მისი ბინადარი კობა ქათამაძეა, რომელსაც უშიშროების სამმართველოში ტრანსპორტის

მინისტრის თანამდებობა უკავია, – იმისი ბინა შეუნიღბავია, რადგან დარწმუნებულია, რომ უშიშროების სამინისტროს მუშაკი ხელშეუხებელია. ბინას უბრალო ფიჭვის კარები აქვს და არც ფოიე არის უნიკალურად მოწყობილი, მაგრამ ფიჭვის კარების მიღმა როდესაც მოხვდებით, გაოცებას ნამდვილად ვერ დაფარავთ, მიუხედავად იმისა, რომ ფოიეში სამი კარებია განლაგებული, ორი მოქმედებაში არასდროს ყოფილა. ისინი აჭედილია და შიგნიდან მტკიცე მავთულ-ხლართით არის დაცული, შელესილი და ბრწყინვალე რემონტი აქვს გაკეთებული. ესე იგი მე მგონია თქვენ უკვე მიმიხვდით, მთლიანად მესამე სართული კობა ქათამაძეს აქვს დაკავებული და მის კუთვნილებას წარმოადგენს. მას არ გააჩნია არავითარი სიგნალიზაცია და არც სეიფი არა აქვს. ფული, სამკაულები და ძვირფასი ნივთები ბინაში უნდა ვეძებოთ, რომლებიც დაახლოებით ვიცი სადაც აქვს შენახული.

– საინტერესოა საიდან? – ჰკითხა ნანამ.

– ოჯახიდან გამოჟონა საიდუმლოებამ – უპასუხა ნინომ.

– კობა ქათამაძეს. მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავს, სუფთა სირაქლემაა – აქლემას გამოკლებით, ეყო გამბედაობა და მეკურკურება, მე კი ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენე და ოჯახური საიდუმლოებანი დავაღერღინე.

– მაინც რა სთქვა, სადა მაქვსო განძი? – შეეკითხა დოლარინო.

– ფული, სამკაულები და განძი უჯრებში ინახება, არა აქვს მნიშვნელობა ეს საწერი მაგიდის უჯრა იქნება თუ პიანინოს უჯრა, ყველას ორმაგი ფსკერი გააჩნია და მათ შორის სამკაულები, განძი ან ფულია მოთავსებული – უპასუხა ნინომ.

– ძნელია ორგანოს მუშაკის დაყაჩაღება! – თავისი წინადადება წამოაყენა კიკომ.

– კობა ქათამაძის ოჯახის გაძარცვა სრულებით არ წარმოადგენს სიძნელეს, ამჟამად მთელი ოჯახი კობას ჩათვლით გაგრაში იმყოფება ზღვაზე დასასვენებლად. აქ სახლკარი მეორე სართულზე მცხოვრებ ვინმე ფერიდე ღლონტს აქვს ჩაბარებული თვალყურის სადევნებლად, თორემ კობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ვერავინ გაბედავს იმის გაძარცვას. მე აღმოვაჩინე, დავაზუსტე ყოველივე წვრილმანიც კი, ახლა თქვენგან ველი გადამწყვეტ პასუხს, თუ როგორ შევაღწიოთ ბინაში? – მაგას რა დიდი ფიქრი უნდა, აქა მაქვს ძალაყინი, მითუმეტეს ხის კარები ყოფილა, ხუთ წუთში ბინაში ვიქნებით – თქვა დოლარინომ.

– არა, წიქარა ხომ არა ხარ რქებით მიადგე ცხრაკლიტულს! – უთხრა კიკომ – უმჯობესი იქნება, პირველად ფერიდე ღლონტი დავაყაჩაღოთ, შევკოჭოთ, ყასიდად ვეძებოთ იქ რაიმე, შემდეგ კი კობა ქათამაძის ბინა დაგბომბოთ.

თქვენი არცერთი გეგმა არ არის მოსაწონი – თქვა ნანამ. ჩემი აზრით უმჯობესი იქნება თუ ღამით ფერიდეს კარებთან ვინმე დავდგებით დარაჯად, სამი კი კობას ბინას შევხსნით ეჟვანს, მითუმეტეს მესამე სართულზე კობას მეტი არავინ ცხოვრობს და ფოიეც თავისუფალია სამოქმედოდ.

მე როდესაც ბინა აღმოვაჩინე, გეგმაც შევიმუშავე – თქვა ნინომ, იმედი მაქვს თქვენში მოწონებას დაიმსახურებს ჩემი გეგმა: როგორც მოგახსენეთ, კობა ქათამაძეს ბინაში შესასვლელი მთავარი კარები ხის აქვს. დილით დოლარინო და კიკო წავლენ და რკინის კარების შეკვეთას მისცემენ ხელოსანს. შესაძლებელია გაკეთებულიც ჰქონდეთ, კარები უნდა საუკეთესო იყოს. როდესაც კარები მზად იქნება, კიკო და დოლარინო მუშა დურგალის ტანსაცმელს ჩაიცვამენ და მზა რკინის კარებს კობა ქათამაძის ხის კარებთან მიაყუდებენ, ამი სშემდეგ დაუძახებენ ფერიდეს და ეტყვიან, რომ ბატონმა კობამ დაავალათ რკინის კარების ჩასმა და კარების

შეცვლაზე თვით ფერიდეს დაისწრებენ, კარებთან შეცვლის შუალედში მე და ნანა მოვახერხებთ ბინაში შესვლას და ტომრებსაც ხეირიანად დავავსებთ, ყველაფერს გამოვზიდავთ გარეთ უმტკივნეულოდ და ავტომობილში ჩავაწყობთ. როდესაც კარებს ჩავსვამთ, გამოვლესავთ და გავამზადებთ, გასაღებს ფერიდეს დავუტოვებთ და გვექნება „გზა მშვიდობისა“.

– არავითარ შემთხვევაში! – იყვირა დოლარინომ რა, თქვენ გაგიჟდით, ჩემი დედა! მე ხან სანტექნიკად მნათლავთ, ხან ზეინკლად, ახლა კი დურგალი უნდა ვიყო, თქვენ რას ახურებთ, მე ქურდი ვარ თუ ვირის კეხი?

– დაწყნარდი დოლარინო, პარტია ითხოვს! – უთხრა კიკომ.

– თუ შეიძლება აცილება მივცე თქვენს პარტიას, არ მინდა რა ტო, ძალაა.

– ძალაა, ძალა. მაგაზე თავიდანვე უნდა გეფიქრა, ახლა შენ ჭაში ჩავარდნილი კაცის ბედი შეგიძლია გაიზიარო! – უთხრა ნინომ.

– კარგი რა, თანახმა ვარ. შემდეგ მე რა უნდა გავაკეთო? – იკითხა დოლარინომ.

– არაფერი, დღესვე წახვალთ შენ და კიკო, რკინის კარების შეკვეთას მისცემთ ხელოსანს და კობა ქათამაძის ფიჭვის კარებთან ააყუდეთ. ხვალ კი ნელ-ნელა დაიწყებთ კარების შეცვლას ფერიდეს თანდასწრებით, დანარჩენი მე და ნანას გვევალებოდეს – უთხრა ნინომ.

– ბრავო! მომწონს შენი აზრი! – უთხრა ნანამ და დობილი გადაკოცნა.

მეორე დღეს ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა, საუკეთესო რკინის კარები უკვე აყუდებული იყო კობა ქათამაძის ფიჭვის კარების გვერდით. „ხელოსნებმა“ ფერიდეს დაუძახეს – დეიდა ფერიდე თავაზიანად დაშაქრული

ენით მიმართ კიკომ, რომელსაც დურგლისებურად ყურებზე ფანქარი ჰქონდა დამაგრებული. ბატონმა კობამ გამოგვაგზავნა, კარების შესაცვლელად, გვითხრა რომ მთელ ოჯახს თქვენ განდობთ და წინააღმდეგი ხომ არ იქნებით კარების გასაღები თქვენ დაგიტოვოთ?

– არა შვილო, წინააღმდეგი როგორ ვიქნები, თუკი თვითონ ბრძანა! – უპასუხა ფერიდემ.

– უნდობლობაში ნუ ჩამომართემვთ ქალბატონო და თქვენ უნდა დაესწროთ კარების შეცვლას! – უთხრა კიკომ.

– როგორ გეკადრებათ ბატონო, რომელ უნდობლობაზეა საუბარი, როდესაც თქვენ კობა გენდობათ, მე რა უფლება მაქვს უნდობლობა გამოგიცხადოთ – უპასუხა ფერიდემ.

– არა, არა, ქალბატონო, ხანდისხან მაინც ამოიარეთ ზევით! – არ ეშვებოდა კიკო ფერიდეს, სანამ თანხმობა არ მისცა ხშირად ამოვალ ხოლმეო.

კიკომ და დოლარინომ მუშაობა დაიწყეს, ხის კარები ადვილად შეანგრიეს და ჩარჩო გამოიღეს, დაიწყეს რკინის კარების ჩასმა, ნელა, აუჩქარებლად და ჯერ ნახევრად არ ჰქონდათ საქმე გაკეთებული, რომ გოგონებმა ორ-ორი აბგა ტვირთი გაიტანეს და ავტომობილში დაუდეს ბინა.

როდესაც რკინის კარების ჩარჩოს გამოლესვა დაიწყეს, ბინა ბოლომდე იყო უკვე გაფოთლილი. ფერიდეს დაუძახეს, კარების გასაღები საზიემო ვითარებაში გადასცე, გადაკოცნეს, დაემშვიდობდნენ და გაუჩინარდნენ.

ისევ ომეხი რიჟამაძის ეზოს ჭიშკარს მიადგა ფულით, სამკაულებითა და განძით დატვირთული ავტომობილი, გაივსო სეიფები, მაგრამ მეოთხე „საქმე“ გასაკეთებელი რჩებოდა.

ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა კობა ქათამაძე ოჯახის წევრებთან ერთად გაგრიდან, ბინის კარებს მიადგნენ, ვერ იცნეს, იფიქრეს სადარბაზო შეგვეცვალაო და მეზობელ სადარბაზოში შევიდნენ. ვერც აქ აღმოაჩინეს თავისი ბი-

ნის მსგავსი კარები და იფიქრეს სახლი შეგვეცვალაო და დაიწყეს მსგავსი სახლის ძებნა, მაგრამ ასეთი სახლი მთელ დასახლებაში ერთადერთი იყო და ამიტომ ისევ პირველ სადარბაზოს დაუბრუნდნენ. ახლა ფერიდემაც შენიშნა მეზობლების დაბრუნება და ბინის გასაღები გამოიტანა. გადაკოცნა მეზობლები, მშვიდობით დაბრუნება მოულოცა და ბინის გასაღები გადასცა.

– ეს რა არის? – იკითხა კობამ.

– თქვენ რომ მუშები გამოგეგზავნათ რკინის კარების ჩასასმელად, ჩასვეს და გასაღები მე დამიტოვეს! – უთხრა ფერიდემ.

კობას მწარედ გაეღიმა, უკვე მიხვდა რაშიც იყო საქმე. ცივმა ოფლმა დაუცვარა შუბლი და უხალისოდ ჩამოართვა გასაღები ფერიდეს.

ბინაში შევიდა. პირველად ხელუხლებელი ეჩვენა ყველაფერი: ბროლისა და ფაიფურის ძვირფასი ჭურჭლები, შეუფასებელი ჭაღები და ხალიჩები, ძველებურად გამოიყურებოდა, ბოლოს უჯრები გამოაღო და პირველად გულმა იგრძნო დანაკარგი. „აქ ახლობლის ხელი ურევია, ვინ იცოდა ოჯახი სწევრების გარდა ჩვენი საიდუმლო საგანძური?“ – შეეკითხა მეუღლეს.

თინიკო გამშრალი და ენაჩავარდნილი იდგა მეუღლის წინაშე, შემდეგ ერთბაშად გამოერკვა: – „არ ვიციო“ – თქვა და ცრემლები წასკდა თვალთაგან. თინიკო ამ წუთში გაძარცვულ საგანძურს არ მისტიროდა, ის ერთადერთ ბავშვურ სიყვარულს დასტიროდა, რადგან ეგონა კორნელის მეტმა არავინ იცოდა საგანძურის საიდუმლოება, მაგრამ თინიკოს ეშლებოდა არ იცოდა მგელის ბუნება, „მგლები იქ არ იპარავენ, სადაც ცხოვრობენ“.

მაშინ მერვე კალასში სწავლობდა თინიკო, თავისი მერხის თანამოზიარემ კორნელიმ სიყვარული რომ გაუმხილა.

თინიკო თითქოს ელოდაო ამ განცდას, შეიფერა კიდეც და ამ დღიდან დაუვიწყარი გახდა პირველი სიყვარული, პირველი პაემანი, პირველი კოცნა. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ დავიწყებას არ ეძლეოდა პირველი სიყვარული.

თინიკო შეძლებული ოჯახის შვილი იყო, დედა მასწავლებელი ჰყავდა, მამა ინჟინერი და როდესაც გაიგეს „ღატაკი“ კორნელის სიყვარულის ამბავი, სასაცილოდ არ ეყოთ „ბავშვური რომანი“, მაგრამ ადამიანს რასაც უშლიან, იმისაკენ უფრო მეტად აქვს მისწრაფება, არ დაიშალა ახალგაზრდობამ და მოპარული წუთებით აგრძელებენ სიყვარულის ზღვაში ცურვას. წლოვანება ბადებს სიყვარულს და ის უკანასკნელი ართმევს ადამიანს იმის უნარს მარჯვედ გამოიყენოს ღირსების მოკრძალებული შესაძლებლობები, რომელიც სიყვარულის დროს დიდი პატივის ღირსად არ არის მიჩნეული, მაგრამ ამას არ დაგიდევს სიყვარულგაბითურებული უფროსი თაობა და ხშირად ლანძღვა-გინებაც კი მოჰყვება ჭეშმარიტ სიყვარულს.

უიღბლოდ დამთარდა თინიკოსა და კორნელის სიყვარულის ისტორია, რადგან მშობლებმა თინიკოს შინაპატიმრობა მიუსაჯეს და გარეთ არ ახედებდნენ, სანამ მილიციის ლეიტენანტის ვაჟი – კობა ქათამაძე არ გააცნეს. მართალია კობაზე ექვსიოდე წლით უფროსი იყო თინიკო, მაგრამ მშობლები ამას არ დაგიდევდნენ, რადგან ქათამაძეების ოჯახი შეძლებულ ოჯახად იყო ცნობილი – თინიკომ საიდუმლო გაანდო კობას, რომ სხვა უყვარდა და ცოლად პირველი სიყვარულის გარდა სხვას არ გამოადგებოდა, მაგრამ ვაჟმა ეს შეურაცხყოფად მიიღო – „რას ჰქვია სხვა გიყვარს და ჩემი შეყვარება კი არ შეგიძლიანო“, – და ორიოდე მხარის მშობლების მოლაპარაკების საფუძველზე ქორწილი დააჩქარეს.

კობამ დაფარა პირველი სიყვარულის შეცდომა, მაგრამ ქალმა და პირველმა სიყვარულმა კი ვერ დაფარა აღელვე-

ბული გრძნობები და ახლა უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს კორნელი და თინიკო, მაგრამ „ცეცხლი თივაში არ იმალება“, გამოაშკარავდა თინიკოს პირველი სიყვარულიც და ჩურჩული კობას მამის ყურსაც მისწვდა, როგორც მილიციელს შეფერის, საქმის გამოძიება დაიწყო და კვალმა კორნელი ვეფხვაძესთან მიიყვანა, რომელიც იმჟამად ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობდა. სწორედ იმ ხანებში ლაბორატორიიდან ქიმიური სინჯების ასაღები ძვირადღირებული ხელსაწყო დაიკარგა და კობას მამას პარმენ ქათამეძეს შურის საძიებელი საქმეც გამოუჩნდა. კორნელი დააპატიმრეს, ცივ უარზე იყო პატიმარი. მას აზრადაც არასოდეს მოსვლია ლაბორატორიის გაქურდვა, მაგრამ ძიებამ არ გაითვალისწინა კორნელის უდანაშაულობა, რომელიც თავადაც გაკვირვებული დარჩა, როცა მის თვალწინ საკუთარ სათავსოში ძვირადღირებული ხელსაწყო აღმოაჩინეს. კორნელი „არ ვიცის“ ჩვენებით გაასამართლეს და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

თინიკო კორნელის პატიოსნებაში დარწმუნებული იყო და ყველაფერი იცნოსა, ახლა სიყვარულს სიბრალულიც დაერთო და სულ იმის ცდაში იყო თუ როგორ ეშველა პატიმრისათვის. დრო კი გადიოდა, საშველი არ ჩანდა და იხდიდა სასჯელს პატიმარი.

თინიკო დედის კვალს გაჰყვა, პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და დედა შეცვალა სამსახურში. კობამ საშუალო სკოლა ძლივს დაამთავრა და რიგით მილიციელად დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი მამა შეცვალა და ბოლოს ტრანსპორტის მინისტრის მოადგილეობასაც გამოჰკრა ხელი. პატიმრობიდან გათავისუფლებულ კორნელის, გაცხოველებული სიყვარულით შეხვდა თინიკო. ისევ ეჭვიანობა და ისევ დავიდარაბა ოჯახში, მაგრამ თინიკო ვერაფერმა შეაჩერა და თვითონ მიდიოდა ხოლმე კორნელის ბინაზე. მიჯნურებს

არაფერი ჰქონდათ დასაფიცი ერთიმეორისათვის და თინიკომ განძთსაცავის საიდუმლოებაც კი გაანდო, ამიტომ თინიკო დარწმუნებული იყო, რომ კორნელის მეტმა განძთსაცავის საიდუმლოება არავინ იცოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა კობა ქათამაძის ოჯახში შესვლას სახელგატეხილი ნაპატიმრალის მეტი.

ამ საიდუმლოებას კობაც ჩაწვდა, მაგრამ არ შეიძლებოდა ძიებისათვის გადაეცა ოჯახის გაძარცვის საქმე, რადგან ოჯახიდან ისეთი ნივთებიც იყო წაღებული, რომლის გამოაშკარავებაც არ შეიძლებოდა და თუ მაინც გამოააშკარავებდნენ, მართლმსაჯულება კობასაც მაგრად ჩაჰკიდებდა ხელს.

კობას ოჯახში უსიამოვნება დღითი დღე იზრდებოდა და როდესაც ბოლო ზღვარს მიაღწია, თინიკო თავის ვაჟიშვილთან ერთად კორნელისთან გადავიდა საცხოვრებლად, რომელმაც დაუმტკიცა, რომ ერთადერთი შვილი კორნელის ეკუთვნოდა. ფუფუნებას მიჩვეულ თინიკოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ფული, სამკაულები და განძი კორნელის ჰქონდა მოპარული, როდესაც იმედი გაუცრუვდა, თავში შემოიკრა ხელი, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რადგან სიყვარული დახვდა გაუცვეთელი და გაუძარცვავი.

როგორც ყოველთვის, ომეხის მარანში სახელდახელოდ-გაიშალა პურ-მარილი და თათბირიც აქვე შედგა.

მეგობრებო! – დაიწყო დოლარინომ მძარცველთა და დამნაშავეთა უმეტესობა, ციხეში იმიტომ ხვდებიან, რომ გაუმაძღარნი არიან, ჩვენ თუ დღემდე სეიფების გავსებაზე ვზრუნავდით, ჰა, გაივსო სეიფები, ახლა რაღაზე ვზრუნავთ? მეოთხე „საქმეზე“? სადაც ღმერთი განსაცდელს დაგვახვედრებს გაუმაძღრობისათვის? თუ დამიჯერებთ, ერთი წლის ვადით შევწყვიტოთ ყოველგვარი შავ-ბნელი საქმე, ვხარჯოთ ღმერთისაგან ნაბოძები სიმდიდრე და შევირგოთ.

დღესდღეობით ჩვენს მიმართ დანაშაულის არავითარი ეჭვი არ არსებობს, მაგრამ თუ გავაგრძელებთ შეუმჩნეველი არ დავრჩებით და ბოლოს და ბოლოს მოგვკითხავენ ძველსა და ახალ ცოდვებს. თუ მიიღებთ ჩემს მეგობრულ გადაწყვეტილებას, მეგობრებად დავრჩებით სიკვდილამდე, თუ არა და ვწყვეტ თქვენთან ყოველგვარ კავშირს და თქვენც გთხოვთ სამუდამოდ დაივიწყოთ ჩემი სახელი. გთხოვთ ჭკვიანურად მოვიხმაროთ შეძენილი უზარმაზარი თანხა, რადგან ჭკუა და გამჭრიახობა შეძენის დროს გამოვიჩინეთ, დაიხარჯვის დროსაც გამოვამჟღავნოთ შესაბამისი გონებრივი ნიჭი, ვიგრძნოთ თავი დასაბამიდან ჭკვიანებად და არა შემთხვევით მოჭკვიანებულებად... ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ოთხივე გადაწყვეტილების მისაღებად ჩაფიქრდა, მაგრამ ეს იყო წუთიერი ჩაფიქრება და უცებ კიკომ ტაში შემოჰკრა.

– ბრაო! – წამოიძახა მან – ვღებულობ დოლარინოს გადაწყვეტილებას. თუმცა მეოთხე საქმე არ გვაწყენდა, მაგრამ ახალი სეიფების შეძენაც მოგვიწევდა სიტყვა მოსაწონი მარტო იმით კი არ არის ვინ ამბობს მას, არამედ სიტყვაში სიმართლე და სიბრძნე უნდა იყოს ჩაქსოვილი, მე ვხედავ გამაძღარი ადამიანის სიბრძნეს, რაც ძალზედ იშვიათია ადამიანებში, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ბევრი სიმდიდრე აბრმავებს ადამიანს და საკუთარი ცხვირის იქით ვეღარაფერს ხედავს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩვენ მეგობრებში ფულით მთვრალები არ არინ.

მე ვეთანხმები დოლარინოს, ერთი წლის განმალვობაში დანაშაულისაკენ არ მივიხედოთ. ვჭამოთ შეძენილი და ბოლომდე განვიცადოთ ფულით მოსახვეჭი ამქვეყნიური სიტკბოება.

– ბრაო! – მეც თანახმა ვარ, ვუერთდები თქვენს გადაწყვეტილებას! – წარმოთქვა ნინომ.

– მე კი არ ვეთანხმები თქვენს გადაწყვეტილებას! – წარმოთქვა ნანამ და ღვინით მარტო თავისი ჭიქა შეივსო.

– როგორ დავიმსახურეთ თქვენი განაწყენება, რომელსაც ვგრერიგად ვუფრთხილდებოდით! – შეეკითხა დოლარინო.

– თქვენთან მოსაუბრე ჭკვიან ადამიანს ყოველთვის დიდი საფიქრალი ექნება – უპასუხა ნანამ. კარგია შესვენება, რომ გამოაცხადეთ, მაგრამ რაც მთავარია თქვენ დაგავიწყდათ სად დავხარჯოთ შეძენილი დოვლათი? ისევ ამ ქალაქში? ღმერთო ჩემო, ერთი და იგივე რესტორანი, ერთი და იგივე გაუღიმარი ხალხი, ერთი და იგივე კერძები და სუყველაფერი ერთფეროვნება, მეტი აღარ შემიძლია, ამოვივიდა ყელში ერთი და იგივე ლაქლაქი, რა თქმა უნდა მე ვეთანხმები თქვენს გადაწყვეტილებას შესვენების მხრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ოთხივე ერთად სამოგზავუროდ წავალთ და ჩვენს მახსოვრობაში დავტოვებთ რაღაც უნიკალურს...

– ვაშაა! – იყვირა, ზეზე წამოხტა ნინო და დობილი გადაკოცნა აი, ეს მწამს სიტყვა შეაწყვეტინა ნანას, ასეთ რამეს სხვა ვინ მოიფიქრებდა. კიკოს რომ ჰკითხო, დაზეპირებული აქვს რესტორანი, მაგიდა და სკამი, მომტანმაც კი იცის რომელი კერძი მოსწონს და ვიცი ახლაც გამზადებული ექნება მზარეულს.

– აბა, აბა, ფრთხილად იყავი, კითოს ხსნებაზე ოდეკოლონი გამოივლე პირში. ფორმალურად განაწყენდა კიკო და განაგრძო, გთხოვთ ნანას საუბარს ნუ გააწყვეტინებთ, თქვას და დაგვიმტკიცოს თავისი აზრი. მოგზაურობა მართლაც კარგი რამ არის, მაგრამ ნუთუ ასე ადვილად დაგვეთანხმებიან საზღვარგარეთ მოგზაურობაზე?

მე ჩემს თავზე ვიღებ ხარჯებსა და დოკუმენტაციას, თქვა ნანამ, გპირდებით, ორ კვირაში ყველაფერი მზად მექნება, ვიმოგზაურებთ მსოფლიოს გარშემო, ყოველგვარი ტრანს-

პორტით, ვირითაც კი, მხოლოდ სანამ საბუთები გამზადდებოდეს ცოტაოდენი ინგლისური ენა შეისწავლეთ, თორემ მე და ნინო ყოველთვის ვერ დაგიდგებით თარჯიმნად.

– წარმოუდგენელ სიურპრიზს გვპირდებით ქალბატონო და თქვენს დანაპირებში თუ ნახევარი მაინც აღმოჩნდება მართალი, ესე იგი ნახევარ მსოფლიოს შემოვივლით და წინასწარ განვიცდი იმ ბედნიერებას, დაბრუნების შემდეგ რომ დამეუფლება – თქვა დოლარინომ.

– პასპორტები მომეცით, თქვა ნანამ და გახსოვდეთ, დღეიდან სტუდენტები ხართ, ვეცდები თქვენი დახმარება არ დამჭირდეს და თუ დამჭირდა დამეხმარებით. ქალაქგარეთ არ გახვიდეთ!

– რომელი ქალაქიდან აპირებთ მოგზაურობის დაწყებას? – კითხა ნინომ.

– ჯერ არ ვიცი, ამას ტურისტულ ბიუროში შევარჩევთ, თუმცა, ჩვენთვის ხომ სულ ერთია საიდან დავიწყებთ მოგზაურობას, საიდანაც დავიწყებთ იქვე დავბრუნდებით – უპასუხა ნანამ.

დედისერთა, მშობლებისა და საზოგადოებისაგან განაბივრებულმა ნანამ კარგად იცის თავისი მამის სუსტი მხარე და როდესაც საღამოს ნანას მამა ვახტანგ ფერაძე სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა, ნანა კალთაში ჩაუჯდა და კისერზე შემოაჭდო ხელები:

– მამიკო, დიდი არდადეგების დროს, შენს ფრიადოსან შვილს, ხომ ეკუთვნის სამოგზაუროდ წასვლა? – შეეკითხა შვილის ალერსით გაბრუებულ მამას ნანა.

– ვისთან ერთად აპირებ მოგზაურობას?

– ჩვენ ოთხნი ვართ, სუყველა ფრიადოსნები, აი მათი პასპორტებიც თანა მაქვს – უპასუხა ნანამ და მამას სამი ცალი პასპორტიგადააწოდა.

ვახტანგმა პასპორტები ჩამოართვა, გადაათვალიერა.

– წყვილ-წყვილად მიდიხართ? – შეეკითხა შვილს.

– ხომ არ ეჭვიანობ მამიკო, ესენი ხომ ჩემი მერხის მეგობრები არიან. აი მათი „სტუდბილეთები“ – უთხრა მამას და სტუდბილეთები“ გადააწოდა, რომლის გაკეთებაზეც ადრიანად ეზრუნა.

ვახტანგმა „სტუდბილეთები“ გადაათვალიერა და მზერა დოლარინოს სურათზე შეაჩერა.

– ეს რაღაც მეცნაურება თითქოს, სადღაც მინახავს, ავთანდილ სერგოს ძე მარუაშვილი. უი, მომაგონდა, წამოიძახა მან, ეს ხომ „დოლარინოა“ ქურდი და მამაძაღლი?

– ქურდია თუ ყაჩაღი მე არ ვიცი, ფაქტია, რომ ჩემთან ერთად სწალვობს სამართალმცოდენობას და ესეც ჩემსავით ფრიადოსანია – იცრუა ნანამ.

– ჰო, უნდა დაგიჯერო, ასეც იქნება, ახლა სტუდენტები არიან ქურდები, თორემ ვინც დაამთავრა და კარგი სამსახური აქვს, მათ სახელმწიფოსთვისაც ბევრი აქვთ მოსაპარი და საზოგადო ქურდობისათვის არა სცალიათ, ესეც რომ არ იყოს, სტუდენტს ყველაფერი ეპატიება, ცოტა-ცოტა დანაშაულზე თვალებსაც ვხუჭავთ-ხოლმე. დაგეხმარები, საგზურებს გაგიკეთებთ, მხოლოდ საზღვარგარეთ დარჩენა არ გადაწყვიტოს რომელიმემ, თორემ საკუთარი თავით აგებ ჩემს წინაშე პასუხს.

– დარდი არ იქონიო მამიკო,ს აშმობლოს მოღალატე ადამიანს ჩემს გვერდით არასოდეს არ ექნება ადგილი – უთხრა ნანამ.

– ჰო, ძალიან კარგი, კიდევ მჯერა შვილო შენი, მაგრამ ერთი ესეც მითხარი, სადა აქვთ სტუდენტებს საზღვარგარეთ სამოგზაურო ფული?

– შენ ხომ მითხარი ქურდობსო? – ისე მოსწრებულად უპასუხა ნანამ, რომ ორივეს სიცილიწასკდა.

– იქურდოს თუ ქურდობს, ახლა ყველა ქურდია, მხოლოდ საზღვარგარეთ არაფერზე წაცდეს ხელი, თორემ სა-

კუთარი ხელით დავაჭრი ხელებს. გახსოვდეთ, რომ საზღ-ვარგარეთ თქვენ გაგაქვთ თქვენი ქვეყნისა და ხალხის ავ-კარგი, სწავლა-განათლება, სარწმუნოება და კლუტურა. როგორც მშობელს არ ეღალატების, ასევე არ ეღალატება სამშობლოს და გახსოვდეს ყოველი ნაბიჯის გადადგმის წინ ფიქრი და სიფრთხილე გმართებს, გახსოვდეს, თქვენ სამოგზაუროდ მიდიხართ და არა ზიპლიპიტო ნივთების საყიდლად, როდესაც ჩანთა გახსნა და ასდოლარიანი კუ-პიერი ამოიღო დასახარჯად, კუპიურაზე ფოტოგრაფიულ ბენჯამინ ფრანკლინს დაეკითხე, როგორ უნდა გადავიდეს ხელიდანხელში იმისი გამოსახულება, რა უნდა შეიძინო, რომ სირცხვილი არ აჭამო ფრანკლინს უნიათო გაფლან-გვისათვის და არც სამშობლოს უხეირო შენაძენით. თუ თქვენ ისეთი თავკერძები ხართ, რომ საშმობლოსათვის იოტისოდენი სიხარულის მინიჭებაც კი არ შეგიძლიათ, თუ წინასწარ არ შეგიძლია შენსავე სამშობლოში დაინახო მისი ღირსებები და სულიც თქვენი დაკნინებულია, მაშინ უმჯობესი იქნება სამშობლოს საზღვრებს ნუ გაცდებით. კულტურის კანონთა მრავალსახეობათა შორის არსებობს ერთი ღირსშესანიშნავი კანონი, არავითარ შემთხვევაში არ აამაღლო შენი სამშობლო და ერთი და არ დაამცირო სხვისი, სხვა ეროვნების წარმომადგენლის თანდასწრე-ბით. ადამიანის უდიდესი მისწრაფებაა, სამშობლოს კლუ-ტურის ამაღლება, საიდანაც საკუთარი ოჯახის კულტურა იღებს სათავეს, სწორედ ეს უძევს საფუძვლად ადამიანის ცვილიზაციასაც.

როგორ სიყვარულსაც დატოვებ უცხო ქვეყნებში, იცო-დეთ, იგივეს ჩამოიტანთ სამშობლოში, რადგან: „ყოველი რომელი გინდოდეს თქუენ, რათა გიყონ კაცთა ეგრეცა თქვენ ჰყავით მათთა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წი-ნასწარმეტყველნი“ – ამბობს მათე.

თქვენ გინდათ პირადად თქვენი ერისა და სამშობლოს ღირსებები ცამდის აწვართონ და აგამაღლონ, გაღიარონ კულტურისა და დიდების კვარცხლბეკზე, გსურთ დაამტკიცოთ, რომ რაღაცას წარმოადგენს ამ ქვეყანაზე და როდესაც თქვენ გულით გსურთ ასეთი უპირატესობა, გაიღეთ სხვებისთვისაც ის, რისი მიღებაც თვითონ გენატრებათ...

გამგზავრების წინ კიდევ გაგაცილებთ და კიდევ გაგატანთ რჩევა-დარიგებას, თუმცა ვიცი დარიგება მოსასმენად ადვილია, შესასრულებლდაა გაცილებით ძნელი, მაგრამ ეს ყველა ადამიანის ნაკლია და ვისაც ჰგონია, რომ ეს ნაკლი არ გააჩნია, შესაძლებელია სწორედ ის აღმოჩნდეს გამოუვალ მდგომარეობაში და შემდეგ გაახსენდეს რჩევა-დარიგების უდიდესი ღირსება.

– გმადლობთ მამა! – უთხრა ნანამ და კოცნით დააჯილდოვა საყვარელი ადამიანი.

ერთი კვირის შემდეგ ვახტანგ ფერაძის პირადი დახმარებით, მზად იყო ოთხი ახალგაზრდა ადამიანის მსოფლიოს გარშემო სამოგზაურო საგზური, სათანადო საბუთების მიღების შემდეგ გამოუცხადეს, რომ 12 ივნისს, საღამოს 17 საათსა და 45 წუთზე რკინიგზის სადგურიდან გავლენ მატარებლით პეტერბურგამდე, შემდეგ კი თვითმფრინავით ლონდონამდე, შემდეგი მარშრუტის მიმართულების სქემა ექსკურსიამძღოლს აქვს და მასთან გაიგებთო. ჩვენი ოთხეული მარტო მგზავრობას, რომ მოელოდა, რკინიგზის სადგურზე ოთხი ახლადდაქორწინებული წყვილი დახვდათ და ერთიც ოცდაათ წელს გადაცილებული ექსკურსიამძღოლი. ასე, რომ ექსპედიციაში 13 ახალგაზრდა აღმოჩნდა. ექსკურსიამძღოლი ფრიდონ დევდარიანი ზედმიწევნით განათლებული, ზრდილობიანი და მეგობრული პიროვნება აღმოჩნდა, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, სახელმწიფო უშიშროების აგენტთან ჰქონდათ საქმე. მატარებლის კუპეში თითო წყვილმა

დაიდო ბინა, მხოლოდ ექსკურსიამძღოლი, ფრიდონ დევდარიანი იყო განმარტოვებული, მაგრამ მარტოობას არ უჩიოდა, მასზედ დაქვემდებარებული კუპეების ხშირი სტუმარი იყო და გზადაგზა უხსნიდა ყველას ისტორიული ადგილების ღირსშესანიშნაობებს. მესამე დღეს სანკტ-პეტერბურგში, ქშენით შევიდა ტურისტული მატარებელი. ამბობენ ეს ქალაქი პეტრე დიდმა ადამიანთა ძვლებზე ააგოო და მართლაც ძნელია წარმოიდგინო იმდროინდელი ჭაობი ნევის სანაპიროზე, ქალაქიც იქ არის გაშენებული, სადაც ნევა ფინეთის ყურეს ერთვის. ქალაქი დასერილია ორმოცზე მეტი მდინარითა და ოცზე მეტი არხით, ამიტომ საერთო სიგრძე 160 კილომეტრს აღემატება და 42 კუნძულზეა გაშენებული. ასე, რომ ქალაქს 570 მ2 ფართობი უკავია, მაგრამ 58 მ2 წყლით არის დაფარული. ტერიტორია, სადაც ქალაქია გაშენებული IX-X საუკუნეებში ნოვგოროდს ეკუთვნოდა, XVII საუკუნეში შვედებმა დაიპყრეს ნევის სანაპირო და ციხე-სიმაგრე ააგეს, მაგრამ 1703 წელს ციხე-სიმაგრე რუსებმა აიღეს და ქალაქის მშენებლობაც დაიწყეს. ქალაქის დაარსებით გაიჭრა „ფანჯარა ევროპაში“ და ბოლო მოეღო მრავალსაუკუნოვანი ბრძოლას ბალტიის ზღვაზე გასასვლელისათვის.

იმ დროისათვის მართლაც წარმოუდგენელი იყო ჭაობზე ქალაქის გაშენება, მაგრამ პეტრე დიდის უდრეკმა ბუნებამ ყოველივე შეძლო. გადაწყვეტილების განხორციელებაში ხელის შემშლელი არავინ დაინდო, საკუთარი მეუღლე ილარიონ ლოპუხინის ქალიშვილი, ევდოკია ფიოდორის ასული ლოპუხინა 1698 წელს სუზდალსკის პოკროვსკის მონასტერში გადააგზავნა და მონოზვნად აღკვეცა, სადაც ის გაპარსეს და ელენად მონათლეს.

შვილი, ალექსეი პეტრეს ძე, რომელიც მამის რეფორმების წინააღმდეგი იყო, ბნელ საკანში ჩაამწყვდია, სადაც ტანჯვაში ამოხდა სული.

– ახლა ეჭვი არ მეპარება – თქვა ნინომ – რომ პეტრე დიდი ქართველი იყო, არ შეიძლება სხვა ეროვნება სამშობლოსათვის ასეთი თავდადებული ყოფილიყო და ასეთი დაუნდობელი.

პეტერბუგს ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილები აქვს. მათ შორის ერთ-ერთი სურათებიანი გალერეაა, რომელიც ზამთრის სასახლეში და მის მომიჯნავე ერმიტაჟში არის მოთავსებული. ამ საუკუნის დასაწყისში აქ დიდი მეფე და იმპერატორი იჯდა. უზარმაზარი სახელმწიფოს ბედს განაგებდა, დღეს კი ადამიანმა სურათების გალერეია რომ დაათვალიეროს ოცდაოთხი კილომეტრი უნდა გაიაროს, რომ ყველა, სამას ოცდაორ დარბაზში შევიდეს და დაათვალიეროს სამი მილიონზე მეტი ხელოვნებისნიმუში.

ჩვენი ოთხეული სადილისათვის რესტორან „ნევაში“ შევიდა უხვად გაჩნდა მაგიდაზე სურსათ-სანოვაგე და სანამ ჭამას შეუდგებოდნენ, როგორც ყოველთვის, კიკომ ჩვევას ვერ უღალატა და ჩანგალი პურის ნაჭრით გაწმინდა. მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა წარმოსადეგი აღნაგობის მამაკაცმა თვალი აარიდა, თავი გადააქნია და მძიმედ ჩაფიქრდა, შემდეგ წამოდგა, კიკოს გვერდით დადგა და დაჯდომის ნებართვა ითხოვა, კიკოს უნდოდა უარით გაესტუმრებინა მოსული, მაგრამ ნანამ დაასწრო და სკამი გამოწია.

– დაბრძანდით! – უთხრა მოსულს.

– ალბათ ქართველები ბრძანდებით, დაიწყო მოსულმა, მე მიხაილ მიხაილის ძე ვორობიოვი გახლავართ, კვების მეურნეობის გენერალური დირექტორი, მოხარული ვართ ქვენი გაცნობით. მე ძალზედ მიყვარს საქართველო და ქართველები, მართლაც მზიური მხარეა, პეტერბურგს კი არა ჰგავს – პოლარული ღამეებით. ოჰ, როგორი არომატული ღვინის დაყენება იცის თვითონ გლეხობამ, ღვინის ქარხნებში კი არ არის ისეთი არომატული ღვინო, როგორიც ჭურებში აქვს

გლეხობას. ამბობენ ჭურის თიხა აძლევსო თავის არომატს. შეიძლება ასეც იყოს, სასწაულია პირდაპირ, მიწაც არომატულია საქართველოსი, აქ კი მე-17 საუკუნის ჭაობია ისევ შემორჩენილი...

ნანას გაახსენდა მამის დარიგება და სიამოვნებით სახე გაებადრა, როდესაც თავისი სამშობლოს ქებას ისმენდა, სტუმარი კი განაგრძობდა.

– სასწაულია პირდაპირ, ამდენი ღვინო გაქვთ და ჭურჭელს კი არ რეცხავთ ღვინოში...

– სად გაგონილა, რომ ღვინოში გარეცხოს ვინმეს ჭურჭელი? – შეუღრინა კიკომ.

– ღვინო მეგობარო, ადამიანის საარსებო პროდუქტთა სიაში არ არის მოხსენებული, ღვინო ალკოჰოლია და ამ სითხის გარეშე ადამიანს სიცოცხლის წლები შეუძლია გაიხანგრძლივოს, პური კი ადამიანის არსებობისათვის პირველი საკითხია, უპუროდ შეიძლება რამდენიმე დღე გაძლოს ადამიანმა, შემდეგ გამოიფიტება და...

პეტერბურგის ცხრაასდღიანი ბლოკადა ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია კაცობრიობას და არც ეგების დავიწყება. აი ის პურის ნაჭერი, რომლითაც თქვენ ჩანგალი გაწმინდეთ, ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. კარგად ბრძანდებოდეთ, გისურვებთ კეთილ მოგზაურობას ტურისტებო! – წარმოთქვა მიხაილმა, ზეზე წამოიმართა, თავის მაგიდასთან აღარ დამჯდარა და პირდაპირ გასასვლელისაკენ წავიდა.

ჩვენი ტურისტები კი ოთხივე ერთი-მეორეს შესცქეროდნენ პირდაბჩენილები და სიტყვა ვერ ეპოვათ, თუ რა პასუხი გაეცათ წასული მიხაილისათვის.

– ნანას კიდევ ერთხელ გაახსენდა მამის დარიგება და რამდენიმე წუთი გარინდული იყო, სიწყნარეში დანაშაულიდან გამოსავალს დაეძებდა, მაგრამ საქციელს გამართლებას ვერავითარი მიზეზი ვერ მოუძებნა და წყნარად წარმოთქვა.

– ესეც პირველი მარცხი, შეაქო და ცამდის აიყვანა ჩვენი კულტურა ადამიანმა, მაგრამ ორიოდე სიტყვით მიწასთან გაგვასწორა.

– ერთი მაგისი!... – წარმოთქვა კიკომ დაძაბული სიტუაციიდან უკანასკნელი გამოსავალი ფრაზა.

– თუ ვინმემ გაწყენინათ დავბრიდავ სიმონ – ზეზე წამოიჭრა დოლარინო.

ნინოსა და ნანას გულიანად გაეცინათ, რადგან ბაქიაობად ჩათვალეს დოლარინოს გამოხტომა.

– კიდევ კარგი ხვალ დილას ლონდონს გავფრინდებით – თქვა ნანამ, მაგრამ ნამდვილად ველური ხალხის სახელს ვტოვებთ პეტერბურგში.

– პეტერბურგი მაინც ჩვენია, არაფრითა ვართ ამ ხალზე ნაკლები – თქვა ნინომ.

– აგერ გამომჟღავნდა შენი „უნაკლობა“, მე კი მგონია შესაშური ერია, ძალზედ მცირე დროში შეძლო მსოფლიო კულტურის იმ დონეზე განვითარება, რომ დღეს იმ ქვეყნებს თვითონ აოცებს, საიდანაც კულტურას საფუძველი ჩაეყარა – უპასუხა ნანამ და ფიქრებმა გაიტაცა. ჯერ საქართველოს საზღვრებს ხეირიანად გამოცილებულიც არ არის და მამა მოენატრა, იმისი დამრიგებლური და ბრძნული საუბარი თვალწინ დაუდგა. ყველა მშობელი, მშობელია? – გაიფიქრა მან – კიკო დანაშაულს მამის სახელით ჩადის. მე კი ვალდებული ვარ მამის სახელით სიკეთე ვთესო, ალბათ იქ უპირისპირდება ერთი მეორეს, ბოროტება და სიკეთე, ალბათ არ არსებობს იმდენად წყალწაღებული გარემოება, რომ გონიერმა კაცმა თავის სასარგებლოდ ვერ შემოაბრუნოს მღვრიე მდინარეთა დინება და ამავე სიტუაციიდან არ შეიძლება ისე გამოკეთდეს ვითარება, ბოროტმა ადამიანმა თავის საზიანოდ ვერ გამოიყენოს იგი.

ჭეშმარიტებაა რაც მიხაილ მიხაილის ძემ გვითხრა ამ რამდენიმე წუთის წინ და აგვაფორიაქა, მაგრამ ჯობდა

გინებით მოემართა ჩვენთვის, ვინმემ პირფერული დიდებით, რადგან ჭეშმარიტება ხანდისხან არც იმდენად კურთხეულია, რამდენადაც წყეულია განათლებული ადამიანის ბაგეთაგან წარმოთქმული, რომელთა ჭეშმარიტებაც ხშირ შემთხვევაში უდიდეს ბოროტებაზე მეტად ჟღერს.

ნანას თვალები ცრემლით აევსო, დანახარჯი გადაიხადა და სასტუმროსაკენ წავიდა ისე, რომ თანამოსუფრეთათვის არაფერი უთქვამს. ყველას ანდამატურად გადაედო ნანას უხასიათობა და ახლა კი ნამდვილად გულით თქვა დოლარინომ: – მიწაშიდაც კი მოვძებნი იმ პიდარასტს და მკვდარსაც ხელმეორედ მოვკლავ! მაგრამ ეს სიტყვები არც ნანას გაუგონია და არც მიხაილ ვორობიოვს.

დილის ცხრა საათზე ჩაფრინდნენ ტურისტები დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში და სასტუმრო „ტემზში“ დაიდეს ბინა. ლონდონიც, როგორც პეტერბურგი, ზღვით არის შემოფარგლული. ორ მილიონიან კვადრატული მეტრის მქონე დაბლობს ირგვლივ ცარცული კუესტური მთები აკრავს და თავისი ბუნებრივი სილამაზეც სწორედ ამაში მდგომარეობს. ქალაქი მდინარე ტემზის ორივე სანაპიროზეა გაშენებული და ზღვის დონიდან ხუთიოდე მეტრის სიმაღლეზე გაშენებულ ქალაქს ზღვის სანაპიროს ბუნება აყვავებულ სილამაზეს ჰმატებს.

ტურისტებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, წმინდა პავლეს ტაძარი (სენტ-პოლი), ოლ-სენტსის ეკლესია და სხვა მრავალი საოცრებანი, რომელიც ქალაქს არც თუ ისე ცოტა გააჩნია.

მესამე დღეს ფრიდონ დევდარიანს სასტუმროს შვეიცარმა მოახსენა, რომ ქართველებს ვინმე ლანა პიტერსი კითხულობდა და ითხოვდა ტურისტებთან შეხვედრის უფლებას. ფრიდონმა გადაწყვიტა მიეღო ვიღაც ლანა პიტერსი და სასუბროდ ნანა ფერაძეს წარუდგინა, როგორც ინგლისური

ენის საუკეთესო მცოდნეს. როდესაც ფრიდონი მოელოდა ქართველების სილამაზით მოხიბლული ქალიშვილის შეხვედრას, ხელში 72 წლის მოხუცი პენსიონერი შერჩა.

ქალი ზრდილობიანად მიესალმა ქართველებსა და სავარძელში ისე თავისუფლად მოიკალათა, ეტყობოდა არსად ეჩქარებოდა. ყველანი ლანას შესცქეროდნენ, რომ იმის სახეზე ამოეკითხათ მოსვლის მიზეზი, მაგრამ რადგან ლანაც დაბნეულობისაგან თითებს იმტრევდა, ტურისტებმა დაასკვნეს, დახმარებისათვის არის მოსულიო და ნანამ ოცდოლარიანი გაუწოდა:

– არა, არ მინდა, დახმარებისათვის არ ვარ მოსული! – დამტვრეული ქართული წარმოთქვა ლანამ.

ტურისტებს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდათ, რომ ოკეანის გადაღმა ვიღაც პენსიონერი ქართულად ლაპარაკობდა.

ნინომ გაკვირვება ვერ დამალა და – „საიდან იცით ქართული ენაო“ – ლანას შეეკითხა.

– მე ქართველი ვარ სტალინის ქალიშვილი, ნათელა ჯუღაშვილი, იგივე სვეტლანა ალილუევა – უპასუხა მოხუცმა.

– აი სიურპრიზი, აღმოჩენაც ამას ქვია! – წამოიძახა ნანამ. ყველაფერი დაწვრილებით მოგვიყევით ქალბატონო საქართველო თქვენით ძალზედ დაინტერესებულია.

– ვიცი და მეც ამიტომ მოვედი თქვენთან, ისიც ვიცი საქართველოს მიწა არ მეღირსება და არცა ვარ ღირსი, მაგრამ ვეღარ გაუძელი ცოდვათა სისხლის ყივილს და ახლა, როდესაც თქვენთან ვლაპარაკობ, თავს ვალმოხდილად ვგრძნობ და მგონია ვალმოხდილი წავალ ამ სოფლიდან.

– რამდენადაც ვიცი, თქვენ არასოდე არ ყოფილხართ ნათელა ჯუღაშვილი, რატომ არ ატარებთ საკუთარ გვარსა და სახელს, გრცხვენიათ სტალინის ქალიშვილი რომ ბრძანდებით?

– როგორ გეკადრებათ, მე საკუთარ სახელსა და გვარს პირველ ქორწინებამდე ვატარებდი, შემდეგ ქმრის გვარზე გადავედი და სვეტლანა მოროზოვად მოვინათლე, რადგან ჩემი პირველი ქმარი კრემლის გვარდიელი გრიგორი მოროზოვი იყო და მასთან შეძენილი ჩემი ვაჟიშვილი – იოსები ახლა 52 წლისაა, მაგრამ არ ვიცი სად იმყოფება, რადგან სული ეშმაკს მიჰყიდა და დედის ამბავს აღარ კითხულობს.

– აბა ახლა ვისთან იმყოფებით ამ უთვისტომო ქვეყანაში, სადაც შორეული ქვეყნიდან გესმით თქვენი სამშობლოს ცოდვათა გოდება? – შეეკითხა ნანა.

– მოდით ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ, რადგან დარწმუნებული ვარ, თქვენა ხართ ბოლო ქართველები, რომელთანაც საუბარი მიწევს. ეს ჩემი საუბარი აღსარებაა და მწამს ვერც ერთ მოძღვარს ვერ ვნახავ ისეთ სუფთას, როგორიც ქართველის გული მეგულვის. თქვენ გაგანდობთ ჩვენი ოჯახის ყველა საიდუმლოს და თვითონ განსაჯეთ მტყუან-მართალი.

– რატომ ქალბატონო, თქვენ ხომ დაწერეთ წიგნი „ოცი წერილი მეგობარს“, ნუთუ იქ სიმართლე არ აღიარეთ და არ გააცანით მსოფლიოს „ვისი გორისა ხართ?“ – ჰკითხა ნინომ.

– წიგნი „ოცი წერილი მეგობარს“ მე ვერ დავწერე ორი მიზეზის გამო: პირველი ის, რომ ჩემი შვილი იოსები მაშინ საბჭოეთში ცხოვრობდა და ვიცოდი ჩემი წიგნი მასზე შურს იძიებდა; მეორე და მთავარი მიზეზი ის არის, რომ მე მწერალი არ გახლავართ, მიუხედავად იმისა, რომ გამომყვა მამაჩემის ნიჭი და სიბრძნე, შესაძლოა მამაჩემსაც ვერ დაეწერა ის, რისი შეკვეთაც მე ქონდა შტატებისაგან. მწერლობა ყველას ადვილი ჰგონია, როდესაც სახელგანთქმული მწერლის დაწერილ წიგნს ვკითხულობთ და ვამბობს: – „ასეთს მეც დავწერო“, მაგრამ გვავიწყდება, რომ მწერლობა ბუ-

ნებრივი ნიჭია და არა სკოლაში შესწავლილი – „აი ია“. მწერალი მაშინ არის მწერალი, როდესაც ღვთიური ნიჭის უზარმაზარი გასაქანი აქვს და მბრძანებლობს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, მაგრამ თუ დრომ თვითონ იბრძანებდა მწერალზე, წიგნი სატუალეტე ქაღალდად გამოდგება მხოლოდ.

მამაჩემი უზარმაზარი სიბრძნის მფლობელი იყო, დღესაც ვერ ჩამწვდარა კაცობრიობა იმის სიბრძნეს და მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ჩამოყალიბდა – „სტალინოლოგია“, სადაც მიმდინარეობს შესწავლა პიროვნებისა, ადამიანი იყო თუ არა სტალინი.

– რა მიქარავაა, ადამიანი იყო, აბა ვინ უნდა ყოფილიყო? – წამოიძახა კიკომ.

– ადამიანი იყო ქრისტეც, მაგრამ ადამიანებმა მასში მხოლოდ ადამიანი დაინახეს და ჯვარზე გააკრეს, სინამდვილეში კი ღმერთი ჭარბობდა და ღმერთის ენით მოძღვრავდა კაცობრიობას. იქნებ ასე იყო სტალინიც. ისიც გააკრეს ჯვარზე, ნაგავში ამოსვრარეს მთლიანად რევოლუციისა და ომის ისტორია, მაგრამ ის აღსდგება ისეთივე დაგვიანებით, როგორც ქრისტე აღდგა. ბოლოს და ბოლოს გაიგებს კაცობრიობა ვინ იყო სტალინი.

– ქრისტე მაგალითი იყო კაცობრიობისათვის რომ ეცნოთ ღვთიური ადამიანი და გაერჩიათ კეთილი ბოროტისაგან, თუ სხვამ ვერ შეიცნო მასში ჭეშმარიტება, რად ვერ შეიცანით თქვენ, ოჯახის წევრებმა? – შეეკითხა ნინო.

– ვერც დედამ თავისმა ვერ შეიცნო ქრისტე, მაგრამ ის ამბობდა მე ხალხისთვის უნდა ვეწამოო, ასე ამბობდა სტალინიც და როგორც ქრისტეს არ დაუფასეს ამაგი, ასევე სტალინის ღვაწლიც ლაფში ამოსვარეს. ოჯახის წევრებმა თუ ვერ შევიცანით სტალინის სიდიადე, დამნაშავე დედაჩემია – ნადეჟდა ალილუევა.

– შენ მოხუცებულობამდე სულ სხვაგვარად ფიქრობდი, – უთხრა ნანამ.

– მართალია, იმიტომ, რომ მეც დედის გენები გამომყვა, თოთხმეტი წლისას ინგლისის 45 წლის ჯაშუში შემიყვარდა, რა თქმა უნდა ის იმიტომ დამიახლოვდა, რომ კრემლის საიდუმლო იმისათვის გამეცნო, მაგრამ რაც არ ვიცოდი რას გავაცნობდი? მამაჩემი ოჯახის წევრებს სახელმწიფო საქმეში არ ახედებდა და თვითონაც ვერ იცლიდა ოჯახის მისახედად, დედა კი მუდამ ეჩხუბებოდა „ტანცებზე“ ვიაროთო. აბა სად ჰქონდა ცეკვებზე სასიარულო დრო მამას, როდესაც დღე-ღამეში თექვსმეტ-თვრამეტ საათს მუშაობდა და ისტორიისაკენ გზას გვიკვლევდა. ვინ იქნებოდა ნადეჟდა ალილუევა, სტალინი რომ არ ყოფილიყო? უბრალო მოკვდავი ქალი, რომლის ვერც დაბადებას ვერავინ გაიგებდა და ვერც გარდაცვალებას, მეც დღემდე მიცნობენ, როგორც სტალინის შვილს და ეს დიდ პრივილეგიებს მანიჭებს, თორემ ვინ ვიქნებოდი დღეს?

დედაჩემმა კი თავი მოიკლა ბიძაჩემის პავლეს ნაჩუქარი პისტოლეტით (ბრაუნინგით). ნეტავი რა ჰქონდა თავის მოსაკლავი? რა აკლდა? ყველაფერი თავზე საყრელი ჰქონდა, დიდებაც კი. ჩვენი მოვლა-პატრონობითაც არ იწუხებდა თავს, საბავშვო ბაღშიდაც მამას დავყავდით, ის ყოველთვის უცხოსავით იქცეოდა ოჯახში, მაგრამ მამაჩემის სამსახურებრივი სიმკაცრე ოჯახში მუდამ ლმობიერებით იყო შეცვლილი და ვერც ამჩნევდა, რომ დედა თავისდაუნებლად მამაჩემის მტრის ბანაკს ემსახურებოდა. 1927 წელს მამაჩემის დაუკითხავად დედა ცნობილი ტროცკისტის იოფის დაკრძალვაზე წავიდა, სადაც თავი მოეყარათ ოპორტუნისტებსა და საბჭოთა ნაძირალებს ტროცკის, ზინოვიევისა და კამენევის მეთაურობით. ზინოვიევმა საჯაროდ ამოთხვარა ლაფში მამაჩემი. დედაჩემი კი ერთადერთი ქალი იყო იმ დაკრძალვა-

ზე და მშვიდად ისმენდა თავისი მეუღლის ლანძღვა-გინებას, ბოლოს ესეც არ იკმარა, აღაპზედაც წავიდა, სადაც მამაჩემი ლანძღვა-გინება გრძელდებოდა და თავს აქნევდა. არ ვიცი თანხმობის, თუ სინანულის ნიშნად. 1932 წელს კი რა ბზიკმა უკბინა დედას, დღემდე არ ვიცი. მეც სახლში ვიყავი და ვასილიც. მამა ზალაში მუშაობდა და შემდეგ იქვე ტახტზე ჩაძინებოდა. დილას დედა მკვდარი ვნახეთ თავის საძინებელ ოთახში. ამ ტრავმამ საგრძნობლად შეარყია მამაჩემის ჯანმრთელობა, რომელსაც რევოლუციამდელი იატაკქვეშა მუშაობის ტანჯვები ემატებოდა, რაც უზარმაზარ ნერვიულობასთან იყო დაკავშირებული. სისტემატურმა გადატვირთვამ სამოქალაქო ომში, არაადამიანურმა დაძაბულობამ მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენის ხელმძღვანელობამ, თავდაუზოგავმა შრომამ და უძილო ღამეებმა თავისი კვალი დატოვა მის ჯანმრთელობაზე, ის ექიმებს არასოდეს არ მიმართავდა, მუდამ მკურნალობდა ოჯახში „საოჯახო საშუალებებით“.

ახლა კი, როდესაც დაიშალა ფოლადისებური ნებისყოფით ნაგები ქვეყანა, მეამბოხეებმა იარაღი აისხეს და განუკითხავად ჟლეტენ საკუთარ ერს. სტალინსაც ტერორი დასწამეს, თითქოს დამნაშავენი და სოციალიზმის დაუძინებელი მტრები არ ყოფილიყვნენ: – პიატიკოვი, კამენევი, ზინოვიევი, ბუხარინი, ტროცკი და მრავალი უდღეური, პირადი იდეებისათვის და არა ქვეყნისათვის მებრძოლი ტერორისტები.

სტალინი ვინ იყო მათთან შედარებით, აურაცხელი მსხვერპლის ფასად ააგეს თავიანთი იმპერიები ალექსანდრე მაკედონელმა, იულიუს კეისარმა, ნაპოლეონ ბონაპარტმა, მილიონობით ფრანგის სიცოცხლე შეიწირა საფრანგეთის რევოლუციამ. მისმა ლიდერებმა კამილ დემულენმა და ჟორჟ დანტონმა აუარებელ თანამემამულეს გააგდებინეს

თავი გილიოტინით, მაგრამ არც მათ გაუმართლა, მათი თავებიც იგივე გილიოტინით წაკვეთილი აღმოჩნდა ეშაფოტზე. განა ცოტა გვამებით აივსო ხევები, როდესაც რუსი მეფეები ოცდაათი წლის განმალვობაში იბრძოდნენ კავკასიის დასამორჩილებლად? სტალინმა კი ეს პრობლემა ერთი დღეღამის განმავლობაში განახორციელა და ისიც უსისხლოდ. რატომ იყო სტალინი ლაფში ამოსვრილი, თვითონ წყალწაღებული იმპერიის ლაფიდან ამოყვანისა და უძლიერესი ატომური იმპერიის დატოვებისათვის?

– პირადად თქვენზე გველაპარაკეთ, რამ შეგატყვარათ თოთხმეტი წლის ბავშვს ორმოცდახუთი წლის კაცი და ისიც ინგლისის აგენტი? – შეეკითხა ნანა.

– მამაკაცი არისტოკრატიული შეხვედულების, ტკბილად მოსაუბრე, მეტი რა უნდა გამოუცდელ ქალიშვილს? რაც შეეხება ინგლისის აგენტობას, ეს მე არ ვიცოდი და შემიყვარდა არა აგენტი, არამედ სურნელოვანი და სანდომიანი მამაკაცი. ასაკის სხვაობას თუ მიჩერებიხართ, უკაცრავად ბრძანდებოდეთ – სიყვარულმა ასაკი არ იცის ოცდაექვსი წლის ედგარ პომ ცამეტი წლის გოგონა შეირთო ცოლად. ოცდათოთხმეტი წლის ლევ ტოლსტოიმ თვრამეტი წლის ქალიშვილზე დაიწერა ჯვარი, ორმოცდახუთი წლის დოსტოევსკიმ ოცი წლის ქალიშვილი მოხიბლა და ცოლად შეირთო, მეფე ალექსეი თავის მეუღლე ნატალია ნარიშკინაზე ოცდასამი წლით იყო უფროსი. ორმოცდაცამეტი წლის ჩარლი ჩაპლინმა ჩვიდმეტი წლის უნა შეირთო და სამშობლოს რვა შვილი დაუტოვა. სუეციის არხის მშენებელი ინჟინერი ფერდინანდ ლესეპზე სამოცდახუთი წლისა იყო, როცა ოცდაერთი წლის ქალიშვილი შეირთო ცოლად და მათ თორმეტი შვილი შეეძინათ. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა პაპანდრეუმ, ოჯახი დატოვა და ორმოცი წლის უმცროსი ანდრეა ლიანი შეირთო, ესპანელმა სამოცდათხუთმეტი წლის კამილო სერამ ორმო-

ცი წლის უმცროსი ჟურნალისტი შეირთო ცოლად და რომელი ერთი ჩამოგითვალო: ლოპე დე ვეგა, მირე კალმანი, დრაიზერი, ევგენი ევტუშენკო, პაბლო პიკასო, ივ მონტანი, ალენ დელონი, ჰენრი ფონდა, ესენი ხომ ოცდაათი-ორმოცი წლის უფროსები იყვნენ თავიანთ მეუღლეებზე და არც თუ უიღბლო ქორწინებით არიან ცნობილნი. ასე, რომ გეროლოგია ხშირ შემთხვევაში ამართლებს კიდეც. სიყვარული საზოგადოებრივ აზრს არ ემორჩილება, ხშირად უარყოფს ბრძნულ თეორიებს და ასაკობრივი სხვაობა ყოველთვის ბედნიერია თუ მდედრობითი სქესი არ არის ქარაფშუტა.

მე არაფერიც არ დამიშავებია, რომ თოთხმეტი წლისას ორმოცდახუთი წლის კაცი შემიყვარდა, შეიძლება მასთან მეტად ბედნიერი ვიქნებოდი, ვიდრე კრემლის გვარდიელ გრიგორი მოროზოვთან ვიყავი.

არც მეორე ქმართან, ანდრია ჟდანოვის ვაჟიშვილთან, იური ჟდანოვთან ვიყავი ბედნიერი, მასთან მხოლოდ ერთი ქალიშვილი შემეძინა – ეკატერინე. ახლა ის ორმოცდარვა წლისაა და არც ის კითხულობს ჩემს ამბავს, იმანაც იოსებივით ეშმაკს მიჰყიდა სული და დაივიწყა მშობელი დედა.

მესამე ქმარი, უილიამ პიტერსისაგანაც მყავს ერთი ქალიშვილი. ახლა ის ოცდარვა წლისაა და ამერიკაში პატარა ქალაქ სპრინგ-გრინში ცხოვრობს, მხოლოდ ის არ მივიწყებს, წელიწადში ერთხელ ყოველთლვის მომინახულებს ხოლმე აქ – ლონდონში.

ასეთ საქციელს ქალბატონო, ჩვენთან საქართველოში ბოზობას ეძახიან! – წამოიძახა კიკომ და გასასვლელად მოემზადა, მაგრამ დოლარინომ დაქაჩა ძირს ხალათში და თავის ადგილზე დააჯინა.

ლანას კიკოს წამოძახილისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ის ისეთივე ტონით, აუღელებლივ განაგრძობდა.

– თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია, დღეს აქ ვცხოვრობ ლონ-

დონში, კესინგტონის რაიონის სოცუზურნველყოფის განყოფილებაში სახელმწიფო დახმარებით, თავს ვირჩენ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მოწყალებით, რაც კვირაში სამოცდაორ გირვანქა სტერლინგს არ აღემატება, ეს სულ ას თოთხმეტი ამერიკული დოლარია და საკმარისია ჩემისთანა მოხუცებული ადამიანისათვის.

– საინტერესოა, ან მაგ თანხის რა გაუკეთე დიდ ბრიტანეთს. შენ ლანა პიტერსი კი არა პიდარასტი ყოფილხარ ქალბატონო, მშობლების, შვილების, ქმრებისა და რაც მთავარია, საშმობლოს მოღალატე! – წამოიძახა დოლარინომ და კარები ისეთი სიძლიერით გაიხურა, რომ ფანჯრებში მინები ჩაიმსხვრა.

– იქნებ რაიმე გაქვთ დაწერილი, ხომ არ გაგვატანდით, რომ თქვენის ახელით საქართველოში გამოვაქვეყნოთ? – უთხრა ნანამ.

– კი მაქვს დაწერილი ორი წიგნი, თუმცა კრემლმა, ლონდონმა და ვაშინგტონმა პირი შეკრეს, რომ ჩემი წიგნები არ დაიბეჭდოს. ჯერჯერობით იმედს არ ვკარგავ, შესაძლებელია მივაღწიო მიზანს, რაც შეეხება ბრალს რომ მდებთ ოჯახისა და სამშობლოს ღალატში, ეს სწორი არ არის, დღეს სამშობლო ისე მენატრება, როგორც არასდროს, ღრმად მოხუცებულს მიწა მეძახის, მაგრამ ეს მხოლოდ მონატრებაა, რომელსაც ასრულება არ უწერია.

ლექსი დავწერე ერთი. ახალგაზრდობაში მამაჩემიც წერდა ლექსებს. მე კი ამ მხრივაც გამომყვა იმისი ნიჭი და მოცუცებულობაში დავწერე მშობლებისა და სამშობლოს გამოძახილი. აი, თანა მაქვს წამოღებული, გაგატანთ თუ გამოაქვეყნებთ, წინააღმდეგი არ ვიქნები – თქვა ლანა-ნათელა-სვეტლანამ და ოთხად გაკეცილი ფურცელი ნანას გადაუწოდა. ფრთხილად, აუჩქარებლად გახსნა ფურცელი ნანამ და ხმამაღლა წაიკითხა:

მამულზე ფიქრი გულ-ღვიძლს მიღადრავს,
იზრდება მღრღნელი ბოროტი ჭია,
მე ცოცხალი ვარ? – ვინ რას მიჰქარავს!
ასეთ სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია?
მკვდრების ხსოვნისთვის დავცალე თასი,
მკვდრების ლექსებში დაშრა მელანი,
სიცოცხლეში მათ ვერ დავდე ფასი,
ვისაც ვუყვარდი მოკვდა ყველანი.
ვარსკვლავიც არ ჩანს მძიმედ დღამდა,
ვინმე მეწვიოს რა უნდა ვუთხრა?
მაგრამ მომძებნა მკვდარმა მამამ და
იცით რა რისხვით შემომაფურთხა?!
– შენ რა გინდა აქ? – მითხრა მან წყრომით, –
– რად მომიკალი ხსოვნის მერცხალი,
რა დავაშავე რომ აღარ გახსოვს,
აღარც მკვდარი და აღარც ცოცხალი!
მე თან წავიღებ ჩემს გულის ვარამს,
გულში ჩავიკლავ ვინც რა მიჰქარა,
გაგახსენდებათ ვისთვის ვინ ვიყავ
კაცი ვიყავ თუ ხარი წიქარი!

– ბრავო! ეს ლექსი სულ ჯობია შენს თავგადასავალს – უთხრა ფრიდონ დევდარიანმა.

შექებამ აღაფრთოვანა და ბავშვივით აცეტდა ლანა. სხვა ლექსებიც გადმოალაგა ჩანთიდან და ყავა მოითხოვა.

– მე მკითხაობაც შემიძლია – თქვა ლანამ და ყავის ლამბაქს დააკვირდა.

– მკითხაობა კი არ ეკადრება სტალინის შვილს – უთხრა ნინომ.

– მათხოვრობა თუ ეკადრება, მკითხაობა რით არის ნაკლები? წყნარად თქვა ფრიდონმა, მაგრამ ლანას სმენას მაინც მიწვდა ფრიდონის უხიაგი საყვედური

– რითა ვარ მათხოვარი, ყავა რომ მოვითხოვე? მე ამის საფასურს გადავიხდი – თქვა განაწყენებულმა ლანამ.

– არა ძვირფასო, ყავას არავინ გსაყვედურობს, არც ღვინოს დაგაყვედრიან საქართველოში, იმიტომ რომ ის სამშობლოა შენი, აქ კი უცხოთა ქვეყანაში მიღებული მოწყალება, მათხოვრობაა, შენი ღირსეული მშობლების ხსოვნის შებღალვაა და სამშობლოზე თავლაფის დასხმა – უთხრა ფრიდონმა.

ლანას კამათი აღარ დაუწყია. ყავა ნახევრად დაულეველი დატოვა და წავიდა. ის მიდიოდა ისე, რომ არავის გამომშვიდობებია, გამართული ნაბიჯით, დიდგვაროვნად, ტანის რხევით, მთლად ახალგაზრდულად არა, მაგრამ ისე, როგორც გამოუდიოდა სამოცდათვრამეტი წლის მოხუცს.

– ერთი სული მაქვს როდის წავალ აქედან! – თქვა ნანამ იმიტომ კი არა, ცოტაა ღირსშესანიშნავი ადგილები, არა, უბრალოდ შემძულდა, ასე მგონია მათხოვრების თავშესაფარია ეს ქალაქი. შემძულდა იმიტომ, რომ აქ იმყოფება ადამიანი, სახელგანთქმული ადამიანის შთამომავალი და უზარმაზარი ნიჭის პატრონი, ცხოვრობს უცხო ქვეყნისა და თესლის შეწყალებით, მათ მათხოვრად, რომელსაც არავითარი სიკეთე არ გაუკეთებია მშობლებისათვის, ოჯახისათვის (უფრო სწორად – ოჯახებისათვის) და სამშობლოსათვის, რომელიც ასე ძლიერ ენატრება დღეს.

მე არ ვამტყუნებ ნადეჟდა ალილუევას, რომელმაც ვერ აუწყო პოლიტიკური ნაბიჯი მეუღლეს და თავი მოიკლა. ასე რომ მოქცეულიყო ეს ლანაა თუ სვეტა, ათასწილად აჯობებდა, რადგან თვითონაც აცილდებოდა დამცირებას და მისი მშობლებიც – თქვა ნინომ.

– ჩეჩილი, სტალინის მეგობარი იყო და მისი ქვეყანა ლუკმას როგორ დაუკავებს მეგობრის შთამომავალს? – თქვა ფრიდონმა და სპორტდარბაზში წავიდა ჭადრაკის სათამაშოდ.

– ოჰ, ერთი წერა შემეძლოს, მწერალი ვიყო, უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი, – თქვა ნანამ – მთლიანად გადმოვატრიალებდი მეოცე საუკუნის არქივს და სტალინზე უზარმაზარ წიგნს დავწერდი, რომელი სიდიდით დღემდე გამოცემული ყველაზე დიდი წიგნის ატლასზე მეტი იქნებოდა.

– აუჰ – გაიკვირვა ნინომ, ხომ არ გეჩვენება, რომ ძალზედ გიგანტი სურვილი აღგეძრათ, 1662 წელს გამოცემული ატლასი 250 კგ-ს იწონის, სიგრძით ორი მეტრია და სიგანით ერთი მეტრი და სამოცდაათი სანტიმეტრი. ასეთი წიგნი შენ რომ დაწერო, ისეთი პატარა ხარ, ვერც სიგრძით გაწვდები და ვერც სიგანით, ამიტომ იმის გარშემო სიარული ავტომობილით მოგიწევს, მაგრამ ის კი არ ვიცი როგორ უნდა წერო ავტომობილიდან, თუმცა ხომ შეიძლება მივცეთ შეკვეთა და სამმეტრიანი ავტოკალამი დავამზადებინოთ ქარხანას?

– აბა, აბა ჭკუით, შენს გამოტვინებულ თავს დაცინე და მე არაფერი მაქვს შენი დასაცინი, აი ნახავ გავიზრდები და დიდ წიგნს თუ არ დავწერ, მრავალი წიგნის ავტორი ვიქნები – უპასუხა ნანამ.

– ჰო ვიცი, აგატა კრისტს ჩამოიტოვებ, რომელიც ოთხმოცდაშვიდი დეტექტიური რომანის ატვორია, მისი წიგნები მსოფლიოს ასსამ ენაზეა ნათარგმნი და სამას მილიონჯერ გამოცემული. – უპასუხა ნინომ და კიდევ მეტად გააღიზიანა დობილი.

– ყოველ შემთხვევაში შენისთანა უნიათო ექიმი არ დავრჩები ცხოვრებაში. მართლმსაჯულება იმდენ დეტექტიურ მასალას დამიგროვებს, წიგნები კი არა, შეიძლება კინოფილმებიც გადავიღო – უთხრა ნანამ.

– მასალას სხვისგან თუ ვერ დააგროვებ, საკუთარი მაინც გამოგადგება – უპასუხა ნინომ და ოთხივეს სიცილი აუტყდა.

სამი დღე დაჰყვეს ტურისტებმა ლონდონში, შემდეგი მარშრუტი კი საფრანგეთია – პარიზი და დილით, მეოთხე დღეს ტურისტული ლაინერით ყველანი პარიზს ესტუმრნენ. პარიზი – მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქი, გაშენებულია მდინარე სენის სანაპიროზე. იგი კუესტური სერებით არისშემოფარგლული და ეს ბუნებრივი სიმდიდრე კიდევ მეტ სილამაზეს აძლევს მის მსოფლიოშიგანთქმულ არქიტექტურას.

ტურისტები პარიზის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას შეუდგნენ. აქ საათობით შეიძლება იდგე არქიტექტურულ ნიმუშთან და განშორებით მაინც უკმაყოფილო დარჩე. რად ღირს მარტო ეიფელის კოშკის სილამაზის ცქერა, ვალდე-გრასის მონასტრის ჩუქურთმა და მოხატულობა, პანთეონი (სენტ-ჟენევიევის ეკლესია), მართლმსაჯულების სასახლე. პონტ-ო-შანჟის ხიდი და რაც მთავარია, თანამედროვე მხატვრული მუზეუმი, ჟორე პომჟიდუს სახელობის ხელოვნებისა და კულტურის ნაციონალური ცენტრი, რომლის ფართობი თვრამეტი ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. აქ შეიძლება საბჭოთა კავშირის რევოლუციური პერიოდის ყველა უტყუარი ორიგინალური მასალის ყიდვა-შეძენა, რომელი საიდუმლოც ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა კავშირში ტაბუ დადებულია, პარიზში თავისუფლად შეიძლება იმის შეძენა.

ნანა მამის დარიგების თანახმად „ფრანკლინს“ დაეკითხა თუ რომელი ფოტო-სურათები და არქივის მასალები ეყიდა. როდესაც მამისა და ფრანკლინის თანხმობა მიიღო დაუნანებლად გასცა მოზრდილი კაპიტალი და საკმაოდ დიდი დასაიდუმლო არქივიც შეიძინა.

საღამოს ფრიდონ დევდრიანი მოისვეს გვერდით და რევოლუციურ-ისტორიული დოკუმენტების გაცნობას შეუდნენ. მართალია დღეს, საუკუნის დასასრულს, კაცობრიობას

ვეღარაფერით გააკვირვებ, მაგრამ არ შეიძლება ადამიანი იყოს ისეთი ქვა-გულის მქონე, არ შეძრას „რომანოვთა ოჯახის, უკანასკნელი წლის ოჯახურმა ტრაგედიამ“, რომელიც ნებისმიერ ადამიანს განაცვიფრებს და დღესაც გაიძახის მსოფლიო: „ბავშვები რისთვის“.

თუ დღემდე ტაბუდადებულ დოკუმენტებს დაუჯერებთ, რუსეთის უკანასკნელი მეფე ნიკოლოზ II და მისი მეუღლე დედოფალი ალექსანდრე ფიოდორის ასული, ისტორიის თვალსაზრისით მართლები არ იყვნენ, საომქალაქო ომის დროს არ გაუკეთებიათ ის, რაც იმპერატორს მოეთხოვებოდა – სიმკაცრე. ლმობიერება კი ხშირად შემთხვევაში, შიშის გრძნობას ბადებს ლმობიერის მიმართ: „ეშინია ჩემი, იმიტომ არის ლმობიერი“ – ამბობს შეწყალებული ადამიანი და სწორედ ლმობიერებამ დაღუპა რომანოვების ოჯახი.

1905 წლის 9 იანვრის „სისხლიანი კვირა“ იყო რევოლუციის დასაწყისი. კომუნისტებმა მოისყიდეს მონარქისტული მოძრაობის ლიდერი მღვდელი გაპონი და მეფის დაუკითხავად მუშათა გამოსვლებს დაუპირისპირეს. გამარჯვების სასწორის პინამ მეფის გვარდიის მხარეს გადაიხარა და აჯანყებას სამუდამოდ ელოდა ჩაქრობა, მაგარმ მეფე ნიკოლოზ II-მ რომ შეიტყო შექმნილი ვითარების შესახებ, მკერდი გაიღეღა და მებრძოლთა შუაში ჩადგა, აჯანყებულები დაამშვიდა, მაგრამ მისი ლმობიერება ბოროტად გამოიყენეს და რუსეთის რამდენიმე ქალაქში იფეთქა აჯანყებამ. სწორედ ლმობიერებამ შეუშალა ხელი არმიას გამარჯვებაში, ყოველგვარი არჩევნების ადა ხალხის ნება-სურვილის გარეშე მეფემ ნება მისცა ტახტის მტრებს სურვილისამებრ ემოქმედათ – „მე არა ვარ წინააღმდეგი, ტიტული ნებისმიერ მმართველს დავუთმო, თუკი ხალხი უკეთესად იცხოვრებს“ – განაცხადა ნიკოლოზ II-მ და უარი თქვა იმპერატორის ტახტზე, ამიტომ არმია და მუშათა კლასის უმეტესი წარმო-

მადგენლები გაუდგნენ და ვითარებაც მსოფლიო რევოლუციაში გადაიზარდა.

ამჟამად მსოფლიოს მეცნიერ-ისტორიკოსთა შორის დადგა საკითხი: – „მოვეხმაროთ ხალხს გაიგოს სიმართლე ლეგენდარულ მეფე ნიკოლოზ II-ის ოჯახზე. სიმართლე როგორიც არის სინამდვილეში, დაიწეროს სინდისის მიხედვით უშიშრად, გაუფერადებლად და შეულამაზებლად“. არსებობს ისტორიული სასამართლო, რომელიც მიწიერ ან რელიგიურ სასამართლოსაგან განსხვავდება. კოლექტიური მეცნიერთა გაგების საერთო სინდისის განსჯით.

იმ ისტორიული პერიოდის განსჯა, რომელშიც ნიკოლოზ II-ს უხდებოდა მოღვაწეობა, იყოფა ორ ფენად: მეფობამდე დროინდელი პერიოდი და მეფობის შემდგომი წლები. რომლის განხილვაზეც ჩვენ თავს შევიკავებთ და ეს საქმე მეცნიერ-ისტორიკოსებისათვის მიგვინდია.

მეფე ნიკოლოზ II-ს და ალექსანდრა ფიოდორის ასულს ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდათ. მათზე შეყვარებული იყო მთელი რუსეთი. ჯერ კიდევ ვერ გაუგია კაცობრიობას თუ ვის წინაშე იყვნენ ბავშვები დამნაშავენი, ნუთუ ეს დანაშაულია, რომ ისინი მეფის ოჯახში დაიბადნენ და ისეთ ცხოვრებას ეწეოდნენ, როგორც ჩვეულებრივი გლეხის გოგონები. არა, ისინი დაადანაშაულეს, რომ ნიკოლოზელები იყვნენ და რევოლუციის მტრებად აღიარეს. რევოლუცია კი მტრების დასჯას მოითხოვდა. დასაჯეს და მკვლელები მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სახელმწიფო პენსიასა და რძეს ღებულობდნენ, როგორც მავნე სამუშაოს შემსრულებლები, ისინი ამაყობდნენ და ხშირად ტრაბახობდნენ ჩადენილი სისხლიანი მკვლელობით.

ქალიშვილები სპარტული შემართებით ცხოვრობდნენ. არავითარი ფუფუნება და არავითარი ზედმეტი, უფროსი დის გამოცვლილ კაბას სიამოვნებით ატარებდა მომდევნო

და უმცროსს დაკერილის ჩაცმაც კი უწევდა, რასაც არასდროს არ თაკილობდა. არც ერთი მათგანი არასდროს არ ყოფილა საყოველთაო შეკრებაზე, სადაც ფული იყო გადასახდელი. სამოქალაქო ომის დროს ოთხივე და მუშაობდა ჰოსპიტალში და მკურნალობდნენ დაჭრილ ჯარისკაცებს, როდესაც უფროს ქალიშვილს – ოლგას, რუმინეთის მეფის მემკვიდრემ ხელი სთხოვა, ქალიშვილმა უარით გაისტუმრა მზეჭაბუკი, რადგან ვერ წარმოედგინა სამშობლოს დატოვება და მის ფარგლებს გარეთ გათხოვება.

დააკვირდით სურათს, ეს ანგელოზები ჯერ კიედვ სიყვარულის გამოუცდელები, დედისა და მამის ფრთებს ქვეშ შეფარებულები არიან. მათი სახელის გაგონება ბევრ ვაჟკაცს უჩქროლებდა გულს და ვინ იყო ეს მხეცი, რომ სასიკვდილოდ გაიმეტა ანგელოზთა სახიერება. ოლგა, ტატიანა, მარია, ანასტასია.

ალექსანდრე ხომ მთლად ბავშვი იყო, დაბადებიდან „გემოფილიით“ დაავადებული, ვერ დადიოდა. ის მუდამ აყვანილი დაჰყავდა მამას, მისი საშინელებით აღსრულება რაღამ განაპირობა?

მეფის ოჯახი არ ელოდა დაპატიმრების განაჩენს, მაგრამ რომანოვთა მთელი დინასტია შეიპყრეს და ურალში გადააგზავნეს, ეკატერინობურგში. იქ პატარა მხატვრის ფანქრით შესრულებული ნახატი ნანას ათასი დოლარი დაუჯდა.

16 ივლისს ეკატერინობურგში მიიღეს მიფროვკა ბრძანებით: – რომანოვთა განადგურების შესახებ, რომელსაც ხელს აწერდნენ ულიანოვი და სვერდლოვი. დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს სისხლით გაუმაძღარი ბარბაროსები: – იუროვსკი, მედვედევი და ვოიკოვი.

იუროვსკი იმ სახლის კომენდანტი იყო, სადაც მეფის ოჯახი ჰყავდათ დაპატიმრებული და თვითონ ჩამოიყვანა ყველანი სარდაფში, საიდანაც ყოველგვარი ავეჯი იყო გამოტანილი

და ოთახი სასიკვდილოდ იყო გამზადებული. მეფემ შვილი აყვანილი ჩაიყვანა სარდაფში და მუხლებზე დაისვა. არავინ არ ელოდა ყოველგვარი სასამართლოს გარეშე სიკდვილის განაჩენს, მაგრამ მოულოდნელად სამი პირსისხლიანი ტერორისტი ერთი ნაგანითა და ორი მაუზერით მიზანაუცდენლად ისვრიან, მეფე ასწრებს ტყვიას და მკერდით ეფარება თავის ინვალიდ პირმშოს, მაგრამ მხოლოდ წამიერად იფარავს სიკვდილისაგან. მკვლელებმა გვამებისგანადგურების ახალი დადგენილება მიიღეს, ეს ოპერაცია ვოიკოვის ხელმძღვანელობით უნდა შესრულებულიყო, როგორც ქიმიკოსის ფუნქციაში შემავალი სამუშაო.

გვამები უნდა განადგურებულიყო უკანასკნელ ფერფლამდე, რომ კონტრრევოლუციონერებს შესაძლებლობა მოსპობოდათ მასების სიბნელით სარგებლობისა და ცხედრების წმინდა ნაწილებად გამოყენებისა და აი, სამი საზარელი დღე-ღამის განმალვობაში მიცვალებულები დაჩეხეს, დახერხეს, გოგირდმჟავით დაამუშავეს და კოცონში დაწვეს.

მთავარი მკვლელი იუროვსკიც კი აღიარებს: კიდევ რამდენიმე დღე რომ გაგრძელებულიყო ეს საშინელება, ნამდვილად გავგიჟდებოდიო, მაგრამ მკვლელი არცერთი არ გაგიჟებულა, ვოიკოვი პოლონეთში მოკლა ახალგაზრდა სტუდენტმა კავერდამ მეფის ოჯახი განადგურებასთან დაკავშირებული შურისძიების მიზნით.

იუროვსკი ეკატერინობურგში თეთრგვარდიელების შესვლისას კოლჩაკის მეთაურობით დააპატიმრეს და დახვრიტეს, ხოლო მედვედევი საუკუნის დასასრულამდე ცხოვრობდა, ტრაბახობდა და პერსონალურ პენსიას ღებულობდა.

მკვლელებმა გვამების დამუშავების შემდეგ მოსკოვში ტელეგრამა გააგზავნეს, რომანოვების სრული ლიკვიდაციის შესახებ. „39345422935364926273“ შიფროვკას ხელს აწერდა ვოიკოვი, იუროვსკი და მედვედევი.

ისტორიამ რამდენჯერმე გაასამართლა ნაპოლეონი ცხრა წლის პრინცის მკვლელობისათვის, რომელიც სიკვდილის ბოლო წუთებამდე დღისით თუ ღამით ხედავდა პრინცის სისხლიან თვალებს.

ნუთუ რომანოვთა მკვლელებს არ ესიზმრებოდათ პატარა ალექსანდრე ან მისი ანგელოზი დები?

ნანა ისე გაიტაცა რევოლუციურმა არქივმა, რომ მეორე დღეს ძებნაც კი დაუწყო სამოქალაქო ომის მასალებს. ფრიდონ დევდარიანის დახმარებით, რუსული ეკლესიის „რიუ-და-რიუ"-ს მახლობლად მიაგნეს ერთ პატარა მაღაზიას, სადაც შეიძლებოდა ყველაფერის ყიდვა, ჩერჩილის მონაწევი სიგარეტიდან დაწყებული, თეთრგვარდიელის სამხრეებამდე დამთავრებული.

– რუსეთის რევოლუციაზე გაქვს რაიმე? – შეეკითხა მაღაზიის ახალგაზრდა მფლობელს ნანა.

– რამდენიც გინდა ყველაფერი, ის დაცლილი მაუზერის ჰილზიც კი, რომელითაც მეფე ნიკოლოზ II მოკლეს, – უპასუხა შავგვრემანმა მაღაზიის მფლობელმა, რომელსაც კაზაკური ბოხოხი ეხურა და რუსულად ბრწყინვალედ ლაპარაკობდა.

– ეგ კი მეტისმეტია, მე არ მინდა შევიძინო ისეთი რამე, რომელიც თქვენი მტკიცებით, მეცოდინება, რომ ისტორიული ნივთია, მაგრამ მე არ მექნება შესაძლებლობა ვინმეს დავუმტკიცო მისი ისტორიული ღირსშესანიშნაობა – უპასუხა ნანამ.

– მაქვს რუსეთის მეფის გიორგი ევგენის ძე ლვოვის ხელნაწერი, – უთხრა მაღაზიის მეპატრონემ.

– ვისი? – გაიკვირვა ნანამ – ასეთი მეფე არც გამიგონია!

– როგორ არ გაგიგონიათ ქალბატონო, ლვოვი ხომ ნიკოლოზ მეფის დაპატიმრების შემდეგ აირჩია დროებითმა მთავრობამ რუსეთის მეფედ? მართალია დიდხანს არ ყოფილა მე-

ფედ, მაგრამ რამდენიმე ფურცლის დაწერა მაინც შეძლო, თუ რა ხდებოდა რუსეთში სამოქალაქო ომის დროს, ლვოვი განათლებული პიროვნება იყო – განათლებით იურისტი, რევოლუციის წლებში დატოვა რუსეთი და საფრანგეთში ჩამოვიდა იმ იმედით, რომ საფრანგეთიდან მოაწყობდა კონტრრევოლუციას. – გამოამჟღავნა თავისი ისტორიული განათლება მაღაზიის გამგემ.

– კიდევ რა მასალა გაქვთ რევოლუციასთან დაკავშირებული? – შეეკითხა ნანა.

– კიდევ? მთელი არქივი მაქვს, კერენსკი ალექსანდრე გაგიგონიათ? – კითხვითვე უპასუხა კაზაკ ბოხოხიანმა.

– კი, კერენსკი გამიგონია, მაგრამ თუ ზუსტად მომიყვებით ბიოგრაფიულ ცნობებს, მის არქივს შევიძენ, – უპასუხა ნანამ.

– მე მგონია ქალბატონო, თქვენ ჩემთან საუბარი მეტად გსიამოვნებთ, ვიდრე კერენსკის ბიოგრაფია, – ქათინაური გამოურია მაღაზიის მეპატრონემ.

– იღბალი შენი, რომ ჩემი დაცვა ცუდად ფლობს რუსულ ენას, თორემ შენს საცოდაობას ვუყურებდი – უთხრა ნანამ და დოლარინოსა და კიკოზე მიუთითა, რომლებიც კედელზე ჩამოკიდებულ ქართულ ხანჯალს ათვალიერებდნენ.

მაღაზიის მფლობელმა ახალგაზრდა ბიჭებს გადახედა და ნანას წყნარად უთხრა:

– ღვთის გულისათლვის მაპატიეთ, არ ვაპირებ ველურებთან ჩხუბს, მით უმეტეს, როდესაც ხანჯალს ფხას უსინჯავენ. ჰო, მე თქვენ კერენსკის არქივი მთხოვეთ არა, ეს რუსეთის მთელი ისტორიაა, მართალია დედანიდან გადაწერილია, მაგრამ ამით ბევრად არ დაუკარგავს ღირსება, რაც კარგია, ყველაფერი ძვირია. ძვირია ეს არქივიც ქალბატონო, მილიონი ფრანკი ღირს ნაღდი ანგარიშსწორებით. აქ მისი მემუარებია ანტისაბჭოთა განწყობით დაწერილი, რუსეთის

რევოლუციის შესახებ. მართალია, თვითონ იურისტი იყო, ადვოკატი, მაგრამ პოლიტიკურად უძლიერესად იყო მომზადებული. 1940 წლამდე აქ ცხოვრობდა, ჩვენთან, საფრანგეთში, შემდეგ კი ამერიკაში გადასახლდა და იქ აღესრულა. მისი სიკვდილის შემდეგ შევიძინე იმისი არქივი, რომელიც მისივე სიცოცხლეში შეესყიდა ამერიკის (ნიუ-იორკის) კოლუმბიის უნივერსიტეტს, სადაც ამ არქივის დედანი ახლაც ადგილზე იმყოფება. უნივერსიტეტი ყიდის ასეთ ორიგინალებს, როგორიც მე შევიძინე და დიდ მოგებასაც ნახულობს.

ალექსანდრე ფეოდორის ძე კერენსკის შესახებ ნებისმიერმა ბავშვმა იცის, რომ ის რეოვლუციის გამარჯვების დროს კაბით გადაცმული გაიქცა ზამთრის სასახლიდან. დროებითი მთავრობის იმპერატორის პოსტზე ივნისში დადგა, სექტემბერში კი რუსეთი რესპუბლიკად გამოაცხადა და მსოფლიოს გააცნო, რომელსაც მანამდე რესპუბლიკად არავინ იცნობდა. 7 ნოემბერს კერენსკი ემშვიდობება თანამდებობას და გარბის პეტერბურგიდან. ორმოცი დღე-ღამის განმალვობაში იმალება ტყეში ფინეთის საზღვართან, რადგან ბოლშევიკები ისტერიულად დაეძებენ მას, როგორც სახელმწიფო დამნაშავეს. 1918 წლის ივნისში, სერბიელი ოფიცრის ფორმით, სამუდამოდ ტოვებს რუსეთს და საფრანგეთში გადმოდის საცხოვრებლად, მაგრამ ვის ჭირდება ყოფილი რუსეთის იმპერატორი, რომელიც დღესდღეობით სიღარიბეში ცხოვრობს? ამიტომ, საფრანგეთში გერმანელების შემოსვლის დღიდან ტოვებს საფრანგეთს და ამერიკაში გადადის საცხოვრებლად, მაგრამ ან ამერიკაში ვის ჭირდება ღატაკი ნაიმპერატორალი, რომელიც შვილებმაც კი მიატოვეს? ყოველგვარ დამცირებასა და გაჭირვებაში უნდა დალიოს სული! ქუჩაში გავლაც კი სახიფათო იყო მისთვის, რადგან ემიგრანტებისაგან ესმოდა ერთი და იგივე ლანძღვა – „რატომ არ მოკალი, ან რატომ არ დააპატიმრე

ლენინი, ხომ შეგეძლო, კაბიანო ქალო, ისტორია შენ ამას არ გაპატიებს არასოდეს“.

და ემიგრანტებს ღმერთმა უსმინა, ოთხმოცდაათი წლის მოხუცს ღმერთი სიყვარულის მძიმე განსაცდელში აგდებს. ლენა, რომელიც ემიგრაციაში იმყოფებოდა რუსეთიდან ამერიკაში, განათლებით პოლიტოლოგი, ყოველდღე ლეგენდარული რუსეთის პრემიერ-მინისტრზე ფიქრობდა, რომელიც იცოდა, რომ ამერიკაში იმყოფებოდა. ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ ლენამ მიაგნო ნამეფარი კერენსკის ერთ-ერთ ვაჟიშვილს და ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ იმისაგან მიიღო ალექსანდრე ფიოდორეს ძის მისამართი, რომელიც იმ დროს ლონდონის მოხუცთა თავშესაფარში იმყოფებოდა.

ლენას დანახვისთანავე შეუყვარდა მოხუცი, მაგრამ არც მოხუცის გრძნობა დარჩენილა ფრთაშეკვეცილი, დიახ, ოთხმოცდაათი წლის ჭაღარა მოხუცის. მაგრამ სრულებითაც არ იყო წლოვანებით მოტეხილი, სიარულიც ძველებური იცოდა, ვაჟკაცური, მასთან შეიძლებოდა პოლიტიკაზე ლაპარაკი თვეობით, ლენას უყვარდა იმისი ბრძნული საუბრის მოსმენა და სიყვარულიც თანდათან უღრმავდებოდა. ლენა ქალური აყვავების პერიოდშია – ოცდათვრამეტი წლის, გაშლილი, ტალღისებრი წაბლისფერი თმით, თეთრი მრგვალი სახითა და თაფლისფერი თვალებით, გამოყვანილი თეძოები და სავსე მკერდი იმის ჯიშიანობაზე მეტყველებდა.

კერენსკის არავითარიმ მატერიალური სახსრები არ ჰქონდა, რომ ვინმეს ეფიქრა „ქალს მატერიალური სიმდიდრისათვის შეუყვარდაო“. არა, ის მოხუცთა თავშესაფარში-იყო და საწყალობლად აჭმევდნენ ლუკმას. სიყვარული კი ნაღდი იყო, სულიერი, ორივე მხრიდან. საჭიროა საჩქაროდ მიატოვოს მოხუცთა თავშესაფარი და ნიუ-იორკში წავიდეს ლენასთან ერთად, რომელმაც ვალად იღო იმის მოვლა-პატრონობა, მაგრამ როგორ წავიდეს? ფული არც კაცს აქვს და

არც ქალს, „უნდა ვეძებოთ გამოსავალი“ – თქვა ლენამ და აუქციონზე გაიტანა კერენსკის არქივი, რაზედაც ყოფილი იმპერატორი წინააღმდეგი იყო. ვის რად უნდა ჩემი ნაჯღაბნი ქაღალდები, შეჩერდი, ზედაც არავინ შეხედავს, თავს შეირცხვენ“. – გაიძახოდა ის, მაგრამ ლენამ განზრახვა სისრულეში მოიყვანა და არქივი კოლუმბიის უნივერსიტეტმა შეიძინა ასი ათას დოლარად, იმ პირობით, რომ არქივი მხოლოდ ყოფილი მფლობელის სიკდვილის შემდეგ გაისხენებოდა.

შეყვარებულები ნიუ-იორკში გადასახლდნენ. კერენსკის არასოდეს არ განუცდია ასეთი ძლიერი სიყვარული, ერთი წუთითაც ვერ იტანს ლოდინს და თუ გარეთ გავიდა ლენა, იმის მოახლოებას გრძნობს ყნოსვით, ფეხის ნაბიჯებითა და ტელეფონის ზარითაც კი. პატარა ბიჭუნასავით ეჭვიანობს ყველაფერზე, მაგრამ ეჭვიანობა სიყვარულმა იცის. ლენაც ეჭვიანობს ალექსანდრეზე, თუმცა, ეს უკანასკნელი გარეთ არასოდეს გამოდის და სახლში არავინ აკითხავს. ხშირად ერთმანეთს ართმევენ სიყვარულის ფიცს, მაგრამ წლები დაუნდობელია და კერენსკისს მიაქვს იმ ქვეყნად ორი სიყვარული, სამშობლოსი და ელენეს სიყვარული.

– ჰოო, მძიმე ისტორია ჰქონია ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ მეფე-იმპერატორს, მადლობა საუბრისათვის. კარგად ბრძანდებოდეთ – თქვა ნანამ და წასასვლელად მოემზადა.

– როგორ, მიდიხართ? არქივი არ მიგაქვთ? – გაკვირვება ვერ დაფარა მაღაზიის მეპატრონემ.

– არქივი ძალზედ ძვირია, მწერალი რომ ვიყო, შეიძლება კიედვ გამებედა შესყიდვა, მე კი იურისტი გახლავართ – უპასუხა ნანამ.

– აბა მუქთად მალაპარაკე ამდენ ხანს? ცოტა მაინც მომეცი რამე, ასე როგორ იქნება, არქივის შესყიდვას შემპირდი და პირი მიცვალე, მე შენ სასამართლოში გიჩივლებ, – დიდად ნაწყენი სახე გამოალვინა მაღაზიის მეპატრონემ და

ბოლოს ნანა იძულებული გახდა არქივი შეესყიდა ასი ათას დოლარად, იმ იმედით, რომ ოდესმე შეძლებდა რევოლუციური ისტორიის ხელყოფას.

კიდევ ბევრ სახელგანთქმულ და ისტორიულ ქვეყნებში იმოგზაურეს ტურისტებმა, იყვნენ ისრაელში და საკუთარი ფეხით გაიარეს ის გზა, სადაც ქრისტეს გაუვლია და უღაღადებია ქრისტიანული სარწმუნოება. ამერიკა, იაპონია, იტალია და სხვა მრავალი ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ ღირსშესანიშნავი ნათელი მხარეები და ჩრდილით მოცული მხარეც.

რა თქმა უნდა, მწერალს შეუძლია თითოეული ქვეყნის კარგი და ცუდი მხარეები აღწეროს და მკითხველს მიაწოდოს, მაგრამ დეტექტივის მწერალი დეტექტივს წერს და მას ჰგონია, რომ ისტორიული თემა მკითხველისათვის მოსაწყენი იქნება, ამიტომ ტურისტების დაბრუნებას დაველოდოთ და მათი შავ-ბნელი საქმით გავაგრძელოთ დეტექტივი. იმ შემთხვევაში თუ მწერალი გადაღლილია და წერა ეზარება, შეუძლია დეტექტივი აქ დაამთავროს და მკითხველს უთხრას – ტურისტები ჯერ კიდევ არ ჩამოსულან-თქო, მაგრამ ჩემს მკითხველს ვერასდროს ვერ მოვატყუებ და პირდაპირ ვეტყვი, რომ ტურისტები ჩამოფრინდნენ დიდად ნასიამოვნები და დაპროგრამებულნი, რომ ერთი კვირის განმავლობაში ერთმანეთი არ ენახათ და ერთი კვირის შემდეგ კიკოს ბინაში შეკრებილიყვნენ.

ერთმა კვირამაც მალე გაიარა, მოისიყვარულეს შინაურები და დათქმულ დროს კიკოს ბინაში შეიკრიბნენ: მოკითხვისა და მოგზაურობიდან დაბრუნების სიხარულის შედეგის ურთიერთგაზიარების შემდეგ ნინომ დაიწყო:

– კარგად მოგეხსენებათ, რომ რიგით მე მერგო ახალი „მსხვერპლის“ აღმოჩენა, რომელიც ნანას დახმარებით ჯერ კიდევ სამოგზაუროდ გამგზავრებამდე აღმოვაჩინე. გავიცანი და ახლო კავშირი დავიკავე სახელმწიფო ბანკის მთავარ

ბუღალტერთან, რომელიც მოლაპარაკების თანახმად შემატყობინებს, ბანკში ფულის შემოსვლის თარიღს, დღეს და საათს. ფული ჯავშნიანი ავტომანქანით შემოაქვთ, რომელსაც იცავს მხოლოდ ორი პოლიციელი.

– კარგი, აღარ გინდა გაგრძელება, შენ ალბათ შემუშავებული გაქვს გეგმა, თუ როგორ განვახორციელოთ თავდასხმა, – თქვა დოლარინომ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეგ საქმე არ მოხდება, რადგან სახელმწიფო ქონების ხელყოფა, შენ არჩილის გაძარცვა ხომ არ გგონია?

– არც მე ვარ თანახმა ასეთი უაზრო აღმოჩენის, – თქვა კიკომ და მხარი დაუჭირა დოლარინოს სახელმწიფო არაფერს დაკარგავს, ძარცვამ შესაძლებელია ორი პოლიციელის და მძღოლის სიკვდილიც გამოიწვიოს. სანამ მკვლელობა მოხდებოდეს მათ შეუძლიათ მობილურით ან რაციით დაუკავშირდნენ თავდაცვის ცენტრს და ჩვენ გარემოცვაში აღმოვჩნდებით. ეს სისხლიანი საქმეა და სისხლიან საქმეს უნდა ვერიდოთ, რადგან კანონი უმაღლეს სასჯელს – დახვრეტას ითვალისწინებს, ასე რომ, კიდევ ერთი კვირა შეგიძლია გაისეირნო და ახალი მსხვერპლი ეძებო, თორემ ჩვენმა ხაზინამ საგრძნობლად დაიკლო დაუმატა კიკოს მოხსენებას დოლარინომ.

– დაიკლო კი არა, საერთოდ რომ არსებობს ისიც გასაკვირია, ნანამ ალბათ არ იცოდა თუ იყო რაიმე დარჩენილი, თორემ ჟორდანიას ქვრივს არ დატოვებდა საფრანგეთში.

– მეორედ რომ წავალ, აუცილებლად შევიძენ ნოე ჟორდანიას არქივს ისე, რომ თქვენ არც კი შეგეკითხებით. მე არ მინდა ჩემი სიმდიდრე, რომელიც ჩემმა ღმერთმა და სამშობლომ მიბოძა, უცხოეთში დავხარჯო და სამშობლოს არაფერი ვარგო – უპასუხა ნანამ.

– რადგან თქვენ არ მოგეწონათ ჩემი წინადადება და გიძნელდებათ სახელმწიფო ქონების ხელყოფა, მაშინ მეორე წინადადებას შემოგთავაზებთ – თქვა ნინომ. რა თქმა უნდა,

ეს წინადადებაც მე და ნანამ ერთად შევიმუშავეთ: სპეციალური შეკვეთით ამერიკიდან გამოგზავნილი სამი დისტანციური მართვის სეიფი გადმოიტვირთა გემიდან და ცენტრალურ საწყობში მოიტანეს...

– დისტანციური მართვის ჭური გამიგია და დისტანციური მართვის სეიფი პირველად მესმის – სიტყვაში ჩაეჭრა დოლარინო.

– დიახ, არსებობს დისტანციური მართვის სეიფი, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ჭრილი გასაღებისათვის და არავითარი ანჯამები გაღებისათვის, შკალაზე დაპროგრამებული კოდისა და ციფრების მეშვეობით შუაზე იხსენება უზარმაზარი კვერცხის ფორმის მქონე სეიფი ისე, რომ დახურვის შედეგად სრულებითაც არ ეტყობა შეერთების ადგილი – თქვა ნინომ.

– ეს გამოგონება ახალია მეცნიერებასა და ტექნიკაში, მე მგონია მაგ სეიფის გაღებას ასე მალე ვერ შევიმუშავებთ – თქვა დოლარინომ, ალბათ, დისტანციური მართვის კოლოფს მეპატრონე თან დაატარებს და რომ მოვპაროთ, ან წავართვათ, მაინც ვერაფერს გავუგუებთ, რადგან საიდუმლო ნომერაცია მარტო თვითონ ეცოდინება და იძულებული გავხდებით დისტანციური მართვის კოლოფთან ერთად თავიც მოვპაროთ ისე ფრთხილად, რომ ტვინი არ დავაზიანოთ და ნომერაცია გვითხრას.

– ნუ დარდობთ, ჩვენ წინასწარ შევიმუშავეთ გაუთვალისწინებელი ხიფათიც კი, ასე რომ გამოხტომებს ადგილი ნუ ექნება, გთხოვთ, ბოლომდე მომისმინოთ: როგორც მოგახსენეთ, სამი ცალი სეიფი შემოიტანეს ცენტრალურ საწყობში, რომელსაც თან მოჰყვა დალუქული პაკეტი პროგრამითა და დისტანციური მართვის კოლოფით. ცენტრალური საწყობის გამგემ ფრთხილად მოხსნა ლუქი ამანათს, გადმოიწერა სეიფის კოდი და ნომერაცია და ამანათი ისევ დალუქა – თქვა ნინომ.

– რისთვის გააკეთა საწყობის გამგემ ეს ამბავი, ვერ წარმომიდგენია, ნუთუ ის ყველა სეიფის გასაღებას ამზადებს, რომელიც საწყობში მოხვდება? – შეეკითხა დოლარინო.

– საწყობის გამგეს სეიფები არ აინტერესებს. ის სეიფის შეკვეთისთვის გადახდილმა უზარმაზარმა თანხამ დააინტერესა, აგრეთვე დაინტერესა სეიფების მეპატრონეთა პიროვნებამ და ასეთ შემთხვევაში თავისით მოდის რეალობა, როდესაც სეიფის შესაძენად პიროვნება გადაიხდის მილიონზე მეტ ამერიკულ დოლარს, რამდენი მილიონი უნდა შეინახოს მეპატრონემ სეიფში? – კითხვითვე უპასუხა ნინომ.

– ვინ არიან სეიფის მეპატრონეები? – დაინტერესდა კიკო.

– ერთი, გემთსაშენი ქარხნის გენერალური დირექტორია, ბატონი (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ნამდვილი ბატონი) ლომერ ჩიქოვანი. მეორე, ფიზიკოსია, რუბენ დვალი, ხოლო მესამე, სპირტ-შამპან-ღვინის გენერალური დირექტორი თენგიზ არჩვაძე. ჩვენთვის სასარგებლოდ მეორე პირი – რუბენ დვალი – გამორიცხულია, რადგან ის იგონებს სამხედრო საიდუმლო დანადგარს, რომელზედაც დიდი მონდომებით ნადირობს ნატოს ორგანიზაცია, ამიტომ სახელმწიფომ შეუძინა სეიფი საიდუმლო დოკუმენტების შესანახად. ჩვენ იმის დოკუმენტები არ გვჭირდება და კიდეც რომ მოვინადიროთ დასავლეთში გასასაქმებლად, ამისათვის ომის ტოლფასი განგაში ატყდება.

ამჟამად ჩვენ გვყავს ორი ადამიანი – ლომერ ჩიქოვანი და თენგიზ არჩვაძე, რომელმაც სეიფები თავიანთი კუთვნილი ნაღდი ანგარიშით შეიძინეს საკუთარი დოვლათის დასაცავად – თქვა ნინომ.

– იცით სად ინახება სეიფები? – შეეკითხა დოლარინო.

– სეიფები თქვენ ის ხომ არ გგონიათ, ჩვენი ინსტიტუტის საქმეთა მმართველს რომ უდგას მისაღებში, არა ბატონებო, ეს სეიფები კი არა – იმის გარდა, რომ მიუღწეველია იმის გაღება თავისივე საიდუმლოების გარეშე, – სილამაზის

განსხაიერებაცაა. ეს წარმოადგენს დედამიწის ცეცხლოვან სფეროს და მართლაც გიზგიზებს, როგორც მარსიდან ხილული ჩვენი პლანეტა. სეიფი ორთავეს ზალაში უდგას გამოსაჩენ ადგილზე, რადგან მნახველი ვერ ხვდება, ეს სეიფია თუ უცხო პლანეტელის მფრინავი თეფში.

– თქვენ საკუთარი თვალით გინახავთ ეს სეიფები? – იკითხა აქამდის გაჩუმებულმა კიკომ.

– კი, სულ შემთხვევით და უბრალოდ წავაწყდი თენგიზ არჩევაიძის ოჯახში. თენგიზის ქალიშვილი ჩემთან ერთად სწავლობს და ჩემი კარგი მეგობარია, სანამ სამოგზაუროდ წავიდოდით, დაბადების დღე გადაიხადა და, რა თქმა უნდა, მეც მიმიწვია. მაშინ იქ ზალაში ვნახე ის სეიფი. ვინ რა იცოდა როგორ ვნატრობდი და ვესწრაფოდი იმის ნახვას და აი, ახლა ჩემს თვალწინ გიზგიზებდა უზარმაზარი სეიფის ბურთი. მე ვითომ არც შემიმჩნევია, სხვა შეეკითხა ჩემს მეგობარს, თუ რა იყო ეს მოგიზგიზე ბურთი და იცი, რა პასუხი გაგვცა ახალგაზრდა დიასახლისმა? – „ეს მზის ენერგიით დამუხტული ბუხარია, რომელიც ზამთარში ათბობს და ზაფხულში აგრიალებსო ოთახებს“, – დაუჯერეს და იქ მეც დავიჯერე – თქვა ნინომ.

– მერე ეს როგორ, მეგობრის გაქურდვას აპირებ? – გაიკვირვა დოლარინომ.

– აზრდაც არ მომსვლია იმის გაქურდვა. ჩვენ ამჟამად დიდ ბატონს, ლომერ ჩიქოვანს ვეწვევით – უპასუხა ნინომ.

– რას ითხოვს ცენტრალური საწყობის გამგე საიდუმლოების გაცემაში? – შეეკითხა დოლარინო.

– წინასწარ მეოთხედ მილიონ ამერიკულ დოლარს, ან ძარცვის კეთილად დაგვირგვინების შემდეგ წილში ჩაჯდომას, – უპასუხა ნინომ.

– ესე იგი, იქ კარგად სარფიანად ეგულება, თორემ წილში ჩაჯდომას არ მოითხოვდა – თქვა კიკომ.

– რასაკვირველია! – უპასუხა დოლარინომ.

– ამიტომ, ჩემი აზრით, მეოთხედი მილიონის გადახდა აჯობებს – განაგრძო საბუბარი ნინომ და თავიდან მოვიშოროთ მეხუთე მეწილე.

– სრულ სიმართლეს ღაღადებთ – მოუწონა დოლარინომ და განაგრძო – ერთი ესეც მითხარით, როგორ ჩავიგდოთ ხელში სეიფის დისტანციური მართვის კოლოფი, რომელსაც სულ მუდამ ჯიბით დაატარებს ლომერი?

– შენ ხომ ჯიბის ქურდი ხარ, ის შენ უნდა მოიპარო – უპასუხა ნინომ.

– ჰერი-ჰა, ლომერი ჩიქოვანი სტუდენტობის დროსაც არავის დაუნახავს ტროლეიბუსში და მე იმის ავტომობილში არავინ დამაჯენს, ნეტავი სად მოვიხელთო ჯიბეშიხელის ჩასაყოფად? – გაიკვირვა დოლარინომ.

– ეგ აზრიც შემუშავებული მაქვს, ყურადღებით მომისმინე: ლომერი წესრიგის მოყვარული კაცია და წესრიგს მოითხოვს ხელქვეითებისაგანაც, ამიტომ ეძახიან „დიდ ბატონს“. ის ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მიდის სამსახურში და სამსახურიდანაც ერთსა და იმავე დროს ბრუნდება. ჩვენ დაველოდოთ, სახლიდან იმის გამოსვლას და როგორც კი დავინახავთ, იმისკენ წავიდეთ, მე მას „შემთხვევით“ დავეჯახები და ბოდიშს მოვუხდი, შენ კი ამ შემთხვევით ისარგებლებ და გამოიჩენ ხელის სისწრაფეს – ისე დამაჯარებლად უთხრა ნინომ, რომ გამოცდილ ქურდსაც კი შეშურდა წამოყენებული წინადადება.

მეორე დღეს, დილით, ოთხივე მეგობარი ლომერის სახლიდან გამოსვლას ელოდა, აი გამოვიდა და მის შესახვედრად დოლარინოზედ ხელკავგამოდებული ნინო გაემართა. გაუსწორდა და ისე ოსტატურად წაიბორძიკა, რომ კიკოსა და ნანასაც კი ეჭვი შეეპარათ, რომ ნაღდათ არ წამოკრა ფეხი რაღაცას. ნინო მოულოდნელად გულზე შეაფრინდა

ლომერს, კაცი დაიბნა, ნინომ გაუღიმა, ბოდიში მოუხადა და სათუთად ეამბორა შუბლზე მამაკაცს.

– „კარგი რა, წამოდი, რა მოხდა ამდენი საბოდიშო“ – ხელი უბიძგა ნინოს უკვე მიზანშესრულებულმა დოლარინომ. ქალმა კიდევ გაუღიმა და თვალი ჩაუკრა წასვლისას ლომერს.

ოთხეული საჩქაროდ შეერთდა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ მოქმედება. სანამ ლომერი სეიფის დისტანციური მართვის კოლოფის დაკარგვას გაიგებდა, სეიფი უნდა გაძარცვულიყო, ამიტომ მთელი სიჩქარით გააქანა ნინომ ავტომობილი ცენტრალური საწყობის გამგის სახლისაკენ, საწყობის გამგემ სწორედ მაშინ გამოიყვანა ავტოსადგომიდან შავი ლიმუზინი, როდესაც ნინოს ავტომობილი მის ავტოსადგომს მიუახლოვდა. – საჩქაროდ „პაროლი“ – მიიღებ მეოთხედ მილიონს – დანახვისთანავე უჩურჩულა ნინომ საწყობისგამგეს.

– არავითარ შემთხვევაში, ფული წინასწარ! – უთხრა საწყობის გამგემ და ლიმუზინში ჩაჯდომას შეეცადა, მაგრამ ნინო წინ გადაუდგა და ჩანთა გახსნა, ავტომობილის სალონში დაცვივდა მეოთხედი მილიონი.

– ვაი შენს მოსწრებას იქ თუ არაფერი იქნა, ამ ფულს იცოდე, სისხლით დავიბრუნებთ! – უთხრა ნინომ.

– მე ვიცი რაც არის იქ, შენ არხეინად იყავი და ნურც შემდეგ დამივიწყებთ! – უთხრა საწყობის გამგემ და საქაღალდედან ერთი ფურცელი გამოაძრო, რომელზედაც სეიფის გაღების მონაცემები ეწერა.

ნინომ მთელი ძალით დაამუხრუჭა ავტომობილი დოლარინოს ფეხებთან და ანიშნა ავტომობილში ჩამჯდარიყო.

– ძარცვა დღისით ჯობია, ლომერის მთელი ოჯახის წევრები ზღვაზე არიან წასული დასასვენებელად. თვით ლომერი ცით, რომ სამსახურშია და საღამომდე არ დაბრუნდება, სეიფის დისტანციური მართვის კოლოფის დაკარგვას თუ

გაიგებს, იფიქრებს, რომ სახლში დარჩა და მოპარვაც რომ იფიქროს, დარწმუნებული იქნება, მაინც ვერავინ გააღებს „პაროლის“ უცოდინარობის გამო. – წარმოთქვა თავისი აზრი ნინომ და ისე დამაჯერებელი იყო თითოეული იმის სიტყვა, რომ შეკამათება ვერავინ გაბედა და ორი ავტმოობილი წყნარად გაუყვა დედაქალაქის მთავარ ქუჩას.

სახლში არავის ელოდნენ, მაგრამ მაინც დააჭირეს თითი ჭიშკარზე მიმაგრებულ ზარის ღილაკს. სადღაც, ეზოში სიღრმეში, იადონის სტვენა გაისმა და სახლიდან ზორბა ახალგაზრდა კაცმა გამოაბიჯა, რომელსაც ქამარზე რევოლუციის დროინდელი ნაგანის სისტემის რევოლვერი ჰქონდა დაკიდებული. ამას არ ელოდნენ და გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს. მოლაპარაკების დრო აღარ რჩებოდა, ეჭვის გარეშე იყო, რომ ლომერის ოჯახს სპეციალური დაცვა იცავდა, რომელიც მხედველობიდან გამორჩათ მძარცველებს. ოჯახის დამცველი ჭიშკარს მოუახლოვდა და სპეციალურ სათვალთვალო ჭრილში გამოიხედა. ნინო ისე ახლოს დადგა ჭრილთან, რომ იმის მეტი ვერავინ დაენახა და ჩანთიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო, თითქოს და წერილი მოუტანა ადრესატს. ახალგაზრდა დამცველს სისხლი აუმღვრია კეკლუცი ქალიშვილის დანახვამ და ჭიშკარი დაუყოვნებლივ გააღო, მაგრამ ვეღარც ჭიშკრის დაკეტვა მოასწრო და ვეღარც ნაგანის ამოღება. ოთხი პისტოლეტის ლულა თვალებში ჩაჩერებოდა ახალგაზრდა დამცველს.

დამცველმა ხელები ასწია და კედელს მიეყრდნო. დოლარინომ სწრაფად აართვა ნაგანი და ჯიბეები გაუსინჯა, შემდეგ ხელები უკან წამოუღო და მაჯებზე ბორკილები დაადო. უხმოდ, პისტოლეტის ლულით ანიშნა საით უნდა წასულიყო, სახლის ფოიეში შეიყვანეს, ბოძზე მიაყრდნეს და ზედ ფეხებით მიაბორკილეს, ტუჩებზე პლასტიკატი გადააკრეს, რომ სრული სიწყნარე დაცულიყო და საქმეს შედუგნენ. სე-

იფი მართლაც მისაღებ ზალაში აღმოჩნდა სრული ასი პროცენტით გამართლდა ნინოს „სეიფის ზღაპარი“, მართლაც საოცარი სილამაზის იყო უზარმაზარი მოგიზგიზე ცთომილი, ფრთხილად მიუახლოვდა ნინო, ჩანთიდან დისტანციური მართვის პულტი ამოიღო და ნომერი აკრიფა. სეიფმა საკეტების ტკაცანის ხმა გამოსცა და შემდეგ ნელ-ნელა გაიხსნა შუაზედ.

სეიფში იყო სიხარბე ადამიანისა. ეჰ, „დიდო ბატონო“, რად გინდა ეს უზარმაზარი ფულადი თანხა და აუარებელი სამკაულები? ხომ შეგეძლო შენი მუშებისათვის ხელფასი მოგემატებინა, განა შენს სიმდიდრეს მოაკლდებოდა რამე?

რამდენიმე ტომარა დატვირთეს მძარცვლებმა და ატვომობილების ორივე საბარგული გაავსეს ფულითა და სამკაულებით. სხვა სიმდიდრეს არ შეხებიან. დახურეს სეიფი, ოჯახის დამცველთან მოვიდნენ, თავისი ნაგანი წინ დაუდეს ათიოდე მეტრის მოშორებით, კარგად ყოფნა უსურვეს და გაუჩინარდნენ.

როგორც ყოველთვის, ომეხი რიჟმაძის ეზოს მიადგა ორი უცხოური მარკის ატვომობილი და კი არ გაივსო ოთხი სეიფი, არ ჩაეტია ნაძარცვი თანხა.

საღამოს სახლში დაბრუნებულ ლომერ ჩიქოვანს ხარხარი აუტდა, როდესაც ლომივით ვაჟკაცი ბოძზე დაბმული იხილა, მაგრამ მალე მოეგო გონს თუ რისთვის იქნებოდა დაბმული იმისი ოჯახის პირადი დამცველი და იმის აშვებით თავი არ შეუწუხებია, პირდაპირ ოჯახში შეიჭრა და თვალი მოავლო ყველა ოთახის გაწყობილობას, დარდი გულს მოეშვა, როდესაც ყველაფერი ხელუხლებელი იხილა. სეიფის დარდი სრულებითაც არ აწუხებდა, რადგან შეუძლებლად მიაჩნდა იმის გაღება „პაროლის“ გარეშე და „პაროლი“ კი მხოლოდ საკუთარ თავში ეგულებოდა ჩამონტაჟებული, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის „პულტი“ მაინც მოიძებ-

ნა. ჯიბეებში რომ ვერ აღმოაჩინა, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და იქაც რომ ვერ მონახა, გაიფიქრა – „ალბათ სამსახურში დამრჩაო“ – და გული დაიმშვიდა. მხოლოდ ახლა გაახსენდა ოჯახის პირადი დამცველი გულადი გულიევი, ისევ გაეღიმა და ასაშვებად წავიდა, პირველად სახეზე შემოხვეული პლასტიკატიშემოაძრო, გულადიმ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და შიშით გაფართოებული თვალებიც ზომაზე დაუდგა. ლომერი არ ჩქარობდა გულადის გათავისუფლებას, სიამოვნებდა კიდეც ასეთ დღეში რომ მიჩერებოდა ოჯახის დამცველს, რომელიც მართლა ლომი ეგონა და მთელ იმედებს მასზედ ამყარებდა.

– რაო ბიჭო, ვინ ჩაგაგდო ამ სატანჯველში, გატენილი შენი ნაგანიც ცხვირწინ დაუგდიათ, კიდევ კარგი, რომ არ გაგირჭვეს – უთხრა ლომერმა.

– გამათავისუფლეთ ბატონო და ყველაფერს მოგახსენებთ. ეს რაღაც სასწაულით შემბორკეს, მინდოდა გამეწყვიტა, მაგრამ რამდენი გავინძერი, უფრო მეტად მომიჭირა ხელებსა და ფეხებზე, ახლა უკვე ხელ-ფეხი დამიბუჟდა, სისხლი აღარ მოძრაობს და მიშველე ბატონო, გამათავისუფლე, თორემ ნამდვილად მოვკვდები.

– შენზედ ახლობელი არ მომიკლას ღმერთმა – ჩაიბუზღუნა ლომერმა – არა, ჯერ ვერ გაგათავისუფლებ, – უთხრა გულადის პოლიციას უნდა გამოვუძახო, ნაძარცვი უნდა შემოწმდეს და ყველაფერი შენ გადაგახდევინო.

– არაფერი არ წაუღიათ ბატონო და თუ რაიმეა წაღებული, მე აგინაზღაურებთ, მხოლოდ გამათავისუფლეთ, თორემ სანამ პოლიცია მოვიდოდეს, ნამდვილად მოვკვდები.

– არა, ვერ გაგათავისუფლებ, მძარცვლების დაჭერის ერთი საუკეთესო აზრი მომივიდა. ამ შენი ნაგანის ლულით თავში შვიდ ტყვიას ჩაგაჭედებ და გამოძიებაც მეტი ყურადღებით მოკიდებს ხელს „ძარცვას მკვლელობის ჩადენით“.

– მერე და მათ რომ არ მოვუკლივარ?

– უტვინო, ფაქტია, რომ ოჯახიდან რაღაც წაიღეს და მკვლელობასაც მძარცვლებს დააბრალებენ, აბა მე ხომ არ დავიბრალებ?

– არა ბატონო, არ მომკლა, ყველაფერს სიმართლეს მოგახსენებთ, მათ არაფერიც არ წაუღიათ თქვენი ოჯახიდან, მხოლოდ ბაშვობიდან ჰქონდათ ჩემი ინტერესი და გადამიხადეს კიდეც.

– აბა დაიწყე და ამოანთხიე შხამად, თუ რა შეგემთხვა.

– თუ არ გამათავისუფლებ ბატონო, ყველაფერი საიდუმლოებით მოცული დარჩება, რადგან ახლა სულ მალე მოვკვდები, გული მიცივდება და მკვდარი ვეღარაფერს გეტყვი.

– ხომ გითხარი, შენზედ ახლობელი ღმერთმა არ მომიკლას-მეთქი, – ჩაიბუზღუნა ლომერმა და აუჩქარებლად დაიწყო ბორკილების შეხსნა, რომლის გასაღებიც მსხვერპლის ფეხებთან დაეტოვებინათ მძარცვლებს.

ბორკილები მართლაც სასაცილოდ ჰქონდა გაკეთებული გულადის, ფეხების შუაში გატარებული იყო ბოძი და შემდეგ იყო ბორკილებიწვივებზე დადებული. ასევე ოსტატურად იყო ზურგის მხარეს ხელებს შუა გატარებული იგივე ბოძი და მაჯები დაბორკილებული. ესე იგი, გულადი ბოძზე ზურგით იყო შემოხვეული. ასე, რომ ეს სურათი მძარცვლების დიდ გამოცდილებაზე მეტყველებდა. ლომერი კი მთლად გამოუცდელი ყოფილა კრიმინალურ დარგში. როგორც იქნა ბორკილები გააღო და იმის ნაცვლად, რომ შეეხსნა, ხელი მოუჭირა და კბილანებმაც ხტომილით მოუჭირა მაჯას. გულადიმ დაიღრიალა და ისე გამეტებით დაარტყა თავი ბოძს, რომ ერთ-ერთი ნაღლად დაზიანდა.

ბოლოსა და ბოლოს, როგორც იქნა შეხსნა ლომერმა ბორკილები. პირველად ხელებზე, შემდეგ ფეხებზე და ეს მთასავით კაციც წაქცეული თივის ზვინივით ძირს გაიშხლართა.

ლომერმა წყალი მოიტანა და მოურიდებლად სახეში შეასხა.

– აუჰ – დაიძახა გულადიმ და იატაკზე ხელები მოუსვა, ვითომ ვცურავო. როდესაც მოსულიერდა და ლომერი დარწმუნდა ნორმალურ ლაპარაკს შეძლებდა გულადი, საჯდომზე წიხლი უთავაზა და შეუღრინა:

– აბა ამოანთხიე გესლი, რაც ნახე და რაც განიცადე, თორემ რასაც შეგპირდი, იმას აგისრულებ.

გულადის თავის სივაჟკაცეში და სიძლიერეში რომ დაერწმუნებინა ლომერი, ტყუილსა და მართალს ერთად მოუყარა თავი და დაიწყო.

– ჩრდილო ოსეთიდან იყვნენ ბატონო, ორი შევიცანი კიდეც, სულ თორმეტნი იყვნენ, შეიძლება მეტიც იყო, მაგრამ მე თორმეტი დავითვალე, არ ვიცი ეზოში როგორ შემოვიდნენ. ხომ იცით, მე ძალზედ ფრთხილი ვარ და ფეხის ხმა შემომესმა თუ არა, დავაძვრე ჩემი ნაგანი და გარეთ გამოვვარდი, მაგრამ ის ერთი ჩემი ნაცნობი კარებს ყოფილა ჩამოფარებული და რაღაც ისეთი სიძლიერით დამარტყა თავში, მეხის დაცემა მეგონა და იქვე ჩავიკეცე. შემდეგ დამესივნენ და თორმეტივემ მცემა.

– თორემეტს ცოტა მოუკელი, ან ერთიანი წაუშალე წინ, ან ორიანი უკან და შენი ზღაპარი სიმართლეს დაემსგავსება, – უთხრა ლომერმა – ახლა კი ის მითხარი, რას გემართლებოდნენ, სასიკვდილოდ რომ გაგიმეტეს?

– წასული საქმეა ბატონო, მაშინ ჩრდილო ოსეთში ვცხოვრობდი. იმ ჩემი ნაცნობის დაიკო შემომეუპატიურა და სამხრეთ ოსეთში გამოვიქეცი. იქ არ დამედგომებოდა, მაგრამ აქაც მომძებნეს და დროზე რომ არ მომშველებოდით ბატონო, ნამდვილად წავიღებდი თქვენს ჭირსა და სატკივარს.

– დარწმუნებული ხარ, რომ ის ყაჩაღები ნამდვილად ჩრდილო ოსეთიდან იყვნენ შენზედ შურის საძიებლად და ოჯახიდან არაფერი წაუღიათ?

– კი, ნამდვილად ბატონო, შეამოწმეთ მთელი თქვენი ქონება და ერთ ნემსსაც თუ ნახავთ გვერდშეცვლილს, საკუთარი თავით ვაგებ პასუხს.

– შეიცანი რომელიმე?

– კი ბატონო, ხომ გითხარით, ორი შევიცანი, ერთი იმ ჩემი საყვარლის ძამიკო იყო და სწორედ ის შემეკითხა – „ხომ იცი რისთვისაც გკლავო“ – მე არაფერი ვუპასუხე და რაც დამმართეს, საკუთარი თვალით იხილეთ კიდეც.

– მოეკალით მაინც, შე ძაღლიშვილო, – კბილებში გამოცრა ლომერმა და კარგად გვარიანად წიხლი უთავაზა მუცელში, აქედან გაეთრიე ახლავე და მთელ ქალაქში ჩემმა თვალებმა არ გნახოს, თორემ იცოდე ცოცხალი ვერ გადამირჩები.

გულადიმ ძლივს აითრია წელი. კიბის ქვეშ თავის საწოლ ტახტ-ლოგინამდე ძლივს მილასლასდა, ნამწყემსარი ნაბადი გამოიტანა, მხარზე გადაიკიდა და წყნარად გაიხურა ეზოს ჭიშკარი.

ლომერიმ კიდევ ერთხელ შემოიარა ყველა ზალა და ოთახში, მართლაც ვერაფერი შეამჩნია წაღებული, დარწმუნდა გულადის სიმართლეში და ცოტა იჯავრა კიდეც, უმიზეზოდ რომ გააგდო სამსახურიდან. ჩამოჯდა, ცოტა შეისვენა, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი, თუ სად წაიღო სეიფის დისტანციური მართვის „პულტი“, ისევ სამსახურში წავიდა, ყველა კუთხე-კუნჭული გადმოაქოთა, მაგრამ ვერც აქ აღმოაჩინა და თანდათან შეიპყრო შიშის გრძნობამ. სახლშიდაც ეძება განმეორებით, მაგრამ ვერც აქ რომ ვერ აღმოაჩინა, გაიფიქრა – „ალბათ ავტომანქანაში ჩაჯდომის, ან გადმოსვლის დროს ამომივარდა ჯიბიდან“ – და საღამოს მთელ ქალაქში ტელევიზიით გამოაცხადა: – დამეკარგა ავტომანქანის სიგნალიზაციის დისტანციური მართვის კოლოფი, მნახველს დავაჯილდოვებ ათასი დოლარით.

სხვა მრავალ მოქალაქესთან ერთად, მძარცველებიც ისმენდნენ ტელევიზიით გადმოცემულ განცხადებას და ეცინებოდათ.

– ნინო, დაუბრუნე პატრონს ის რაღაც კოლოფია და ათას დოლარასაც გამოკრავ ხელს – უთხრა დოლარინომ.

– ლომერი ათას დოლარს იმიტომ გვპირდება, რომ სეიფში ეგულება, თორემ სეიფი რომ ცარიელი დახვდება, ათასჯერ ტყავს გაგაძრობს. „სად ნახე“, „როგორ ნახე“, „რატომ ნახე“ და შეიძლება იმდენი მოგარტყან, ძარცვაც კი „დაიბრალო“ – უპასუხა ნინომ.

– ამიტომ როგორ გინდათ მოიქცეთ? – შეეკითხა დოლარინო.

– საერთოდ უნდა გავანადგუროთ სეიფის დისტანციური მართვის კოლოფი, იფიქროს ლომერმა, რომ იმისი სეიფი ხელშეუხებელია და ეძებოს „პულტი“, მაგრამ ბოლოს და ბოლოს როდესაც ვეღარ იპოვის, იძულებული გახდება სეიფის დამამზადებელ ქარხანას მისცეს გაღების შეკვეთა და გამოიძახოს სპეციალისტები. რა თქმა უნდა ამ ამბავს დააგვიანდება და დრო კურნავს ყოველ ავადმყოფობას.

უფულოს თუ ფულიანს, უგულოს თუ გულიანს, ყველას თავისი საფიქრალი აქვს და თავისი ცხოვრების ჭია აწუხებს, სხვის საქმეებს იხილავენ მძარცველები – „რად უნდოდათ ამხელა ქონებაო“ – და დღეს ყველა სხვისი ქონების ბატონ-პატრონნი თვითონ არიან და ოთხივეს სხვადასხვა საფიქრალი გაუჩნდა. ზოგს კეთილი, ზოგს ბოროტი, ბევრ ფულს, ბევრი ფიქრი სცოდნია და გულჩათხრობილნი გახდნენ ბანდის წევრებიც. მათი ფიქრი ძირითადად იმას ექვემდებარება, თუ სად, როგორ და რისთვის დახარჯონ ეს უზარმაზარი თანხა. ქალიშვილებმა წინადადება წამოაყენეს, რომ შეწყვიტონ ყოველგვარი ძარცვა და ჭკვიანურად მოიხმარონ ნაშრომი თანხა. ადგილზე წამოჭრილ წინადა-

დებას ყმაწვილებიც დაეთანხმნენ, მაგრამ ძარცვა, ყაჩაღობა თუ ქურდობა, სპორტის ერთ-ერთი სახეობაა და ქურდობით გატაცებას ისე ვერ მოიშლის ქურდი, როგორც მოკრივე ჩხუბს.

მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ და მოლაპარაკების თანახმად ფრთხილად ხარჯავენ ფულს, იშვიათად ხვდებიან ერთმეორეს და ჩვენც ქურდულად რომ ვთქვათ, გადის დრო გრიალში. მაგრამ მოულოდნელად კიკო საავადმყოფოში აღმოჩნდა. იმ დღესვე მიაკითხეს მეგობრებმა. რა მოხდა? კიკო და ავადმყოფობა? მაგრამ მეგობრები დაწყნარდნენ, საგანგაშო არაფერია, კუჭის მაღალი სიმჟავე აღმოაჩნდა ავადმყოფს, ასეთი ავადმყოფი ხომ თითქმის ყველაა, მაგრამ კიკოს საავადმყოფოში დაწოლა ხელს აძლევს. იცავს დიეტას, არ ეწინააღმდეგება საავადმყოფს რეჟიმს, არ სვამს, არ ეწევა და იკაჟებს ჯანმრთელობას. მეგობრები ყოველ დღე აკითხავენ და თითქმის მთელი განყოფილება სპეციალურ დიეტურ საკვებზე გადავიდა, რომელთა მენიუშიც დეფიციტური საკვები და სასმელი შედიოდა.

ერთ დღეს პალატის კარები ჩაკეტა კიკომ და მეგობრებთან თათბირი წამოიწყო:

– როგორ არის მეგობრებო ჩვენი საქმე? – წამოიწყო მან, როგორც ვატყობ სეიფებს აკლდება და დრო ხომ არ არის, რომ ახალ საქმეზე ვიზრუნოთ?

– ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ ყოველგვარ შავ-ბნელ საქმეს შევეშვათ?! – შეახსენა ნინომ ადრინდელი თათბირის შედეგი.

– კი შევეშვათ, მაგრამ ეს ერთი საქმეც და საერთოდ აღარ მივიხედოთ დანაშაულისაკენ, ეს ალალი ლუკმა ღმერთმა გვიბოძა და უარს ნუ ვიტყვით – თქვა კიკომ.

– მაინც რა არის ასეთი საქმე? – იკითხა მეთევზის აზარტით თვალებგაბრწყინებულმა დოლარინომ.

– საქმე მცირედი, ადვილი გასაკეთებელი და ძალზედ სარფიანი, – თქვა კიკომ, აი რა, ჩემს მეზობლად, უფრო სწორად ჩემი ოთახის კარების მოპირდაპირედ, ოროთახიან ბინაში ცხოვრობს ორი პენსიონერი, გამოყურებული ცოლქმარი, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი მემკვიდრე და როგორც ყველა პენსიონერი, ისინიც პენსიით არსებობენ. ერთი კვირის წინ დეიდა მარომ (ასე ეძახიან მოხუცებულ ქალს, კაცს კი ვანოს) მთხოვა მათ ბინაში ნათურა შემეცვალა. როგორ დავამადლიდი, შევედი, ნათურა შევცვალე და რას ვხედავ ოთახის აღმოსავლეთ კუთხეში, წიგნის ფორმის ღვთისმშობლის ოქროს ხატი ასვენია. ახლოს მივედი, პირჯვარიგადავისახე და კარგად დავუკვირდი, ხატი მეორე საუკუნის ბერძნული ნიმუშის ანტიკვარი აღმოჩნდა. მას შემდეგ ის ხატი მოსვენებას არ მაძლევს, მოხუცებმა კი სრულებით არ იციან იმისი ფასი. ერთ დღეს დეიდა მაროს გასაღები გამოვართვი და კარების გაღებაში მოვეხმარე, შეუმჩნევლად კი გასაღების ანაბეჭდი საძერწ მიწაზე (პლასტელინი) გადმოვიტანე, მეორე დღესვე გასაღები დავამზადე და როდესაც მოხუცები სახლში არ იყვნენ, კიდეც მოვსინჯე კარების გაღება და სრულებითაც არ გამკივრვებია, როდესაც კარები თავისუფლად დამემორჩილა, ხატის გამოტანა კი უთქვენოდ არ ვიკისრე, ან რატომ უნდა მეკისრა, ჩვენ ხომ ოთხივე ერთი ბორკილით ვართ შეკრული?

– ხატი და სამკაულების მეტი რა გაქვს, პენსიონერს რომ არაფერი წაართვა არ იქნება? – გაჯავრებით თქვა ნინომ.

– კი, როგორ არა გვაქვს – უპასუხა კიკომ, მაგრამ ისეთი ანტიკვარი არცა გვაქვს და არც გვინახავს. საქმე ის არის, რომ აქ, ჩვენთან, არის ერთი ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც გერმანიაში აქვს დამთავრებული, გუშინ მასთან ვსაუბრობდი და სხვათაშორის ვუთხარი, ასეთი და ასეთი ხატის არსებობა, რომელიც თითქმის მე მაქვს მამა-აპაპათაგან მემკვიდ-

რეობით. ასეთი იშვიათი ანტიკვარის შესახებ რომ მისმენდა, თვალები გაუფართოვდა და მითხრა: – რამდენ მილიონ დოლარად დავთმობდი ანტკივარს – პირველად ყოველგვარ გაყიდვაზე უარი ვუთხარი, მაგრამ რომ არ მომეშვა, ათი მილიონი დავუფასე, ძალზედ ეძვირა და წავიდა, მაგრამ ისევ ჩქარა მოვიდა და ვაჭრობა დამიწყო, ბოლოსა და ბოლოს ხუთ მილიონზე შევთანხმდით ადგილზე ნაღდი ანგარიშსწორებით.

– ნამდვილად არ არის ცუდი ფული, მართლაც ღმერთის ნაბოძები თანხაა! – წამოიძახა დოლარინომ და ტაში შემოკრა.

– ჯერ სადა ხარ – წარმოთქვა კიკომ – ბოლომდე მომისმინეთ. ამ დილით მოხუცები სოფელში წავიდნენ ცოტაოდენი პროდუქტის მოსატანად და მხოლოდ ხვალ დილით დაბრუნდებიან. ასე, რომ დღევანდელი დღე და ღამე ჩვენს განკარგულებაში იმყოფება, მაგრამ დღისით ამ საქმის გაკეთება ყოვლად შეუძლებელია, რადგან თქვენ ყველა გიცნობთ ჩემს სადარბაზოში და რომ ვინმემ დაგინახოთ და გამორიცხული არ არის ვინმე დაგინახავთ, – ეჭვსაც ჩვენზე აიღებენ, ამიტომ ღამე ნებისმიერ დროს გავაღებთ კარებს და ყოველგვარი შიშისა და წინააღმდეგობის გარეშე ოქროს ხატი ჩვენს ხელთ აღმოჩნდება. ხვალ ხატს ოთხივე ერთად გადავცემთ ექიმს და ფულს მივითვლით.

– კარგია, ეს საქმე სრულებითაც არ წარმოადგენს სიძნელეს, მითუმეტეს კარების გასაღები გვაქვს და საკურთხეველზე ხატის აღებას რა უნდა? – თქვა დოლარინომ შენ კი ჩემო კიკო, როგორც კარის მეზობელი, შენზედ ეჭვი რომ არ მოიტანონ, საავადმყოფოს არ გამოცილდე და მაგ საქმეს ჩვენც ვეყოფით, ხვალ დილით ხატი შენს ხელთ იქნება.

– როგორც გენებოთ, არ იფიქროთ რომ მეზარებოდეს თქვენთან წამოსვლა, მაგრამ დოლარინოს აზრიც გასათვალისწინებელია, მითუმეტეს ღამით საავადმყოფოს კარებები

იკეტება და ავადმყოფის აღრიცხვას აწარმოებენ. მეტი აღარაფერი დამრჩენია, წამატებას, გისურვებთ! – თქვა კიკომ და გასაღები დოლარინოს გადააწოდა.

ხვალამდის, ჩაო კიკო, – მეგობრები გამოემშვიდობნენ, მსუბუქად გადაკოცნეს და დაპროგრამებულებმა საავადმყოფოს კარები გაიხურეს.

შუაღამე გადასული იყო, ნანამ თავისი ავტომობილი მსუბუქად დაამუხრუჭა კიკოს სადარბაზოსთან, თვითონ ავტომობილში დარჩა. დოლარინო და ნინო კიბეს აუყვნენ, აი ის კარები, დოლარინომ საკეტს გასაღები მოარგო, კარები თავისუფლად დაემორჩილა და ორთავენი ბინაში შევიდნენ. სინათლე ჩართეს, აი ის ხატიც, დოლარინომ საკუთრეხველს ააცალა ანტიკვარი და შემზარავი ყვირილი შემოესმა – „არ გაინძრეთ, ხელები მაღლა!“ – ნინომ გაისროლა. ტყვიამ ნათურა ჩაამსხვრია და ორთავენი ფანჯარს მიცვივდნენ. საპასუხო სროლის ხმა კიბეებიდან ისმოდა, კიდეც ჩაამსხვრიეს ფანჯრის მინა და გადასახტომად შეიმართნენ. გაისმა სროლის ხმა, ნინო უკან გადმოვარდა, მას ტყვია მარჯვენა წარბთან მოხვედროდა და უკან კეფა გაენგრია. დოლარინომ კი მოასწრო გადახტომა, მაგრამ ძირს ჩასაფრებულმა ორმა პოლიციელმა წამში განაიარაღა და დააბორკილა.

ნანა დაიბნა, თავისი ავტომობილი მიატოვა და გაზონებში ჩაწვა, პისტოლეტი ამოიღო, შეაყენა, მაგრამ არ იცოდა ნინოს რაც დაემართა და საქმის გამწვავებას მოერიდა, თან დაითვალა, ვერაფერს გახდებოდა, აქ პოლიციელების მთელი ჯარი ყოფილა ჩასაფრებული.

დოლარინო კოჭლობით წაიყვანეს და მუორიდებლად შეტენეს პოლიციის ავტომანქანაში, შემდეგ ვიღაც საკაცეზე დასვენებული გამოიტანეს და ის სხვა ავტომობილში შეაცურეს.

ნანა გაზონებიდან შეუმჩნევლად გამოძვრა და როდესაცყ ველაფერი მიწყნარდა, ფეხით გაუყვა გზას სახლისაკენ.

ფრთხილად, ფეხაკრებით შევიდა სახლში და ლოგინში ჩაწვა. ცრემლი ახრჩობდა. გრძნობდა ნინოს რა ხიფათიც შეემთხვა და მისი ნალაპარაკევი გაახსენდა:

– რაღაც ტანი მიზრის! – თქვა ნინომ საავადმყოფოდან წამოსვლისას.

– საავადმყოფომ იცის ცუდ გუნებაზე დაყენება! – უთხრა დოლარინომ.

– არა, საავადმყოფო აქ არაფერ შუაშია. წუხელ სიზმარში, ზუსტად იმხელა ვიყავი, რამხელაც დედამ დამტოვა და აყვანილი მივყავდი სადღაც! თუ ვინმემ მომკლა, არ იფიქროთ ფულისათვის ვკვდებოდე, არ შემიძლია მეგობრებს ვუღალატო და ეს არის ჩემი სისუსტე...

ნანას ისტრიული ტირილი აუტყდა და კრუნჩხვები დაეწყო. მშობლებს ნანას ოთახიდან მშფოთვარე კვენესა შემოესმათ და ორთავენი მყისვე იმის საძინებელ ოთახთან გაჩნდნენ. ნანას დედას, ეკატერინეს, დამსახურებულ ექიმს, არ გამოპარვია შვილის ავადმყოფობის მიზეზი, რომ ეს შეტევები ნერვიულობის ნიადაგზე იყო გამოწველული, ყველაფრეი სწავლით გადაღლას დააბრალა და დამამშვიდებელი ნემსები შეუშხაპუნა, ნანა მართლაც მალე დამშვიდდა და ნორმალური სუნთქვით ჩაეძინა.

მართალია საგანგაშო აღარაფერი ჭირდა ნანას, მაგრამ მშობლებმა ღამე დილამდე უთიეს. დილით კი წამოდგა დაღლილი, გაცრეცილი სახითა და ნამტირალევი თვალები, თავი უბრუოდა, ფანჯარა გამოაღო, სუფთა ჰაერი შეისუნთქა და ძირს გადაიხედა.

– მამა! – წამოიძახა აღშფოთებით.

– რა მოგივიდა შვილო! – ვახტანგმა მხრებზე ხელი მოხვია საყვარელ შვილს.

– მამა, გუშინ საღამოს იქ ჩვენი ავტომობილი დავაყენე და აღარ ჩანს! – ხმის კანკალით წარმოთქვა ნანამ.

– ნუ ნერვიულობ შვილო, ინახება! – დაამშვიდა მამამ და ეზოში ჩავიდა შესამოწმებლად, მაგრამ როდესაც მართლა ვერ აღმოაჩინა ეზოში ავტომობილი, პოლიციას შეატყობინა ავტომანქანის გატაცების შესახებ. პასუხს არ დაუგვიანია, ვახტანგს მალე შეატყობინეს ავტომანქანის ადგილსამყოფელი და სახლში მოყვანა აღუთქვეს.

– ცუდად ვარ დედა! – წყნარად წარმოთქვა ნანამ და ლოგინში შეძვრა, თითქოს შეაცივნა და აკანკალდა.

– რა მოგდის შვილო! – გაოცდა ეკა – ეს ნერვიული სტრესია, შენ თვითონ უნდა დაძლიო შენი ნებისყოფა შვილო, იქნებ შეგაცდინა ვინმემ, იქნებ სიყვარული დაგეღუპა და ხელი ჩაიქნიე. ასე როგორ შეიძლება, შენ კვალმაძიებლად გზრდი და თავიდანვე უნდა გცოდნოდა, რომ შენი არჩეული გზა ხიფათითაა აღსავსე. აგერ ცხოვრებაში რაღაც შეგემთხვა და არ გინდა გამოიძიო, რამ განაპირობა შენი ნერვიული სტრესი, უცებ დაჩაჩანაკდი, თავს უძლურად აჩვენებ და ახარებ იმას, ვინც ამ განსაცდელში ჩაგაგდო.

– დედა შენ მარტო შობა კი არ შეგძლებია, გადარჩენაც შეგძლებია შვილის! – თქვა ნანამ და დაფიქრდა, თუ რისთვის დარაჯობდნენ ვიღაც პენსიონერის სახლს პოლიციის მთელი ჯარი, ეს საქმე მართლაც შესასწავლია, – გაიფიქრა და დედას კალათაში ჩაუდო თავი.

– დედა! – მოულოდნელად წამოიძახა ისევ, არ დამიმალო, მე ტყუპის ცალი ხომ არა მყავს?

– რას ამბობ შვილო, საიდან დაგებადა ასეთი აზრი?

– მარცხენა მხარე მიცივდება, ასე მგონია, სხეულის რაღაც მნიშვნელოვანი ნაწილი მომაგლიჯეს. ჩემი ორეული მელანდება, ის მკვდარია!

– დაწყნარდი შვილო, ეს ახალგაზრდული ემოციებია,

დამშვიდდი, ყველაფერი თავისით გაივლის უწამლოდ.

– არა დედა, მე მოვკვდები, ის ჩემი ორეული მეძახის!

– აზრზე მოდი შვილო რაებს ლაპარაკობ? – უთხრა დედამ და დამაწყნარებელი შეუშხაპუნა. ნანას მალე ჩაეძინა.

ორმა პოლიციელმა დოლარინო საკნიდან გამოიყვანა და პატარა კაბინეტში ახალგაზრდა პროკურატურის გამომძიებელს წარუდგინეს: გამომძიებელმა პოლიციელები დაითხოვა და დოლარინოს ცივი თვალები გამჭოლი მზერა სტყორცნა, თითქოს პირველი შეხვედრით და ერთი შეხედვით სურდა გამოძიების მთელი საიდუმლო ამოეცნო და საქმეც ამით დაესრულებინა.

– დაბრძანდით! – ზრდილობიანად წარმოთქვა გამომძიებელმა და კუთხეში დაჭედებულ სკამზე მიუთითა დოლარინოს.

დოლარინომ უხმოდ დაიკავა მითითებული ადგილი და ახალ ბრძანებას დაელოდა. გამომძიებელმა საუბარი განაგრძო.

– მე პროკურატურის გამომძიებელი როსტომ მგალობლიშვილი გახლავართ. პროკურორმა მომანდო თქვენი დანაშაულებრივი საქმის გამოძიება, თქვენ უფლება გაქვთ უტყუარი მიზეზის საფუძველზე აცილება მისცეთ ჩემს მიერ ძიების მსვლელობას. თანახმა ხართ, რომ მე გამოვიძიო თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაული?

– თუ ძიებას თან ახლავს სიმართლე, ასეთ შემთხვევაში გამომძიებელს აცილებას არ აძლევენ და თუ თქვენ ჩემზედ არარსებული დანაშაული გსურთ შემაწეროთ, ძიების მსვლელობა გვიჩვენებს და შემდეგ მოგცემთ აცილებას, ჯერ-ჯერობით კი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს – უთხრა დოლარინომ.

– ძალიან კარგი! სახელი, გვარი, მამის სახელი! – შეეკითხა გამომძიებელი და საწერად ფურცელი და ავტოკალამი მოიმარჯვა.

– ავთანდილ სერგოს ძე მარუაშვილი! – უპასუხა დოლარინომ თითქმის დიდი ხნის დავიწყებული თავისი ნამდვილი გვარი და სახელი.

– თქვენ ბრალად გედებათ მარია და ივანე დადიანების მკვლელობა და ოჯახის გაქურდვა.

– რაო?! მკვლელობა? მე ქურდი ვარ სიმონ, სველ საქმეზე არ დავდივარ და თავიდან ხომ მოვრიგდით „არ არსებული არ შემაწერო-მეთქი?“

– მე სრულებითაც არა მაქვს თქვენი ინტერესი. მხოლოდ თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაული რასაც მეტყველებს, იმას მოგახსენებთ. ღამის ორ საათზე თქვენ შეხვედით ივანე და მარიამ დადიანების საცხოვრებელ ბინაში, ბალიშით მოახრჩვეთ ორთავე პენსიონერი და ბინის გაქურდვას შეუდექით. პოლიციის თანამშრომლებმა, ერთი თქვენი თანამოსაქმე ადგილზე მოკლეს პისტოლეტით, წინააღმდეგობის გაწევის გამო, შენ ფანჯრიდან გადმოხტი, მაგრამ ფანჯარასთან ჩასაფრებულმა პოლიციამ მყისვე გაგაიარაღათ და აი, ამ წუთში ჩემს წინაშე იმყოფებით. თქვენს თანამოსაქმეს ნინო შალვას ასულ ქურქაძეს, მხოლოდ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდ-ბილეთი აღმოჩანდა. ამ ფაქტსაც ხომ არ იუარებთ?

დოლარინოს ცივმა ოფლმა შუბლი დაუცვარა, რადგან ნინოს დაღუპვის ამბავი პირველად ესმოდა, მაგრამ არ შეიმჩნია და გამომძიებელს მოახსენა:

– ცდებით ბატონო როსტომ, მე არავითარი თანამოსაქმე თან არ მხლებია, მახსოვს კი, როდესაც ბინაში გასაძარცვავად შევედი, ზევიდან კიბეზე ვიღაც გამორბოდა, როდესაც პოლიციამ სროლა ატეხა, შეშინებული, ბინის ღია კარებში შემოვარდა, შემდეგ კი იქ რა მოხდა ჩემთვის უცნობია.

– უტვინო! შენ შეგიძლია ყველაფერი დანაშაული მკვდარს გადააბრალო და სასჯელი შეიმსუბუქო, შენ კი უარყოფ თანამოსაქმის არსებობას.

– თქვენ, ბატონო როსტომ, ჩემი სასჯელის შემსუბუქება გინდათ თუ სიმართლის გამოძიება? მე როგორ დავაბრალო მკვდარს, თუ გინდ ცოცხალს, ჩემი თანამოსაქმეობა, როდესაც პირველად მესმის იმის სახელი და გვარი, რომელიც ახლა ბრძანეთ და მე უკვე აღარ მახსოვს. ასე ხომ შემიძლია ნებისმიერი ადამიანი დავასახელო თანამოსაქმედ, თუ გინდ თქვენი პროკურორი, დამიჯერებდით?

– აბა, თქვენი აზრით, როგორ აღმოჩნდა სტუდენტი ნინო ქურქაძე იმ ბინის სადარბაზოში, რომელსაც თქვენ გაქურდვით ემუქრებოდით?

– მოგეხსენებათ ახალგაზრდათა გატაცება, ალბათ სულ ბოლო სართულზე სიყვარულობანას თამშაობდნენ და როდესაც სროლა ატეხეს, შეეშინდა და კიბეებზე გამოიქცა, ვაჟი კი იქვე, სადღაც კუთხეში მიიმალა და არც არავინ დაინტერესებულა იმის მოძებნით.

– მიცვალებულ ნინოსთან იატაკზე ეგდო „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტი, შენ კი „მაკროვის“ სისტემის პისტოლეტი აღმოგაჩნდა, რას იტყვით ამ ფაქტზე? ნუთუ ქალიშვილს ესაჭიროება ცეცხლსასროლი იარაღი, როდესაც სიყვარულობანას თამაშობს?

– არა ბატონო როსტომ, არავითარ შემთხვევაში ცოდვაში ფეხს არ ჩავიდგამ და მიცვალებულს თანამოსაქმედ ვერ გავიხდი, პისტოლეტი ორივე მე მქონდა „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტით ნათურა ჩავამსხვრიე და ფანჯრიდან გადმოხტომის დროს ხელიდან გამივარდა, ასაღებად ფანჯრის რაფიდან აღარ ჩამოვმხტარვარ, რადგან „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი იღლიის ქვეშ მეგულებოდა.

– კარგი მომზადებული ხარ, თითქოს სიმართლეს ღაღადებდეთ, მაგრამ ერთი ესეც მითხარით, ძარცვის ადგილამდე როგორ მიხვედით?

დოლარინომ იცის, პასუხი საჩქაროდ უნდა გაეცეს შეკითხვას, დაგვიანება ყოყმანს ნიშნავს, ყოყმანი კი ტყუილს, ამიტომ საჩაქროდ გაისიგრძეგანა, რომ ნანა ავტომობილს დატოვებდა და ფეხით წავიდოდა. იქნებ იქვე დაიმალა, სადღაც გამომძიებლის შეკითხვამ წამიერად შეაყოვნა, მაგრამ ეს ისე გააკეთა, თითქოს არ უნდოდა კიდევ ძარცვის გარდა სხვა საქმის მიკერება და როსტომ უპასუხა:

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს როგორ მოვედი ძარცვის ადგილამდე, ხომ შეიძლება ავტომობილის გატაცება არ მომაწეროთ?

– თუ გახსოვს რომელი მარკის იყო და საიდან წამოიყვანე ავტომობილი?

– მარკის და ნომერს სწორედ არ დავკვირვებივარ ბატონო როსტომ ერთ-ერთი სახლის წინ ვნახე დაყენებული. იქ ბევრი ავტომობილი იდგა, მაგრამ მე ის შევარჩიე, შავი ფერის, მგონი ფორდი უნდა ყოფილიყო და წამოვიყვანე. გადაწყვეტილი მქონდა საქმის გაკეთების შემდეგ ადგილზე დამებრუნებინა, მაგრამ არ დამცალდა.

– შენ იცი ვისაც ეკუთვნოდა ის ატვომობილი?

– მე ჟურნალისტი არ გახლავართ, რად მინდოდა ავტომობილის მეპატრონის ვინაობისგაგება, ინტერვიუ უნდა ჩამომერთმია?

გამომძიებელს გაეღიმა, ორი ვარაუდიდან ვერც ერთი ვერ დაუმტკიცა ბრალდებულს და ახლა სხვა კუთიხთ შემოუარა:

– რას ეგულებოდით პენსიონერების ოჯახს? ძირითადად რის მოსაპარად შეხვედრით ბინაში?

– მე წვრილმანი ჯიბის ქურდი ვარ ბატონო და ჩემთვის სულ ერთი იყო რასაც ვნახავდი და ცოტა რაღაც კი, ყველა ოჯახში მოიპოვება.

– ბინის გასაღები როგორ ჩაიგდეთ ხელში?

– არავითარი გასაღები მე არ მქონია და არც მაგ პენსიონერების ბინის გასაქურდად მივსულვარ იქ, მე უფრო სარფიანი ბინის გაქურდვას ვაპირებდი, ამისათვის ძალაყნიც მქონდა მზად, მაგრამ იმ პენსიონერების ბინის კარები ღია რომ დავინახე, სულმა წამძლია და შიგ შევედი.

– ვისი ბინის გაქურდვას აპირებდით?

– იქ ცხოვრობს ვასილ მირიანაშვილი, ყოფილი ბანკის მმართველი და იქიდან ველოდი ცოტაოდენი ფულის გამოტანას, მაგრამ მიეცა ჩემი ცოდვა, ვისაც იმ პენსიონრების კარები დარჩა დაუკეტავი.

– ისე ლაპარაკობთ, თითქოს ყოველი თქვენი ნაამბობი სარწმუნო იყოს. მეც დაგიჯერებ, პროკურორსაც დავარწმუნებ ზოგიერთ თქვენს სიმართლეში, მაგრამ არა მგონია ვანოსა და მაროს მკვლელობიდან თავი დაიძვრინოთ.

– გამოძიების მიმდინარეობა ჩემგან არ გესწავლებათ ბატონო როსტომ და ნუ იკადრებთ ის შემომაწეროთ, რაც არ გამიკეთებია, გთხოვთ, თვითონ თქვენ დაუფიქრდეთ და იურიდიულად განსაჯოთ თუ რას მომცემდა მე პენსიონერების მკვლელობა?

– ერთ-ერთმა მოხუცმა თქვენ შეგიცნოთ და ძარცვის კვალი რომ დაგეფარათ, მოსალოდნელი ხიფათი თავიდან მოიშორეთ, შეიძლება თქვენ ძარცვაც უარყოთ, მაგრამ თქვენი უარყოფა მართლმსაჯულებისათვის სარწმუნო არ იქნება.

– დავუშვათ და დავიბრალო მარიამისა და ივანეს მკვლელობა, ეს სარწმუნო იქნება და გამართლებული?

– ეს დაბრალება კი არა აღიარება იქნება, რადგან დანაშაულის ყველა კვალი შენსკენ მოემართება, უარყოფა შეიძლება ისეთი დეტალის, რომელიც გამოძიებას ბურუსში ხვევს და უჭირს სიმართლის დადგენა, შენი დანაშაულის უარყოფა კი ნამდვილად მაოცებს, როდესაც დანაშაულზე წაგისწრეს, სურათები და ვიდეო ადგილზე გადაგიღეს, ოც-

დაორი პოლიციელი სახიერი მოწმეა და დილიდან მეორე დილამდე შენს გამოჩენას ელოდებოდნენ. შენ მიმტკიცებ კარები ღია იყო და შემთხვევით აღმოვჩნდი დადიანების ბინაშიო, შენ რომ ჩემს ადგილზე იყო დაიჯერებდი ასეთ სიცრუე, როდესაც უამრავი სამხილი შენს დანაშაულზე მეტყველებს?

– შეიძლება არც მე დამეჯერებინა, მაგრამ ძიება მკითხაობა ხომ არ არის, ვარაუდით და ტყუილებით დაამშვიდო ადამიანი. ამ შემთხვევაში უნდა ირწმუნოთ დამნაშავის სიტყვა და გადასინჯოთ ძიების სხვა მხარეც. იქნებ სწორი გზა სწორედ იმ კუნჭულში იმალება, სადაც არ მოველით!

– კარგი, მე დავიხმარ ჩემზედ მეტად გამოცდილ კვალმაძიებელს, შესაძლებელია შენი განადგურება ეწადა ვინმეს და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგაგდო. შესაძლებელია, როგორც ამბობთ კარებიც ღია იყო და ბინაში შემთხვევით აღმოჩნდით. ჩვენ არავითარი ინტერესი არ გვამოძრავებს თქვენს მიმართ უმაღლესი სასჯელი მიიღოთ და ნამდვილი დამნაშავე თქვენს დასჯას დაესწროს. მე რა უფლება მაქვს სწორად არ გამოვიძიო დანაშაული და საკუთარი გაურანდავი სწავლა კანონზე მაღლა დავაყენო? მოდი, დღეს ამ საუბრით დავამთავროთ ჩვენი ძიების დასაწყისი, ხვალ ან ზეგ დაგკითხავთ და საქმეს სასამართლოს გადავცემ, ამიტომ მოემზადე, წყალ-წყალა მტკიცებებით კი არა, ურყევი და დამაჯერებელი ჩვენებით დამიმტკიცე უდანაშალუობა. თუ ამას მოახერხებ, უსასჯელოდ გათავისუფლებას ვერ დაგპირდება, მაგრამ სასჯელის მინიმუმს კი გაზიარებენ.

– საერთოდ რამდენი დაჯდება ამ საქმის მოქრობა?

– ასეთი საქმეები არ ქრება და არასოდეს არ იხურება, მკვლელობა ტყემლის ქურდობა ხომ არ გგონია. სისხლი ადრე თუ გვიან თავს იჩენს, დამნაშავესაც გააბორო-

ტებს და გამომძიებელსაც. პირველ რიგში ჩვენ ვეცადოთ შენი დანაშაულიდან მკვლელობა ამოვაგდოთ და თუ ეს მოვახერხეთ,ჩათვალე, რომ საქმეც შენს სასარგებლოდ შემოტრიალდა.

გამომძიებელმა ღილაკს თითი დააჭირა, პოლიციელები შემოვიდნენ და დოლარინო გაიყვანეს.

საგონებელში ჩავარდა დოლარინო, საკანში ადგილს ვეღარ პოულობდა. ერთად ამხელა ტრავმის გადატანა არც ისე ადვილია ადამიანისათვის, ნინო მაინც არ დაღუპულიყო, ახლა კიდევ ვიღაცის მკვლელობას აბრალებენ და როგორ იმართლოს თავი ვერ მოუფიქრებია. ნეტავი გარეთ დარჩენილები თუ ეცდებიან დოლარინოს გადარჩენას? იქნებ საკუთარ ტყავს გაუფრთხილდნენ და საერთოდ გადაიკარგოს ქალაქიდან, მაშინ ხომ ღვთის ანაბარა დარჩება დოლარინო?

ნანას ჯერ კიდევ ეძინა, დამამშვიდებელი წამლებიდან თავი ვერ დაეხსნა და ბურანში იმყოფებოდა, – „ნანა მიშველე“ – ჩაესმა ძილ-ბურანში დოლარინოს ხმა. შეძახილმა მთლიანად გამოაფხიზლა და ლოგინიდან წამოიწია. დედა საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო და აქამდე მშფოთვარედ მძინარე შვილს ღამეს უთევდა.

– დედა!

– როგორ ხარ შვილო?

– რომელი საათია?

– მალე გათენდება!

– ასე დიდხანს მეძინა?

– ნერვები მხოლოდ ძილმა უნდა დაამშვიდოს შვილო, ახლა როგორ გრძნობ თავს?

– კარგად დედა, შენ კი სიმართლეს არ მეუბნები, „მე ტყუპის ცალი მყავს თუ არა?“

– რატომ მეკითხები ასეთ უცნაურ რაღაცას შვილო?

– ხომ გითხარი ჩემი ორეული მელანდება მკვდარი, იმან გულზე სიხარულის რაღაც ნაწილი მომგლიჯა და თან წაიღო. მე თუ გავუძელი და ამ დღეებში არ მოვკვდი, დედა გაღიმებულს ვერავინ ვერ დამინახავს ვერასდროს.

– მითხარი შვილო, რა შეგემთხვა, მე ხომ შენი მარტო დედა არა ვარ, შენ ხომ სულისა და გულის მეგობარსაც მეძახი. გამიტყდი საიდუმლოს და იქნებ გიშველო, შენს დარდს მეც გავიზიარებ და ორივე უფრო ადვილად მოვერევით დარდის ტვირთის ზიდვას.

– მამამ ავტომობილი მოძებნა?

– კი შვილო, აი, ფანჯრიდან მოჩანს, განაკაწრიც არსად აქვს, ალბათ გასასეირნებლად წაიყვანა ვინმემ, იჯირითა და შემდეგ მიაგდო ახლომდებარე სახლთან.

– გათენდა, მე უნდა წავიდე დედა!

– სად მიდიხარ შვილო, მითხარი, მეც შენთან ერთად წამოვალ.

– წამოდი, საავადმყოფოში უნდა წავიდე, იქ ერთი ჩემი მეგობარი მკურნალობს და ის უნდა მოვინახულო.

მერაბი პალატაში არ აღმოჩნდა და ნანა განყოფილების მთავარ ექიმთან შევიდა კაბინეტში.

– მერაბი რიჟამაძე? – წარმოთქვა განყოფილების მთავარმა ექიმმა გუშინ დილით ამერიკაში გაფრინდა სამკურნალოდ.

– რას სტკიოდა ასეთი, რომ თქვენ ვერ შეძელით ავადმყოფის განკურნება?

– არაფერი, უბრალოდ პროფილაქტიკის გულისათვის წავიდა, ისეთი გრძნობით გამომთხოვა მიმართვა, უარი ვეღარ ვუთხარი.

„ნუთუ გაიგო ჩვენს თავზე დატრიალებული ტრაგედია და გაიპარა?“ – გაუელვა საზარელმა ფიქრმა ნანას.

– დედა, ის საავადმყოფოდან გამოუწერიათ, წავიდეთ, სოფელში მოვინახულოთ!

– წავიდეთ შვილო!

ნანამ მთელი სიჩქარით გააქროლა ავტომობილი და რამდენიმე წუთის შემდეგ ომეხის ჭიშკართან გააჩერა, რომელიც უზარმაზარი ბოქლომით დაკეტილი დაუხვდა. არ იყო ადვილი რკინის ღობეზე გადახტომა, მაგრამ ნანამ მაინც მოახერხა და გვარიანი წვალების შემდეგ ეზოში აღმოჩნდა. პირდაპირ სეიფების სამყოფელს მიაშურა, მაგრამ სეიფებამდე მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან კარებზე დადებული უზარმაზარი ბოქლომის გარდა, კარებს მაჯის სიმსხო გისოსები ჰქონდა გაკეთებული საგონებელში ჩავარდა გოგო, როგორ უშველოს დოლარინოს? კიკომ ალბათ იყნოსა ჩვენი ტრაგედია და მისთვისაც ხელი რომ არ მოეკიდებინათ გაქცევით უშველა თავს, მაგრამ საბოლოოდ არ მიგვატოვებს. ფიქრობდა ნანა და მთელი სიჩქარით მიაქროლებდა ავტომობილს დედაქალაქისაკენ.

„ჩემი გამოჩენა სახიფათოა, მაგრამ რაც მოსახდენია, მოხდეს“ – გაიფიქრა ნანამ და როსტომ მგალობლიშვილის კაბინეტის კარი შეაღო. მიესალმა ახალგაზრდა გამომძიებელს და სავარძელში პირისპირ ნებართვის გარეშე ჩაჯდა.

– გისმენთ! – წარმოთქვა გამომძიებელმა და ისეთი ცივი მზერა მიაპყრო, თითქოს ცდილობდა ჰიპნოზით ამოეცნო ქალიშვილის მოსვლის მიზეზი.

– მე ნანა ფერაძე გახლავართ, იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი.

– ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, რისთვის შეწუხებულხართ და რით შემიძლია გემსახუროთ?

ნანამ თვალებში ჩახედა გამომძიებელს, რომ კომპლიმენტის ორაზროვნებას ჩაწვდომოდა, მაგრამ გულწრფელად ნათქვამად მიიჩნია და ნაძალადევად გაუღიმა როსტომს.

– თუ არ შეწუხდებით და იურიდიულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, გთხოვთ გამაცნოთ ავთანდილ მარუაშვილის

დანაშაულებრივი საქმე, ჩემი ძველი ნაცნობია და ძალზედ მაინტერესებს იმისი ბედი.

– ავთანდილ მარუაშვილის საქმის შესახებ კარგს ნამდვილად ვერაფერს გეტყვით, რადგან ძარცვა, მკვლელობით აქვს ჩადენილი და თქვენც კარგად მოგეხსენებათ სისხლიანი დანაშაულის ხვედრი.

– თვითონ სცნო თავი დამნაშავედ და აღიარა მკვლელობა?

– არა, მკვლელობის გაგონებაც არ უნდა. მტკიცე უარზეა.

– აქვს რაიმე დამამტკიცებელი ფაქტორი, რომ მკვლელობის ეჭვი თავიდან აიცდინოს?

– ჯერჯერობით არაფერი, ექსპერტიზამ დაამტკიცა, მოხუცი პენსიონერები სწორედ იმ დროს მონაკვეთში არიან ბალიშით გაგუდულნი, როდესაც მძარცველი ბინაში იმყოფებოდა.

– მძარცველს მარტოდ აქვს ჩადენილი მკვლელობა და ძარცვა თუ თანამოსაქმე ახლავს?

– იქ დაიღუპა ერთი ქალიშვილი, მაგრამ ავთანდილი იმის ნაცნობობას უარყოფს.

– თქვენ რას ფიქრობთ?

– ამ შემთხვევაში მძარცველს უნდა დავუჯეროთ, რადგან მას არავითარი შეღავათი არ ექნება მიცვალებულისაგან.

– თუ მძარცველი უარყოფს მკვლელობას, შეიძლება არც არის დამნაშავე და ჩემი დიდი თხოვნა იქნება, გულისყურით მოეკიდოთ ამ საქმეს.

– დამნაშავე ყველა ამბობს, რომ უდანაშაულოა და ამიტომ, მართლა უდანაშაულო ადამიანის აღარავის სჯერა. მე ავთანდილსაც დავპირდი და ყოველგვარ ძალ-ღონეს ვიხმარ დავეხმარო, მაგრამ რა შემიძლია, როდესაც ყველა სამხილი მძარცველის საწინააღმდეგოდ მეტყველებს?

– მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, ძიება გააჭიანურეთ და შეიძლება დრომ დაამტკიცოს სიმართლე!

– ვეცდები ყველაფერი ავთანდილის სასარგებლოდ გადავწყვიტო, რადგან პირველი დღიდანვე სიმპათიით გავიმსჭვალე იმის მიმართ.

– წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ბატონო როსტომ! – უთხრა ნანამ და თბილად გამოემშვიდობა გამომძიებელს.

თითქმის ერთმა თვემ განვლო, როსტომმა ძიება დაამთავრა და ვერავითარი შეღავათიანი სტატია ვერ მოარგო დამნაშავეს. საქმეც ასე დახურა: „დამნაშავე, ავთანდილ სერგოს ძე მარუაშვილი თავს დამნაშავედ არ გრძნობს“. საქმე სასამართლოს გადასცა განსახილველად.

ნაღდად დაიღუპება დოლარინო, ცეცხლი შემოენთო ნანას, მაგრამ ვერაფერს შველას და მთელ ქალაქში ადგილს ვერ პოულობს, კიკო კი იგვიანებს, არ ჩანს და ვინ იცის ან იმას რა შეემთხვა?

ბოლოს და ბოლოს სასამართლო პროცესი დაინიშნა. ვერ ამოაგდეს დანაშაულიდან პენსიონერთა მკვლელობა და ავთანდილ სერგოს ძე მარუაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს. მხოლოდ ათი დღე მისცეს სიკვდილმისჯილს საკასაციო გასაჩივრებისათვის. ათ დღეში უნდა დადგინდეს სიმართლე, ან დოლარინო უნდა დადგეს ტყვიის წინაშე, მაგრამ დიდია ღმერთის განგება, ზუსტად სასამართლო პროცესის დამთავრების დღეს დედაქალაქს კიკო მოევლინა და პირველად თავის ერთოთახიან ბინას მიაკითხა. კიკოს ჩემოდანი ამოლაგებულიც არ ჰქონდა, რომ ნანამ ბინის კარები მოურიდებლად შეაღო.

– კიკო, სად დაიკარგე ბიჭო, – უთხრა ნანამ და დიდი ხნის უნახავი მეგობარი გადაკოცნა.

პირველად კიკო დაიბნა, გაქცევაც კი დააპირა ნანა რომ დაინახა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და ტყუილების შეთხზვა დაიწყო:

– ხომ იცით საავადმყოფოში რომ ვიწექი, იმ ღამით შეტევა მომცა გულმა და საჩქაროდ გადამაფრინეს ამერიკაში, მიმკურნალეს, მაგრამ მაინც არა ვარ კარგად. თქვენ როგორ ხართ, ხომ ყველაფერში მშვიდობა გაქვთ? – შეეკითხა თავის მხრივ კიკო ისე, თითქოს არაფერი იცოდა მომხდარის შესახებ.

– ჩვენ კარგად, ყველანი კარგად ვართ, მადლობა ღმერთს, რომ შენც მშვიდობით დაგვიბრუნდი – უთხრა ნანამ და საწოლზე ჩამოჯდა ბალიშთან ახლოს, ბალიშის ქვეშ ხელი შეაცურა და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი გამოიღო. ჩახმახს მოსწია, შეაყენა და ლულა კიკოს შუბლს გაუსწორა.

– რას შვრები ნანა, იარაღს ხუმრობა არ უყვარს, დაუშვი იარაღი – ამოილუღლუღა კიკომ და შუბლი ცივმა ოფლმა დაუცვარა.

– ყურადღებით მომისმინე, თუ შევცდე, შეგიძლია შემისწორო – უთხრა ნანამ ისე, რომ მაკაროვის სამიზნე კიკოს შუბლს არ მოშორებია – ძმის მკვლელო, კაენო, რა გაკლდა, ნუთუ შენც ქვეყანა გეპატარავა, რატომ ჩაიდინე ასეთი მზაკვრობა, რისთვის დაღუპე შენი მეგობრები, ფული გეცოტავა, თუ განძი და სამკაულები?

– ვერ გავიგე ნანა, რას მეუბნები, მე ხომ შეტევა მქონდა, ინფარქტი გადავიტანე. მოდი, ექიმების დასკვნა წაგაკითხებ – თქვა კიკომ და ჩემოდნისაკენ წაიწია.

– არ გაინძრე! – დასჭექა ნანამ და ტყვიით ქოჩორი გადატრუსა.

– ინფარქტი გადაიტანე არა? ჩვენს სეიფებზე გისოსები როგორ გააკეთე ინფარქტიანმა კაცმა? თვითონ მოყევი რა ბოროტებაც ჩაიდინე მეგობრების წინაშე, თორემ გაგიხვრიტე ტყვიით თავის ქალა.

– დამიჯერე, რომ მე არაფერ შუაში არა ვარ, რომელ გისოსებზეა საუბარი წარმოდგენაც არა მაქვს. წამობრძანდი,

ვნახოთ და თუ იქ რაიმე გისოსებია, იქვე ჩამაძაღლე, ხმასაც არ ამოვიღებ.

– ყველაფრამდე ზნედაცემული ყოფილხარ, ახლაც გინდა თავი დაიძვრინო და ახალ ღალატზე ფიქრობ, მაგრამ ვერ მოგართვეს, ასე უცებ ნაფიქრალი შენი ბოროტება არ განხორციელდება. ის ბოროტება რომელიც ჩაიდინე, შენ თვეობით გქონდა ნაფიქრალი. პირველად გასაღები გააკეთე და პენსიონერების კარებს მოარგე, შემდეგ მოსალოდნელი ამბავი გაითვალისწინე და საავადმყოფოში დაწექი. ავადმყოფობისათვის კი არა, ისე, პროფილაქტიკისათვის. საავადმყოფოში გვიბარებ ძმადნაფიცებს და გვასწავლი, თუ როგორ გამოვიტანოთ ძვირადღირებული ხატი ოჯახიდან. ოპერაცია აუცილებლად ღამით უნდა განხორციელდეს, რადგან დღისით არავინ დაგვინახოს, შენ კი დღისით მიდიხარ, თავისუფლად შედიხარ პენსიონერების ბინაში, ბალიშით გუდავ მოხუცებს, რომ ჩვენ, მძარცველებს დაგვბრალებოდეს და სუფთა სინდისით ისევ საავადმყოფოში უჩინარდები. საღამოს პოლიციის სამმართველოში რეკავ ტელეფონით და აცნობებ, რომ ამა და ამ მისამართზე ეწყობა შეიარაღებული თავდასხმა. რა თქმა უნდა, პოლიციის სამმართველოს უფროსი გიჯერებს ამ ამბავს და გარემოცვაში ხვევს მთელ სახლს. მეორე დღეს შენ ყველაფერს გებულობ, რომ ნინოს კლავენ, დოლარინოს იჭერენ და მე კაცმა არ იცის მკვდარი ვარ თუ დაჭერილი, რადგან უგზო-უკვლოდ დავიკარგე. ეს ამბავი დღესაც ასე გეგონა, თორემ ასე უშიშრად ჯერ კიდევ არ დაბრუნდებოდი შტატებიდან. ახლა ერთ რამეს გირჩევ: დაჯექი და დაწერე სიმართლე, თუ როგორ მოახრჩვე მოხუცი ცოლ-ქმარი დადიანები, როგორ დაუკავშირდი პოლიციის სამმართველოს, რომ დოლარინო გაბმულიყო მახეში და სხვა მრავალი წვრილმანი, საჩქაროდ, თუ გინდა სიცოცხლე შეგინარჩუნო, დაწერე, წაიღე შენი სიმდიდრე და წადი

შტატებში. თუ ასე არ მოიქცევი, დოლარინოს ათ დღეში დახვრეტენ, შენ კი – ერთ საათში.

– დეჯექი და წერას შეუდექი! – უბრძანა ნანამ და ფურცელი და ავტოკალამი მაგიდაზე დაუდო.

– არა, არ შემიძლია, ვერ დავწერ! იმიტომ კი არა, რომ უარს ვაცხადებ დანაშაულზე, არა, უბრალოდ არ შემიძლია. შიში დამეუფლა და ჩემს აზრს ვერავინ გაიგებს.

– დაიწყე, მე გიკარნახებ: „უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ ვ. ბ. კორინთელს“.

მივესალმები თქვენს მიერ გამოტანილ უმაღლესი ზომის სასჯელს, რომელიც ავთანდილ სერგოს ძე მარუაშვილის დანაშაულ ქმედებას ეხება, მაგრამ ის როდია დამნაშავე. ბატონებო, დანაშაული მე ჩავიდინე – მერაბ ომეხის ძე რიჟამაძემ და ჩემს დანაშაულზე სხვა მსხვერპლი მივაგდე არ ველოდი თუ კანონით დახვრეტას მიუსჯიდით, თორემ ასეთ ბოროტებას არ ვიკადრებდი, აქამდე ვაღიარებდი სიმართლეს, მაგრამ შტატებში ვიყავი წასული და მადლობა ღმერთს, კიდევ კარგ დროს მოვუსწარი. დღეს სინდისის ქენჯნას თვითმკვლელობამდე განვიცდი და ასეც მოხდება, ნაწერი ნამდვილად ჩემი ხელით არის დაწერილი, შეგიძლიათ ექსპერტიზით შეამოწმოთ. მე კი ყველას გემშვიდობებით, რადგან თქვენს ხელში ჩავარდნა კეთილშობილურ საქციელად არ მიმაჩნია...“

– ხელი მოაწერა! აი ასე, ახლა კი ფურცელი მოშორებით დადე, რომ სისხლმა არ დასვაროს.

– როგორ, ჩვენ ხომ მოვრიგდით, არ მომკლა ნანა! – იღრიალა კიკომ.

– პოლიციას რომ ჩაგაბარო ქურდული სინდისი არ მაძლევს უფლებას, ნინო კი მოღალატის სისხლს მთხოვს. შენ კი არა მარტო, ჩვენც ვიგემეთ შენი წინაპრების ნაჭამი ტყემლის სიმჟავე. შენც გამოცადე ახლა – თქვა ნანამ და პისტო-

ლეტის სასხლეტი ფეხებთან დაუდო და კარები გამოხურა. სხვა დღეებთან შედარებით, დღეს აღფრთოვანებული დაბრუნდა ნანა ოჯახში და მამას კისერზე ჩამოეკიდა.

– რა მოხდა ნანა, სადღეოდ ხომ არა ხარ, რა მოგივიდა? – შეეკითხა სიხარულის მიზეზს ვახტანგი.

– ვნახე მამა, დადიანების მკვლელი აღმოვაჩინე, რატომ აზრადაც არავის მოუვიდა, რომ დადიანების მეზობლის, მერაბ რიჟამაძის ბინა შეემოწმებინათ? ახლავე გაეცი მამა ბრძანება, რომ რიჟამაძის ბინა შეამოწმონ.

– კარგი შვილო, კარგი თუკი რაიმე სამხილს აღმოაჩენენ, ვინ იტყვის უარს? – თქვა ვახტანგმა და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

ერთი კვირის შემდეგ განმეორებით შედგა ავთანდილ სერგოს ძე მარუაშვილის სასამართლო პროცესი და სახალხო სასამართლომ ოთხიწლით თავისუფლების აღკვეთ მიუსაჯა.

სასამართლო განაჩენიდან ერთი კვირის შემდეგ რუსთავის შრომა-გამოსასწორებელ კოლონიაში დოლარინომ წერილი მიიღო. კონვერტზე დაწერილი მისამართი ნანას ხელწერაზე მეტყველებდა. კონვერტში კი სუფთა ფურცელი აღმოჩნდა, რომელზედაც მხოლოდ ერთი წერტილი იყო დასმული. ეს იყო მსოფლიოში დაწერილი ყველაზე მცირე წერილთაგანი, რომელიც ყველა ვრცელ წერილზე მეტს მეტყველებდა, რაც ოდესმე დაწერილა.

დოლარინომ ფურცელი მოიმარჯვა და წერტილის გაშიფრვას შეუდგა.

„ჩვენს მტრებზე წერტილია დასმული, ჩვენ გავიმარჯვეთ, წერტილი დაესვა ძარცვა-ქურდობას, კეთილსინდისიერად მოიხადე სასჯელი.

წერტილი დაესვა ამორალურ ცხოვრებას, მე შენ გელოდები. წერტილი დაესვა სეიფებს. შენს დაბრუნებამდე

ვერავინ გახსნის...“ და კიდევ მრავალ სიტყვას იმეორებდა გახარებული და გახევებული დოლარინო, რომელიც წერ-ტილთან იყო დაკავშირებული.

საგამომძიებლო ნათლობა

ვუყვარვარ! – არ ვუყვარვარ! – ვუყვარვარ! – არ ვუყვარვარ! – ხმადაბლა მკითხაობდა თითქოს ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი, რომელიც გვირილის ყვავილების ტევრს მოეხიბლა და ციდან მიწაზე მათი სიყვარულით ჩამოსულიყო. ამ ღვთიურ ქმნილებას დღეს თექვსმეტი წელი შესრულებოდა. დღეს აეღო საშუალო სკოლის დამთავრების სიმწიფის ატესტატი და მკითხაობდა, თითქოს გვირილის ფურცლებით სურდა ამოეცნო ცხოვრების მომავალი. მკითხაობდა და გვირილის ყვავილის თეთრი ფურცლები ხავერდისფერ მინდორს ეფინებოდა.

ქალიშვილის გრძელი, ნატიფი თითები გუდიაშვილის ნაწარმოებს „ფრესკის ღიმილს“ მოგაგონებდათ. სახე კი უმანკოებით უბრწყინავდა. გვირილის ყვავილის დისკოზე, ყოველი ფურცლის მოწყვეტის დროს, დიდრონი თაფლისფერი თვალები ღირსებით აღსავსე გამომეტყველებას ღებულობდა, ბაგეზე კი საოცარი ნიშანი დასთამაშებდა ქალწულობისა. რასაც მხოლოდ შემოქმედი თუ ამოიკითხავს ქალიშვილის ამ სათაყვანებელ ღისრებას. მხოლოდ ასეთმა უცხო თვალთაგან შეუმჩნეველმა ნიშანმა, ბაბრუსს გაგიჟებით შეაყვარა მიწიდან ამოთხრილი მარმარილოს დიანა.

მშვენიერების საწყისი იყო ქალწული: ლამაზი სახის უნაკლო ნაკვეთები გაცოცხლებულ ჩუქურთმას მიუგავდა, რომელსაც ღიმილი იმდაგვარად დასთამაშებდა, რომ მნახველიც უნებლიედ მსგავსად იმისა გაიღიმებდა. დიდრონი თაფლისფერი თვალები მღელვარე ზღვას მიუგავდა და მნახველს თავისი უსასრულობისაკენ ეწეოდა. შავი, გრძელი, ხშირი წამწამები და გადამშვილდული წარბების ერთმანეთან შერწყმა რას შეადაროს მწერალმა, ჯერ კიდევ ვერ მოუფიქრებია.

გიშრის თმა, რომელიც გვირილის ყვავილების გვირგვინიდან იწყებოდა, ორ მსხვილ ნაწნავად წელთან ბოლოვდებოდა და ზედ თეთრი ბაფთი ისე იყო დამჯდარი, თითქოს უზარმაზარი პეპელა დაფრენოდა.

გამოქანდაკებული ტან-ფეხი, ფართო შუბლი, მკერდი და თეძო, თეთრი სახის კანი და ქორფა ღაწვი, კეთილშობილება და სინაზე ქალწულურ მორცხვობაში შერწყმულიყო და ვარდისფერ პეპლად ყურის ბიბილოს გასწვრივ დაფრენოდა. მაგრამ სახეზე ქალწულური სიამაყე და ზედ ოცნების შეზღუდული სიმხიარულე დასთამაშებდა. ასე რომ, წელის, თეძოსა და მკერდის ზომების ჩათვლით, ქალწული ყველა იმ ოცდაათ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, რომელიც გასულ საუკუნეში აუცილებელი იყო სილამაზის კონკურსში გასამარჯვებლად.

ფიზიკურად ასეთი იყო, სულიერად კიდევ უკეთესი, რადგან „ჯანსაღ ორგანიზმში სულიც ჯანსაღია“. ფრიადებით შევსებული სიმწიფის ატესტატი უბეში მოუთავსებია, რომელიც სავსე მკერდს ოდნავ უფარავდა და ერთის ხმრივ იმის განათლებაზე მეტყველებდა. მკითხაობდა მეგი თავისთვის ჩუმად, უხმაუროდ და, აი, ყვავილის დისკოზე ბოლო ფურცელი დარჩა მოსაწყვეტი. თრთოლვით შეახო ბროლად თლილი თითები. ფურცელი უხმაუროდ დაეფინა მდელოზე და ბაგემ წყნარად წარმოთქვა: „არ ვუყვარვარ!“.

მომღიმარი სახე მოექუფრა, თვალთა უსაზღვროების ზღვა აღელდა, წამწამთა სანაპირო გადმოარღვია და ქორფა ღაწვზე მარილიანი წვეთი დაეკიდა. შემდეგ ნაძალადევად გაიღიმა. გვირილების ყვავილებით გადაპენტილ მდელოს თვალი შეავლო და პოეტური გამოთქმით, ხავერდოვანი ხმით, თითქოს ყვავილებს ეჩურჩულებაო, წყნარად წარმოთქვა:

„მდელოზე შრიალებს ტალღა გვირილის
და ზღაპარაში ვარ, ასე მგონია,
ისე კარგია ახლა ტირილი,
სიმღერა მასთან მონაგონია“.

გვირილების ყვავილებში ჩამალა სახე და ატირდა. მეგი ტიროდა ნამდვილი, უმანკო ანგელოზის ცრემლით და, რომ გეკითხათ იმ წუთში, რატომ ტიროდა, რისთვის ან ვისთვის, ვერ გიპასუხებდათ. გული იჯერა ტირილით, ცრემლმა ოდნავ დაამშვიდა, თვალები ხელისგულით ამოიმშრალა. – რა სულელი ვარ! – წარმოთქვა წყნარად. – მარტო ვტირივარ, წავალ, ბებოსაც ავატირებ! – სახლისაკენ სირბილით გაეშურა, ბებოს კი წყნარი ნაბიჯით მიუახლოვდა და მკერდში ჩაეკრა, ახლა კი ნაკადულივით წამოსკდა ცრემლი.

– მოგიკვდა ბებო, რა მოგვივიდა, შვილო? – თვალებში ჩახედა ბებია თამარმა, მაგრამ, დამშვიდების მაგივრად, მეგიმ მშობლიური ალერსი რომ იგრძნო, გული კიდევ მეტად ამოუჯდა და ძლივს ამოილუღლუღა:

– დედა მენატრება, ბებო! დედა! მე მას არ ვუყვარვარ, მე არავის არ ვუყვარვარ, არც შენ გიყვარვარ, ყველა მეფარისევლებით, ყველანი მატყუებთ!

– მოგიკვდეს ბებო, ვინ გითხრა, რომ არავის უყვარხარ, შენისთანა ანგელოზს ვინ არ შეიყვარებს... დედას კი განსაკუთრებით უყვარხარ! აი, ტელეფონი. თვითონ აკრიფე ნომერი, დაუკავშირდი და დაელაპარაკე...

– არა, ბებო, მე დედა მენატრება, იმისი ხმის გაგონებაც არ მინდა, მე ხორციელად მინდა შევეხო მას, იმისი ხატება, იმისი ალერსი მენატრება, ბებო! შენ კი არ გენატრება შენი შვილი? რა ქვა გული გაქვს, ბებო! დედაც შენა ggავს, მას არ ვუყვარვარ, გვირილამ მითხრა, რომ დედას არ ვუყვარვარ.

– კარგი, შვილო, დაწყნარდი, ახლავე დავურეკავ, რომ საჩქაროდ ჩამოფრინდეს!

– არა, ეს პირველი დაპირება არ არის, ყოველთვის მატ-ყუებთ, რომ ჩამოიყვანოთ, ისევ გააგდებთ საშოვარზე. თქვენ ხომ ყოველთვის უკმარისობას განიცდით, მეტი და მეტი გინდათ. დოვლათის დაგროვების შეჯიბრი გაქვთ საქმოს-ნებთან და ზოგიერთი სამშობლოს მოღალატესთან. მე კი არაფერი მინდა, მშიერი გავძლებ, ძველმანებში გახვეული ვივლი, მხოლოდ დედა მინდა გვერდით მყავდეს. მენატრება იმისი ალერსი. შენ არასოდეს შეგიმოწმებია ჩემი ბალიში, არ გინახავს, თუ როგორ არის ღამით ჩუმად ნამტირალევი ცრემლით დასველებული. შენ კი მშვიდად გძინავს, საკუთა-რი შვილიც კი არ გენატრება! ნეტავი იცოდე, ვისი მოდგ-მისა ვარ, რატომ მეც არ გამომყვა თქვენისთანა ულმობელი გული! დღეს თექვსმეტი წელი შემისრულდა, არ გამოგპარ-ვია ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და სუფრაც ღირსეული გაგიწყვია, მაგრამ მაინტერესებს, ვის აჯენ ამ სუფრასთან? ამხანაგები მოვიწვიო და ხელოვნურად შექმნილი ჩემი ობ-ლობა ადღეგრძლონ? არ მინდა, არა, არაფერი არ მინდა! დღემდე გიმალავდი ყველაფერს, მარტოდმარტო ვიკლავ-დი სევდას გულში, ვეღარ დაიტია ნაადრევად დაბერებულ-მა გულმა ამდენი სევდა და შენ გიკვირს, რომ ასე თამამად ავლაპარაკდი თქვენს წინაშე ის ბავშვი, რომელიც დღემდე სიტყვის შემობრუნებასაც ვერ ვბედავდი. ბოლოს და ბო-ლოს, დამთავრდა ბავშვობა, დღეიდან თავს სრულუფლებიან მოქალაქედ ვთვლი და ავლაპარაკდი. მხოლოდ შენ ერთი მყავხარ, ბებო, ვისთანაც ასე თამამად ვსაუბრობ, მაგრამ საიდუმლოს გამხელას მაინც ვერ გიბედავ. ასაკმა სიყვარუ-ლი შობა, ბებო, როგორც ყველას, ჩემს ასაკში, მეც მეწვია პირველი სიყვარული. კარგი ხარ, ბებო, მაგრამ შენ მაინც ვერ გაგანდობ საიდუმლოს, რომ რკინის ქალამნებს ჩაიც-ვამ, ქვეყანას შემოივლი, რადგან ძირფესვიანად დაადგინო საყვარელია დამიანის ვინაობა და სიყვარულის გამომწვე-

ვი სიზეზი. ვერც რჩევას გკითხავ, რადგან ჩემზედ უკეთესი ქვეყნად არავინ გეგულება და ვერც კი წარმოგირდგენია, ჩემი შესაფერისი და ღირსი თუ ვინმე მოიძებნება. ამიტომ დედა მინდა მყავდეს გვერდით, ის ყველაზე კარგად გამიგებს მწუხარებასაც და სიხარულსაც. აი, ატესტატი. ფრიადზე დავამთავრე საშუალო სკოლა. უმაღლესი სასწავლებელში უნდა შევიტანო საბუთები, დედას მინდა ვკითხო რჩევა, რომელი ფაკულტეტი ჯობია, შენ ვერ გკითხავ, რადგან ერთსა და იმავეს გაიძახი: „ექიმი უნდა გამოხვიდეო“. მე კი არ მინდა ყოველდღიურად მოვისმინო ხალხის სატკივარი, ვის ესაჭიროება ექიმი? – ავადმყოფობით დამწუხრებულ ადამიანს! ჩემი გული კი ვერ გაუძლებს ხალხის მწუხარებას, თქვენ რომ გითხრათ, გამიგებთ? რა თქმა უნდა არ გამიგებთ, ბაბუაც ხომ შენით არის დაპროგრამებული...

ამ სიტყვებს მეგი გულამომჯდარი, ცრემლის ღვრით წარმოთქვამდა, რასაც თამარმა ვერ გაუძლო და ხვეწნამუდარით რომ ვერაფერი გააწყო, თავში ხელი წაიშინა და თვითონაც ხმამაღლა დაიწყო ტირილი. ახლა უკვე ერთმანეთს აღარ ამშვიდებდა ბებია და შვილიშვილი, ერთიმეორეს ჩაკონილები შვილიშვილი ბებიას მკერდს უსველებდა ცრემლებს, ბებია კი შვილიშვილს – თმებს. რამდენი დრო გავიდა ცრემლის ღვრაში, აღარც ერთს აღარ ახსოვს. კიბეზე ამომავალმა ფეხის ხმამ შეუმშრალა ცრემლი ორივეს, გაბუტულივით განშორდნენ ერთი მეორეს ბებია და შვილიშვილი. ბებია იქვე სავარძელში ჩაესვენა ნერვიულობით დაქანცული და ცხოვრებისაგან გადაღლილი, შვილიშვილი კი სარკის წინ დადგა, თითქოს საკეკლუცოდ, მაგრამ ცრემლით ამოწითლებული თვალები სამხილი იყო მისი ნორჩი გულის უსიამოვნებისა. ოთახში ბაბუა გიორგი შემოვიდა. გიორგის გამჭრიახ თვალს არ გამოპარვია ოჯახში მომხდარი ცვლილება და თამარს გამომცდელი თვალით გადახედა.

– რა მოხდა თამუნა? შენს სახეზე ცვლილებას ვემჩნევ და თვალებში სევდას. – წყნარი, ალერსიანი ხმით შეეკითხა გიორგი საყვარელ მეუღლეს.

თამარს არ უნდოდა გამოემჟღავნებინა გულის ვარამი, მაგრამ ნათქვამია: „კაცმა ჭირი დამალა, მაგრამ ჭირმა არ დამალაო თავი“. და თამარის ნერვებმა ვერ გაუძლო საყვარელი მეუღლის ლმობიერ შეკითხვას, რომელიც ცხოვრების გრძელ გზაზე არასოდეს მოუტყვებია და ვერც ახლა მოახერხა „ჭირის დამალვა“ – პირველად ნიკაპი აუკანკალდა, შემდეგ ტუჩები და უხმოდ წასკდა ცრემლები თვალთაგან.

– არც რა, კაცო – ხმის კანკალით წარმოთქვა თამარმა.

– ვაი, შვილებო! რა მოხდა ქალო, მითხარი, უბედურება ხომ არაფერია ჩვენს თავს! – ახლა კი მკაცრად წარმოთქვა გიორგიმ, როდესაც საზღვარგარეთ საშოვარზე გადახვეწილი სიძე-ქალიშვილი გაახსენდა.

– ხომ გითხარი, არაფერია-მეთქი, ამ ბავშვმა ჩამიკლა სული და გული, ეს არის და ეს...

– ოჰ, თქვენი სული და გული წაიღოს ეშმაკმა. მე კი გამათავეთ კაცი და ეს გინდოდათ, ალბათ. იზეიმეთ ახლა, – შენ კი რა მოგივიდა, ბაბუკო გენაცვალოს! ხომ გვამჩნევ როგორ გვიყვარხარ, აი ხომ ხედავ, დღეს შენი დაბადების დღეა და შენი საჩუქრებით როგორი დატვირთული მოვედი.

მეგი შემობრუნდა, გიორგის საუბარი არ ადროვა და თვალებზე მოწოლილი ცრემლთაგან აკანკალებული ხმით წარმოთქვა:

– არ მინდა თქვენი საჩუქრები, სიყვარული და ალერსი, ბაბუ, ზედმეტი სინათლეც აბრმავებს ადამიანს და სიბნელეც. თქვენ ზედმეტ სითბოსა და სინათლეს გამოყოფთ ჩემთვის, რომელიც უკუთვისებით მოქმედებს ჩემზედ. მე მინდა უკეთურობისათვის დამსაჯონ, დანაშაულისათვის მცემონ კიდეც. თქვენ კი ჩემში მხოლოდ სიკეთეს ხედავთ, უკეთუ-

რობას ვერ ამჩნევთ თუ არ ამჩნევთ არ ვიცი და ყველაფრისათვის მეფერებით და ბრძნული სიტყვებით მიბრუებთ თავს, დედა მენატრება, ბაბუ! მხოლოდ მას შეუძლია ღირსებისამებრ მომეპყრას, დედის ალერსიც მენატრება და გაკიცხვაც. მას ორივე შეუძლია დამსახურებისამებრ. ხომ გახსოვთ, დედა როდესაც მკიცხავდა, თქვენ მეფერებოდით, მე კი მაინც დედას ვეკედლებოდი, მე არასოდეს არ მტკენია დედის ხელი და არასოდეს მწყენია მისი მწარე სიტყვა. ალბათ, თქვენც ჩემებრ იყავით სიყმაწვილეში, მაგრამ ან არ გახსოვთ ან კიდევ მშობლების გარეშე ხართ ფულის შოვნაში გაზრდილნი, ამიტომ შვილისა და შვილიშვილის სიყვარული კი არა, ფულის სიყვარული, სამკაულების ალერსი, ევროპული ავეჯის ტრფიალი და ოქროს თაყვანისცემა არის თქვენი ოცნება.

გიორგი თვალებგაფართოებული უსმენდა შვილიშვილს, არ წყინდა მეგის საუბარი, წყენა კი არა და ღიმილის პეპელაც კი აუთამაშდა ბაგეზე და სიხარულით წამოიძახა:

– თამუნა, გესმის ქალო? ჩვენ წყნარსა და უენო გოგოს ლაპარაკი ცოდნია...

გიორგის ხუმრობაში უნდოდა გაეტარებია მეგისთან კამათი და ღიმილით უთხრა შვილიშვილს:

– ვინ არის უპატრონოდ გაზრდილი, ისიც ფულის შოვნაში, შე მამაძაღლო, რა მეტყობა ფულიანობის? ხალხი „ლიმუზინით“ დასრიალებს და ისევ ისე ძველმოდური „ჟიგულით“ დავჩოჩიალებ სასაცილოდ.

– ჰო, ბაბუ, ისევ ალერსი დამაყარე შენებური ჩვეული ოხუნჯობით. არ მოგიშალოს ღმერთმა „ლიმუზინზე“ ოცნება, რომელსაც, ალბათ, მალე შეიძენთ, მაგრამ გეკითხებით, რისთვის გინდათ ყოველივე ეს სიმდიდრე, თუ თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს არ მოხმარდება? ვიცი, მიპასუხებ: – „ყოველივე შენთვის მინდა, ვინა მყავსო მეტი“, მაგრამ არ მინდა, ღმერთო ჩემო, არა! მე ადამიანი ვარ აქლემი ხომ

არა, კუზში დავაგროვო ქონი. ამხანაგებში ვამაყობ: ბებოც მყავს, ბუბაც, დედაცა და მამაც, სინამდვილეში კი ობლად ვიზრდები ბროლის ცივ კედელებში. აი მოახლოვდა ჟამი სიყვარულისა, როგორც ყველა ქალი, მეც ვალდებული ვარ ოჯახი შევქმნა და ვფიქრობ, შევქმნი კი ღირსეულ ოჯახს თქვენს კედლებში აღზრდილი ქალი? ვიცი, არც გათხოვების შემდეგ მომაკლებენ ჩემი ბებია და ბაბუა ყურადღებას, ყველგან მომიტანთ ცივი ოქროს სამკაულებს და გულივით მსხვრევად ბროლის ლარნაკებს...

– კარგი! გეტყოფა! რას შეუბერე, მართლა თავხედობ? შენი გული რომ გადაგვიშალე, ერთი ჩვენს გულშიდაც ჩაიხედე!

– რომელ გულში, ბაბუ, სადა გაქვთ თქვენ გული. გული რომ გქონდეთ, შვილს გულიდან მოიწყვეტდით? გული კი არა, ქვა გიდევთ გულის მაგივრად, ცივი და ულმობელი...

ახლა გიორგისაც დაუნამა ცრემლმა თვალები და სიმკაცრეს დაყვავება ამჯობინა:

– აბა, როგორ მოვქცეულიყავით, შვილო, დიდი ოჯახი გვაქვს, სმა გვინდა და ჭამა, ჩაცმა და დახურვა, მტერს თავისი უნდა და მოყვარეს – თავისი, ლხინი არ გვშორდება და ჭირი. შენც კი ხედავ, შემოსავალი არაფერი გვაქვს, თოთხმეტი ლარი პენსია, რომელიც თავის დროზე არც ის არის, როგორ გავანაწილოთ, რომ ოჯახი უზრუნველვყოთ?

– რომელ ჩაცემაზეა საუბარი, ბაბუ, სამ ლარად თავიდან ფეხებამდის გამოეწყობა ადამიანი, სასმელ-საჭმელის კი შეზღუდვაც შეიძლება. მტერ-მოყვარე არქონებისთვის და ეკონომიკური სიდუხჭირისათვის ცხოვრებისთვის არავის ძრახავს, მდიდრებზე კი ამბობენ: არავის უმართავს ხელს, დარჩა ოხრადო“. შენ არც ისეთი ღარიბიხარ, ბაბუ, შვილი გულიდან მოიწყვიტო, შვილიშვილს დედა წაართვა და საშოვარზე იქ გააგზავნო, სადაც გასულ საუკუნეებში

შებორკილი მიჰყავდათ ქართველები, არ ტოვებდნენ თავის სამშობლოს. ღვთისმშობლის წილხვედრს მიწას და აქ სიკვდილი ერჩიათ სხვის ქვეყანაში განცხრომით ცხოვრებას, ასეთი ცხოვრება, როგორიც ჩვენ გვაქვს ისინი ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდნენ, ყველაფერი აკლიათ, მაგრამ სამშობლოში ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და ბედნიერნი იყვნენ, ჩვენ კი რა გვაკლია, რომ არ გადავიხვეწოთ და ნებასურვილით არ გავუდგეთ შებორკილთა გზას. აი, ეს ვაზა მთელ წელიწადს შეინახავს ჩვენს ოჯახს, ეს ანტიკვარული როიალი კი, ალბათ, ათ წელიწადს გვამყოფებს უზრუნველყოფილს, ეს სამკაულები, ზიზილ-პიპილო კი, რა ვიცი, რისი მაქნისია და ყველაფერი ძვირადღირებული. განა ეს პური არ არის?

– ეს, შვილო, იმიტომ შევიძინე, ოჯახისათვის არის საჭირო, ყველაფერი ჩემი შრომითა და ოფლით არის შეძენილი, ვერავინ იტყვის, უკეთური გზით მიცხოვრია დღემდე, მართალია, თანამდებობის პირი ვიყავი, მაგრამ განა ყველა თანამდებობის პირი ძალაუფლების გამოყენებით ცხოვრობს? მე ჩემი წარსული მეამაყება, რომ დავფიქრდები, ფრჩხილისოდენა შეცდომასაც ვერ ვპოულობ ჩემს განვლილ ცხოვრებაში, არ მეშინია სარკეში ჩახედვის, რომ ჩემს ორეულს გავესაუბრო, მე არა ვარ ის კაცი, სარკეში თავის თავს რომ აფურთხებს და არაკაცს უწოდებს. ჯერ შენ ბავშვი ხარ, შვილო, ცხოვრება გიჩვენებს თუ რა ძნელია ოჯახიდან რაიმე ნივთის გატანა გასასყიდად...

– ნივთის გატანა არის ოჯახიდან ძნელი და ადამიანის სამკვდრო-სასიცოცხლო გზაზე გასვლა კი არა? მე დღეს თექვსმეტი წელი შემისრულდა და აი, ამ ვაზაში ერთჯერაც არ დამინახავს ვარდი მოთავსებული, დგას ერთ ადგილზე და ყოველ დილა-საღამოს ასუფთავებს ბებო. აი, ეს როიალი არ ვიცი რამდენი წლის არის, მგონი პეტრე

პირველი ცოლის ილარიონ ლოპუხინის ქალიშვილის ევ-
დოკია ლოპუხინას ნამზითვი უნდა იყოს, მე კი თექვსმე-
ტი წელიწადია მივჩერებივარ ერთ ადგილზე დადგმულს,
ჩემს მახსოვრობაში არავის დაუკრავს, ოთახში ადგილს კი
ცელთავს. გეკითხებით, რა მაქნისია, რას წარმოადგენს,
რა საჭიროა? აი, ეს ყავის, ოქროს სერვიზი თავში სახ-
ლელად ხომ არ გვინდა, ყავას ხომ ყოველთვის ფაიფურის
ფინჯანიდან ვსვამთ, ეს კი თექვსმეტი წელიწადია კარადი-
დან მიცქერის, ეს სიმდიდრე და მრავალი სხვა, რომ სამ-
კაულები აღარ ჩამოვთვალოთ და აღარც შენი ოქროს სა-
თუთუნე და ჩიბუხი მოვიხსენიოთ, მხოლოდ შიშია, არავინ
შემოგვიხტეს, არავინ წაგვართვას, არავინ დაგვაყაჩაღოს,
არავინ გაგვქურდოს და სხვა. სახლი ვერ დაგვიტოვებია,
რომ ერთ-ერთი დარაჯად არ დავრჩეთ ოჯახში, ვერ გამი-
გია შიშისა და გულის გასახეთქლად შეიძინეთ ეს ნივთები?
ჭიშკარს რად უნდა სამი საკეტი, იყოს ღია, დავრდომილს
ღამე გაათევინე, ღმერთი შეგეწევა. მესმის შენი ფახის ხმა,
თუ როგორ სეირნობ მთელი ღამე ეზოში, ვიცი კი არ სეირ-
ნობ, ქონებას დარაჯობ, გეშინია, რომ არავინ წაგართვას
და ამიტომ, თუ ასეა მოიშორე თავიდან, რომ მშვიდად და-
იძინო. ზოგი გაასაჩუქრე, ზოგიც გაყიდე, რომ შენი შიში
და მოუსვენრობა მას გაატანო, მხოლოდ როიალი დაიტო-
ვე, რომ ყველამ ერთად მოვიყაროთ თავი და ვიმღეროთ,
მოგვეწყინება სიმღერა? ვიტიროთ! ტირილს არავითარი
მელოდია არ ესაჭიროება, მე და ბებო მუსიკის გარეშედაც
კარგად ვტიროდით, შენ რომ ხელი არ შეგეშალა, ჯერ კი-
დევ არ გვექნება გული მოქარვებული.

– ეჰ, შვილო, კარგია დანაყრებული ადამიანისაგან ასე-
თი მსჯელობა, უზრუნველყოფილი ადამიანი ყოველთვის
ფიქრობს, რომ ტვინი განაგებს ადამიანის ყველა ორგანოს,
მაგრამ ცდება, კუჭს ყოველთვის ჭკუიდან გადაჰყავს ტვინი,

ამიტომ შენ რომ საღად გეაზროვნა და ტვინი კუჭს თავის ჭკუაზე არ ეტარებინა, ამისთვის წავიდნენ შენი მშობლები საზღვარგარეთ, რათა ლუკმა არ მოგნატრებოდა. ისინი კეთილი საქმის დასათესად წავიდნენ, შენგან კი დაუმსახურებლად უმადურება დაიმსახურეს.

– დღევანდელ დღეზე უარეს პირობებში ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ სამშობლო არავის მიუტოვებია, დღევანდელი პირობები სიდუხჭირემ კი არ შობა, არამედ ურთიერთ სიხარბემ მოიტანა და სინდისის ხელყოფასაც არ ერიდებიან ფულის გულისათვის. ხშირად შევნატრით განვითარებული ქვეყნების გაადამიანებას და მათ თანამოქალაქეობასაც ხშირად ვნატრობთ, მაგრამ რატომღაც გვავიწყდება, რომ არც ერთი განვითარებული ქვეყნა დღევანდელი სახით არ გაჩენილა. წესრიგი და კეთილდღეობა სამშობლოს მიტოვებით კი არა, დროთა განმავლობაში საკუთარი შრომითა და გარჯთით თავისივე სამშობლოში შექმნეს, არც ერთი ქვეყნის სახელმწიფოთა ფორმირებების პროცესში არც სავალუტო ფონდი არსებობდა და არც მსოფლიო ბანკი, კრედიტები რომ გამოეყოთ ჩვენთვის, არც დახმარებისათვის გაუშვერია დღემდე ქართველ კაცს ხელი უცხოტომელთათვის. თქვენ ბევრის მომსწრე და მნახველი ხართ. დღეს რამ განაპირობა ასეთი პირობები? თქვენ ბრძანებთ: „ჩემი მშობლები საზღვარგარეთ იმიტომ წავიდნენ, რომ მე არ მომშივნოდა“? მადლობელი ვარ ყველაზედ, ვინც ლუკმაპური მომაწოდა, მაგრამ შენ იცი თუ არა, რომ ის ყოველი ლუკმა შხამით იყო გაჟღენთილი და ვეღარ შევჭამე, ლუკმა ყელში არ გადამდის, როდესაც მშობლები განსაცდელში მეგულება... „დედაშვილობა უნიკალური და ყველაზე ძლიერი ერთობაა ბუნებაში, ცხოველთა სამყაროშიც დედა ენით ლოკავს თავის პირმშოს და ცივ ნიავს არ აკარებს, პატარა არსება დაიღუპება დედის მზრუნველობის გარეშე“.

სამი დღეა წყლის მეტი არაფერი გადასულა ჩემს პირში. ბებოს გამზადებულ კერძებს ტუალეტში ვღვრი, თქვენ რომ რაიმე არ შემამჩნიოთ, დღეიდან წყლის დალევასაც ავკრძალავ და დედას დაბრუნებამდის საკვებს არ გავეკარები, დააგვიანდება? ძალიან კარგი, ვიცი თანდათან დავუძლურდები, შემდეგ დავწვები და მოვკვდები დედის მონატრული.

– რაებს ბოდავ, შვილო, არა გრცხვენია? განა მე და ბებიაშენი ცუდმშობლობას გიწევთ?

– რატომ ვერ გაგიგია, ბაბუ, რომ შენ ბაბუა ხარ, ბებო კი – ბებია. რადგან სახელებშიც განსხვავებაა, ესე იგი მშობლებსა და თქვენს შორის ზღვარიც არსებობს.

გიორგიმ უხმოდ აიღო ფიჭური ტელეფონის აპარატი და ნომერი აკრიბა:

– ქეთი ხარ? გამარჯობა, შვილო, როგორა ხარ?

– კარგად, მაგრამ ბავშვს ენატრები და თუ გადაუდებელი პრობლემები არა გაქვს, ჩამოდით აუცილებლად.

– ალბათ ცუდად არის, თორემ ასე არ დამელაპარაკებოდი, ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა?

– არა, ყველაფერი კარგად არის, ისე, უბრალოდ, ენატრები...

– დამალაპარაკეთ!

– დედა! სტყუის ბაბუა, არ მენატრები, ვისაც შვილი არ ენატრება, მას დედაც არასოდეს მოენატრება!

– მე კი მენატრები, შვილო!

– ჰოდა, თუ გენატრები ჩამოდი! – რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა ქეთევანს, მაგრამ მეგიმ ტელეფონის აპარატი გათიშა, ბაბუას დაუბრუნა და უთხრა:

– ამხანაგთან მინდა წავიდე, ბაბუ, მომცემ უფლებას?

– რას ამბობ, შვილო, დაბადების დღე გაქვს, ამხანაგებს შენს სახლში უნდა ელოდებოდე პურ-მარილით გაწყობილ მაგიდასთან და შენ სახლიდან გარბიხარ ამხანაგებთან?

– მე არავინ დამიპატიჟებია და არც არავის მოველი, ბაბუ, ისე, თუ ვინმე მოვა, არც დღემდე არავინ გაგვიგდია გარეთ უპატივცემულოდ!

– რატომ არავინ დაპატიჟე, შვილო, ხომ იცოდი ბებიაშენმა ზღვაპრული სუფრა გააწყო და სტუმრებს მოუთმენლად ველოდები.

– რას ამბობ, შვილო, დღეს მე თვითონ დავპატიჟე შენი სკოლის ყველა პედაგოგ-მასწავლებელი, არ დამღუპო, არ შემარცხვინო, მართლა არსად წახვიდე, გოგო! – აქამდის წყნარად გაჩუმებულმა ხმა ამოიღო და მუდარით წარმოთქვა ბებო თამარმა.

– რატომ დაპატიჟე, ბებო, რატომ? მეც არ შემითანხმდი, მე არ დავესწრები წვეულებას, აბა, თვითონ წარმოიდგინეთ, რომ ვინმე შემეკითხოს – „სად არიან შენი მშობლები, რატომ არ ესწრებიან შენი დაბადების დღესო“ – რა ვუპასუხო? განა ის არ კმაროდა, სკოლაში მშობელთა კრება იყო თუ რაიმე ღონისძიება, სულ შენ რომ ესწრებოდი?

– კარგი ახლა, შვილო, გვაპატიე. მარტო შენი მშობლები ხომ არ არიან წასული საზღვარგარეთ? ხომ ხედავ, მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირია აყიალებული, ჩვენც ვთქვათ, სამოგზაუროდ არიან წასული და არა სამუშაოდ...

– ვის მოვატყუოთ მერე, ბებო, ჩემს აღმზრდელ მასწავლებლებს? მეგობრებს? საკუთარ თავს? სულ იმას ჩამჩიჩინებდი – „ტყუილი არასოდეს წამოგცდესო“ და ახლა თვითონ მაპროგრამებ თუ როგორი ლამაზი ტყუილი ვთქვა? – „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, შემდეგ – სულსა“, ბებო.

– არა, შვილო, კეთილ სიცრუეს, რომელსაც ადამიანებისათვის არავითარი ზიანი არ მოაქვს, ღმერთი შეგვინდობს.

– კარგი, მუდამ თქვენი ჭკუით დავდიოდი და დღესაც გავივლი. მხოლოდ ახლა წავალ. თუ ვინმე ვნახე, ორიოდე ამხანაგსაც მოვიყვან და მალე დავბრუნდები.

მეგის სრულებით არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამხანაგები მოეწვია თავის დაბადების დღეზე, უბრალოდ, სახლში ვეღარ ჩერდებოდა, არ უნდოდა ბებია-ბაბუის ერთი და იგივე დარიგებები მოესმინა და რაღაც ამოუცნობი ძალა ქუჩისაკენ ეწეოდა. პირი დაიბანა, ნამტირალევი თვალები გაიგრილა, თმა შეისწორა და ქუჩაში გამოვიდა, არ იცოდა, სად წასულიყო და თავის ორეულს მიჰყვა უმისამართოდ, შორი მანძილი არ ჰქონდა გავლილი, ლაშა შემოხვდა, სკოლის ამხანაგი, გულმა გაუღიმა, თითქოს ამის შესახვედრად იყო სახლიდან წამოსული. სულ რამოდენიმე საათის წინ დაშორდნენ ერთი-მეორეს, მაგრამ ახლა ამ მოულოდნელი შეხვედრით ისე გაიხარა ორივემ, თითქოს წლები აშორებდეთ... ორივეს გაეღიმა, ორივეს მორცხვობის თუ სიხარულის სიწითლემ გადარუბინა სახეზე, რამდენიმე წუთი უხმოდ იდგნენ პირისპირ, იღიმებოდნენ და ვერცერთს ვერ მოეხერხებინა, გზა გაეგრძელებიათ ან შეხვედრით გამოწვეული სიხარული გაენდოთ ერთიმეორესათვის, ბოლოს, როგორც იქნა, ლაშამ უხერხულობა დაარღვია და ენის ბორძიკით ისე წარმოთქვა, მეგისთვის თვალებში არც კი შეუხედავს:

– შენთან მოვდიოდი, მეგი, რა კარგია, რომ შემომხვდი, აღარ დამჭირდა შენს ბებია-ბაბუასთან ახსნა-განმარტების მიცემა. ხვალ დაბადების დღე მაქვს, მოხარული ვიქნები თუ დამაფასებ და გვეწვევი...

– ოოო, ხვალ გაქვს დაბადების დღე? დავბერებულვარ, მე შენზედ მთელი ერთი დღით ვყოფილვარ უფროსი, დღეს მაქვს დაბადების დღე და თუ გვეწვევი, ჩვენც ნასიამოვნები დავრჩებით!

– მართლა? კეთილი სურვილებით გილოცავ სიცოცხლის თექვსმეტი წლის თავს, გისურვებ ყველა იმ ოცნებათა ფრთაშესხმას, რომელსაც დაწყნარებული ნერვებით იფიქრებ...

– გმადლობთ! შენსავე სიტყვებს, შენს დაბადების დღეზე ხვალ მე გავიმეორებ!

– ძალიან კარგი, მაგრამ მე ხომ შენთან სამი საკითხი მაქვს გადასაწყვეტი. ეს პირველი, მოგვარებულად ჩავთვალოთ, რომელიც ჩვენი დაბადების დღეს ეხება, მეორე საკითხი კი ძირითადია, რომლის გამხელაც ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რადგან მომავალი ცხოვრების საწყისად მიმაჩნია!

– სწავლის გაგრძელებას გულისხმობ?

– არა, ეს საკითხი მესამეა, მეორე საკითხი უფრო ძნელად გადასაწყვეტია, რომელიც მთელი ცხოვრების მეგზურის ამორჩევას ეხება, ამ საიდუმლო გრძნობას, ათი წელიწადია, ვატარებ, ვეღარ გავუძელი ტანჯვას და დღეს უნდა გაგიზიარო საიდუმლო, რომ ტვირთი შემიმსუბუქდეს. პირველი სექტემბრიდან, პირველი მერხიდან, პირველი კლასიდან, დანახვისთანავე შემიყვარდი, მეგი! ამ სიყვარულს მარტოდ-მარტო ვატარებდი დღემდე, დღეს კი სიმწიფის ატესტატები მივიღეთ, თავს უფლებამოსილად ვთვლი, გაგიმჟღავნო და გაგიზიარო ეს უდიდესი გრძნობა: მე შენ მიყვარხარ! – ვაჟს ქალწულის პასუხის მოლოდინში გული ისე აუჩქროდა, ლამის ბუდიდან ამოუვარდა... ქალწული დუმდა... ალბათ ფიქრობდა – იქნებ მალე ამოუვარდესო გული, დუმილმა რამოდენიმე წუთს გასტანა, თუმცა ვაჟს დროის ეს მონაკვეთი უსასრულობად მოეჩვენა, ბოლოს, როგორც იქნა, თავს სძლია და წარმოთქვა მეგიმ:

– როგორ ფიქრობ, ჩვენ, ქალები ვერ ვგრძნობთ ვაჟის უსიტყვო ტრფიალს? იმ პირველი დღიდანვე ვგრძენობ შენს სიყვარულს და ვერც მე დავრჩი მაგ სენით დაუავადებელი, რადგან ეს სენი ეპიდემიურად გადამდები ყოფილა, მე დიდი ხანია ველოდი შენს მიერ ამ გრძნობის გამხელას და არა მაქვს უფლება, არ გითანაგრძნო, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ არ უწერია ახდენა ჩვენს ოცნებას!

– რატომ, სიყვარულზე ძლიერს მიზეზად რას დაასახელებ?

– ოჯახს! არ მომცემენ შენთან შეუღლების უფლებას!

– მიზეზი რა იქნება? ჩვენ ხომ ორივემ ფრიადოსანთა ატესტატები მივიღეთ, უვიცობაში ვერ დაგვდებენ ბრალს, მთელს სკოლაში მხოლოდ ჩვენ ორნი ვითვლებით წარჩინებულად.

– არა, ეს არც მიზეზია უარყოფითი და არც თანხმობის საბუთი, ორი ძირითადი მიზეზი შეგვიშლის ხელს, პირველი ის, რომ ჩვენ ძირძველი დედვდარიანები ვართ, რომელთაც დღემდე შემორჩენიათ უდიდესი სიამაყე, ძნელი მოსაძებნია ჩემიანების მოსაწონი ოჯახი და ვერც კი წარმოუდგენიათ ჩემი შესაფერისი ვაჟის შერჩევა.

– ნუ დარდობ, დევდარიანთა ახირება ხელს ვერ შეგვიშლის. ჩვენ თუ ერთი-მეორე გვეყვარება, შემდეგ შორიდან დაგვინახონ შეუღლების უარმყოფელებმა, შევძლებთ თუ ვერა ტკბილ ცხოვრებას.

– სახლიდან გამოვიპარო?

– რა თქმა უნდა, დედაჩემი შენ ძალიან შეგიყვარებს, ისიც სიყვარულით არის შეუღლებული მამასთან და მათაც ბევრი განსაცდელი გადაუტანიათ, ნახავ ხვალ და იმხელა სითბოს იგრძნობ, იქნებ აღარც დაბრუნდე დევდარიანების ოჯახში...

– არა, ლაშა, ჯერ ქორწინებისთვის არც შენ გაქვს დრო და არც მე, ათი წელიწადი მოგითმენია, ხუთიც კიდევ მოვითმინოთ, დავამთავროთ უმაღლესი სასწავლებელი და შემდეგ ვნახოთ როგორ გადაწყდება ჩვენი ბედი.

– ჰო, ეს ჩემი მესამე საკითხია, სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?

– არ ვიცი, ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, დევდარიანები სულ მუდამ ერთსა და იმავეს ჩამჩიჩინებენ – „ექიმი უნდა

გამოხვიდეო“. მე კი ექიმობის წინააღმდეგი ვარ, მინდა პედაგოგიური დავამთავრო და ახალი თაობის აღზრდას შევალიო ჩემი ენერგია.

– არა, მეგი, რადგან ჩვენ ორ საკითხში თანხმობას მივაღწიეთ, ვფიქრობ, მესამე საკითხიც ჩემს სასარგებლოდ გადაწყდება, მე მინდა, ერთ მერხზე დავჯდეთ უნივერსიტეტშიც, როგორც პირველი კლასიდან და იურიდიულიც ასევე წარჩინებით დავამთავროთ, როგორც საშუალო სკოლა!

– ვაი! ლაშა, არ შემიძლია, ადამიანს ციხეში ვერ ჩავსვამ, ადამიანი საპყრობილოსათვის და ბორკილებისთვის არ გაუჩენია ღმერთს, მე ვერ გადავდგამ უფლის საწინააღმდეგო ნაბიჯს.

– მკვლელები კი გააჩინა ღმერთმა?

– არა, მკვლელები სატანამ გააჩინა!

– ჰო და შე დალოცვილო, ჩვენც ვებრძოლოთ სატანას და მკვლელებს, ამით ღმერთის სიყვარულს დავიმსახურებთ და ხალხს დიდ სამსახურს გავუწევთ.

– არა, ლაშა, მაინც არ შემიძლია, მკვლელების საქმე უფალმა თვითონ განიკითხოს, მე ახალგაზრდა თაობა უნდა აღვზარდო...

– მეგი, შენ ღმერთის დიდი მოწამე ხარ და აბა თვითონ დაუფიქრდი, თუ ჩვენ, მორწმუნენი ღმერთს დახმარებას არ გავუწევთ, ხომ თვითონაც უძლური იქნება სატანასთან ბრძოლაში? გაიძახი „ადამიანს ვერ დავაბორკილებ და ციხეში ვერ ჩავსვამო“. სამართალმცოდნე განა ყველა ბორკილებს და დამნაშავეს თუ უდანაშაულოს ციხეში სვამს? ჩვენ ერთ მერხზე დავჯდებით და დავამთავრებთ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს, არ არის აუცილებელი, იყო სახელმოხვეჭილი კვალმაძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე, შენ იქნები სახელგანთქმული ადვოკატი, განა ეს ხალხისთვის მცირე სამსახურია. დამნაშავეს სიმართლე არ დაუკარ-

გო... ეცადო უდანაშაულოს აყარო ბორკილები და ციხიდან გაანთავისუფლო.

– კარგი, ამჯერადაც შენმა აზრმა აჯობა, თუ არ მომეწონება სამსახური, კარგ დიასახლისობას გაგიწევ...

– შევთანხმდით ხვალ შეგვაქვს საბუთები იურიდიულზე. როგორ გამოვხატო ეს მადლიერება, მინდა გეამბორო!

– არც მაგ მეოთხე საკითხის წინააღმდეგი ვარ! – წარმოთქვა წყნარად მეგიმ და ლოყა გაუწოდა, მაგრამ ლაშამ უმალ ბაგე მოძებნა და ბუსუსაყრილი თავისი ბაგე შეაწება ჯერ უკოცნი, ქორფა ქალიშვილის ბაგეს. ასე დღისით, მზისით, მოულოდნელი პირველი პაემანით, გაუთვალისწინებელი პირველი კოცნით აენთო პირველი სიყვარული... ეს პირველი ალერსი დაუვიწყარი აღმოჩნდა ორივესათვის. დრო კი დაივიწყეს თუ რამდენ ხანს ჰქონდათ ბაგენი შეწებებული... ალერსი ბიოლოგიური რეაქციაა, რომელსაც შემიძლია თავდავიწყება ვუწოდო, რომელიც ავლენს ორგანიზმის მომეტებულ მგრძნობიარობას, რომლის სიძლიერე დამოკიდებულია ორგანიზმის ინდივიდუალურ თვისებებზე, სექსუალურ აღზნებასა და მოთმინების ზღვარის დათრგუნვას შორის, ცხოვრება კი ულმობელია, ვინ იცის, რას უმზადებს დიდ სიყვარულს, იქნებ დიდგამოცდას, იქნებ დიდ ბედნიერებას, იქნებ დიდ... მაგრამ ღმერთმა არ ინებოს, დიდი სიყვარულის უარყოფითი რეაქცია.

ქუჩა სავსე იყო თითქმის ყველა ასაკისა და ორივე სქესის ადამიანებით, მრავალი შურის თვალით უცქეროდა ბედნიერ წყვილს, რომლებიც სიყვარულის ფიალას დაწაფებოდნენ და ირგვლივ მყოფთ ვერავის ამჩნევდნენ. არა! ქალწული მთლად დაიბინდა, მთლიანად ჩაძირულიყო სიტკბოების მორევში და ამ ბედნიერი წუთის დაკარგვას დახრჩობა ერჩივნა.

ვაჟი გამოერკვა პირველად, შერცხვა გამლვლელთა, – „ვინ იცის, როგორ გაიგებენ ჩვენს სიყვარულსო“ – გაიფიქრა – „ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენს საქციელს ამორალური სარჩული დაუდონო“ და მეგის უჩურჩულა:

– წავიდეთ აქედან!

– ა, სად წავიდეთ? – წყნარად შეეკითხა მეგი.

– სადაც მოისურვებ. მხოლოდ ამ ხალხმრავალ ადგილს გავერიდოთ!

– ჰო, წავიდეთ!

და უმისამართოდ გაუყვნენ ქუჩას, თანდათან გამოერკვა მეგი, ლაშას შეხედა, რომელსაც ხელკავი ჰქონდა მისთვის გაკეთებული და გაუღიმა:

– იცი, რომ დღეს დაბადების დღე მაქვს? სახლში მელოდებიან, უნდა წავიდე, შენ არ წამოხვალ?

– შენთან ერთად ჯოჯოხეთში წამოყოლაზედაც არ ვიტყვი უარს, ერთი შევცოდეთ უკვე და ალბათ ეშმაკი ადუღებს ჩვენთვის კუპრს.

– არა, ამ შეცოდებას გვაპატიებს უფალი და ახლა ჩემს დღეობაზე ის მივიღოთ, რაც ბებოს მოუდუღებია და მოუხარშავს...

– წავიდეთ! – წარმოთქვა ლაშამ.

– ჰო, წავიდეთ, მხოლოდ ერთი პირობით, საკუთარ ვინაობას დამალავ. არ არის საჭირო დრომდე ვინაობის გამოაშკარავება...

უხმოდ გაუყვა ქუჩას ლამაზი წყვილი, როდესაც მეორეხარისხოვან გზაზე გადავიდნენ და ხალხმრავლობაც შემცირდა, ლაშა შეეკითხა:

– მეგი, შენ თქვი, რომ „დევდარიანების კუდაბზიკა ოჯახში ვიმყოფებიო“, შენ როგორღა ხარ მამამთავრიშვილი?

– მაგას რა მიხვედრა უნდა, მამაჩემი ზედსიძედ არის შემოსული დევდარიანების ოჯახში, ბაბუაჩემი გიორგი არის

დევდარიანი. ესე იგი დედაჩემიც დევდარიანია და მთელი ოჯახიც, მამაჩემისა და ჩემი გამოკლებით, დევდარიანთა ჯილაგისანი ვართ.

– საუბრის დასაწყისშივე მითხარი, რომ ჩვენს შეუღლებას ორი მიზეზი შეუშლის ხელს, ერთს უკვე ნათელი მოფინე, მეორე კი არ გითქვამს...

– გეტყვით, თუმცა ძლიერ მეძნელება მეორე თემაზე საუბარი!

– ნუ იდარდებ, ჩვენს შორის დღეიდან არაფერი აღარ უნდა იყოს დაფიცული, ასე რომ, საწყენი სიტყვაც კეთილად მოსასმენი იქნება.

– მეორე საკითხი მამაშენის პატიმრობას ეხება, რა თქმა უნდა, ეს საკითხი ჩრდილს მიაყენებს შენს პიროვნებას და თუ დევდარიანებმა გაიგეს, ხელს შეუშლიან ჩვენს ქორწინებას. რისთვის იხდის მამაშენი სასჯელს?

– ოო! ეს დიდი ისტორიაა, სწორედ მამაჩემის პატიმრობამ განაპირობა ჩემი იურიდიულზე სწავლის გაგრძელება, იქნებ მე მოვფინო ნათელი მის უდანაშაულობას. ახლა ვერ მოვასწრებ ამ გრძელი ამბის მოყოლას, ხვალ, როდესაც მეწვევი, დავჯდეთ განმარტოებით ხეივნის ჩრდილში და ამბავს მოგითხრობ არც თუ სასურველს!

– დღეს ჩემი კი არა, შენი დღეობა ყოფილა, შეხვედრა გამარჯვებით დაიწყე და ბოლო შეკითხვასაც წარმატებით უპასუხე. კარგი, ხვალისათვის იყოს. მამაშენმა რვა წელიწადი უნდა მოითმინოს და მე ხვალამდე ვეღარ მომითმენია? ლაშა, ნეტავი სკოლის ამხანაგი შემოგვხვდებოდეს ვინმე, უხერხულია მარტო რომ მივალთ, ბებიაჩემი აუცილებლად დაიწყებს შენს დაკითხვას და არ მინდა შეგაწუხოს...

– თუ უხერხულია და რაიმე უსიამოვნებას წააწყდები, არ წამოვალ...

– არც ასე მინდა, შენზედ უკეთესი იქ ვინ მეყოლება? – ჯერ კიდევ სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული მეგის, რომ ლაშამ მთელი თავისი ჯგუფის ამხანაგები დაინახა. ისინი თაიგულებითა და რაღაც-რაღაც საჩუქრებით დატვირთულნი სადღაც მიიჩქაროდნენ, წინ კი ყოჩივით ჯგუფის მამასალისი მოუძღოდათ და სწორედ მან შენიშვნა პირველმა მეგი და ლაშა.

– აი, ესენი სად ყოფილან! – წამოიძახა მან დანახვისთანავე. ამხანაგებმა რკალში მოაქციეს მეგი და დაუწყეს დაბადების დღის მოლოცვა!

– სად მიდიხართ, ასე ერთობით? – გაკვირვებით იკითხა მეგიმ.

– შენს დაბადების დღეზე უნდა ვიქეიფოთ! – წარმოთქვა ჯგუფის ორგანიზატორმა.

– რაო! რაო? ნეტავი ვინ დაგპატიჟათ? – გაკვირვება ვერ დაფარა მეგიმ, თუმცა იმის გაკვირვებაში სიხარული სჭარბობდა...

– ჰო, თქვენ აღარ გვკადრულობთ ფრიადოსნები ბრძანდებით, მაგრამ თქვენს ოროსან ბებიას არ დავიწყებივართ და მთელი ჯგუფი დაგვპატიჟა პედაგოგ-მასწავლებლებთან ერთად.

– ბებოს ეკუთვნოდა, რომ დაეპატიჟებიეთ ის კურიერებს ყველაფერს ოჯახში და რადგან ასეა, წავიდეთ!...

– რაო, რაო? ბებია ხელმძღვანელი? ბაბუა რაღას აკთეთებს? – გაკვირვებით იკითხა ერთ-ერთმა თანაკლასელმა.

– ბაბუა შემოტანის მინისტრია, ბებია ოჯახის პრეზიდენტი. იმის თანხმობის გარეშე არავითარი საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს...

– ყოჩაღ, ბებო!... მაგრამ შენ რაღა თანამდებობა გიკავია?

– მე ოჯახური დოვლათის გაფლანგვის გამო განთავისუფლებული ვარ ყოველგვარი თანამდებობიდან და საქმე ბებიას მიერ გადაცემული აქვს ბაბუას გამოსაძიებლად!

– არიქა, ბიჭებო, წავიდეთ და ვჭამოთ პური, სანამ იუბილარს დაიჭერდნენ, თორემ დავიღუპებით ხალხი! – წამოიძახა ჯგუფის ოხუნჯმა და ყველას ხარხარ-კისკისი...

სკოლის პედაგოგ-მასწავლებლები მოსული დაუხვდათ, მოსწავლეებს ელოდებოდნენ სუფრასთან დასხდომას.

– ძალიან კარგი! – წამოიძახა ისევ ოხუნჯმა – ათი წელიწადი სულ ჩვენ ველოდებოდით მაგათ, ახლა ესენი დაგველოდონ. ეს რომ მცოდნოდა თუ მე მელოდებოდნენ, სულ არ მოვიდოდი და დავინახავდი როგორ გაიძურწებოდნენ სახლებში ჩემი ლოდინით გადაქანცულები...

– აბა, ბიჭო, შენს სკოლაშიც ძალიან ეხატებოდი გულზე ამათ და ახლაც შენი დანახვით გულს ვარდი გადაეყრებათ! – უპასუხა ჯგუფის მამასახლისმა და ახალგაზრდებიც გიორგი ბაბუას ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შევიდნენ. მასწავლებლები ეზოშივე სათითაოდ მიეგებნენ მეგის, ზოგი, შუბლზე, ზოგიც ლოყაზე ამბორით ულოცავდა დაბადების დღეს.

გიორგის ბაბუამ როდესაც ყველანი შეკრებილი დაინახა, მეორე სართულის აივანზე გადმოდგა და თავადური მედიდურობით გამოაცხადა:

– განურჩევლად სქესისას წვეულების სუფრასთან დაჯდომა მიბრძანებია!

ყველას გაეღიმა, ამჟამად მასწავლებლებმა მიანიჭეს მოსწავლეებს უპირატესობა – „სუფრა თქვენ გეკუთვნითო“ და პირველად მოსწავლეები გაატარეს. მეგიც ამხანაგებთან ჩაჯდა – „აქ მირჩევნიაო“, მაგრამ ბებო თამარმა არ დააყენა და ყვავილებით მორთულ სავარძელში ჩასვა, რომელიც სუფრის თავში იდგა ამაღლებულ ადგილზე და რომლის დამონტაჟებისთვის ალბათ ბაბუას ეზრუნა.

თამადად როგორც ყველგან და ყოველთვის სკოლის დირექტორი აირჩიეს და გაჩაღდა ნაღდი ზეიმი...

მოსწავლეთაგან სილამაზითა და ფიზიკური აღნაგობით ყველასაგან ლაშა გამოირჩეოდა, თამარ ბებიას გულმა რეჩხი უყო, „ნაღდად ეს იქნება მეგის რჩეულიო“, გაიფიქრა და ახალგაზრდასთან გამოლაპარაკება გადაწყვიტა. პირველხანებში ვერა და ვერ მოახარხა, ხან სასმისი შეუვსო, ხან კიდევ ნამცხვარითა და ხილით სავსე ვაზა დაუდგა წინ. მეგი თვალს ადევნებდა ბებოს, უკვირდა იმისი მიხვედრილობა და თან ეღიმებოდა მოხუცის საქციელზე. ბოლოს, როგორც იქნა, რუსული „ტანგოს“ ცეკვის დროს დაიმარტოხელა თამარმა ლაშა, წელზე ხელი შემოხვია, ახალგაზრდულად შემოტრიალდა, წრე გააკეთა და საუბარში ჩაითრია:

– კარგი ახალგაზრდა ხარ, გამოირჩევი თანაკლასელებისაგან, რა გქვია, ყმაწვილო? – თავაზიანად შეეკითხა.

ლაშა ელოდა თამარის შეკითხვებს და მომზადებული დაუხვდა. ბაგეც გახსნა პასუხის გასაცემად, მაგრამ ყურის ძირში ვიღაცამ ტაში შემოკრა და მოულოდნელად თამარისა და ლაშას შუაში მეგი შემოძვრა. პირდაფჩენილი ბებია თამარი წრიდან გავიდა, ახალგაზრდებმა, ახალგაზრდული ენერგიით წრეს შემოუარეს და ცეკვას ეშხი შეჰმატეს. გაგულისებულმა ბებია თამარმა დარბაზი დატოვა. მეგის თვალს არ გამოპარვია ბებია თამარის დარბაზიდან გასვლა და ლაშას უჩურჩულა:

– ხომ არაფერი დაგცდენია?

– არა, სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, შენ წამომეშველე!

– დღეს ჩვენი გამარჯვების დღეა, მაგრამ ბებია თამარი არ მოისვენებს, შენს ვინაობას დაადგენს და ეცდება ჩვენს სიყვარულს ხელი შეუშალოს.

– რატომ გააკეთებს ამას?

– ეს მიზეზი უკვე გითხარი!

– თუ დავუმტკიცებ, რომ მამაჩემი უდანაშაულოა?

– სულერთია, ეგ რაღაი შეჯდება ვირზე, აღარ ჩამოვა...

– ამაღამ დავფიქრდეთ, ხვალ ვისაუბროთ, ახლა მალე აიშლებიან. შენც ადრიანად წადი, რომ ვერ მოახერხოს შენთან საუბარი. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

ბებია თამარს დრო არ დაუკარგავს. ტუალეტში გასული, შექეიფიანებული გვანცა გამოიჭირა, მისაღებ ოთახში დივანზე დასვა, თვითონაც გვერდით მოუჯდა და დედაშვილური საუბარი გაუბა; პირველად საკუთარი ვიანობა გამოკითხა, შემდეგ ოჯახური პირობები. სად აპირებდა სწავლის გაგრძელებას და ტკბილი საუბრით როდესაც ქალიშვილის ნდობა დაიმსახურა, მხოლოდ შემდეგ შეეკითხა:

– ვინ არის ის ახალგაზრდა მეგისთან რომ ცეკვავს?

– ოო! დეიდა თამარ სასიძოდ ხომ არ მოგეწონა? კარგი ბიჭია, მას ყველანი ვეტრფოდით გოგოები, ის კი ახლოსაც არ გვიკარებდა, ეგოისტი რომ ვიყო, არ გეტყოდი, რომ კარგია, რადგან მეგიზე მეტად მე მიყვარს ეგ არსაბედო!

– რა ჰქვია?

– ლაშა ჩხეიძე, აკაკი ჩხეიძის ვაჟი. სახლში დედა ჰყავს მარტო, მამა პატიმარია...

– რა დააშავა ნეტავი?

– არ ვიცი, მგონი ვიღაც გაუძარცვავს და იხდის სასჯელს!

– ვაი, მერე მაგისთანა მამის შვილს ელაპარაკება ჩემი შვილიშვილი? ან კი როგორ გაბედა მაგისი ამისთანა სავსე ოჯახში შემოშვება?

– არ ვიცი, დეიდა თამარ, მე თუ რაიმე გითხარით, არ გამთქვათ! – გააფრთხილა გვანცამ ბებო თამარი და მოცეკვავეებს შეერია.

გვიან ღამით დამთავრდა წვეულება, იმდენს აღარ სვამდნენ, რამდენსაც ცეკვავდნენ, მაგრამ ამას ახალგაზრდობა

დროსტარებას ეძახდა და ძილიც აღარ ახსოვდა. როდესაც ბებია თამარი დარბაზში შევიდა, ლაშა წასული დაუხვდა...

* * *

ტელეფონით შვილთან საუბრის შემდეგ აფორიაქებული დაბრუნდა სამუშაოდან საცხოვრებელ ბინაში ქეთევანი და მეუღლეს დაელოდა, ვამბობ „საცხოვრებელ ბინაში"-მეთქი, მაგრამ რომელ ბინაზეა საუბარი, როდესაც ერთ დაშმორებულ, სირისტიან სარდაფში, მორიელების ბუდესა და წითელი გველების ბუნაგში, ერთი რკინის საწოლი, ერთი მკილისაგან დახრული მაგიდა და ერთი რკინის საწოლი, ერთი მკილისაგან დახრული მაგიდა და ერთიც ფეხმორყეული სკამი იდგა. იქ ხომ ვერავინ ხედავდა ახლობელი და შეიძლება უარეს პირობებშიდაც გაეძლო ადამიანს, მხოლოდ ფული შემოეტანა ოჯახში, ახლობლები, კეთილნათესავები და მეზობლები გაეკვირვებინა დაგროვილი დოვლათით.

ლოდინით გული გადაელია ქეთევანს, მოეჩვენა, რომ ძალზედ დაიგვიანა საყვარელმა მეუღლემ, თუმცა სხვა დღეებთან შედარებით დღეს ადრე მოვიდა დიმიტრი. ტანსაცმელის გამოცვლაც არ ადროვა ქეთევანმა, კარში შემოსვლისთანავე ქოქოლა დააყარა:

– რაღა დღეს დაიგვიანე მაინც და მაინც. გული გამიწყალდა ლოდინით.

– აბა, როგორ დავიგვიანე, ხომ იცი ყოველდღე თვრამეტსაათიანი სამუშაო რეჟიმი გვაქვს, დღეს თექვსმეტი საათი ვიმუშავეთ მხოლოდ. ჩვენს უფროსს მეექვსე ცოლთან მეშვიდე შვილი შეეძინა და ორი საათით ადრე დაგვითხოვა.

– წყალმა წაიღოს ურჯულოების ცოლიცა და შვილებიც, სახლში უნდა წავიდეთ, დიტო!

– რა მოხდა, რომელმა ბზიკმა გიკბინა, ხომ მშვიდობა არის ჩვენს ოჯახსა და საქართველოში?

– არ ვიცი, დედის გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, აუცილებლად უნდა წავიდეთ!

– გული თუ რაიმე ცუდს გიგრძნობს, ტელეფონით არ ესაუბრე ჩვენებს?

– ვესაუბრე!

– მერე რაო, რა გითხრეს, როგორ ვართო, რა გვაწუხებსო, რა გვინდაო, არაფერი შეეკითხე?

– შენ როგორ ფიქრობ, არ შევეკითხებოდი? კარგადო, მიპასუხეს, აბა, რას მეტყოდნენ, მეგიმ საუბარიც არ ისურვა ჩემთან, ტელეფონი გამითიშა...

– უყურე შენ, მამაძაღლი, როგორ გაგიბედა?

– – შენ ის ისევ პატარა გგონია, დიტო. ყურადღების მიქცევა უნდა ბავშვს. ახლა აუცილებელი ვართ ჩვენ იმისთვის, რად გვინდა რაიმე, ერთ ბავშვს შევჩერებივართ.

– კარგი იყო, ჯერ არ წავსულიყავით. ახლა გამხდარგატყაულს კი მერიდება სამშობლოში დაბრუნება...

– მადლობა ღმერთს, ძვლები შემოგვრჩა მთელი, ხორცს შეიბამს საღი და ჯანმრთელი ორგანიზმი.

– მერე და სადღაა ჯანმრთელი ორგანიზმი?

– ამიტომ უნდა წავიდეთ აქედან საჩქაროდ, ჩვენი ჯანმრთელობაც აღვიდგინოთ და ბავშვის ჯანმრთელობასაც ნუ დავაავადებთ.

– შენ რა, ხვალვე აპირებ გამგზავრებას?

– თუ მოვახერხებთ, დღესვე!

– ეს შეუძლებელია, სხვა თუ არაფერი, ნამუშევარი ფული მაქვს ასაღები!

– მაინც არაფერს მოგვცემენ და ლოდინი თავის მოტყუება იქნება მხოლოდ. შენ ყოველთვის სწორად მსაყვედურობ: ძალიან მივქარეთ, რომ წამოვედით, არ გვიჭირდა ისე, როგორც სხვებს, მაგრამ ის გაჭირვებული „სხვები“ დღესაც ადგილზე არიან ჯანმრთელები და საღსალამათები.

– ბოლოს და ბოლოს ჩახვდი? რამ შეგაწუხათ, ქალბატონო, იქნებ მორიელმა გიკბინათ ან წითელმა გველმა შეგაშინათ, მოდი, გამოგილოცავთ, ლოცვა ხომ კარგი მასწავლა დედაშენმა გამომგზავრებისას!

– დაიწყე ახლა ისევ შენებურად, არაფერს გიშავებს შენ ჩემი დედა, ამისთანა გოგო ჩამიგდე ხელში და ოდნავი საყვედურიც აღარ გინდა აიტანო? ნუთუ ვერ გაიგე, რომ საქართველოში ვისაც თავისუფლად ცხოვრების სურვილი ჰქონდა, ცხოვრების გაუმჯობესების გარემოს კი ვერ ხედავდა, ყველამ მიატოვა სამშობლო და გადაიხვეწა, ზოგი ლუკმა პურის საშოვნელად, ზოგიც კიდევ დოვლათის დასაგროვებლად!

– შენ რისთვის წამოხვედი? დოვლათი დაგროვილი გაქვს და ლუკმა პური არ გიჭირდა – შენზედ არის ნათქვამი – „თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და სოროში გარბოდაო“ – არ გინდოდა განცხრომით ბუმბულში წოლა? იკოტრიალე ახლა ამ მორიელებში და იყავი თავისუფალი!

– კარგი ახლა, დიტო, არავის დაუძალებია ჩვენთვის აქ წამოსვლა. ჩვენი ნება-სურვილით წამოვედით და ახლა წუწუნი რაღას გვარგებს?

– ნება-სურვილით კი არ წამოვედით, აუტანელი გახდა სახლში გაჩერება, ყოველდღე ერთი და იგივე მესმოდა – „ნაცარქექიებო, გამოდით გარეთ, პურების თოვა დაიწყო, ზარმაცებო, უნიათებო, პურს ოფლის სუნი უნდა უდიოდეს. თქვენ უშრომელი ლუკმა როგორ გადაგდით ყელში, სინდისს გეფიცებით, თუ არ მიკვირდესო“ და სხვა. კიდევ კარგი, მეც შენთან მაერთიანებდა დედაშენი. მიმეტოვებინე და წავსულიყავი? სიყვარულით შეგირთე, ოჯახის დანგრევას მოვერიდე და არც ჩემს კარიერას ემუქრებოდა კარგი დღე. ბინა გვექირავებინა და სხვაგან გადავსულიყავით? კიდეც შემოგთავაზე და არ დამთანხმდა, მართლაც სირცხვილი იყო ამ-

ხელა სახლის პატრონს ბინა გვექირავებინა და ბოლოს და ბოლოს აქ წამოსვლა ვამჯობინეთ და გადაწყვიტეთ კიდეც!

– კარგი ახლა, ყველაფერს ოჯახს ნუ დავაბრალებთ, ნუთუ ვერ ხედავ, ოჯახში კი არა მთელ საქართველოში გახდა აუტანელი ცხოვრება და იმიტომ წამოვედით!

– კარგი თუ ღმერთი გწამს, შენი აზრით, საქართველოში აღარავინ ცხოვრობს?

– ცხოვრობენ, როგორ არა, ზოგი განცხრომით, ზოგიც შიმშილით!

– და მაინც ცხოვრობენ, ხომ სწორია? ნუთუ შენ მოგწონს და აფასებ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გაჭირვების ჟამს მიატოვებენ და გაურბიან სამშობლოს. ხოლო სამშობლოს აღორძინების ხანაში უბრუნდებიან მშობლიურ კერას?

– სამშობლო, სამშობლო – გაიძახი, აბა როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც ქვეყანაში აუტანელია არსებობა?

– უნდა იმუშაო, იშრომო და შენი ხალხის გვერდით დადგე, თუ საჭირო იქნება იბრძოლო კიდეც, შენი ერის გემოვნების მატარებელი გახდე, საზოგადოების ფერხულში ჩაება და მათი ჭირ-ვარამი ბოლომდე უნდა გაიზიარო, ასე გვზრდიდა და ასე აღგვზარდა ჩვენ იმ შენგან არ მოსაწონმა ხელისუფლებამ.

– არ არის ასე, როგორც შენ ხატავ. ცივილიზებული სამყაროსათვის ურემზე ჯდომა და ხარების შემოძახება მოძველდა და თანაც მიუღებელია, ეტლებზე კი ის პირები წამოსკუპდნენ, რომლებმაც ღალატს, გამოძალვას, მექრთამეობას, ყაჩაღობას, სპეკულაციას და ამგვარი მეურმისათვის, ესე იგი შენთვის, მიუღებელ და მიუწვდომელ ქმედებას „კორუფცია“ უწოდა, და საამაყებელ ქმედებად აქცია მთელ რესპუბლიკაში. შენ და შენისთანები საბრალონი აღმოჩნდით, ურმიდან ჩამოხტომის უფლება არავინ მოგცათ. რად-

გან ეტლებზე თქვენი ადგილი არ აღმოჩნდა და კიდეც რომ აღმოჩენილიყო, არა გაქვთ შნო და ლაზათი ცოლ-შვილს მოპარული ან სხვაზედ გამოძალული ლუკმა მოუტანოთ, მე ხომ კარგად ვიცი, დოცენტი კაცი ფიზიკურ შრომაში ჩაები, მაგრამ შრომის ანაზღაურება არავინ მოგცა – „გადაგდება არის მოდაშიო“ – გითხრეს. ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს შენისთანა ადამიანი? მოკლავ „გადამგდებს“? ან მოკლავ ან არა, შენ ქაფჩით ხარ შეიარაღებული, ის – ავტომატური თოფით. მაგრამ დავუშვათ, შენმა ქაფჩამ გაისროლა ტყვია და მოკალი. ამ შემთხვევაში მთლად დაიღუპება საქმე, მათთვის არ არის ციხე, თორემ შენისთანაებისათვის კარები მუდამ ღიაა. არაკეთილსინდისიერად მადანაშაულებ, ჩვენი აქ წამოსვლა ჩვენივე ნება-სურვილით არ მომხდარა, რაღა ის შებორკილი ქართველები, აქ რომ მოყავდათ ძალდატანებით და რაღა ჩვენ, თითქმის განსხვავებას ვერაფერს ვხედავ, რადგან მაშინ ფიზიკური ძალმომრეობა იყო მიმართული ერთი უძლური პიროვნების მიმართ, ახლა მორალური ძალმომრეობაა მთლიანად ერის საწინააღმდეგოდ მიმართული. ესე იგი ფიზიკური ძალა შეცვალა მორალურმა ძალამ, რომელიც ფიზიკურ ძალას ატომური ძალით აღემატება. ვიცი, დიტო, იმ ქვეყანაში შენისთანა პიროვნებებისათვის ძნელია ცხოვრება, სადაც არაფერი უხარიათ, სადაც ყველაფერი სიყალბითა და მომხვეჭელობით განიწონება ერთეულთა სასარგებლოდ, მაგრამ შენც უნდა გარდაიქმნა, დროებით უკუაგდო გონებრივი სიძლიერე და პიროვნული ფიზიკური სიძლიერე მოიხვეჭო, ხალხმა უნდა შეამჩნიოს შენი ძლევამოსილება და არავითარ შემთხვევაში არ შეამჩნიო მათი სისუსტე. სიცოცხლის ხელყოფის საშიშროებაც რომ დაგიდგეს, ხალხს აღარ უნდა უღალატო და როგორც ყველგან შავი და თეთრი ძალები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ დადგებიან, სიმართლის გზა ფართოა, შენ გაიმარჯვებ.

– მართალს ამბობ, ქეთი, იმიტომ მიყვარხარ, შენც ჩემი აზრისა ხარ, მაგრამ ადვილი არ გეგონოს შავი და თეთრი ძალების დაპირისპირება, ადამიანს პირველად ამ ძალების დადებითი და უარყოფითი თვისებები უნდა გააცნო, რომ გააცნო ისევ სიბრძნეა საჭირო და არავის იმდენი მტერი არა ჰყავს, რამდენიც ბრძენ კაცს.

– გეშინია?

– ჰო! მეშინია ფერები არ ამერიოს!

– აგაშენა ღმერთმა, ნეტავი ყველა ქართველ პატრიოტს შენსავით ეფიქრა, ახლა რამოდენიმე საუკუნით ვიქნებით უკან და საფიქრალიც ნაკლები გვექნებოდა.

– თუ ქალი ხარ, საუკუნეების ფიქრს თავი დაანებე. ბილეთების შოვნასა და აქედან გამგზავრებაზე იფიქრე, ყველაფერს ჯობია. მე კი ახლა წავალ, იქნებ ანგარიში გამისწოროს „უფროსმა“.

მართლაც მივიდა დიმიტრი „უფროსთან“ – წვეულება ჰქონდა. ვერ შებედა, თვითონ კი არ გამობრძანდა და მეორე დღისთვის გადადო მასთან შეხვედრა. მეორე დღეს, დილით ადრე მივიდა დიმიტრი სამუშაოზე „უფროსს“ დაელოდა, ის კი, შედარებით სხვა დღეებთან, გვიან მოვიდა – ნაბახუსევი.

– ბატონო ალი! – ქედმოხრილი წარსდგა „უფროსის“ წინაშე დიმიტრი, – საქართველოში უნდა წავიდე, ბავშვი ყოფილა ავად! ანგარიში უნდა გამისწოროთ, ბატონო...

– ხომ გითხარი, როდესაც სამუშაოებს მოვრჩები მთლიანად, ანგარიშსაც შემდეგ გაგისწორებ-მეთქი?

– სამგზავრო ფული მაინც მომეცი, ალი!

– გიჟი უნდა ვიყო, კარგ მუშას რომ შეველიო, ვერ მოგცემ გასამგზავრებელ ფულს.

– ბოლოს და ბოლოს მე არ მინდა შენთან მუშაობა, გამისწორე საბოლოო ანგარიში!

– ასეც ვიცოდი! თუ არ გინდა ჩემთან მუშაობა, მიბრძანდით აქედან, ერთ ცენტსაც ვერ მიიღებ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შენ ხელშეკრულება დაარღვიე, სამუშაო არ დამთავრებულა და გაპარვას აპირებ. ერთ ცენტსაც ვერ მიიღებ – წადი და სადაც გინდა, მიჩივლე!

– შენ თვითონ წახვალ საჩივლელად! – წამოიყვირა ანთებულმა დიმიტრიმ და იქვე კედელზე მიყუდებულ ძალაყინს წამოავლო ხელი. ალის გაეცინა, რადგან ერთ წამში განაიარაღა ალის დაცვამ დიმიტრი და სულ პანღურის ცემით გამოაგდეს...

* * *

წვეულების მეორე დღეს დათქმულ ადგილზე შეხვდნენ ერთიმეორეს მეგი და ლაშა. დილიდანვე შეიტანეს საბუთები უნივერსიტეტში – „იურიდიული ფაკულტეტი – სამართალმცოდნეობა“.

– წუხელი მთელი ღამე არ მძინებია, მე ბედნიერი ვარ, მეგი, რომ გაგიმხილე ამდენი წლის ნაოცნებარი სიყვარული. ისე, დიდი გამბედაობა კი უნდა სიყვარულის გამხელას, რომ უარი გეთქვა რაღა მეშველებოდა? – წამოიწყო საუბარი ლაშამ.

– რას იზამ, სიყვარული უფსკრულის კიდეზე ამოსული მომაჯადოებელი ყვავილია, მხოლოდ გამბედავები ეუფლებიან მას!

– ესე იგი, მე გამბედავი ვარ? ვგრძნობ, კარგი რაღაცა გავბედე, შენც კი იმწუთში ისე გაგიცისკროვნდა თვალები, თითქოს ფიზიკის ბოლო გაკვეთილი გაგცდენოდეს.

– გახდა უკვე სახუმარო ჩვენი სიყვარული? უმჯობესი იქნება, უადგილო ოხუნჯობას თავი დაანებო და გუშინდელი დანაპირები შემისრულო, მამაშენის დაპატიმრების ამბავი მომყევი!

– სიამოვნებით, თუმცა სასიამოვნოს ამ ტრაგედიაში ვერაფერს აღმოაჩენს. სახლში მივიდეთ, ჩემს დედას გაგაცნობ, და როგორც დაგპირდი – ხეივნის ჩრდილში დავჯდეთ სასაბუროდ.

– დედაშენს დღეს ჩემთვის არ ეცლება, ალბათ სამზარეულოში ფუსფუსებს მთელი დღე!

– სიმართლეა. მაგრამ ღმერთი არ გიწყენს ცოტას თუ წაეხმარები...

– რას ამბობ, ლაშა, უხერხულია, სულ დავიბნევი. ალბათ უნებლიედ დავამტვრევ ყველაფერს და ჩემი დაწუნება თუ გინდა ხელში გეკაოს.

– არ იდარდო, დედაჩემი, ბებიაშენი არ გეგონოს, ისე უმეცრად მოგაჩვენებს თავს, იძულებული გახდება, შენ ასწავლო ყველაფერი.

– ახლა ძალიან ადრეა, ლაშა, მაშინ ცოტა მოგვიანებით მოვალ, – მოიბოდიშა მეგიმ.

– არა, არა, თუ ღმერთი გწამს, ნუღარ დამშორდები! – უთხრა ლაშამ, მკლავში ხელკავი გამოსდო და გაუდგნენ გზას.

ლაშას დედა თეონა მართლაც სამზარეულოში ფუსფუსებდა, ერთდროულად ამზადებდა სხვადასხვა კერძს, ნამცხვარსა თუ ტკბილეულს. ასე გასინჯეთ, გაზქურაზე ფელამუშიც კი თუხთუხებდა. ლაშა და მეგი ისე ფეხაკრებით შევიდნენ სამზარეულოში, თეონას არც კი შეუმჩნევია. ლაშამ ჩაახველა, მართლაც შეხტა თეონა და მკერდზე ხელი მიიდო:

– რა შემაშინე, ბიჭო, სახლში რომ შემოხვალ, ხმა არ უნდა ამოიღო?

– დამხმარე ძალა მოგიყვანე დედა და იმიტომ მოვედი ჩუმად, აი, გაიცანი ჩემი მეგობარი მეგი მამამთავრიშვილი!

– კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ღარიბ ოჯახში, შვილო, ბედნიერების გზით გევლოს მუდამ! – უთხრა თეონამ და მოკრძალებით გადაკოცნა ქალიშვილი.

– მოგეხმარები, დეიდა თეონა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით! – უთხრა მეგიმ და წინსაფარი გაიკეთა.

– მოხმარება კი მინდა, შვილო, მაგრამ თქვენ როგორ შეგაწუხოთ!

– რა შეწუხებაა. პირიქით, მე მიხარია სამზარეულოში მუშაობა. ბებია არაფერზე არ მაკარებს და არც არაფერი ვიცი თეფშების გარეცხვის მეტი.

– ისწავლი, ჯერ ბავშვი ხარ, შვილო, შენი ხნის რომ ვიყავი, არც მე ვიცოდი არაფერი, მაგრამ ცხოვრებამ მასწავლა.

ლაშა დედასთან ერთად ოროთახიან კომუნალურ ბინაში ცხოვრობდა. ღარიბულად მოეჩვენა მეგის, მათი საცხოვრებელი ფართიც ეცოტავა. „ამათ ბინას ჩვენი სამი ცალი ჩანგალი იყიდისო“, გაიფიქრა, მაგრამ კი არ წყენია მათი სიღარიბე, გაუხარდა კიდეც, რადგან წარმოდგენილი ჰქონდა – „ადამიანმა ცხოვრება თვითონ უნდა შექმნასო“.

ქალები სამზარეულოში მუშაობას შეუდგნენ, მალე გამონახეს საერთო ენა... იცრუა მეგიმ – „არაფერი ვიციო“. ცოდნია კი არა, ზოგიერთი კერძის შეკაზმვას თეონასაც კი ასწავლიდა.

ლაშა ეზოში გამოსულიყო და თავისი გაკეთებული ხეივნის ქვეშ ჩრდილში იჯდა. იცოდა, როდესაც საქმეს მორჩებოდა, მეგი მასთან მივიდოდა. მეგისაც ერთი სული ჰქონდა, როდის მისულიყო ლაშასთან, რომელსაც ფანჯრიდან უთვალთვალებდა ფარულად, მაგრამ უფროს ადამიანს რას მოატყუებ, ეს სკოლა გავლილი ჰქონდა თეონას და ფანჯრისკენ მიმართული მეგის მზერა დაიჭირა თუ არა, გაიღიმა, კმაყოფილება გულში შეინახა და ცოტა ხნის შემდეგ მეგის უთხრა:

– ეს არის და ეს, თითქმის მოვრჩით საქმეს, ჩადი ხეივანში, შვილო, ლაშა გელოდება, მეც მალე ჩამოვალ.

მეგიმ სიხარულით შეიხსნა წინსაფარი და ოფლიანი სახეც კი არ შეუმშრალებია, ქუჩაში გაიქცა.

– დაიღალე? – შეეკითხა ლაშა.

– რა დამღლიდა, ერთი სული მაქვს, მოგისმინო. დედაშენის ცალუღლად დატოვება საცოდაობა არ არის? კიდევ კარგი, შენ რომ ჰყავხარ, თორემ დაიღუპებოდა ეს ამისთანა ქალი.

– ეს „ამისთანა“ – მაინც რანაირი?

– თბილი, განათლებული, ტკბილად მოსაუბრე, ბრძნული სიტყვების დიდოსტატი, ყოველი სიტყვა ჩასაწერი და დასამახსოვრებელია, დედას გეფიცები, უკვე მიძნელდება დედაშენთან განშორება.

– ჯერ კიდევ მოვასწრებთ ჯვრის დაწერას და შენც ნუ განშორდები.

– შენ თუ გგონია, ვინმეს მოვერიდო, მაგრამ რომ არ გამოდის? მეხუთე კურსამდე არაფერი არ იქნება. ლაშა, მგონია, ასე აჯობებს ჩვენი ბედნიერი მომავლისათვის.

– ქალბატონი ბრძანდები, მაგრამ თუ ნაადრევად გადავწყვიტო, სოფელში წაგიყვან და ისეთ ადგილზე გადაგმალავ, ეშმაკმაც ვერ მოგაგნოს!

– ვაჰ, ლაშა შენს სოფელიც გაქვს?

– ეჰ, დიდებული სოფელი მაქვს იმერეთში, ბაბუაჩემის ორსართულიანი სახლით. ეზო ხილ-ყვავილნარით მოქარგული...

– ჩვენ კი არა გვაქვს სოფელი და იცი, როგორ მინდოდა? რადგან სოფელიც გაქვს და ქალაქიც, ახლა თავში იხალონ დევდარიანებმა თავისი სიმდიდრე.

– მაინც ვერ გამიგია, რას გიშლის ხელს დევდარიანების სიმდიდრე?

– მე... არაფერს, მაგრამ ასე მგონია, რაღაც უმძიმესი ტვირთი მკიდია მხრებზე. არ მიყვარს გადაჭარბებული სიმ-

დიდრე, არც გადაჭარბებული ჩაცმა-დახურვა, აბა თვითონ წარმოიდგინე ქალი კოსმეტიკის ყველა საცხებლით შენიღ-ბული ხელ-ყურ-მკერდ-სამკაულებით გადატვირთული, კაბა უძვირფასესი ნაჭერი, უგემოვნოდ შეკერილი ბოლო მოდაზე.

ახლა მასთან დავაყენოთ იგივე ასაკის, პირდაბანილი და თმებდავარცხნილი გოგონა, რომელსაც ბროლად თლილ თითებზე მხოლოდ ერთი ბეჭედი უბრწყინავს, ბეჭედი ძვირ-ფასია, მაგრამ მაინც თითები ამშვენებს ბეჭედს, ასეა ნების-მიერი სამკაული, ქალის ფიზიკური აღნაგობა უნდა ამშვე-ნებდეს სამკაულს. როდესაც სამკაულით ქალი მამაკაცის ყურადღებას დაიმსახურებს, მერწმუნე, იმ ქალის საქმე წასულია, რადგან სამკაულის სიყვარული აღიქვა ვაჟმა და არა ქალის!

– ბრავო, მომწონხარ! სწორედ ისეთ ადგილზე მოხვედი, სადაც არ გადაიტვირთები სამკაულებით!

– არც მინდა და ფრჩხილისოდენა სურვილიც არ მაქვს, გავმდიდრდე და ჩემი სიმდიდრე ვატარო, რას ნიშნავს ეს? – გამოფენის დარბაზი ვარ? მე მინდა ვიყო ბედნიერი და არა – მდიდარი.

– ბედნიერი კი ნამდვილად იქნები ჩემთან, მწამს ჩვენ ლუკმას გავიყოფთ! შეყვარებულებს მოულოდნელად თეონა შემოუერთდა და საუბრის თემაც შეიცვალა:

– ამოდით, შვილებო, სახლში, ბევრი არავინ გვყავს დაპა-ტიჟებული, მაგრამ ვინცა გვყავს, უკვე მოსვლა დაიწყეს და დახვედრა უნდა ხალხს! – უთხრა თეონამ ახალგაზრდებს და წუთიერად თვითონაც ჩამოჯდა, შეასვენა მუხლები.

– მოვდივართ, დედა! მოვდივართ, მაგრამ დღეს ვარჯიში, რომ გავაცდინე, არ გამკიცხავ?

– გაგკიცხავ კი არა, სულ უნდა დაგანებებინო თავი, მაგ სპორტი არ არის. ღმერთს ადამიანი ცემისთვის არ გაუჩე-ნია, სატანის მსახურებმა, სატანური ქვეყნებიდან შემოიტა-

ნეს ყოველგვარი უხამსობა, ხალხის შემაძულებელი საშუალებანი, არა თქვა ახლა შენ, ადამიანს ვცემ და მიყვარსო, ცემ მაინც გძულს და გცემს მაინც გძულს, სწორედ ერთი პიროვნებიდან იწყება საზოგადოებრივი სიძულვილი. შენი კარატეა თუ მარატე ბრძოლის ერთ-ერთი უძლიერესი სახეობაა და ესე იგი შენ ხარ მებრძოლი, რომელიც მე არ მინდოდა ყოფილიყავი, ფიზიკური ბრძოლა და ურთიერთდაჯაბნა პირუტყვთა ბოლო სტადიაა. ადამიანებმა ცოდნით უნდა იბრძოლონ, ცოდნით ბრძოლის შედეგად კი იბადება ჭეშმარიტება, რადგანაც ცოდნით ბრძოლა კამათია და კამათი ჭკუის სალესი. რა განსხვავებაა დღევანდელ კარატესა და საუკუნეების მიღმა მიძინებული გლადიატორების ბრძოლებს შორის? რა თქმა უნდა, არაფერი. მაშინაც სიამოვნებდა ვიღაცას ეს ხელჩართული ბრძოლები და ახლაც სიამოვნებს, მაგრამ არა მებრძოლს, – მაყურებელს! – ყველა დროის ლოჟაში მოკალათებულმა მაყურებელმა კი კარგად იცის, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა, მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას ღიმილით კლავენ შემკვეთის თვალწინ.

– კარგი, დედა, შენ, მგონი, ახლა მე მკვლელადაც გამომიყვანე.

– მე არა, შვილო, საზოგადოებამ არ გაქციოს მკვლელად, ყოველი ადამიანი საშიშია, მათ შორის, შენც, დროს გააჩნია მხოლოდ!

ვიღაც უცხო ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სადარბაზოში შევიდა:

– მოვიდნენ უკვე! – თქვა თეონამ და მოსულების შესაგებებლად წავიდა.

– ოჰ, მოდიან უკვე, მე კი მოთმენა აღარ შემიძლია, როდის მომიყვები ბოლოს და ბოლოს მამაშენის ამბავს?

– ხო ხედავ, ახლა დრო არა გვაქვს, ალბათ, ნავახშმევს მოგიყვები ან ხვალ დილით!

– ასე გვიანობამდის ვერ დავრჩები, ლაშა, ხომ იცი როგორი ხალხის ხელშიდაც ვარ, სიცოცხლეს გამიმწარებენ დაკითხვებით: – რატომ დაიგვიანე? სად იყავი? ვისთან იყავი? რატომ იყავი? და სხვა.

– ნუ დარდობ, მე თვითონ გაგაცილებ!

– არა, ლაშა! გზაში კი არ მეშინია, სახლში არ მინდა, უკმაყოფილება მოხდეს ჩემი მიზეზით. ჰო, მართლა კარატეზე რომელ მასწავლებელთან დადიხარ?

– ჩინელ სილან ჩაო შინთან. რატომ მეკითხები, შენც ხომ არ გინდა სხეული მოიქნა?

– რატომაც არა. გოგონები ვარჯიშობენ თქვენ წრეში?

– როგორ არა, მხოლოდ გოგონებს სილანის მეუღლე ავარჯიშებს – ჩუანი.

– იცი, როგორ მაინტერესებს? ძირითადად რას გასწავლიან?

– დედაჩემს ხომ მოუსმინე, სიმართლე თქვა: ბრძოლებს გვასწავლიან, შიშველიხელით, დანით და ყოველგვარი ცეცხლმსროლელი იარაღით.

– მიპროტექტორებ?

– სიამოვნებით, ხვალ დილით მივიდეთ. მე მგონია, უარს არ გეტყვიან. წარჩინებული მოსწავლედ ვითვლები, დანისა და შავი ქამრის მფლობელი ვარ უკვე...

– ჰო, კარგი შევთანხმდით, ხვალ მივიდეთ! ახლა კი წავიდეთ, სირცხვილია, გველოდებიან!

გვიან ღამით დამთავრდა წვეულება ლაშა ჩხეიძის ოჯახში, მართალია, მეგი ბოლომდე არ გაჩერებულა, მაგრამ სტუმრებს ხელი არ შეშლიათ მისი არ ყოფნით. მეგი სახლამდის ტაქსით მიაცილა ლაშამ და საჩქაროდ დაბრუნდა სტუმრებთან. ბებია თამარი ფანჯარაზე გადმოყუდებული ელოდებოდა მეგის და არც მისი ტაქსიდან გადმოსვლა გამოპარვია მხედველობიდან, ისიც კარგად დაინახა თუ ვინ

მოაცილა მისი საყვარელი შვილიშვილი და სხვა დღეებთან შედარებით დღეს მკაცრად დაუხვდა მეგის.

– სად იყავი, გოგო, აქამდის, სადაც არის მზე ჩავა, ქათამმა მიაგნო საბუდარს და შენ ისევ ქუჩაში დაყიალობ იმ ქუჩის ბიჭთან?

– მე არც მზეს დავდევ და არც ქათამს, ბებო, აღარც პატარა აღარა ვარ, სექტემბრიდან უნივერსიტეტის სტუდენტი ვიქნები და ნება დამრთეთ, ჩემი ჭკუით ვისაზრდოვო.

– კარგი, შენ თუ ვერ ჩამოგიშორებია, მე მოგაშორებ მაგ ნაბიჭვარს. შემდეგ უსაქმოდ ყიალსაც გადაეჩვევი და სახლშიდაც დროულად მოხვალ.

– ბებო, კარგი ენის იყავი, საწინააღმდეგო არაფერი შეგამჩნიო, თორემ ღმერთს გეფიცები, სანანებლად გაგიხდი სიცოცხლეს!

– მაინც რას იზამ, გამაგებინე, შე წუპაკო, ვის გადაეკიდე, გოგო, ამოწყვეტილსა და ამოჟლეტილს? გამოსაცვლელი ნიფხავიც კი არ გააჩნია დედამაგისს, ქურდისა და ყაჩაღის შვილს სახლში შემოვუშვებ?

– თუ არაფერი გააჩნიათ, არც არაფრის საწყალობლად მოგდგომიან კარზე. თავისთვის ცხოვრობენ ტკბილად და გემრიელად, შეეშვი და მიეცი ცხოვრების საშუალება.

– მე მივცე ცხოვრების საშუალება? ის მიწიოკებს ცხოვრებას, გზაზე მიხვდება, გასაქანს არ მაძლევს, სიყვარულით თავს მიბრუებს და ისევ მე ვარ დამნაშავე?

– ის არავისაც არ ხვდება გზაზე, მე ვხვდები, მე ვიზიდავ ჩემსკენ, მომწონს, მიყვარს და იმიტომ!

– ვინ გიყვარს, გოგო, ვინ, როგორ გინდა გამოაჩინო იმისი ოჯახის წევრები ჩვენი ოჯახის შემადგენლობასთან, ერთი ბეჭედიც კი არ მოგეწონება დედამისის ხელზე.

– ხელი იყოს, თითები თლილი და ბეჭდები იქნება, ნუ დარდობ, ბებო!

– ვაი, მანამდის არ აუდგა გვერდები, თუ იმას ფიქრობ, ჩემი სამკაულებით დაუმშვენო თითები...

– არავის არ უნდა, ბებო, შენი სამკაულები, შენ გიყვარს ფული და ოქრო, თორემ განა ყველა შენსავით გაუმაძღარი და შეყვარებულია? რომ მოკვდები, იცოდე უკლებლივ ჩაგაყოლებენ შენს სიმდიდრეს, ვიღაც ნაძირალა გაიგებს ამის შესახებ, შენ მოგთხრიან, შენს სიმდიდრეს ღირსეულად წაიღებენ, რადგან მძარცველი დარწმუნებული იქნება, იმ ქვეყნად იმ სიმდიდრეს ვერ გამოიყენებ, რომელიც ამ ქვეყნად ვერ გამოგიყენებია. წაგართმევენ ყველაფერს, თითზე წამოცმულ საქორწინო ბეჭედსაც წამოგაძრობენ, კუბოს თავის დახურვა დაავიწყდებათ სიჩქარისაგან და მიწას ისე მიგაყრიან, როგორც მუსულმანს...

ბებოს სიმწრით გაეღიმა, მაგრამ ეს ღიმილი არ იყო ის, სახეს სილამაზეს რომ ანიჭებს, არამედ სულ სხვა არაადამიანური ღიმილი, რომელიც სახის ლამაზ ნაკვთებსაც კი ამახინჯებს. ხუმრობით ნათქვამი სინამდვილითაც კი ღიმილის უმცირესი ჩრდილი მაინც მოადგება ადამიანს ბაგეზე, მაგრამ გააჩნია ეს როგორი ღიმილი იქნება. ღიმილით დაწერილი ბრძანებით დაინგრა მრავალი სამლოცველო, დაემხო კერპები, თავიანად მოძვრა გვირგვინოსანთ გვირგვინი... ასე რომ, ზოგიერთ ღიმილში შხამი და გესლი მეტი ურევია, ვინმე გულის დამამშვიდებელი საშუალება.

* * *

ბევრი ჩხუბისა და აყალმაყალის შემდეგ, რომ ცრუ საქმე არ შეეთითხნათ და დიმიტრი ციხეში არ აღმოჩენილიყო, ამიტომ დროულად უნდა დაეტოვებიათ ის ქვეყანა,სადაც მსხვილი ფულის საშოვნელად იმყოფებოდნენ და ახლა თავის მცირესაც კარგავდნენ, კიდევ კარგი, ბილეთები ნაყიდი დაახვედრა ქეთევანმა, ახლა კი სიჩქარე იყო საჭირო, იჩქა-

რეს კიდეც და არც თუ ხვავ-ბარაქიანად, მაგრამ მაინც ხელ-დამშვენებული ცოლ-ქმარი, ქეთევანი და დიმიტრი, თბილისის აეროდრომზე თვითმფრინავის ტრაპიდან გადმოვიდნენ. მოულოდნელი იყო მათი დაბრუნება საზღვარგარეთიდან და შეხვედრაც არავინ მოუწყო. სამაგიეროდ ოჯახში დაბრუნებისას კი გაიხარა დიდმა და პატარამ. აქამდის თუ მონატრების ცრემლი ახრჩობდა მეგის, ახლა სიხარულის ცრემლად იღვრებოდა... არც ქეთევანს აღმოაჩნდა ქვის გული. ჩუმად ქვითინებდა და ხელებს უკოცნიდა შვილს, შემდეგ თვალები მუშტით ამოიმშრალა, თავისთავს შეუძახა – „კმარაო“ – და მეგი შეათვალიერა, გაზრდილი ეჩვენა. დაშორების წლებსა და განვლილ გზას გადახედა – „ჩემს გარეშე გაზრდილაო“ – გაიფიქრა, გული ჩაუკვდა. მეგის კი არაფერი შეამჩნევინა და რიხიანად უთხრა:

– რას დამსგავსები ხარ, გოგო, კაბას ვერ ჩაიცვამ? სად გაგონილა უპერანგო და ჭიპშიშველი ქალი?

– მოდაა ასეთი, მთელი მსოფლიო ასე დადის ახლა და შენ რომელი ქვეყნიდან მოხვედი, რომ მსგავსი არაფერი გინახავს? – მეგის მაგივრად თამარ ბებომ გასცა პასუხი ქეთევანს.

– მე არ ვიცი თქვენი მოდა, აი აგერ ისეთი კაბები მოვიტანე, მთელი თბილისის ახალგაზრდობას ზედ თვალები დარჩებათ! – თქვა ქეთევანმა და ფუთას თავი გადახსნა, მართლაც ძვირფასი კაბები ამოალაგა, სულ ოქროს ძაფით მოქარგული, საჩუქრები ხელის გულზე დაიწყო და მეგის გაუწოდა.

– აგერ დააწყვე, დედა! – ტახტზე მიუთითა მეგიმ.

– ჩამოართვი, შვილო და შენ თვითონ დააწყვე, სადაც მოგესურვოს! – გამოესარჩლა თამარი.

– ხელსაც არ ვახლებ მანამდის, სანამ არ გავთხოვდები და შვილი არ შემეძინება, შემდეგ ჩავიცვამ, თუ შენისთანა

გულქვა დედა ვიქნები შვილისთვის, – თქვა მეგიმ და სახე იბრუნა, რომ ნაკადულად წამომსკდარი ცრემლები დაეფარა.

ქეთევანს ხელში გაუშეშდა საჩუქარი, ხმა ვეღარ ამოიღო, ერთხანს გარინდული შესცქეროდა მეგის, შემდეგ საჩუქარს დააცქერდა, რომელიც ვერ მოეხერხებია, სად დაედო და რომელსაც ახლა განგებამ ისეთი ცეცხლი შეუნთო, არა მარტო ხელები, არამედ მთელი სხეულის დაწვა დაუწყო. როგორც იქნა, გონს მოეგო და ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა:

– განა მე ცუდი დედა ვარ შენთვის?

– რას ეძახი შენ კარგ დედას, დედა?! ამ ჩვრებისთვის დამეკარგე? ამ ჩვრების გულისთვის მიმატოვე? ამ ჩვრებზე ასჯერ მეტი ჩვრები ჩემს დაღვრილ ცრემლში გაირეცხება, განა ეს ჩვრები ღირს დაღვრილი ცრემლის საფასურად?

– მე კი დალხინებული ვიყავი იქ, სადაც ვიყავი? მე კი არ მენატრებოდი? ერთი ჩემს თვალებსაც შემოხედე. ამდენი ჩვრები თუ არა, იქნებ ერთი ცხვირსახოცი მაინც გაირეცხოს ამ თვალებიდან დაღვრილი ცრემლით.

– ვერ გამიგია, დედა, რისთვის ჩაიგდე თავი საგონებელში? რატომ წახვედი? თუ წავხედი, წასვლას რომ მოსვლა უნდოდა, არ იცოდი?

– წასვლა ადვილია, მოსვლა – ძნელი, შვილო! ვეღარ მოდიხარ შენს ჭკუაზე, ვიღაც რაღაცას გპირდება, გიყოლიებს და აი, ბოლოს გიძნელდება ხელმოცარული დაბრუნდე ოჯახში. ახლაც ძლივს დავაღწიეთ თავი, მამაშენს არ გაუსწორეს ანგარიში და კინაღამ ციხეში ამოყო თავი.

– რატომ მიდიოდი, რა გაკლდა?

– შენ – არაფერი! – ჩვენ – ყველაფერი! და ჩვენ რომ გვაკლდა შენ იმიტომ არ გაკლდა და ვერ ამჩნევდი ნაკლულებას. იცი, რას გეტყვი? „დააცხრე ენაი შენი ბოროტისაგან და ბა-

გენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვას“. ეს ფსალმუნია და გახსოვდეს მუდამ.

* * *

წვეულების მეორე დღეს, დათქმულ ადგილზე ელოდებოდა ლაშა მეგის. ის კი იგვიანებდა, რადგან ერთი ომი გადახდა, დაეჯერებინა მშობლები, რომ მისთვის იურიდიული ფაკულტეტი ჯობდა საექიმოს. ბოლოს თავისი გაიტანა და დააშინა ყველანი კიდეც – „თუ დიდ წინააღმდეგობა სგაუწევდნენ, გათხოვდებოდა და საერთოდ აღარ ისწავლიდა“. ერთმანეთს გადახედეს, ბებიამ დაასკვნა – „ამის ჭკუისგან მოსალოდნელიაო“ და ყველაფერზე დაყაბულდნენ, მხოლოდ არ გათხოვილიყო.

მეგის საჩქაროდ გაიხურა კარი, პაემანზე აგვიანდებოდა ოჯახის წევრებმა კი ჩათვალეს, ქალიშვილი საბუთების უმაღლეს სასწავლებელში შესატანად წავიდაო. ბებიამ თვალი გააყოლა მიმავალ მეგის და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

– რა ჰქნას, შეყვარებულია ქალბატონი, მიზეზობს, კარგი ცუდად ესმის!

– რა თქვი, დედა? ესე იგი ჩვენი ქალიშვილი იმხელა გაიზარდა, შეყვარებულია? ვინ უყვარს?

– ვინ უყვარს და ერთი ამოწყვეტილი, ღარიბი, არასმქონე და არაფრის მაქნისი!

– ფიზიკურად როგორია ვაჟი, თუ გყავს ნანახი?

– უკეთესი ვაჟკაცი არ მოგეწონება, მაგრამ რად გინდა იმისი შეხედულებანი, ჩრდილი ღობესაც კარგი აქვს, მაგრამ ჩრდილია ის? პატიმარი ჰყავს მამა, ვიღაც მეზობელი დაუყაჩაღებია, გაუუპატიურებია, ის მოხუცი ქალი ჭკუაზე შეშლილა შემდეგ დაუჭერიათ და სამუდამო პატიმრობა მიუციათ, მოსამართლეს სულ თითები დაუკბენია – „დახვრეტა რომ იყოს, ნამდვილად არ გაგიშვებდი ცოცხალსო“.

– კი მაგრამ გარეთ არ გადიხარ, ქალო, შენს ზიზილ-პიპილოს დარაჯობ სახლში და ვის მოაქვს ეს ცხელ-ცხელი ამბები შენთვის, ნეტავი გამაგებინა! – ფეხზე წამოდგა და სკამი გააბრახუნა სიბრაზის ნიშნად გიორგიმ.

– ეგ არ არის კარგი საქმე, თუ მამა ჰყავს პატიმარი. დანარჩენს კი ყველაფერს ეშველება. – თქვა ქეთევანმა.

– ციხე დიდი სკოლაა, ყველა გამოჩენილი ადამიანი ცოტა თუ დიდხანს კატორღელები იყვნენ, – ლაპარაკში ჩაერია დიმიტრი.

– „გამოჩენილი“ აბა, შენი სასიძოს მამა ციხეში ნაშრომებს წერს. უსისხლო რევოლუცია უნდა მოახდინოს მსოფლიოში, შემდეგ ერთ ენაზე ვილაპარაკებთ და ყველა ერთნაირად ვიცხოვრებთ, ვაი, მანამდის არ აუდგა გვერდები, სანამდის მაგათთან თავი არ გავიცვალო. ჩემი ნაცოდვილარი სიმდიდრე ხელში არ ჩავუგდო და ვაფიფინო აქანა. – თქვა თამარმა და სათითაოდ ყველას ისე გაუსწორა თვალი, თითქოს ამბობდა – „ვინც ბიჭია, შემეკამათოსო“. მაგრამ შვილი ყოველთვის თამამია დედასთან და ქეთევანმა გაბედა ხმის ამოღება:

– შენ თავდაპირველად არც დიმიტრი მოგწონდა. ასეთი კუდაბზიკა იყავი მუდამ, რაო და ძველი ლაზების შთამომავალი ვარ, – სამეგრელოს დედოფალი იყო, ოდესღაც ჩემი დიდი ბებიაო – და ცა ქუდად არ მიგაჩნია, დედამიწა ქალამნად. თუ ვაჟი ფიზიკურად კარგია, რატომ უკლავ გოგოს პირველ სიყვარულს, უყვარდეთ ერთიმეორე. შემდეგ ცხოვრება თვითონ დაანახებთ სიტკბოსაცა და სიდუხჭირესაც!

– როგორ, მუცელგამობერილი რომ მოგივა სახლში შემდეგ ვითავცემოთ თუ აქიდანვე ჯობია თადარიგის დაკავება? წამომძახა – „დიმიტრიც არ მოგწონდაო“ – ნეტავი ან ახლა რა აქვს მოსაწონი? არ მომწონდა და ახლა მომწონს თუ!..

– ნაღდად გაკაპასდა თამარი და ხმის ამოღებაც ვეღარავინ გაბედა.

ზალაში დიდხანს სუფევდა სიწყნარე. სკამებზე შეშმუშვნის ხმაც კი არ ისმოდა. გაუნძრევლად იჯდა დიდი და პატარა. ბებიას სიამოვნებდა ეს სიწყნარე და გულში ზეიმობდა მუდამ დაუმარცხებელი გამარჯვებას. ბოლოს ისევ მან დაარღვია მყუდროება:

– თქვენ ქალს ყურში კიდებთ ხელს, რაო და სუსტი სქესის წარმომადგენელიაო, არაფრად თვლით, ის კი არ იცით, რომ ბევრი ომის დაწყების მიზეზი ქალი იყო. ერთ-ერთი უსასტიკესი და ყველაზე ხანგრძლივი ომიც კი ქალის მიზეზით მოხდა. მშვენიერ ელენას ასახელებენ ტროას ომის დაწყების მიზეზად. ქალს გაუგონარი და იშვიათად მოსაფიქრებელი ცოდვის ჩადენა შეუძლია. იმ მრავალრიცხოვან ცოდვათა შორის, რომელიც ქალებს ჩაუდენია, ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვა იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთაა, რომელშიდაც ბრალი ჰეროდე ანტიპას საყვარლის ქალიშვილს სალომეს ედება. მე ქალი ვარ, ვიცი ქალის ბუნება და გეუბნებით თქვენ: ქალი ვერაგია, დაბადების დღიდან ყელზე ეჟვანს საჭიროებს, რომ არსად დაგეკარგოს... ვიცი, ბატონო, ასაკი ბადებს სიყვარულს, ვერც ეჟვანი გაგაგებინებს ატეხილი ქალიშვილის გზა-კვალს, მაგრამ სიფრთხილე არასოდეს არ უნდა მოადუნო, თორემ შენ რომ უფროსი ხარ, საბოლოოდ შენ დაგბრალდება ყველაფერი.

სიმდიდრე-სიღარიბე და სიყვარული არ შეიძლება ერთ მცნებად ჩაითვალოს, არ შეიძლება ღარიბს უყვარდეს მდიდარი ან პირიქით. როგორ შეიძლება ღარიბს უყვარდეს მდიდრის ქალიშვილი, თუ იმის სიმდიდრეზე არ უჭირავს თვალი?

– ასეთი შეხედულება რატომ გაქვს ცხოვრებაზე, დედა? – როგორც იქნა საუბარში ჩარევა გაბედა ქეთევანმა – ღმერთმა

სიყვარული ყველასთვის თანაბრად გაანაწილა, შეიძლება მეფეს ყმა შეუყვარდეს და ყმას მეფე, მე მგონია, მეფე ყმის ქონებას არ დახარბდება, მაგრამ სიყვარული ერთნაირი ძალით აღაფრთოვანებს ორივეს. თქვენ იცით, სიყვარულმ აროგორ გააჩინა და შობა ებრაელთა წინასწარმეტყველი მოსე? სიყვარულისათვის სიწმინდეზე უფრო დიდი ძალმოსილება არ არსებობს, ღვთისადმითაც კი სიყვარული სიწმინდის გარეშე მიუღწეველია. სიყვარულს სიმდიდრით ვერ შეიძენ, დედა! არ იყიდება ის დალოცვილი... არ შეგეშალოს, შეიძლება სიამოვნება ვიყიდოთ, დავტკბეთ ალერსით ერთი ღამე ან ერთი თვე, მაგრამ ეს სიყვარული კი არა წუმპეში ცურაობაა, რომელ ჭუჭყსაც წლებიც ვერ ჩამოგრეცხავს. შენ სიმდიდრეს ფულში და სამკაულებში მიჩერებიხარ, მცდარია შენი მოსაზრება... დედა, ნამდვილი მდიდარი ის ის არის, ვინც სიყვარულითა და ცხოვრებით არის კმაყოფილი... ჩვენ გვიყვარს ღმერთი და ღმერთის სიყვარულით ვართ ბედნიერი, ესე იგი სიყვარულში იბადება ბედნიერება და არა სიმდიდრეში. ჩვენ ღმერთი არ გვინახავს, არც ხმა გესმენია მისი, არც სახის ნაკვთი გვინახავს, მაგრამ გვიყვარს, რადგან ამ სიყვარულში სიმდიდრეს კი არა ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულს ვეთაყვანებით! ჩვენ გვიყვარს ქრისტე არა მისი სიმდიდრის, არამედ მისი სიწმინდისათვის... მეგის შეუყვარდა, როგორც თქვენ აღნიშნეთ, კარგი აღნაგობისა და კარგი ბუნების ახალგაზრდა. ახალგაზრდა ვაჟსაც თავდავიწყებით შეუყვარდა ჩვენი მეგი! რა არის აქ სიცუდე? მეგი თუ მახინჯი იქნებოდა და ფიზიკურად არ იქნებოდა იმ ვაჟის შესაფერისი, მაშინ ვიფიქრებდით, ვაჟს მეგის სიმდიდრე შეუყვარდა და არა მეგი-მეთქი, მაგრამ ახლა რატომ ვიფიქროთ ის, რაც არ შეიძლება იფიქროს ჭკუათმყოფელმა ადამიანმა?

– შენ მუდამ მასეთი იყავი, ქვეყნის მოსარჩლე. ფილოლოგი კი არა, ადვოკატი უნდა გამოსულიყავი, უფრო დაიცავდი მაღლა ცასა და ძირს დედამიწას...

– ცასა და დედამიწას ჩემი დაცვა არ ესაჭიროება, მას უფალი იცავს, მე კი ჩემი ოჯახის დაცვა მომანდო და თუ არ მომეხმარები, ხელს ნუ შემიშლი, იწამე ღმერთი.

– მე ხელს გიშლი შენ ხომ? მე არ შემტკივა გული მეგიზე? ჩემი გაზრდილია ის, შენ ძროხასავით მოიყვანე მხოლოდ, მომიგდე და წახვედი, შენ რომ ტკბილად გეძინა, მე ღამეებს ვათენებდი მაგ ბავშვისთვის და ახლა თქვენ ვერ ჩაგიგდებთ ხელში დასაღუპავად, ვერც პატიმრის შვილს შემოვიყვან ამ ოჯახში ზესიძედ!

– კარგი რა, დაწყნარდი, ქალო, ნუ შეაძულე შვილებს სახლში შემოსვლა. – იღრიალა გიორგიმ. – არავინ შემოვა შენს სახლშიზესიძედ, ნუ გეშინია. სხვა კი არა, ჩვენ სად გავიქცეთ იმას ვფიქრობთ. – გიორგიმ მაგიდას ისე ძლიერად დაჰკრა მუშტი, რომ ვერცხლის მომინანქრებული სახილე ჯერ ადგილზე აკანკალდა, შემდეგ კი მაგიდიდან ისკუპა და თამარს ჩაუვარდა კალთაში.

* * *

დათქმულ ადგილზე დაგვიანებით მივიდა მეგი, მიუხედავად იმისა, ქალიშვილმა საგრძნობლად დაიგვიანა და საყვედურიც უნდა დაემსახურებინა ლაშასაგან, ვაჟს ისე გაუხარდა საყვარელი ადამიანის დანახვა რომ საყვედურიც გადაავიწყდა, მაგრამ მეგის არ დავიწყებია და დაგვიანების მიზეზს ძირფესვიანად მოუყვა.

– ჰო, შენ იმხელა ომი გადაგხდენია, დაგვიანებად კი არა მთელი გაკვეთილის გაცდენად ღირს! – უთხრა ლაშამ, როდესაც მეგის საუბარი მოისმინა. ახლა კი წავიდეთ, კარატეს ყველა ილეთი უნდა შეგასწავლო, ვინ იცის, შეიძლება ბებოსთან ხელჩართულმა ბრძოლამ მოგიწიოს და ხომ არ უნდა გაილახო ახალგაზრდა შეყვარებული?

– იცინე შენ და ცოტა დააკლდა, კინაღამ მწვდა თმებში.

– უთხარი, ჭკუით გაჩერდეს ბებერი, თორემ თმებს სათითაოდ ავაცლი თავზე! – ასეთი ხუმრობითა და ტკბილი საუბრით კიდეც მივიდნენ ერთ დაბალ, მაგრამ სილამაზით თვალსაჩინო შენობასთან, რომლის ფართო ჭიშკარსაც ორი ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა იცავდა, მათ ფორმა ეცვათ, მხოლოდ ყველა ფორმისგან განსხვავებული. ქუდზე გერბი ჰქონდა მიმაგრებული, რომელიც მსოფლიოს ორ ნახევარსფეროს წარმოადგენდა, ზედ კარატისტი იყო ამოშტამპული, რომელიც ერთი ნახევარსფეროდან მეორე ნახევარსფეროზე აკეთებდა ნახტომს. ლაშამ ერთ-ერთ მათგანს საშვი გაუწოდა, მეგიზე კი უთხრა ჩემთან არისო და ორივე გაატარეს. პირველად თავის მასწავლებელთან სილან ჩაო შინთან მივიდა ლაშა და თხოვა შუამდგომლობა გაეწია მეუღლესთან, რომ მოსწავლედ აეყვანა მეგი, სილანმა ყურადღებით შეათვალიერა ქალიშვილი, მხრები აიჩეჩა და შემდეგ უხმოდ გაუძღვა ახალგაზრდებს. ახლა ჩუანმა შეათვალიერა მეგი. „საუცხოო ქალიშვილია, ნაღდი ათლეტური ტანი აქვს, სახელოვანი მოსწავლე დადგებაო“ – თქვა. – „ადგილი არა მაქვს, ძლიერ ვარ გადატვირთული, მაგრამ სილანმა მთხოვა და უარი არ გამოვაო“ – ასე რომ, მეგი კარატეს შემსწავლელ კურსებზე ჩაირიცხა. უთხრეს, რომ ხვალიდან გამოცხადებულიყო ვარჯიშზე და არავითარ შემთხვევაში არ გაეცდინა, არც ერთი გაკვეთილი.

– ესეც ასე, კიდევ ერთი საქმე მოვაგვარეთ – თქვა მეგიმ, როდესაც დარბაზიდან ქუჩაში გამოვიდნენ. – ახლა კი წყნარ ადგილზე დავჯდეთ და მიამბე მამაშენის ამბავი, იქნებ მეც შენთან ერთად ვიბრძოლო სიმართლის დასადგენად და მის განანთავისუფლებლად.

– ძალიან კარგი. მოხარული ვარ, რომ ჩემს გვერდით იქნები. – უთხრა ლაშამ და ცხრა აპრილის სახელობის ბაღშიშევიდნენ, იქ მყუდრო ადგილზე თავისუფალი დასაჯდომი

მოძებნეს, დაჯდნენ და დაიწყო ლაშამ ამბის მოყოლა, რომელიც ესოდენ აინტერესებდა მეგის:

– როგორც ადრე გითხარი, ჩვენ მამა-პაპისეული სოფელი გვაქვს იმერეთში, ორსართულიანი სახლი, ეზო კალმით ნახატი, ლამაზია იმერეთის ყველა სოფელი, მაგრამ მგონია, ჩვენი სოფელი ყველასაგან გამოირჩევა. ეს ჩვენი დამსახურება არ არის, რომ ის ბუნებრივად ლამაზია, სოფელს ორივე მხარეს, აღმოსავლეთით და დასავლეთით მდინარეები ჩაუდის კალმახთა საბუდარი, ფოთლოვანი ტყით, მუხნარით გადახურულია მდინარეები და არა მრატო ადგილობრივ მაცხოვრებელთა მოწონებას იმსახურებს ჩვენი სოფელი, არამედ მომსვლელთა ქება-დიდებაც ბევრჯერ მსმენია. ჩვენ ყოველ წელიწადს, საზაფხულო სასკოლო არდადაგების დროს მივემგზავრებით და სულიერად ვისვენებთ ყველანი ერთად. სოფელში საურმე გზა შემოდის, უბრალოდ მოხრეშილი. საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად მოძრაობს ავტომანქანებიც. გზაზე, ჩვენს ჭიშკართან ახლოს, წყარო გადმოჩუხჩუხებს, მართალია, წყალი ბუნებრივად ამოდის, მაგრამ არავის ახსოვს, ვინ იზრუნა წყაროს კეითლმოწყობაზე. წყარო თლილი ქვით არის აშენებული. შუაში ვეფხის პირიდან გადმოჩქეფს ანკარა წყალი. წყაროს მარჯვნივ და მარცხნივ საცურაო ავზები აქვს ამოშენებული. ასე რომ, ზაფხულში ნებისმიერ დროს წყაროსთან ხალხმრავლობაა. მამაჩემს კი ნაშუაღამევს უყვარდა ავზში ცურაობა.

– რა საჭიროა ლაშა ამხელა შესავალი, ნუთუ წყაროს მამათქვენის პატიმრობასთან რაიმე კავშირი აქვს? – ვეღარ მოითმინა და თხრობა შეაწყვეტინა მეგიმ.

– მოთმინება იქონიე, სოფელი ხომ უნდა გაგაცნო, შენ ხომ მომავალი კვალმაძიებელი ხარ და ჩემს სახლს ჩემს გარეშე უნდა მიაგნო.

– შენ გარეშე მე წასვლას არასადაც არ ვაპირებ. ასე რომ, ძირითად თემას დაუბრუნი.

– ჩვენს სოფელში ერთი ქვრივი ქალი ცხოვრობს – მაკრინე – არავინ არ იცოდა, რომ მას მამამთილის დანატოვარი ოქროს ქამარ-ხანჯალი ჰქონდა. სულ სამ კილოგრამსა და რვაას გრამს იწონიდა მოჩუქურთმებულ-მოსავადებული ბაჯაღლო, ვიღაც მძარცველებს ეს ამბავი შეუტყვიათ და ერთ უმთვარო ღამეს მაკრინე დააყაჩაღეს, შეუკრეს ხელ-ფეხი. აწამეს და ათქმევინეს თუ სად ინახავდა განძს, მძარცველებმა ნადავლი წაიღეს და წავიდნენ. ბუნებრივია, მაკრინემ მეორე დღესვე პოლიციაში განაცხადა თავდასხმის შესახებ და გამოძიებაც დაიწყო, დაკითხეს სოფელში ყველა მაცხოვრებელი, მათ შორის მეც და მამაჩემიც, მაგრამ პოლიციამ კვალს ვერ მიაგნო და ძიებაც დროებით შეწყდა.

ერთ დღეს მე ვეკითხები მაკრინეს:

– ვინ იცოდა შენთან განძის არსებობის შესახებ?

– არავინ ივდითის მეტმა – მიპასუხა მაკრინემ – მაგრამ ივდითი ჩემი მეგობარია და საკუთარი თავივით ვენდობი მას, გამორიცხულია მასზედ ეჭვიანობა. ის მე არ გამთქვამდა!

– ივდითი მეზობელ სოფელში ცხოვრობს, ისიც ქვრივია და სიმართლე გითხრა არც მე დამბადებია ეჭვი იმის მიმართ, მაგრამ რაღაცატომ ნომერ პირველ დამნაშავედ წარმომიდგა და მხედველობაც გავამახვილე. მაკრინე კი ძველებურად მეგობრობდა ივდითთან და არც ერთი არ ისვენებდა, დაეძებდნენ მძარცველების კვალს, რადგან პოლიციამ მძარცველების კვალს ვერ მიაგნო, მაკრინე და ივდითი მკითხავთან წავიდნენ ჭიათურაში. მკითხავმა, როგორც კი დაინახა ივდითი და მაკრინე ერთად მისული, წამოიძახა:

– მოდი, მაკრინე, მოდი, შე საცოდავო, როგორ უწამებიხართ, შენი სახლიდან განძი წაუღიათო!

მაკრინემ ირწმუნა მკითხავის სიმართლე და შეეკითხა თუ ვინ იყვნენ მძარცველები.

– ახლა ვერ გეტყვი – უთხრა მკითხავმა – წადი შენი ეზოს ერთი მუჭა მიწა და ცხრა წყაროს წყალი მომიტანე, მხოლოდ დაძინებული წყალი უნდა მომიტანო. წყალს კი ღამის თორმეტი საათიდან სამ საათამდის ძინავს და სწორედ ამ შუალდეში უნდა აიღოვო.

– მარტოდ უნდა ვიყო? – შეეკითხა მაკრინე.

– აუცილებლად, თორემ წყალი გამოიღვიძებს და ვერაფერს მივხვდები!... – უპასუხა მკითხავმა.

წამოვიდნენ მკითხავისაგან დიდად დაიმედებული ქალები და მაკრინე შეუდგა წყლის შეგროვებას. ერთ ღამეს, როდესაც მამაჩემი ჩვენი წყაროს ავზში იყო ჩაყვინთული, ნებივრობდა და გრილდებოდა, სწორედ მაშინ მისულა მაკრინე დაძინებული წყლის ასაღებად, წყაროსთვის ბოთლი შეუდგამს და სწორედ მაშინ მამაჩემსაც ამოუყვინთავს ავზიდან. უკივლია მაკრინეს და გაქცეულა. გამოკიდებია მამაჩემი: – „ნუ გეშინია, მარინე, მე ვარ აკაკიო“ – მაგრამ მას აღარაფერი ესმოდა და მთელი ხმით გაჰკიოდა – მიშველეთო! – შემდეგ გული შეუწუხდა და მამაჩემმა მოსულიერება დაუწყო. შეგროვდნენ მეზობლები, დაინახეს მამაჩემი, რომ ტრუსისამარა დადგომია თავზე ქალს და ასულიერებს, ეს იყო და ეს, მეორე დღეს პოლიციამ ყოველგვარი უხამსობა დასწამა მამაჩემს და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

– განჯის მოპარვაც დაწამეს?

– რა თქმა უნდა, მეორე დღეს ისევ წავიდა მკითხავთან ივდითი და მაკრინე, მოუყვა ყველაფერს თუ როგორც იყო საქმე და მკითხავმა უთხრა: – „მე შენს სპეციალურად გაგიშვი წყაროზე, რომ შენი თვალით გენახა თუ ვინ იყო შენი გამძარცველიო – და მაკრინემაც პოლიციას მისცა ჩვენება, ვიცანი, აკაკიმ რომ გამძარცვაო. გამომძიებელმა შეავსო დაპირისპირების ოქმი და მაკრინეც დაუპირისპირდა მამაჩემს: – „მართალია, ნიღაბი გქონდა სახეზე აფარებული, მაგრამ

ხელებითა და მკერდით გიცანი, როდესაც მიბორკილებდი და თან ჩახლეჩილი ხმით მელაპარაკებოდი, რომ ლაპარაკზე არ მეცანიო“ – ამის შესახებ მამაჩემს გამომძიებელი აღარ ეკითხებოდა ჩადენილი ძარცვის შემდეგ არაფერს, ეკითხებოდნენ მხოლოდ სად ჰქონდა განძი გადამალული და ვინ მოთვლის რამდენი ტანჯვა აიტანა მამაჩემმა, მიზანს რომ ვერ მიაღწიეს, გამომძიებელმა თვითონ შეთითხნა საქმე: – „აკაკი ჩხეიძემ განძი (ქამარ-ხანჯალი) უცნობ პირებთან ერთად გაყიდა, რომელთა მისამართს თვითონაც ვერ იგონებს ბოროტმოქმედი და გამოძიებისაგანაც დაუდგენელი რჩება, რადგან გამოძიება ეყრდნობა ჩხეიძის ჩვენებასო“.

მამაჩემი რომ გაასამართლეს, ყველა დარწმუნებულები ვიყავით იმის უდანაშაულობაში, მაგრამ ისე წარმართეს ძიება და შემდეგ სასამართლო, კინაღამ მეც დავიჯერე იმისი დანაშაული და ერთჯერ, როდესაც მასთან პაემანზე ვიყავით მე და დედაჩემი, მამას შევეკითხე:

– მამა, მე მაინც მითხარი სადა გაქვს ის ქამარ-ხანჯალი შენახული-მეთქი!

– მამაჩემი გაკვირვებით მომაშტერდა, თვალები გაუფართოვდა და ნაპერწკლებმა დაკვესა, შემდეგ ნაპერწკლები ნელ-ნელა ჩაქრა და სითხით ამოივსო თვალების ბუდე:

– შენც? – მხოლოდეს ერთადერთი სიტყვა მითხრა, კარი გაიხურა და წავიდა.

ბავშვი ვიყავი, მაგრამ არ მასვენებდა მაკრინეს ხმა: – „ივდითის მეტმა არავინ იცოდა, ჩემთან რომ განძი ინახებოდაო“.

გამორიცხულია, – ვფიქრობდი მე, რომ ივდითი არ ერიოს მაკრინეს ძარცვის საქმეში, მარტო ვერ მივბედე ივდითისთან მისვლა და მამაჩემს ერთი ნაციხარი და ნაუბედურალი მეგობარი ჰყავს, ის წავიყვანე და წავედი, ივდითის სახლს რომ მივუახლოვდით, მამაჩემის მეგობარმა მანიაკის ხელოვნური

კბილები ჩაისვა და რომ გამიღიმა კინაღამ უკან დავბრუნდი, შემეშინდა – არ შემჭამოს-მეთქი. ივდითმა მიცნო, კარგად მიგვიღო და მომეფერე კიდეც. შემდეგ ჩვენი სტუმრობის მიზეზი თავაზიანად იკითხა: მამაჩემის მეგობარმა კიკომ (ასე ეძახიან ზედმეტ სახელად და სინამდვილეში რა ჰქვია, მე კი არა, არავინ არ იცის) უთხრა:

– ქალბატონო ივდითი, ჩვენ აკაკი ჩხეიძის საქმესთან დაკავშირებით შეგაწუხებთ და თუ კეთილგონიერებას გამოიჩენთ, ნამდვილად კმაყოფილი დაგრჩებით.

– მე როგორ შემიძლია, ბატონო, დახმარება მიბრძანეთ და გველის ტყავში გავძვრები, თავს არ დავიზოგავ, სინდისს გეფიცებით გული მიკვდება ამ ბავშვს რომ მივჩერებივარ უმამოდ!

– ქალბატონო ივდით, მხოლოდ თქვენ იცოდით მაკრინე სგანძის არსებობა, მეტმა არავინ!

– მერე რა, რომ ვიცოდი, მაკრინე ჩემი დაქალია და მე ხომ არ მივუგზავნიდი ყაჩაღებს?

– დიახ, დიახ! უმჯობესია აღიაროთ, უდანაშაულო კაცი იტანჯება ციხეში! – უთხრა კიკომ და გაუღიმა. მე ჟრუანტელმ ადამიარა სხეულში და ივდითი, ალბათ, ჩემზე უარეს დღეში აღმოჩნდებოდა, მაგრამ არ დაიბნა და აქეთ შეგვედავა:

– თქვენ რა, მაშინებთ? გგონიათ, რომ ციხეში აღარავინ ეტევა? ახლავე გავაცხადებ, ჩაგალპობთ ციხეში, იცოდე!

კაკიმ კიდე ვგაიღიმა, შემდეგ ჯიბიდან ფიჭური ტელეფონი ამოიღო და ივდითს გაუწოდა.

– აი ტელეფონი, ქალბატონო, შეატყობინე პოლიციას, რომ ყაჩაღები და მკვლელები დაგესხნენ თავს, მე კი მათ მოსვლამდე შენი სისხლით დავთვრები. ო, ო, როგორი სიამოვნება იქნება ამ ძუძუუებიდან სისხლის გამოსრუტვა. – უთხრა კიკიომ და ივდითის სავსე მკერდზე ხელი მოუცა-

ცუნა. ივდითიმ გადაწყვიტა სცენა გაეთამაშებია და გულის წუხილი მოიგონა, კიკომ ციხეში ნასწავლი ილეთი გამოიყენა, თვალის ქუთუთო აუწია და მყისვე მიხვდა ქალის მზაკვრობას:

– ო, ო, რა კარგია თავის სიკვდილს ვერ უყურებს საბრალო. – თქვა კიკომ და ჯაყვა-დანა ხმაურით გახსნა:

– არა, არა, არ მომკლათ, ყველაფერს გეტყვით! წამოიკნავლა ივდითიმა და ხოხვით ოთახის კუთხეს მიაწყდა:

– ჰო, მე გავაგზავნე შალვა გეწაძე მაკრინესთანა გასაძარცვავად! შევცდი, მაპატიეთ, ნუ მომკლავთ.

– ეს შალვა გეწაძე ვინღაა?

– საყვარელია ჩემი!

– ქალი ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ხარ, ალბათ, რაღა დროს შენი საყვარელია, შენი დედა...

– რა ვქნა, მომწყინდა მარტოობა, კაცი კი არ მინდა, ხმის გამცემი მენატრება სახლში.

– არ მაინტერესებს შენი ტემპერამენტი, საქმესთან ახლოს ილაპარაკე.

– ხომ გითხარი, გავაგზავნე, წავიდა, გაძარცვა. მოვიდა და მოიტანა.

– ჯერ კიდევ არ გაგისაქმებიათ?– არა, ჩემთან ინახება!

– მკითხავი შენ დააპროგრამე, რომ პასუხისმგებლობა აგეცილებინა?

– არა, მკითხავი თვითონ მიხვდა ყველაფერს!

– იცი, რას გეტყვი? მკითხავით შეიძლება შალიკო დაარწმუნო, ის არაკაცი, მე არა მწამს მათი, ქრისტემ არ იცის, რაც უნდა გააკეთოს მისმა მამამ, მამა ღმერთმა და მკითხავმა იცის? ჰა, ნუღარ აჭიანურებ, მოყევი, მაინც ვერ გამიგია, ძირითადი უკვე თქვი და ახლა მკითხავს უფრთხილდები?

– არა, საკუთარ თავს ვუფრთხილდები, მკითხავთან მე წავედი. ვიცოდი ნაშუაღამევს წყაროს ავზში აკაკი რომ

ცურაობდა-ხოლმე და მკითხავი ჩემებურად დავაპროგრამე, შემდეგ მასთან მაკრინე წავიყვანე, მკითხავმა ორმოცდაათი ლარი გადაახდევინა და ჩემებურად დააპროგრამა, დანარჩენი თქვენც იცით ყოველივე როგორც მოხდა.

– დაჯექი და ორ ეგზემპლარად დაწერე, რაც ილაპარაკე! – მანიაკის კბილებშიგამოსცრა კაკომ.

ივდითი უხმოდ შეუდგა წერას, ზუსტად ისე დაწერა, როგორც ილაპარაკა და ხელიც მოაწერა. კიკომ ერთი ეგზემპლარი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, მეორე ეგზემპლარი წინ დაუდო ივდითის და უთხრა:

– შენი დამპალი სისხლით სწორედ ვერ დავთვრები, მართალია, მანიკი ვარ, მაგრამ შენ ჩემზედ უარესი ყოფილხარ და მეშინია შენმა აყროლებულმა სისხლმა არ მომწამლოს, ამიტომ შენს სისხლს თასით გველებს დავუდგამ გამოქვაბულში, თუ ხვალ შენივე ხელით ამ შენს ნაწერს პოლიციის უფროსთან არ მიიტან და სარეგისტრაციო წიგნში არ გაატარებ. მსოფლიო ამაყობს ქართველი ქალით და აი, თურმე თქვენ როგორები ყოფილხართ, შენ და შენისთანები უტეხავს სახელს მთელ საქართველოს, არ იკმარე მკვდარ ქმარს ღალატობ და ამ ხნის ძროხა (ქალს ვერ გიწოდებ) ბოზობ. საყვარელს საყაჩაღოდ აგზავნი, აძარცვინებ შენსავე მეგობარს, რომელიც შიშით ჭკუაზე იშლება და უდანაშაულო ადამიანს ციხეში ათავსებს. ამ შენს დამსახურებაზე თვითონ აგე პასუხი, შეიძლება პოლიციაში მოგიწონონ კიდეც, მაგრამ მე თუ მოგთხოვე პასუხი, იცოდე ჩემი სასჯელი მკაცრი იქნება, სწორედ ისეთი, როგორსაც შეგპირდი. მაკრინეს განძი, რომელიც შენთან იმყოფება, მუზეუმს ჩააბარე და ჩაბარების მოწმობა აიღე. ეს შენს დამპალ საყვარელს სასჯელს შეუმსუბუქებს. კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი, ხვალ საღამოს შევამოწმებ შენს ნამოქმედარს.

ივდითიმ ადამიანური პასუხისმგებლობით თუ შიშით ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც კიკომ დაარიგა, მაგრამ შედეგი უცვლელი დარჩა. მას შემდეგ მეორე წელიწადი დაიწყო, მამაჩემი ისევ ციხეშია, ივდითი და მისი საყვარელი კი თავისუფლებაზე დასეირნობენ.

აი ამ უსამართლობამ გადამაწყვეტინა იურისტი გამოვსულიყავი. ხოლო კარატეს შემსწავლელ სკოლაში იმიტომ შევედი, შური ვიძიო მამაჩემის ტანჯვისთვის, არ მეჩქარება, დადგება დრო, პასუხს მოვთხოვ: ივდითის, მის საყვარელ შალიკოს, მკითხავს და ბოლოს მაკრინეს.

– მდა! მართლაც მძიმე სურათია, ლაშა. ახლა რას აპირებ?

– თუ ღმერთმა ინება და ჩავირიცხეთ იურიდიულზე, ამ საქმის ვითარებას გავაცნობ ლექტორ-მასწავლებლებს, მათი დახმარებით რადიო-ტელევიზიის კორესპონდენტებს ავამხედრებ და იქნებ ვუშველოთ რაიმე უდანაშაულო ადამიანს!

– საინტერესოა, რატომ გააჭიანურა პოლიციამ ესოდენ ყბად აღებული და ნაღიარები საქმე?

– თავი არ უნდა გაიმტყუნოს პროკურატურამ და შემდეგ სასამართლომ.

– ბოლოს და ბოლოს ხომ იჩენს სიმართლე თავს?

– ისინი ხომ ერთი დღით ცხოვრობენ, ხვალ რა იქნება არაფერს დაგიდევენ. მე როგორც ვხედავ, სულ არ არის აუცილებელი ციხეში მოსახვედრად დანაშაული ჩაიდინო, უდანაშაულოს უფრო კარგად მოარგებენ ხოლმე კანონს, მაგრამ უდანაშაულო ადამიანის ციხიდან განთავისუფლება შეუძლებელია უდანაშაულოდ, ამიტომ ჭიანურდება მამაჩემის საქმეც, რადგან კანონი არ ითვალისწინებს წყალში ცურაობისთვის სასჯელს.

კარგი გადაწყვეტილება მივიღეთ, მეგი, რომ იურიდიულზე ვაგრძელებთ სწავლას. მწამს შენი დახმარებით კანონს

ღირსეულად დავიცავთ და მადლს მოვფენთ უკანონოდ დასჯილებს. შენ კი თვითონ კარგად იცი, რომ მადლი ზნეობრივი წყალობაა. კეთილი ძალა, რომელსაც ღმერთი უგზავნის ადამიანს, რათა მისი ცოდვილი ბუნება განწმინდოს და ხსნის გზა უჩვენოს ცოდვილს. როდესაც ღვთიური მადლით არის ადამიანის უფლისაგან მომადლებული, კვალმაძიებელი იქნება თუ რიგითი მართლმსაჯულების მუშაკი, როგორც პიროვნება, ის აუცილებლად იქნება დიდი იდეებისა და თავისი ერის ტკივილების მატარებელი.

მე მამაჩემის დაპატიმრებით ჩემში აღმოვაჩინე გამომძიებლის ალღო და ნიჭი, შენში კი სიყვარულით, მწამს ჩვენ ორივენი, ხელიხელ ჩაკიდებულნი შეუძლებელს შევძლებთ. სტალინი ვეებერთელა იმპერიის ტახტის მფლობელი, მისმა დიდმა ბუნებრივმა ნიჭმა, ფენომენურმა ალღომ და არაჩვეულებრივმა შრომისუნარიანობამ გახადა, როგორც მის გვერდით მყოფი გენერლები აღიარებენ: სტალინი მამაციც იყო და მშიშარაც, გულუხვიც და ძუნწიც, განათლებული, უხეში, სულსწრაფი და სამართლიანიც, მას ამ ურიცხვ დადებით და უარყოფით თვისებათა გამო ერთნაირად აღიარებდა მტერიცა და მოყვარეც. ეს გახლდათ მისი ფენომენური შრომისუნარიანობა, რომელიც გამორიცხავდა დროის ფუჭად ფლანგვას, დასვენებასა და ძილსაც კი, მას დღე-ღამეში 3-4 საათის ძილი ყოფნიდა. განა სტალინი ადამიანი არ იყო? ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია სტალინური შრომისუნარიანობით გავხდეთ სტალინელები?

– არ გეთანხმები ლაშა! – საწინააღმდეგო შეეკამათა, მეგი. – ფენომენური შრომითა და ვარჯიშით შეიძლება გახდე სპარტანელი, შეძლო შეუძლებელი, მაგრამ გახდე სტალინელი – ეს შეუძლებელია, რადგან ის მაშინ დაიბადა, როდესაც ქართველი ოსტატი აკვანს აჩუქურთმებდა, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველი ჩაგრული ადამიანის გულში

ირწეოდა, ასეთ აკვანში გამოზრდილ ადამიანს შრომა კი არ ამაღლებს, არამედ ღვთაებისგან მომადლებული ზებუნებრივი ნიჭი.

– რას ატყობ, რომ ჩვენ არა გვაქვს ღვთისგან მომადლებული ნიჭი? იქნებ ჩვენი აკვანიც იმ მირონცხებულმა ოსტატმა გათალა, რომელიც წრფელი გულით, პატიოსნებით არის ყოველთა შემოქმედი, შემოქმედი ახალი ქვეყნისა, პატიოსნებისა და სამართლიანობისა. ეს ძალა ხომ არა მარტო პიროვნების სიძლიერეა, არამედ სახელმწიფოს ურყევი საძირკველიცაა?

– შორს გაუტიე, ლაშა, ოცნებასა და აღსრულებას შორის ხშირად უფსკრულია, მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია შენებრი ფიქრი, შენი ოცნება კი დღეს ტყვეობას არ ცილდება, რადგან შენი სულის ტყვეობა მამის უსამართლო ტყვეობიდან დაიწყო...

ლაშამ ამოიხვნეშა, იქნებ დიდი და მწარე სიმართლე დაინახა მეგის ნათქვამში, რადგან ქალთან ლაპარაკი ხშირად მეტ ცოდნას და სიმართლეს გვაძლევს, ვიდრე მეცნიერებთან საუბარი, ჩაუფიქრდა მეგის ნათქვამს, რამოდენიმე წუთი გარინდული უცქერდა საყვარელ ადამიანს, შემდეგ კი წყნარად წარმოთქვა:

– სხვა დროს ნუ გამახსენებ, რომ ვარ დაჭრილი და ჭრილობას ნუ გამიღრმავებ. ცხოვრებისთვის თექვსმეტი წელი არაფერია, მაგრამ ჩემს განვლილ ცხოვრებას თვალს რომ გადავავლებ, მეტირება.

– თექვსმეტი წელი არ არის ცოტა. ეს ცხოვრების მთელ სიყმაწვილეს შეადგენს. სიყმაწვილე კი ძვირფასი სამკაულია, რომელიც ადამიანის კუთვნილებას შეადგენს. ხშირ შემთხვევაში მისი ფასი არ ვიცით და ვგებულობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც უყაირათოდ იკარგება სხვათა ზემოქმედების ძალით.

* * *

მეგის ოჯახში თითქოს შეურიგდნენ, აღარ ახსენებდნენ „გატყავულსა და წყალწაღებულ“ შეყვარებულს, ბებია თამარი სულ მთლად დაითაფლა. ასე რომ, მეგის ცხოვრება თანდისთან ჩადგა კალაპოტში, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა ორივემ და უმაღლესი სასწავლებლის მერხზედაც ლაშასთან ერთად დაჯდა. კარატეს შესწავლაც წარმატებით მიმდინარეობდა, ხშირად იწვევდნენ გოგონები ვაჟებს შეჯიბრში და ტოლს არ უდებდნენ სუსტი სქესის მქონენი ვაჟკაცებს, ვარჯიშის დაწყებიდან ჯერ ექვსი თვეც არ იყო გასული და მეგი ისე დახელოვნებულიყო კარატეს უცხო ილეთებით, რომ ლაშა ხშირად დაცემულა გათიშული.

თავისუფალ დროს როგორც კი გამონახავდა, თეონასთან გარბოდა, მოსწონდა მისი ბრძნული და ტკბილი საუბარი, თეონაც ისე შეეჩვია, ხშირად გზას გასცქეროდა მის მოლოდინში.

ტკბილი სტუდენტური ცხოვრება ჰქონდათ, რომ გეკითხათ, გეტყოდნენ, რომ ორივე ბედნიერი იყო: – „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა“...

ისეთი ადამიანი არ მეგულება ქვეყნად, რომ რაღაც არ აწუხებდეს, ყველაფრამდე ბედნიერი ადამიანი არ არსებობს და მიუხედავად ცხოვრების კმაყოფილებისა, ლაშასაც და მეგისაც ერთი და იგივე სატკივარი აწუხებდათ, უდანაშაულო კაცის, აკაკის პატიმრობაში ყოფნა. ამიტომ წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვიტეს ფაკულტეტის დეკანთან მისულიყვნენ თხოვნით დახმარებისათვის. დეკანმა არჩილ ამაღლობელმა გულისყურით მოუსმინა ახალგაზრდებს და დახმარება აღუთქვა, მართლაც მეორე დღესვე დაწერა დეკანმა საჩივარი უმაღლეს ინსტანციებში, დანაშაული გააშუქა ტელევიზიაში, აამხედრა ჟურნალისტები და საინტერესო სტატიები გაჩნდა ჟურნალ-გაზეთებში:

დაიწყო ახალი ძიება აკაკი ჩხეიძის მიმართ, მაგრამ როგორ უნდა გაემართლებინათ ადამიანი, რომელიც რვა წელიწადმისჯილი ოთხს უკვე ამთავრებდა? როგორ უნდა გაემტყუნებია თავი პოლიციას, პროკურატურას და სახალხო სასამართლოს? სასამართლოში ბევრი ფიქრისა და დავიდარაბის შემდეგ დადგინდა: – მაკრინეს გაუპატიურების მცდელობისათვის, მიესაჯოს აკაკი ჩხეიძეს თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით, კალენდარულად ჩაეთვალოს ნაჯდომი წლები და განთავისუფლდეს სასჯელისაგან“.

ლაშამ და მეგიმ პირველი კურსი დახურეს და უკვე მეორე კურსის სტუდენტები იყვნენ, როდესაც აკაკი განთავისუფლდა. გაიხარეს სტუდენტებმა, გაიხარა თეონამ და გაიხარა ოჯახმა. კაცი ოთხი წელიწადი ოჯახში არ ყოფილა, დაბრუნების პატარა პურ-მარილი მოიწყვეს და ვინც ოდნავი წვლილიც კი შეიტანა აკაკის განთავისუფლებაში ყველა მოიწვიეს. სწორედ აქ თავის ოჯახში გაიცნო აკაკიმ, ლაშას ლექტორ-მასწავლებლები, ამხანაგები და სილან ჩაო შინიც კი. კმაყოფილი დარჩა შვილის წარმატებებით აკაკი და ყველას მადლობა გადაუხადა ლაშასთან კარგი დაომკიდებულებისათვის.

აკაკის განთავისუფლებიდან დიდი დრო არ გასულა. მეგის ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. „არ მინდა ბებიაშენს თვალში გამოვეჩხიროვო“ – უთხრა ლაშამ მეგის და საცოლეს დაბადების დღეზე არ მისულა.

ბებიამ თითქოს პირველად დაინახა მორთულ-მოკაზმული შვილიშვილი. გაზრდილი ეჩვენა. „ამის გაუთხოვრობა აღარ შეიძლება, თორემ მომტაცებენო“ – გაიფიქრა და დაიწყო მზაკვრული გეგმების შედგენა:

მეგის დაბადების დღე შაბათი იყო, კვირა თავისთავად გამოსასვლელი დღე იყო და ალბათ ამიტომ გაათენეს სიმღერა-ცეკვა-თამაშში, ახალგაზრდობამ, რომელთაც არც

ჭარმაგი ხალხი უდებდა ტოლს. მეგი იშვიათად გამოჩნდებოდა-ხოლმე მაგიდასთან, ცეკვა-სიმღერაში კი საერთოდ არ ერთვებოდა, რადგან გულის სწორი აქ არ ეგულებოდა. ხასიათიც მოშხამული ჰქონდა და სრულებითაც არ ექეიფებოდა.

– რატომ არ იყო, გოგო, შენს დაბადების დღეზე ის შენი გულის სწორი გუშინ? – ჰკითხა ბებიამ მეორე დღეს მეგის.

– ცოტა ვიჩხუბეთ და გაბუტულები ვართ, ბებო! – იცრუა მეგიმ.

– „შეყვარებულების ჩხუბი გიჟს მართალი ეგონაო“, ნუ გეშინია შერიგდებით, მაგრამ მე ხომ გიჟი არა ვარ, რომ ვიწამო თქვენი ჩხუბი, სხვა რამის მომასწავებელი არ იყოს იმ ბიჭის გაუჩინარება, გზიდან არ გაჰყვე, თორემ ბატივით გაგპუტავ იცოდე!

– კარგი რა ბებო, იკმარე ეჭვიანობა, ბავშვი ხომ აღარა ვარ, ჩემი ასაკის გოგოები ველარ თხოვდებიან და შენ ისევ ბავშვად მთვლი?

– ეჰ შვილო, მე ვიცი რაც არის გასათხოვარი ქალი, – „მეც ვიყავი შენი ხნის, შენც იქნები ჩემი ხნის“ – ტკბილი ენის ქალი ადვილი დასამორჩილებელია, დასავიწყარი კი ძნელი, სიყვარულის დავიწყების ერთადერთი გზა გააჩნია – განშორება – ან გათხოვება, ბუტიაობა კი ყოველ დღე შეიძლება. დილას გაიბუტებით საღამოს შერიგდებით, ეგ არაფერია.

– ნაღდ სიყვარულს არ ებუტებიან, ბებო!

– ეჰ, შვილო, სადღა არის ნაღდი სიყვარული, ჩვენ დროს რომ იყო, ისეთი!

– მაინც როგორი სიყვარული იყო თქვენს დროს, რომ თანამედროვე სიყვარული აღარ მოგწონს, ბებო?

– ეჰ, გამოვცადე მე, მეგი, სანამ ბაბუაშენს გავიცნობდი, პირველი სიყვარულის ტყემალი ნაჭამი მქონდა უკვე, მაგ-

რად ვუყვარდი მე იმას. მეც მიყვარდა, მაგრამ ეშმაკი დასდევს სიყვარულს, მეც მაცდუნა იმ ეშმაკმა და ბაბუაშენს გავყევი.

– მერე იქ არის თქვენებური, ძველი კარგი და ძლიერი სიყვარული?

– ეს ჩემი ბრალი იყო, ვაჟს რას აბრალი. ჩვენი ხალხი (მხედველობაში მყავს დასავლეთ საქართველო, ძირითადად ლაზები (მეგრელები) გამოირჩევა საქართველოს ყველა კუთხის ხალხისაგან, სიყვარულითაცა და ვაჟკაცობითაც, მახსენდება ერთი მომენტი, ზღვაზე ვიყავით, საცურაოდ (ზღვა კი შენც კარგად იცი, ჩვენი სახლის კუთხეშია) ჰოდა ტალღებმა არ გამიტაცა? ვიხრჩობი ადამიანი, მშველელი კი არავინ არის, ის ჩემი შეყვარებული იქვე იყო, რომ დაინახა არავინ გადმოვიდა ჩემს გადასარჩენად, ზვიგენივით შემოცურა ზღვის ტალღებში, ჩამავლო ხელი და გამომიყვანა ნაპირზე. არა, არა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო ის ჩემი ცოდვით სავსე და ალბათ ამიტომაც არ მოხდა ჩვენი საქმე.

– ეს იყო სულ? ვერაფერ თავგანწირვას ვხედავ თქვენს სიყვარულში, ბებო, წყალწაღებულს ნებისმიერი ადამიანი გადაარჩენს, არც სიყვარულში ჩაუწერენ და არც ვაჟკაცობაში.

– შენი შეყვარებული კი გაწირავს თავს, რომ იხრჩობოდე?

– არა, ის გაიქცევა თქვენი შეყვარებულის მოსაყვანად, – „მიშველე, ბებია, რომ გადამირჩინე, ახლა მისი შვილიშვილიც გადაარჩინეო“. ისე, ბებო, რომ არ გადაერჩინე იმ ავად მოსახსენიებელ შეყვარებულს, ხომ კარგი იყო? ახლა აღარც შენ იქნებოდი და აღარც მე, ვალმოხდილები ვიქნებით უკვე. ახლა კი ხომ ხედავ, რამხელა საზრუნავი გვაქვს. უნდა იცხოვრო ამ ქვეყანაზე და არ იცი რამდენ ხანს. რა ბედენაა სიცოცხლე, მაგრამ უბრალოდ კაცს მოსწყინდება სიკვდილის მოლოდინი.

– შენ სწორს ამბობ, არ ვიცოდი შენ თუ გამიჩნდებოდი; თორემ ნამდვილად არ გამოვყვებოდი ზღივდან იმ ჩემს შეყვარებულს!

– რათა, ბებო, არა და კარგი გოგო ხარო?!

– კარგი კი ხარ შესახედავად, მაგრამ მთლად უტვინო ხარ შენ უბედურო, შეყვარებულიც კი ვერ შეგირჩევია ხეირიანი.

– უცნაური ხარ, ბებო, ხან მაქებ, ხან მაძაგებ, შენი ვერა გამიგია რა!

– ჯობს უცნაური ვიყო, ვიდრე გამოთაყვანებული!

– ბებო, შენ ზედმეტი ხომ არ მოგდის ჩემი შეურაცხყოფა? მე ასეთი რამ არც შენს წინაშე დამიმსახურებია და არც ოჯახის წინაშე...

– არაფერიც არ მომდის ზედმეტი, ჩემს საწინააღმდეგოდ ნაბიჯის გადადგმა ეს უკვე ცუდის დამსახურებაა და მე სინდისის ქენჯნის გარეშე შემიძლია გიწოდო – „უმადური ორფეხა“.

– მადლობელი ვარ, ბებო, მაგრამ იცოდე, მე თუ ეს სახლი მივატოვე, შენ იქნები მიზეზი. მე „უმადური“ შენს მიმართ კი არა, არავის მიმართ არ ვყოფილვარ, მერე რა, რომ მიყვარს და ვერ შევარჩიე შენი მოსაწონი, განა ამიტომ ვარ „უმადური ორფეხა“? რომ შენ არ დაგემსგავსე ხალხის სიძულვილში, ამიტომ არ მოგწონვარ? რომ ცხოვრობ ამ ქვეყანაზე, ვიღაც ხომ უნდა გიყვარდეს, მითხარი, ვინ გიყვარს შენ? შვილი თუ მაინც გიყვარს შენი?

– ენა ჩაიწყვიტე, რომ მიყვარხარ, იმიტომ გაძაგებ! შენ ვერ ამჩნევ შენს შეცდომებს, გეკამათები, მინდა გამოსწორდე!

– ეჰ, ცხოვრება წინააღმდეგობითაა აღსავსე, ყველა ისე უბერავს როგორც ემარჯვება და როგორ ემარჯვება იცი? მუდამ ძლიერი ჩაგრავს სუსტს, გარეულობაში... შინაურო-

ბაში კი უფროსი – უმცროსს. არ დაგიდევენ იმ მართალია თუ არა. უფროსია, მორჩა და გათავდა ესე იგი ოჯახში ტვინი და ცოდნა კი არ იმარჯვებს – წლოვანება! – რას მოითხოვ ჩემგან მითხარი, ბებო, რატომ მიყვარს? რას ხედავ ცუდს სიყვარულში? სიყვარული ხომ ყველაზე დიდი, საპატიო და საინტერესო მოვლენაა ადამიანურ ცხოვრებათა შორის? თითოეული ადამიანი დაბადებულია რომელიღაც საქმისათვის, ყველას, ვინც დედამიწაზე დააბიჯებს, თავისი მოვალეობა აკისრია. მე სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი და ამას ცხოვრებაში დავამტკიცებ კიდეც! შენ მეუბნები – „შენი რჩეული ღარიბ ღატაკია. არა აქვს ცხოვრების პირობებიო“ – და შეიძულე, არა მარტო ის, მეც მასთან ერთად! ვერ გაგაგებინე, რომ პირობები არ ქმნის ადამიანს, ადამიანი ქმნის პირობებს! ცუდს – კარგს და საუკეთესოს! გვადროვეთ, ბატონო, შეიძლება შენზედ გაცილებით უკეთესი მატერიალური პირობები შევქმნათ, ცხოვრება შენთვის არის დაღმართი. ჩვენთვის ახლა დადგა გაზაფხული, შემოდგომამდის მაინც გვაცოცხლე, ქალბატონო და დაინახე ჩვენი ნამოღვაწარი, თუ არ მოგეწონება, შემდეგ მაგინე ზამთრამდის.

– რაღა მოგივიდა, ქალო, შენ ბოლოს და ბოლოს, რას შეჭამე ეს ახალგაზრდა. – კამათში ჩაერია გიორგი ბაბუა – რას მოითხოვ მაგისაგან, საქართველოს ყველაზე ძლიერსა და კარგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, არის ფრიადოსანი, არ თქვა ახლა, შენი ფულები გახარჯე მაგის მოწყობაზე. თავისი ცოდნითა და ჭკუით ჩაირიცხა ადამიანი და მთელი ოჯახი გვასახელა! მეტი რაღა გინდა? კიდევ რას მოითხოვ მაგისაგან?

– ჩაგიწყდა ენა, მე რომ ვეკამათები, შენ შენებურად უნდა დაარიგო ბავშვი, თუ არასწორი გზისკენ უნდა უბიძგო?

– ჯერ ერთი ბავშვი არ არის მეგი, მაგისი ასაკის ახალგაზრდობა მხედართმთავრები იყვნენ და ომი მოიგეს. მეორე

ის, რომ ცუდ გზაზე სიარული მაგისთვის ჩვენ არ შეგვიმჩნევია და შენ თუ რაიმე გაქვს გაგებული, აგერ ვართ ბატონო და ნუ დაგვიფიცავ!

– აბა, კარგია გაღლეტილთან მეგობრობა? მოუწონე შენ, ხვალ ადგება და გაყვება მას ცოლად,შენ რა გენაღვლება, მერე მე უნდა ვიმტვრიო თოფურიას ქალმა თავი.

– მე არ მენაღვლება? შენა ხარ ოჯახში ყველაფერი. მაინც ამბობენ ჩემს გასაგონად – „მთელი ოჯახი ქალმა წამოიცვაო თავზე“ – გამოგვიბი ქამარზე და გვატარე ბოლოს-დაბოლოს, რაღა მოხდა რაღა მოგივიდა. ჩვენც გვეკუთვნის ხმის ამოღება ამ ოჯახში!

– მე მინდა, რომ წესიერება იყოს ოჯახში, თორემ საქმე რომ გაფუჭდება, შემდეგ უსარგებლოა კვინტრიში, ჯერ ნაადრევია მაგის სიყვარულობანას თამაში, მასეთ ასაკში მასეთი თამაში კეთილად არ მთავრდება!

– ქალო, ადამიანი მექანიზმისგან შექმნილი პროდუქცია კი არ არის, შენს სასარგებლოდ გამოიყენო ის, პირიქით ადამიანი ტექნიკური და მეცნიერული მექანიზმის შემქმნელია, სწორედ ეს ახალგაზრდა სწავლობს და ქმნის ისეთ მექანიზმს, რას ედავები ვერ გამიგია, მაგისი სიყვარულია ნაადრევი და შენი იყო ნაგვიანები? როდის გათხოვდი, გადახედე შენს ცხოვრება, იქნებ გათხოვებამდისაც იყავი გათხოვილი. თორმეტი წლის ასაკში ფეხმძიმედ იყავი უკვე, თვრამეტი წლის შემდეგ ქალიშვილი ბებერია, სამოცი წლისას უნდა შეუყვარდეს მამაკაცი? შენ ამასაც იკადრებ ალაბათ და შენებურად უნდა მოიქცეს? – უკვე ჩემს გასაგონად ამბობენ: „დევდარიანების ოჯახი ქალებმა წამოიცვაო თავზე“ – და მართლაც არის. სადღაა დევდარიანების ოჯახი, ახლა თოფურიანთა კერაა, ხვალ მამამთავრიშვილთა დროებითი თავშესაფარი იქნება და ზეგ ვინ იცის, კიდევ ვინ იქნება შენს სახლში დაკნინებული.

– კარგი, მამა, რა მოგივიდა, რატომ იშლები ნერვებზე? დღეს ხომ არ გაგიცვნია პირველად დედა? – საუბარში ჩაერია ქეთევანი.

– რატომ არ დაიწვა ის დღე, როდესაც გავიცანი, სადღაა დევდარიანების ძლევამოსილი ოჯახი და მათი სიამაყე, ქალების ნიფხავი აცვია ყოფილ საგანს და ქალის საშოს აყროლებული სუნი უდის, გარდაიქმნა და წაიბილწა ყოველი.

– არ ითქმის დედაზე ამხელა საყვედური. მას თუ არ შეუქმნია და მოუყვანია ასეთი ძლიერი ოჯახი, როგორიცა გვაქვს, ხომ შეინარჩუნა, არაფერი გაუნიავებია და არაფერი გაუფუჭებია!

– არ მინდა, ბატონო, არ მინდა! ყოველ საგანზე მაგისი ძველმანია ჩამოფარებული წარწერით – „ჩემია“. ჩვენი აღარაფერი აღარ არის, თურმე ბავშვიც მაგისი ყოფილა, მარტო მაგისი. შენ კი ძროხასავით მოგიგია მხოლოდ, მაგას გაუზრდია, მაგას აღუზრდია, მაგას უსწავლებია და ახლა მხოლოდ მაგის ჭკუაზე უნდა იაროს, ჩვენ აღარაფერი აღარ ვყოფილვართ. საერთოდ, არც არავინ არაფერს გვეკითხება და ხელსაც არავინ გვიშლის. რითა გვყავს ცუდი სიძე დიმიტრი. ასჯერ გააქცია კაცი სახლიდან, მაგრამ გაუძნელდა სიყვარულის ღალატი და ოჯახის დანგრევა.

– გაუძნელდა! კაცი ერჯერ უნდა გაიქცეს, ასჯერ კი არა! მაგრამ სადღაა კაცები! – ისევ დაგესლა ჩვეული შხამით ოჯახის მამაკაცები თამარმა. დიმიტრის გაეღიმა, ის უკვე შეეჩვია სიდედრის სიდედრობას, იმის მისამართით სიტყვაც არ დაუძრავს, მხოლოდ სიმამრს გადაულაპარაკა წყნარად:
– შეეშვი, ნუ გამოყვები, მაგას ახლა სპარტაშიდაც ვერ მოარჯულებენ, იმ ქალაქში, რომელსაც ძველმა რომაელებმა „მოკვდავთა მომთვინიერებელი“ უწოდა. თამარს არ გამოპარვია, წყნარად სიძის ნათქვამი სიტყვა და არც პასუხის გარეშე დაუტოვებია დიმიტრი.

– ვიცი, ტკბილი, სიბრძნის მთქმელი და გემრიელი ენა გაქვს, დიტო, მგონია შემწვარი უკეთესი იქნება, მაგრამ შენი თამადობით ყველა სხვის კარზე შემოხიზნულ დებილს ახსოვდეს, რომ საუკეთესო ენა ისაა, რომელსაც საგულ-დაგულოდ აკავებ და არ აძლევ თავისუფალ ნებას, სიტყვა, რომელიც შენმა ენამ მოისაზრა სათქმელად, ილაპარაკე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათქმელი სიტყვა სიჩუმეს აჯობებს. თუ ლაპარაკის შნო და ლაზათი არა გაქვს, შე დალოცვილო, გაჩუმდი და მოისმინე სხვისი ნათქვამი, არც სხვისი ნათქვამი სიბრძნის მოსმენის უნარი გაგაჩნია? მაშინ შენ თვითონ დაუსვი კითხვა შენს თავს „ვინ ვარ მე?“ – ჰო, სწორედ ისა ხარ, რაც ახლა გაიფიქრე!

საღ ოჯახში ყოველთვის არის კამათი, მაგრამ კამათი არ უნდა გადაიზარდოს ჩხუბში და ურთიერთ შეურაცხყოფად. ოჯახში არ უნდა იყოს წლოვანებით ძალმომრეობა, თორემ ოჯახი გაიხლიჩება ორ ნაწილად: ძლიერი და სუსტი სქესის წარმომადგენლებად, მართალია სიძე-სიდედრი ნაძრახია და ოჯახში ვერ ჰქმნიან სასურველ ატმოსფეროს და სასიხარულო მოვლენას, რომელსაც არ გააჩნდეს თავისი ჩრდილოვანი მხარე, მაგრამ ოჯახური ყოველი მოვლენა თავისთავად საინტერესოა. კამათის დროს მხატვარსაც კი შეულძია ფუნჯით გამოსახოს სიდედრის მანერები და სიძის სიამაყე. მხატვრის ფუნჯის ჩანს სიდედრი, რომელმაც კვიცი გაჩუქათ, გაზარდეთ, გახედნეთ, გაასუქეთ და გართმევენ. ასეთი ქმედება არარაობის ოკეანეა. მაგრამ იქვე დგას სიძე, რომელიც თავს დამარცხებულად არ მიიჩნევს და სიდედრის გასაღიზიანებლად ამბობს: – „მე ყველა სულმდაბალ მოაზროვნეს სიდედრს ვეძახი და სიდედრს ვეძახი ყველას, ვინც სიძის სიმშვიდისათვის უარყოფს ყოველგვარ სიტკბოებას, სიყვარულს, საკუთარ თავის ბედნიერებასაც კი. ამ შემთხვევაში ტაშის ღირსია სიძე თუ ტაფის, სიდედრმა თვითონ

იცის. თუმცა ეს მომენტი მხატვარს ტილოზე არ გამოუსახავს.

ასე ხდება მრავალსულიან ოჯახში, სადაც ხშირ შემთხვევაში კრილოვის იგავ-არაკი: – „გედი, კიბო და ქარიყლაპია“ – გაგვახსენდება. მაგრამ სულ სხვა ატმოსფერო სუფევს ჩხეიძეების ოჯახში, გახარებული არიან აკაკის დაბრუნებით და თავაწეული დადის უდანაშაულო კაცი. სიხარულის ცრემლად იღვრება თეონა და თავზე დაფოფინებს ქმარ-შვილს, მეგის მოლოდინში ხშირად იხედება ფანჯარაში, მაგრამ ამ ბოლო დროს მეგიმ მოუკლო სტუმრობას ჩხეიძეების ოჯახში, აკაკის ერიდება, ასე ჰგონია, ისიც ბებია თამარივით დაუწყებს ჭკუის დარიგებას.

ლაშა და მეგი კი ყოველდღე ერთად არიან, უმაღლესი სასწავლებელი სწავლის ბოლო წელს მარცვლავს, სულ მალე პრაქტიკები, დიპლომის დაცვა და სამსახური... კარატეში კი ბოლო სტადიას მიაღწიეს. რას გულისხმობს: „სუნთქვის ინდურ მეთოდებს, ჩინურ მოქნილობას და წმინდა იაპონურ შემართებას“. კარატე არ შეიძლება ახალ ხელოვნებად ჩაითვალოს, ის მრავალი საუკუნის მიღმა აღმოცენდა ჩინეთში. კარატე ნიშნავს შიშველ ხელს და ამ ხელოვნების მიზანია – თავდაცვა – ფიზიკური და შინაგანი სულის შერწყმა, გაძლიერება და მებრძოლად ჩამოყალიბება, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მარტივ და ძლიერ თავდაცვის სისტემას. იგი ანვითარებს მოვარჯიშის გონებას და ტანის ფიზიკურ სილამაზეს, აღნაგობას! იძლევა მოწინააღმდეგესთან გამარჯვების მტკიცე რწმენას.

ლაშამ და მეგიმ მეოცედ იზეიმეს დაბადების დღე. მოახლოვდა დიპლომის დაცვა და მასთან დაკავშირებული ჯვრისწერა, მართლაც კარგი გახდა მეგი. ნებისმიერი ასაკის ადამიანი გულგრილად ვერ ჩაუვლიდა გვერდით, რომ თვალი არ გაეყოლებია, სავსე მთვარესავით მიმზიდველი

სახისა და მათხრახივით მოქნილი ტანისათვის. როდესაც ერთად დადიოდნენ ლაშა და მეგი, ბევრი შურის თვალით მიჩერებოდნენ, უფრო კეთილი შემხვედური კი ამბობდა: – „ფერი, ფერსა და მადლი ღმერთსაო“ – ესე იგი დედება უფალს, რომ შესაფერისები ერთმანეთისთვის შეუყვრიაო...

არც ბებია თამარს გამოპარვია მხედველობიდან, უკვე „ასაკს გადაცილებული“ შვილიშვილის სილამაზე და ცეცხლი შიშისა – არავინ მომტაცოსო – თანდათან უძლიერდებოდა, რაღაც უნდა მოეფიქრებია, რომ მიზნისთვის მიეღწია და ამდენ „ნატანჯ-ნაწვალებ“ ოჯახში ღირსეული შემოეყვანა ზესიძედ. ერთ საღამოს ოჯახურ თათბირზე ითქვა, რომ ძმასთან გაეშვათ გალში – „დიდი ხანია არ მინახავს, მენატრებიან და თან ცუდი სიზმრები მაქვსო“ – თხოვნა თვითონ წამოჭრა და თანხმობაც თვითონ დაუსვა თავის თავს, ვინ ჰყავდა დამშლელი და ბრძანა: მეორე დღეს საღამოს, ოჯახის ყველა წევრს გაეცილებია მატარებელზე: – „ასრულდეს, ქალბატონო, ბრძანება თქვენი“ – ქედმოხრით წარმოთქვა გიორგიმ და მოფერების ნიშნად ზურგზე გადაუსვა ხელი.

ღირსეულად გააცილეს ქალბატონი თამარი, ძღვნითა და საჩუქრებით დატვირთული. მატარებლის ცალკე „კუპეში“ მიუჩინეს ადგილი და სათითაოდ გამოემშვიდობნენ ოჯახის წევრები.

– აუჰ! – როგორც იქნა, არ ამოვისუნთქე?! – თქვა ოჯახში მობრუნებულმა გიორგიმ და ყველამ ღრმად ამოისუნთქა.

თამარი კი მატარებლიდან დაუკავშირდა ფიჭური ტელეფონით თავის ძმას: – „დამხვდი სადგურზე, მეხუთე ვაგონში ვიმყოფებიო“. დილით ადრე ჩასულ მატარებელს დახვდა ვაჟა თოფურია – თამარის უმცროსი ძმა, ვაჟა გულში ცხოვრობდა მამისეულ სახლში, ცოლი ადრე შეირთო, თამარის გათხოვებამდე და წვრილშვილიც წამოეწია, მაგრამ გაჭირ-

ვებით არ უჭირდათ, მითუმეტეს ახლა, როდესაც ორი ბიჭი დაქორწინებული ჰყავდა, ორი საცოლო და ერთი ქალიშვილი გასათხოვარი. ყველასათვის სათითაოდ მოიტანა საჩუქრები თამარმა, გაიხარა ძმამ დის შეხვედრით, რომელიც მთელ ოჯახს გადაედო. თამარი ძმის დიდი პატივისმცემელი იყო. დევდარიანების ოჯახში თუ რაიმეს შეიძენდნენ, თავის ძმას აბრალებდა – „ვაჟამ მიყიდა, ვაჟამ მოგვიტანა, ვაჟამ გვაჩუქა“ და სხვა. ყოველგვარი სიკეთე ვაჟას ბრალდებოდა, მაგრამ ოჯახში თუ რაიმე გაფუჭდებოდა, ყოველივე გიორგის ახლობლებს ბრალდებოდა და ხატზედაც მათ აკრავდნენ. თამარი არავის არ აქცევდა ყურადღებას, არც არავისი დარიგება ესმოდა. არც ტკბილი სიტყვა და არც ლანძღვა-გინება, ის ყოველთვის აუჩქარებლად და თავისებურად მოქმედებდა. როგორი ძლიერიც უნდა ყოფილიყო მასთან მოპაექრე, ბოლოს მაინც თავის ჭკუაზე გადმოყავდა და რჩებოდა გამარჯვებული. ამჟამად სრულებით არ მონატრებია ძმა, არც დიდი სურვილი ჰქონია იმისი ნახვის და არც ცუდი სიზმარი უნახავს, როგორც დევდარიანთა შთამომავლობა დააჯერა, მას სხვა განზრახვა ჰქონდა, არ აყენებდა მეგის სილამაზე და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. მხოლოდ თვითონ შეერჩია შვილიშვილისთვის საქმრო და საქმეში თავისი საყვარელი ძმა ჩაერთო...

– ვაჟა, შენ უნდა მიშველო, თუ მიშველი! – უთხრა ერთკვირიანი სუტმრობის შემდეგ თამარმა ძმას.

– რა მოხდა, გოგო, რა გჭირს საშველი?

– რა და შენც კარგად იცი, ჩემი მეგი ვარსკვლავებს ეთამაშება. ახლა კიდევ იურიდიულს ამთავრებს, ხუმრობა ხომ არაა, სილამაზე ერთია და განათლება მეორე. ახლა ოჯახიშვილობას აღარ იკითხავ. სიმდიდრით ჩაქცეული ოჯახი გვაქვს, კარგად იცი შენ ეს! ჰო და სიძე არ მინდა სახლში შემომივიდეს უჯიშო და უნიათო, არც ფხიკიანი იმერელი

მინდა და არც ვირი კახელი. ისევ ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის მინდა, სიძე რომ მყავდეს. თუ ძმა ხარ, უნდა მომიძებნო ვინმე კარგი ოჯახის შვილი. ნასწავლი და განათლებული. მხოლოდ იცოდე, ეს საუბარი ჩვენს შორის უნდა დარჩეს, თორემ თუ ვინმემ გაიგო ჩემიანმა ჯვარზე გამაკრავენ აუცილებლად.

– არავინ გაიგოსო, რომ მეუბნები, როგორ დავმალო შუბი ხალთაში, ვაჟი ქალის სანახავად მოვიყვანო და უჩინმაჩინის ქუდი დავხურო?

– არც უჩინმაჩინის ქუდი დახურო და არც ყაბალახი, როდესაც შეარჩევ კარგი ოჯახის შვილს, ბიჭი მშობლებთან ერთად წამოიყვანე და გვესტუმრეთ, მე ვაჟს შევათვალიერებ, ისინი კიდე ვოჯახსა და გოგოს. დანარჩენზე შემდეგ მოგელაპარაკებით, თუ როგორ მოვიქცეთ, მხოლოდ მტკიცედ იცოდეთ, არავითარ შემთხვევაში მეგიმ არ გაიგოს ჩვენი განზრახვა, თორემ ჩაგვივარდება კოვზი ნაცარში.

– კარგი ბატონო, ვეცდები სრულიად საიდუმლოდ ჩაგაგდებიო ხელში ისეთი სიძე, შენ რომ მოგეწონება და ვერც მეგიმ ვერ დამიწუნოს.

– აბა ჰე, შენ იცი, მე ხვალ წავალ და შენ ყოველ დღე გელოდები სტუმრებთან ერთად.

ასე დაშორდნენ და-ძმანი ერთი-მეორეს და შეუდგა ვაჟა სასიძოს ძებნას. თამარი კი მოლოდინში დაილია. დღეები გადიოდა სასიძო კი ჯერჯერობით არ ჩანდა.

ლაშამ და მეგიმ, წარმატებით დაამთავრეს კარატეს უმაღლესი სკოლა და ორივეს საზეიმო ვითარებაში გადასცეს შავი ქამრები და საბრძოლო დანები. უნივერსიტეტში სწავლაც დასასრულს მიუხალოვდა. სადიპლომოზე მუშაობდნენ ყმაწვილები, რომლებიც რამოდენიმე დღის შემდეგ უნდა დაეცვათ კიდეც, რომ მოულოდნელად თამარს ძმა ესტუმრა დასავლეთიდან, რომელსაც ერთი რაინდული

შეხედულების ყმაწვილი კაცი ახლდა, გაიხარა თამარმა სუტმრების წვევით, შემდეგ მუშტრის თვალით შეათვალიერა ძმასთან მოსული ვაჟკაცი, მოეწონა და კიდევ მეორედ გაიხარა...

გააჩაღეს ძმის საკადრისი პურ-მარილი, ბებიას მაგიდის გაწყობაში მეგი ეხმარებოდა, რომელსაც ფარულად ათვალიერებდა ახლად მოსული ვაჟკაცი ბექა დანელია.მ ეგის იურიდიულ თვალს არ გამოპარვია მხედველობიდან ვაჟის განსაკუთრებული ყურადღება, ცოტა რაღაცას მიხვდა კიდეც და სასიძოს გამასხარავება გადაწყვიტა; როდესაც მაგიდაზე საცივით სავსე თეფში მაშინ გაუცურდა ხელიდან, როდესაც ბექა მეგის სავსე მკერდს მუშტრის თვალით მიშტერებოდა. ბექამ ხელი შეაშველა, რომ თეფში ჰაერში დაეჭირა, მაგრამ თეფშის დაჭერა ვერ მოახერხა და ინდაურის ბარკალს კი თავისუფლად დაეუფლა, სასაცილო სწორედ არაფერი მომხდარა, მაგრამ ყველას გაეღიმა. მეგიმ კი წყნარად, მაგრამ ყველას გასაგონად უჩურჩულა ბექას, – „ხელი არ გაუშვა ბარკალს, ღომს მოგართმევ ახლავე“ – ბექას არაფერი უპასუხნია, მხოლოდ რამდენიმეჯერ იცვალა სახის ფერი, შემდეგადგა და ტუალეტში გავიდა გასარეცხად.

მიუხედავად პატარა ტრავმისა, მაინც კარგად წარიმართა პურის ჭამა, ღვინომ მალე გაახალისა სტუმარ-მასპინძელი და სიმღერაც კი შემოძახეს. მეორე დღეს თამარმა ზოოპარკში წაიყვანა გასასეირნებლად სტუმრები. სინამდვილეში კი სრულებით არ აინტერესებდა ღომისა თუ აქლემის ნახვა. სტუმართან საუბრის სურვილი კლავდა და მიაღწია მიზანს. განმარტოვდნენ, შადრევანთან ჩამოჯდნენ და თამარმა პირველი შეკითხვა ძმას დაუსვა:

– მოხარული ვარ, ვაჟა, რომ კეითლშობილ ახალგაზრდასთან ერთად მეწვიე, მაგრამ კარგად გამაცანი, ვისი შვილია. შეიძლება ვიცნობდე კიდეც მაგის მამას.

– როგორ არ გეცოდინება, გოგი დანელიას ვინ არ იცნობს გალში?

– რომელი გოგი, ბიჭო, ის ხომ არა ექიმი რომ არის?

– დიახ, დიახ, კი გცოდნია, შე ქალო და მე რაღას მალაპარაკებ. შენ თუ არ იცი გაგეგონება მაინც, თუ როგორი ოჯახი აქვს გოგის. ახლა თვითონ წარმოიდგინე იმის ოჯახში აღზრდილი შვილი როგორი იქნება!

– აღარაფერი მაქვს სათქმელი, ნამდვილად სიმპატია დაიმსახურა ჩემში, მაგრამ ახლა მაგას როგორ მოეწონა?...

– რა, ქალბატონო, საცივი? – წინადადების დამთავრება არ აცალა თამარს, უადგილოდ წაოისროლა ფრაზა ბექამ.

– ჰო, საცივი! მეგონა კინოს ვყურობდი – „კავკასიის ტყვე ქალს“ – ყურზე ბარკალჩამოკიდებული რომ დაგინახე. აბა როგორ შეგვეკავებინა სიცილი?

– ეს სპეციალურად გააკეთა მეგომ და ამოვალ იმის ოთხში მე! უპასუხა ბექამ.

– როგორც ჰგავს მოწონება დაიმსახურა შენში!

– ვის არ მოეწონება, უნაკლო გოგოა.

– მე, შვილო, შენ არ გიცნობ, მართალია კარგი ოჯახისშვილი ბრძანდებით, მაგრამ ბევრი მინახავს კარგი ოჯახიდან გამოსული ცუდი შვილი. შენ ჩვენი ოჯახი უკვე ნახე, თუ არა გაქვს თავის იმედი, მოყვრობა გაუწიო ჩვენს დიდ ოჯახს, საყვედურში ნუ ჩააგდებ ჩემს ძმას და დანასისხლად არ გადამკიდო მასზედ.

– გოგოსაც შევეკითხოთ, შეიძლება მას სრულებითაც არ მოვეწონე და იმიტომ გადამაქცია საცივი!

– იმის მოწონებაზე არ დავდივარ მე, ვაჟკაცი ლაზები ნაყიდ ცხენსა დაგარიგებულ ქალს სახლში არ უშვებდნენ, ცხენი და ქალი უნდა მოიპარო, თუ გინდა, რომ გიერთგულოს ორივემ. მოიტაცე, შვილო, მე ხელს შეგიწყობ და კუდსაც ვერ გააქციცინებს ვერავინ.

– თუ თქვენი თანხმობა იქნება, მაგ საქმე არ არის ძნელი. ისეთი საძმო მყავს, ხელსაც არ გავანძრევ. დაბორკილს ჩამოიყვანებენ გალში!

– ჰო და შენც დააბორკილე, არ მოკვდება გალამდის, მხოლოდ დიპლომის დაცვა ადროვე. დღეს ოთხი რიცხვია, ოცდაორში დაიცავს დიპლომს. ოცდაექვსში რესტორანს ხურავენ, მთელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ჰყავს მოწვეული, აი იქიდან რომ წამოვლიან, ჩაკეტე ავტომობილში და წადი. რომ ჩემზე ეჭვი არავინ აიღოს, ავტეხავ განგაშს, მაგარმ შემდეგ თვითონ დავაშოშმინებ სხვებს. მთლად ნუ გადაიკარგებით, დროულად შეგვატყობინე ადგილ-სამყოფელი.

– სარისკო საქმეა, რესტორანიდან მარტო ხომ არ წამოვა?

– ერთი ლიფსიტა ბავშვი მოყვება ხოლმე, ფეხი რომ დაუკრა, თბილისშიდაც არ გაჩერდება, თორემ წინ გადადგომას ვერ გაბედავს.

– კარგი, მოვილაპარაკეთ. მხოლოდ ამ საღამოს დაველაპარაკები ყოველი შემთხვევისთვის მეგის, მაინტერესებს, როგორი შეხედულება აქვს ჩემზე. თუმცა იმისი კარგი და ცუდი შეხედულება ჩემზე არაფერს იმოქმედებს, მაინც მოტაცების კანდიდატია და მაინც.

– როგორც გენებოს, დაელაპარაკე, იყოს საქმის ყურში, რომ არ შეეშინდეს. თორემ ხომ იცი, შიშზე ათასგვარი ავადმყოფობა ჩნდება და შემდეგ ჩვენი საჭირბოროტო იქნება.

საღამოს მართლა დაიმარტოხელა მეგი ბექამ. ზრდილობიანად სთხოვა მისთვის მოესმინა:

– მეგი, მართალია, თქვენს მიერ მოწოდებული საცივითა და ღომით გვარიანად დავნაყრდი, მაგრამ ორიოდე სიტყვა მინდა გითხრა მაინც...

– ბრძანეთ, ყველა ზრდილობიანი ადამიანის ვალია, მოუსმინოს მოსაუბრეს.

– პირველ რიგში, მოდი ერთმანეთს გავეცნოთ, ჩვენ ხომ კარგად არც კი ვიცნობთ ერთი მეორეს: მე ბექა დანელია სახელგანთქმული ექიმის, გოგი დანელიას შვილი გახლავართ, ოცდათერთმეტი წლის, უცოლო, უპარტიო, დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი, ვმუშაობ მამაჩემის გვერდი. – იცრუა ბექამ სინამდვილეში მართლა სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ, აყვა მოუსვენარ ახალგაზრდობას, მამიკოს ფულებით ღვინოს მიეძალა და ხანდისხან ნარკოტიკსაც გამოკრა ხელი. რამოდენიმეჯერ გააფრთხილეს ინსტიტუტის მესვეურებმა, მაგრამ უფრო ღრმად დაიწყო ჭაობმა ჩათრევა და იძულებული გახდნენ მეორე კურსიდანვე გამოერიცხათ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბექას აღარც სწავლის გაგრძელება უცდია და არც მუშაობის დაწყება. ჯერჯერობით მამიკოსაგან კარგი შემოსავალი ჰქონდა და კმაყოფილდებოდა კიდეც. უმეტესად ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან მეგობრობდა და დროს ლამაზი სქესის წარმომადგენლებთან ატარებდა. ასე რომ, ამ დროისათვის კარგად ჩამოყალიბებული და პოლიციისათვისაც ცნობილი ნარკომანი გახლდათ.

– ძალიან კარგი, – უპასუხა მეგიმ – მაგრამ რამ განაპირობა ჩემთან თქვენი ავტობიოგრაფიის მოყოლა?

– პირველი დანახვისთანავე მომეწონე და გადავწყვიტე, ხელი გთხოვოთ!

– მე კმაყოფილი ვარ, ბექა, თქვენი გაცნობით, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენს ჩანაფიქრს ასრულება არ უწერია ორი მიზეზის გამო. პირველი, მთელი თორმეტი წლითა ხართ ჩემზე უფროსი, მე მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შემისრულდება ოცდაერთი. რა თქმა უნდა, წლოვანებას არ მივცემდი დიდ მნიშვნელობას, რომ საქმრო არ მყავდეს შერჩეული.

– იცოდე, ეგ დაბრკოლება მე ვერ შემაჩერებს... მოგიტაცებ, მეგი!

თავის სიძლიერეში დარწმუნებულ მეგის გაეცინა, მაგრამ კი არაფერი შეამჩნევინა მოსაუბრეს და დამრიგებლურად ურჩია:

– ჩვენს ეპოქაში ქალის მოტაცება ვინ გაიგონა, ახლა მოტაცებული ქალები კი არა, სიყვარულით შექმნილი ოჯახები ინგრევა და მოტაცებული ქალი გაგიჩერდება?

– გაჩერდება, სად წამივა?

– თუ გაჩერდება, რქებს დაგადგამს და სიცოცხლეს გაგიმწარებს. მე ქალი ვარ და შენზედ უკეთესად ვიცი ქალის ბუნება. ასე რომ, მაგ განზრახვაზე საერთოდ აიღე ხელი!

– ვერავითარი შეგონება ვერ შეცვლის ჩემს გადაწყვეტილებას! როგორ, ცოტანი მოუტაცნიათ, რომ შედმგომში კარგი ოჯხაი შეუდგენიათ?

– არავინ არ მოუტაცნიათ. ჩვენ დავარქვით ეს საპატიო სახელი ქალის თავისი ნება-სურვილით გათხოვებას, რაღაცატომ გვგონია, რომ უკეთესად ჟღერს ეს სიტყვა, თორემ თავს ნუ მოვიტყუებთ და ნურც ნურავის მოვატყუებთ,თითქოს მოიტაცეს და მასთან მყარი ოჯახი შედგა.

– რატომ შეურაცხმყოფთ ქალთა მოდგმას, შენ რომ მოგიტაცონ, განა ოჯახს უღალატებდით?

– მე ჩემს პიროვნებაზე არა მაქვს საუბარი. მე თუ არ მინდა, ვერავინ ვერ მომიტაცებს!

– დილიხორში მაგდებ?

– ეს დილიხორი რაღაა?

– ინტერესი, რა!

– შენც ნუ დაინტერესდები, ბექა. ერთი დანახვით სიყვარული ვის გაუგონია? ისიც დილას დაინახო და საღამოს უკვე შეყვარებული იყო, ასეთი შიშველი განცდები ინდურ ფილმებში ხდება მხოლოდ!...

– მე კი ვერ წარმომიდგენია სხვაგვარი სიყვარული თუ არსებობს!

– გეტყობა, შე საბრალო, მთლად გამოუცდელი ჩანხარ სიყვარულის საკითხში. ბოდიში, უნდა დაგტოვოთ, ბექა! – თქვა მეგიმ და მოსაუბრეს გაშორდა თავის სიძლიერეში დარწმუნებული გაცოფდა, ბექა – „რას ჰქვია უარი მაკადარაო“ – დაიქადნა კიდეც – „აბა, ვნახოთო“ – და განაწყენებული ვაჟასთან ერთად დაბრუნდა მშობლიურ გალში!

– რაც მართალია, მართალია, კარგი გოგო კი არის! – უთხრა მგზავრობის დროს ვაჟამ და კიდევ უფრო გააღიზიანა ბექას სურვილი.

– კარგი გოგო კი არის, მაგრამ...

– რა მაგრამ, უარი გსტკიცა?

– არა, კი არ მსტკიცა... თავაზიანი უარი მივიღე!

– მერე რა, შენ ნებადართულიხარ იმოქმედო. რა დიდი ბედენაა მეგის ავტომობილში ჩაჯენა? სამაგისოდ ამხანაგები არა გყავს თუ ავტომობილები?

– როგორ არა მყავს, ეგ აგრე იქნება, როგორც გვიფიქრია, მაგრამ მაინც არ უნდა ეკადრებია ჩემთვის უარი, ჯერ მაგან არ იცის, მაგისთანა გოგოები მამიჩანგლავს?

– ეჰ, ვინ იცის, ბექა, შეიძლება იმ გოგების ჯიშსა და ჯილაგს არ განეკუთვნება მეგი!

– კარგი რა, თუ კაცი ხარ, ქალი ყველა ქალია, მართალია არ აკლია მიზიდულობის ძალა და მასთან ერთად სიეშმაკე, შხამი და სიხარბე, სისასტიკე, ტკბილი ენა, ცრემლთა დენა, ცვალებადობა, შიში და მრავალი ადამიანთა დამახასიათებელი უარყოფითი მხარე გააჩნია, მაგრამ ეს ყოველივე მისი თავდაცვის იარაღია, რადგან უფალმა სუსტ არსებად გააჩინა და სქესობრივი სისუსტეც გვარიანად დააყოლა!

– ჰო, მაგრამ მე რაღაცატომ მგონია, ყველა ქალი ერთნაირი არ არის, თუ ქალმა, შენს მიერ ჩამოთვლილი ყველა ხერხი თავდაცვის მიზნით გამოიყენა, მას ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაამარცხებს.

– შენ კარგად ვერ გიცვნია ბექა. მე დავამარცხებ, მარტო მეგის კი არა, თვით ქალღმერთ აფროდიტესაც კი. ახლა ავამხედრო ჩემი „შანტრაბა“ და შემდეგ დამიხვდეს წინ მეგის ცინგლიანი შეყვარებული, რაც მთავარია, პოლიცია ფეხებსაც ვერ მომჭამს, ნებადართული ვარ ოჯახის უფროსის მიერ.

– თუ კაცი ხარ, მე არაფერ შარში გამხვიოთ და როგორც გინდათ, ისე იმოქმედეთ შენ და თამრიკომ. ისიც დაბერდა და ჭკუა გამოელია ამ ხნის ქალს, თუმცა როდის ჰქონდა ტვინი. მსოფლიო როდესაც ნაცისტობის მოსპობასა და ერის გაერთიანებაზე იბრძვის, მაგას ახლა მოუნდა მეგრელი მხედართმთავარი, ნეტავი ვინ გამოყო სამეგრელო საქართველოსაგან და ან ვინ განასხვავა მეგრელი ქართველისაგან? ახლა აღარ მოწონს „ვირი“ კახელი და „ფხიკიანი“ იმერელი, როდესაც გაძღა, როდესაც შიოდა და თვითონ გაეკიდა, მაშინ კარგები იყვნენ.

* * *

ბებია თამარმა თავი ქუდში დაიგულა, საქმე თითქმის მოგვარებულად ჩათვალა და ოდნავ დამშვიდდა.

ლაშასა და მეგის კი სულ სხვა აზრები უტრიალებდა თავში: სამშაბათს დიპლომის დაცვა ჰქონდათ; ორთავემ უმაღლესი შეფასება მიიღო, „წითელი დიპლომი“ კი მხოლოდ მეგის არგუნა ცოდნამ, მთელი ჯგუფიდან. ოთხშაბათს დაისვენეს, სახლიდანაც არ გამოსულა არცერთი. ხუთშაბათს, „სრულიად საიდუმლოდ“ ორი თანაკურსელის თანადასწრებით, მმაჩის ბიუროში ხელი მოაწერეს, პარასკევს მარხვა დაიცვეს და ისევ დაისვენეს, შაბათს ისევ „სრულიად საიდულმოდ“ იმავე თანაკურსელების თანდასწრებით ქაშუეთის ეკლესიაში მივიდნენ და დეკანოზ ღვთისო შალიკაშვილის წინაშე წარსდგნენ ჯვრის დასაწერად.ჯ ვრისწერა

ახალგაზრდებს ისე ადვილი ეგონათ, როგორც ხელის მოწერა, მრავალი კითხვები და გამოცდა ჩაუტარა მამაო ღვთისომ.

– მარხულობთ? – იყო პირველი შეკითხვა მოძღვრისაგან.

– გუშინ ვიმარხულეთ, მაგრამ რომ არ ვიმარხულოთ ჯვარს არ დაგვწერდით? – შეეკითხა ღვთის საკითხებში გაუთვითცნობიერებელი ლაშა.

-რა თქმა უნდა, არა, მარხვის დარღვევა ერთ-ერთი დანაშაულია უფლისწინაშე. ამ შემთხვევაში თქვენგან აღსარება უნდა მივიღო, შეგინდოთ ცოდვები, გაზიაროთ და განწმენდილი წარსდგეთ ჯვრისწერის ცერემონიალზე, რადგან ერთ-ერთი უდიდესი მცნება ქორწინებაა, იმ შვიდი საიდუმლო ახალი აღთქმისა, რომელიც ქრისტემ გვიქადაგა.

– ჩვენ ხომ გუშინ დავიცავით მარხვა...

– არ კმარა, ოთხშაბათსა და პარასკევს მარხვა ისედაც უნდა დაიცვათ, ყოველთვის. თქვენ კი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ დღეს დაიცავით მარხვა და ისიც პირველად გუშინ. კარგი ამ დანაშაულს აღსარებაში მოვიხსენიებთ, ახლა კი მითხარით: ერთი-მეორესთან ხორციელი სიყვარულიხომ არ გაკავშირებთ?

– არა, მამაო, მაგრამ რა შუაშია ასეთი შეკითხვა. რომ გვქონდეს ხორციელი სიყვარული, ჯვარს არ დაგვწერდი? – მხრები აიწურა ლაშამ.

– არავითარ შემთხვევაში, ხომ გითხარით, ქორწინება, ესე იგი ჯვრისწერა, ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოა ქრისტეს აღთქმისა, რომლის წინაშედაც ხორციელად და სულიერად გაწმენდილი უნდა წარსდგეს შეუღლების მსურველნი. ქალი აუცილებლად უნდა იყოს ქალწული. თუ ვინმესთან სარეცელი გაუზიარებია, ასეთ ცოდვას ვერ მოვუხსნი და ვერც ჯვარს დავწერ. ხოლო მამაკაც, თუ ქორწინებამდე სხვა ვინმესთან და არა რჩეულთან სარეცელი გაუზიარებია აღ-

სარებაში მოიხსენიებს და შევუნდობ, როგორც მრუშობას. თქვენს შორის თუ ამდაგვარი დანაშაულია, შეგიძლიათ, ხანგრძლივი ლოცვებით მოინანიოთ შეცოდება. სულგრძელია, შეგინდობთ უფალი.

– მამაო, ჩვენს შორის ასეთი დანაშაული არ არის, ქალწული მოვსულვარ თქვენს წინაშე რჩეულთან ჯვრის დასაწერად! – უპასუხა მეგიმ.

– მე კიდე ვჭაბუკი გახლავართ, ქორფა ბიჭუნა! – ოდნავი ხუმრობით უპასუხა ლაშამ. – მაგრამ, მამაო ღვთისო, მარტო ჩვენზედ შემოიღეთ ჯვრის წერის ასეთი მკაცრი კანონი, თუ სხვაზედაც არსებობს მსგავსი შემთხვევა? მე ვიცი, ჯვარს იწერენ 30-40 წლის შეუღლებული ცოლ-ქმარი, მაინტერესებს, ისინი როგორ წარმოგიდგენენ მამაკაცი – სარეცლის უმანკოების საბუთს და ქალი – ქალწულობის დოკუმენტს?

– განათლებული შეკითხვაა. ასეთი შეკითხვა არავის მოუცია ჩემთვის, თუმცა ყოველთვის მოველოდი. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ კომუნისტურმა ათეიზმმა, შორის მანძილით დაგვაშორა უფალს, არ არსებობდა ჯვრისწერა, რაც თავისთავად მრუშობას წარმოადგენდა და შვილები კი უკანონოდ ითვლებოდნენ. ამიტომ ეს საკითხი საეკლესიო სინოდმა განიხილა, საპატარიარქომ ხალხის ცოდვა იტვირთა და მათი ჯვრისწერა განიზრახა, რომლებიც კომუნისტების ბატონობის ხანაში ხელის მოწერით იყვნენ დაკმაყოფილებულნი. ამით საპატრიარქომ იხსნა მრავალი სული მრუშობისაგან და უკანონო შვილები კანონიერად შერაცხა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, განურჩევლად დავწეროთ ყველას ჯვარი და გარყვნილება გავაბატონოთ ქვეყანაში.

– ბოლოსა და ბოლოს ჩვენ რა გვეშველება მამაო, სიწმინდე რაცა გვაქვს ეს არის და ეს, კიდევ რას მოითხოვთ ჩვენგან, რომ ჯვარი დაგვწეროთ და შვილებიც კანონიერი მართლმადიდებელები აღვზარდოთ? – შეეკითხა ლაშა.

– დღეს აღსარების ჩაბარებისას, ცხოვრებაში გადადგმული ნაბიჯი, რაც არასწორად მიგაჩნიათ, ყველაფერს მომიყვებით, შეგინდობთ, ხვალ მობრძანდით, გაზიარებთ და ზიარების შემდეგ დაგწერთ ჯვარს.

– ოჰ, არა ხვალ ბანკეტი გვაქვს, მამაო!

– ბანკეტი, ალბათ საღამოს გექნებათ, ყველაფერს მოასწრებთ. თორმეტი საათისათვის ჯვარდაწერილები იქნებით უკვე.

– კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს, მამაო! – თვალების დახრით შეეკითხა მეგი.

– ბრძანეთ!

– ჯვრისწერის შემდეგ მშობლების დაუკითხავად უნდა გავყვე ჩემს რჩეულს, მეპატიება ეს შეცოდება თუ არა?

– ათი მცნება, ანუ დარიგება უფლისა გვაუწყებს: – „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა. – არ იქნება შენს მიერ გადადგმული ნაბიჯი სწორი, მაგრამ რაღაი ჯვარს დაგწერთ, კიდევ გეპატიებათ!

– მაშინ მიიღე აღსარება ჩვენგან, ხვალ მოვალთ და შეპირების თანახმად, გვაზიარე, შემდეგ კი ჯვარი დაგვწერე, მამაო ღვთისო! – უთხრა ლაშამ და მუხლებზე დაეცა მოძღვრის წინაშე. დეკანოზმა ოლარე (წმინდა კალთა) გადააფარა თავზე ლაშას და ჩურჩულით გამოკითხა, სულიერი თუ ხორციელი შეცოდებანი. მრავალჯერ გადაასხა თავზე ჯვარი და უსუპით ნაკურთხი წყალი აპკურა. იგივე გაიმეორა მეგის მიმართ, შემდეგ დალოცა ახალგაზრდები და მეორე დღისთვის დაიბარა ზაიარებისა და ჯვრის წერისათვის. მეორე დღისთვის მართლაც იყო დაგეგმილი რესტორან არაგვში დიპლომის დაცვასთან დაკავშირებული ბანკეტი, საღამოს რვა საათიდან ახალგაზრდობას გადაწყვეტილი ჰქონდა ღამე ზეიმში გაეთიათ. აქ იყო მოპატიჟებული უნივერსიტეტის პროფეორ-მასწავლებლები, მწერლები, პოეტები და ქალაქის წარჩინებული პერსონალი.

შეყვარებულებმა დღეს ლაპარაკიც აკრძალეს, რადგან ჯვარის დაწერაზე და ზიარებაზე როგორც ხორციელად, ასევე სულიერად შეუბღალავი წარმდგარიყვნენ. საუკუნოდ მოეჩვენათ ღამე...

და როგორც იქნა გათენდა, დღეიდან ახალი ერა უნდა დაწყებულიყო ლაშასა და მეგის ცხოვრებაში, მართალია ერთიმეორეს ბავშვობიდან იცნობდნენ, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება ყველა ადამიანისათვის ცხოვრებაში სიახლის შეტანა და ცხოვრების გარდატეხაა. ახალი ცხოვრების შექმნისათვის არის აუცილებელი ქორწინება, რომლის შეცვლაც ქვეყნის განაყოფიერების გზით არცერთ მეცნიერს არ შეუძლია. მართალია ადამიანების დასახული მიზნები სწრაფად არ ვითარდება, მაგრამ განუხორციელებელი მიზნები არ არსებობს, რომ დასახული მიზნების შემაფერხებელი დემონები ფეხებში არ ებლანდებოდეს კეთილ ადამიანებს, წინსვლის გზას ხერხავენ და ანგელოზებისაგან მოკირწყლულ გზაზე ეკალ-ბარდს რგავენ, მთლიანობაშიწინ მივიწევთ. უფლის ძალით ვამარცხებთ დემონებს, მივიწევთ წინ, მაგრამ ძალზე ნელა. თუ დემონებს ვერ აუტანიათ ჩვენი კარგად ყოფნა, ვერ შეგუებიან დამარცხებას და სურთ ჩაგვიშხამონ გამარჯვება, არ გაგვათამამოს გამარჯვებამ. არ მოვადუნოთ ყურადღება, გვახსოვდეს, რომ მტერს არასოდეს არ ძინავს. იცოდე, შენ ისეთ ქვეყანას ეკუთვნი, რომელიც თავის წიაღში უამრავ ლაჩარს ითვლის, მაგრამ არ გაბედო, ლაჩართა სიმრავლით სიმამაცე მოადუნო და შენი სამშობლოს მომავლის კარიბჭესთან სასოწარკვეთილი დარჩე, პირიქით მეტი იმედი უნდა იქონიო, ვიდრე ოდესმე, საქართველოს გული ჯერ კიდევ ფეთქავს, მართალია, იგი სრულიად ჯანსაღი არ არის, მაინც შეწევს ძალ-ღონე გმირების დახმარებით წარიკვეთოს დასნეულებული ნაწილები და მსოფლიოს გადმოსახედზე დადგეს ამაყად. დემონმა ღა-

ლატითა და თაღლითობით შეძლო ხალხის დამონება, მაგრამ ქართველი ხალხი ძნელი დასამონებელია, არა ერთჯერ დაუმსხვრევია მას მონობის ბორკილი, ამჯერადაც დაამსხვრევს.

თითქმის ერთდროულად მოვიდნენ ქაშუეთის ეკლესიის კარიბჭესთან ლაშა და მეგი, სანთლები აუნთეს წმინდანებს, ილოცეს, წირვას დაესწრენ და ზიარებას დაელოდნენ. მამაო ღვთისომ შეასვა ზიარების შარბათი ლაშასა და მეგის, დამთავრდა წირვა და დაიწყო ჯვრის დაწერის ცერემონია. გაცვალეს ბეჭდები, შემოატარეს ეკლესიის წმინდა ადგილებს, აპკურეს ნაკურთხი წყალი და შეასრულებინეს ყოველი ქმედება, რაც ჯვრის დაწერისათვის არის განკუთვნილი. მაგრამ ჯვრის დაწერის მსვლელობის დროს მოძღვარმა ღვთისომ შეწყვიტა ლოცვა და წყნარად, თითქმის ყურში უჩურჩულა ლაშას:

– შვილო, ხომ ქრისტიანი ხარ მართლმადიდებელი?

– რატომ კადრულობ ასეთ შეკითხვას, მამაო, განა საეჭვოდ გამოვიყურები?

– მონათლული ხარ?

– რა თქმა უნდა, მამაო, ამავე ეკლესიაში მოვინათლე მამა სოკრატეს მიერ.

– აბა, რა ხდება? ენა მებმის! არ მაძლევს უფალი ჯვრის დაწერის უფლებას.

– ცოდვები უკვე მოვინანიეთ, ჩვენი მხრიდან არ უნდა იყოს დაბრკოლების საშიშროება. – უთხრა ლაშამ და მოძღვარმაც გააგრძელა ლიტურგია, ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი ცერემონიალი, რომლის მიზანია მორწმუნეებში უფლისადმი უშუალო სიახლოვის განცდის აღძვრა. ზებუნებრივ ძალასთან ე. ი. ღმერთთან კავშირის შექმნა, რწმენა გაღვივება, რომელიც გამოიხატება: ლოცვაში, გალობაში, ნაკურთხი წყლის სხურებაში, სანთლის მიძღვნა-

ში წმინდანებისათვის, წმინდა საგნების ამბორში, საზეიმო მსლველობაში საკურთხევლის გარშემო, წმინდა წერილის კითხვაში და სხვა. ყოველი ჩატარდა უმაღლეს დონეზე და აკურთხეს ლაშა და მეგი იმ დღიდან განუყრელ ცოლ-ქმრად, რომელნიც შეიკრენ ღმერთთან დადებული ფიცით.

ჯვრის დაწერის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ლაშამ მოძღვარი ღვთისო რესტორანში მიიპატიჟა მეჯლისზე:

– დიდი მადლობა, შვილო, მე კი არა კარგი იქნება თუ არც თქვენ წახვალთ წვეულებაზე. ცუდს მეუბნება გული, წადით სახლში დატკბით ამდენი ხნის ნანატრი ალერსით და წვეულებას კი დაანებეთ თავი, ის უთქვენოდაც კარგად ჩატარდება, – უპასუხა მოძღვარმა.

– ეს როგორ შეიძლება, მოძღვარო, წვეულება ჩვენთვის არის განკუთვნილი და ჩვენ არ დავეწსროთ? ეს ხომ იგივეა, ჯვრის დაწერას არ დავესწრებოდით და უჩვენოთ ჩაგეტარებინოთ ლიტურგია?!

– უთქვენოდ ჯვრის დაწერა არ ჩატარდებოდა, რესტორნის მეჯლისი კი ისეთ მაღალ დონეზე ჩატარება შეიძლება ვერც კი შეამჩნიონ თქვენი იქ ყოფნა-არყოფნა.

– შეიძლება აგრეც მოხდეს, მაგრამ შესაძლებელია, განსაკუთრებით მოგვაკითხონ, რადგან დღეს ჩვენი ჯვრის დაწერას ელოდებიან და თამადას ჩვენი შეუღლების სადღეგრძელოს ყანწი მომზადებული აქვს.

– მე მაინც ჩემი უნდა გითხრა, უნდა გაგაფრთხილო, მეტი არაფერი არ შემიძლია, მეც ისეთივე მოკვდავი ვარ, როგორც ყოველი ცოდვილი და ღმერთის განაჩენის შეცვლა, რა თქმა უნდა, არ შემიძლია.

– არა, არა, უნდა წავიდეთ, მამაო ღვთისო, განა ბოლომდის გავჩერდებით? შეისმება ჩვენის ადღეგრძელო და წამოვალთ, სახლშიდაც გველოდებიან, არც იმათ გავუწყალებ

გულს ლოდინით! – თქვა ლაშამ და პირჯვრის გადასახვით დატოვეს ეკლესია.

* * *

როდესაც ლაშა და მეგი ჯვარს იწერდა, არც ბექასა და მის ძმაკაცებს ეძინათ მშვიდობიანად, ბებია თამარის ფიჭური ტელეფონის საშუალებით დაადგინეს, რომელ რესტორანში იხდიდნენ ბანკეტს და რომელ დღეს. ისიც გაიგეს, რომ მეგი წვეულების ბოლომდის არ გაჩერდებოდა და საჭირო იყო დროულად დახვედროდნენ გზაზე.

ბევრად არ აინტერესებდა ბექას ცოლის შერთვა, მაგრამ ყველაფერი ინტერესის საკითხი იყო, ესეც რომ არ ყოფილიყო ოქრო-დოლარით აშენებულ ოჯახში შედიოდა და ვინ იტყოდა უარს დროებით ხელის მოსათბობად. ძმაკაცებიც იმიტომ ამოუდგნენ გვერდით, „სამაკარონე“ გასამრჯელოს ელოდნენ ბექასაგან. სწორედ ამიტომ ამოვიდნენ დროულად გალიდან ექვსი ვაჟკაცითა და ორი საზღვარგარეთული სწრაფმავალი ავტომობილით. დილიდან საღამომდის უდარაჯეს რესტორან არაგვის შესასვლელს, თითქმის დაითვალეს რამდენი ადამიანი შევიდა და რამდენი გამოვიდა, თვითონაც მოსინჯეს შესვლა და შეუმჩნეველ კუთხეში დაჯდომა, მაგრამ უთხრეს: – „ყველა ადგილები დაკავებულია და შესვლა სასტიკად არისო აკრძალული“. – მხოლოდა მის შემდეგ გადაწყვიტეს ავტომობილიდან ეთვალთვალებიათ რესტორნისათვის. აი გამოჩნდა მეგი და ლაშა, ხარბი თვალით გააცილეს ქალიშვილი, „მართლა ღირსო მოსატაცებლად!“ თქვა რმელიღაცა ბექას თანმხლებმა. ლაშას სიცილი დააყარეს – „აი კავალერი, რომ გაიყოლებ გვერდით, ნაკლები აღარ უნდა გაიყოლოვო“ – თქვეს დაცინვით.

– ნახე, ნახე, როგორ კაცივით მოირხევა, თითქოს სპორტსმენი იყოს, იმანაც უნდა თქვას ახლა კაცი ვარო, გაფი-

ცებთ, ხმა არავინ გასცეს ჩემს გარდა, მე კი სანაძლეოს დავდებ, სულს შევუბერავ და მტკვრის გადაღმა გადავაგდებ. თქვა მეორემ, მართლაცდა მოხეულმა ვაჟკაცმა, რომლის თქმასაც სიცილი მოჰყვა და აღთქმა დაუდეს, არავინ შეეცვლებოდა ლაშას „სული შებერვაში“.

თითქმის ყველა შევიდა რესტორანში, გამოდიოდა ჯაზ-მუსიკის ხმა, რომელსაც დროდადრო თამადის სადღეგრძელოები ცვლიდა:

– ისინი ქეფიობენ, მოდით ჩვენც გავახუროთ! – თქვა ბექამ და ძმაბიჭებს სურვილისამებრ შესთავაზა, ნემსი და კონიაკი. პირველად ყველამ ნემსი აირჩია, შემდეგ კონიაკი დააყოლეს და მართლაც იმ გენებაზე დადგნენ, „სულის შებერვით“ რომ აქცევენ, მაგრამ თვითონ იმტვრევიან. ბევრი ლოდინ არ დასჭირვებიათ, ადრე გამოვიდა ლაშა და მეგი რესტორნიდან, ეჩქარებოდათ ოცდაერთი წლისებს სიყვარულის სიამოვნება და სარეცლის გაზიარება.

– საუბრობდნენ და ფეხით შეუყვნენ აღმართს, უზენაეს სასამართლოს გადაუარეს, გადაჭრეს არსენას ქუჩა და თხილნარის ქუჩაზე გავიდნენ, სწორედ აქ იყო ლაშას სახლიც ერთი კვარტლის შემდეგ, მაგრამ არსენას ქუჩის გადაკვეთასა და თხილნარის ქუჩის დასაწყისში ორი უცხოური ავტომობილი დამუხრუჭდა ლაშასა და მეგის ფეხებთან, ჯერ კიდევ ღამის ფარნებიც არ იყო ანთებული,ღ ამე არ ეთქმოდა, საღამო იყო, ავტომობილებიდან ექვსი ზორბა მამაკაცი გადმოვიდა, მათ ნიღბები აფარებული კი არა, ჩაცმული ჰქონდათ რაღაც სინთეტიკურ ძაფისაგან მოქსოვილი. ნიღბები შავი ფერისა იყო და ბოროტმოქმედებს მარტო თვალები, ცხვირი და ტუჩები უჩანდათ. ნიღბოსნებმა შუაში მოიმწყვდიეს ორი წიწილასავით ბავშვი და ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა უბრძანა: – „საჩაქროდ ვაჟი აქედან დაკარგულიყო, ხოლო ქალი უყოყმანოდ, განგაშის გარეშე ავტომობილში ჩამჯდარიყო:

– ბიჭებო, არაფერი შეგეგალოთ, ეს გოგონა კანონიერი მეუღლეა ჩემი! – სცადა ტკბილი სიტყვით ბანდიტების შეჩერება ლაშამ.

– მიდი რა, სიმონ! დღეიდან ჩვენი მეუღლე იქნება! – თქვა იმ ახმახმა, რომელიც სულის შებერვით მტკვრის გადაღმა გადაგდებას უპირებდა და ლაშას და მუშტი შემართა, მართლა მტკვრის გადღმა გადასაგდებად, მაგრამ ლაშამ მოქმნეული მუშტი ჰაერში დაიჭირა, მოწყვეტით დაქაჩა ძირს და ლავიწის ძვალმა ტკაცანი მოადინა. – ააა – იღრიალა ნიღბოსანმა და მარცხენა ხელი მოუქნია, მაგრამ იმ ხელსაც იგივე უბედურება ეწია, რაც მარჯვენას. ამის შემდეგ ლაშამ საბრძოლო მდგომარეობა მიიღო და დაიყვირა:

– შეჩერდით, ბიჭებო, გამაგებინეთ რას მოითხოვთ!

– აქედან წაეთრიე, ლაწირაკო და ქალი დაგვიტოვე. – თქვა ერთმა, რომელიც ხმაზე იცნო მეგიმ. ბექა უნდა ყოფილიყო. გაახსენდა მისი დანაქადები და მწარედ გაეღიმა: – ქალწული არ ვიყო თუ შენ აქედან ხელ-ფეხ დაუმტვრეველი გაგიშვა – უთხრა მეგიმ და ელვის სისწრაფით ჩამოახია სახეზე ნიღაბი.

შეიქმნა ბრძოლა – ექვსი ორის წინააღმდეგ, მაგრამ წინააღმდეგობა სრულებითაც არ შეიმჩნეოდა, ნიღბოსნები ჰაერს ანიავებდნენ მხოლოდ. მეგიმ შენაპირები აასრულა, ხელ-ფეხები დაუმტვრია სასიძოს და ერთ-ერთი ავტომობილის უკანა სალონში მოათავსა, მაგრამ ამ დროს ლაშამ დაინახა თუ როგორ მოუქნიეს რკინის ხელკეტი მეგის და სანამ დაარტყამდნენ ნახტომი გააკეთა, ხელკეტი დაუჭირა, შემდეგ ჰაერში აფრინდა ნიღბოსანი, ატვომობილის საქარე მინა შეამსხვრია და უკანა სალონზე დაეცა გამოთიშული.

საჭესთან მჯდომი, რომელიც ავტომობილიდან აქამდის არ გამდოსულა, შიშით თუ ავტომობილის სიყვარულით განრისხდა, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი გამოაძრო საჯ-

დომიდა და როდესაც ლაშა ავტომობილის საბურავბეიდან ახლად გამომძვრალ ნიღბოსანს ებძროდა, სამჯერ გაისმა გასროლის ხმა, ლაშა შეტორტმანდა, მაგრამ არ წაქცეულა, მკრედზე მარცხენა ხელი მიიჭრა და მეგის დაუძახა:

– არ დანებდე!

თითქოს ამ სიტყვას ელოდაო, ეს სიტყვა თხოვნაც იყო და ბრძანებაც. გაგიჟდა მეგი და ცვიოდა დაფლელთილ სხეულებთან ერთად ნიღბები. მძღოლები ატვომობილიდან არ გამოსულან, ამიტომ დარჩნენ სხვებთან შედარებით უვნებელნი, შეძლეს ავტომობილების მომართვა და გაუჩინარდნენ. მეგიმ ლაშასთან ჩაიმუხლა, მკერდზე მიიხუტა საყვარელი ადამიანი. ის უკვე აღარ იყო, აღარ სუნთქავდა და სხვეულს თანდათან ეპარებოდა მოლურჯო ფერი. მეგის არა მარტო ბრძოლა, კივილიც სცოდნია და ერთი ისეთი დაიკვილა, ორივე ქუჩის მოსახლეობა გზაზე გამოვიდა. მოვიდა პოლიციაც და საექიმო სასწრაოფო დახმარების ავტომობილიც, მაგრამ მკერდეზე მიკრული ლაშა, მეგის ვერავინ მოაშორა, ჯერ კიდევ თბილი სისხლით ისველებდა სხეულს და რაღაც გაუგებარ ფიცს ბუტბუტებდა ქალიშვილი.

აქედან შორს აღარ ცხოვრობდა, ხელში აყვანილი, სახლში მიასვენეს ლაშა. იმ დღიდან სახეზე ჩამოიფარა მეგიმ შავი მანდილი და იმისი ლამაზი სახე აღარავის უნახავს. დაკრძალვამდე ცხედარს არ მოშორებია, დაკრძალვის დღეს კი თითქმის ყველამ ნათლად მოისმინა ქალწულის ფიცი.

– ხალხო! შეიძლება გამკილოთ, – „ვის არ ჰყოლიაო შეყვარებული“ – თქვათ და ეჭვი შეგეპაროთ ჩემს პატიოსნებაში, მაგრამ ნუ შესცოდავთ, იცოდეთ: ლაშა კანონიერი მეუღლე იყო ჩემი, აი ჯვრისწერის მოწმობა და ხელის მოწერის დოკუმენტი, მართალია ხორციელი სიახლოვე ვერ მოვასწარით, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი სიყვარულისთვის. სატანა ყოფილა ჩასაფრებული და სახლამდის

არ მიგვიშვა, რომ ნაყოფი მაინც დამრჩენოდა მისი. ღმერთო, რად არ დამიფარე, რად წამართვი სიყვარული, რატომ მიმატოვებინე შენი სამსახური და მიბიძგე ეშმაკის გზისკენ? ლაშა, ვფიცავ შენს უმანკო სულს, რომ შენს გარდა ჩემს ორგანიზმში სხვა სიყვარული არასდროს გაიღვიძებს და ასეთივე ქალწული მოგევლინები სამუდამო სასუფევლში, როგორიც დამტოვე. ვფიცავ შენს სიყვარულს, არა მარტო შენს მკვლელს, არამედ ყველა მკვლელობის მონაწილეს, სასტიკი წამებით გადავუხდი ვალს. ვფიცავ! ყველა აუსრულებელ მიზნებს მე შევასრულებ. ვფიცავ შენი სახლის კარიბჭეს არასოდეს მივატოვებ...

ცრემლს აფრქვევდა ყოველ სიტყვას მეგი და ცრემლით ისმენდა ქალი თუ კაცი აქ სამძიმარზე მოსული.

თეონას ჩამოკაწრული სახე საშინლად გამოიყურებოდა, სისხლი ცრემლში ერეოდა და ნაკადულად ეწვეთებოდა, თეონას მოგლეჯილ თმას, რომელიც ლაშას ჭრილობაზე ჰქონდა დაფენილი.

– ტანჯვა-წამებაში გამოზრდილო, ჩემო ერთადერთო, – ტიროდა თეონა – ვინ გაგიმეტა სასიკვდილოდ, ვის ჰქონდა ქვა გული, ვინ მომისპო შენი სიყვარული, შვილო, შენ ხომ ერთადერთი იყავი ჩვენი ფუძის გამგრძელებელი, ვინ გაიმეტა, მთლიანად დაეღუპა ჩვენი ოჯახი, ვაი, შენს დედას, შვილო!...

აკაკი შუბლზე შავ ქამარწაჭერილი ეზოში დადიოდა და დროდადრო იძახდა – ლაშაა! – სახელის გახსენება თითქოს არაფერია, მაგრამ უცრემლო, მწუხარებით გაჟღენთილი სახელის გამოძახილი, მეტად გულის მომკვლელი იყო. ვიდრე მოთქმით ქვითინი. გამოძახილს ყოველთვის ხმამაღალი ქვითინით პასუხობდნენ ჭირისუფლები.

ლაშა იმერეთში წაასვენეს თავის მშობლიურ სოფელში, მეგიც თან წაჰყვა და ლაშას მშობლებს გამოუცხადა: რომ

დღეიდან მათთან იცხოვრებდა, მაგრამ თუ არ მიიღებდნენ, როგორც ლაშას კანონიერ მეუღლეს, კანონით გაიმარჯვებდა და ვერავითარი ძალა ვერ გააგდებდა ლაშას დატოვებულ სახლიდან.

– ეჰ, ვინ გაგაჩერებს შვილო ჩვენთან, რა ბევრი ახლა შენისთანა ჰყავს შენს პატრონს! – კვნესით წარმოთქვა თეონამ.

– არავის საბრძანებელი არა ვარ, დედა, ჩემი თავი მე მეკუთვნის, მცირეწლოვანი ხომ აღარა ვარ, კანონიერ ქორწინებაში ვიმყოფები და იწამეთ ღმერთი, ჩემი ოჯახის საქმე მე მომანდეთ.

– ნეტავი ასე იქნებოდეს, როგორც გადაგიწყვეტია, მაგრამ მეეჭვება. თამარის საწინააღმდეგოდ ვინ გადადგამს ნაბიჯს...

– მე ვიქნები პირველი, ერთ ღამესაც არ გავათებ დევდარიანების სახლში, შეიძლება გადავწვა უბედურების მომტანი კერა, სადაც ოცდაერთი წლის განმავლობაში ერთი სიხარულიც არ მინახავს.

დევდარიანების ოჯახის ყველა წევრი მივიდა სამძიმარზე. ცრემლიც დაარფრქვიეს ქალებმა, მაგრამ ვინ იცის, როგორი ცრემლი იყო ეს, თანაგრძნობის, როგორიც მეკუბოვეს სჩვევია თუ ნიანგის, რომელიც გადაყლაპვას გვპირებს? მეგი შავ ჩადრჩამოფარებული და შავი თალხებით შემოსილი თავთან უჯდა მიცვალებულს, კი გაიგო თავისიანების მოსვლა, სათითაოდ დაკოცნა ყველამ, მაგრამ მეგის ჩადრიც არ აუწევია, არ დაუნახავს მათი სახე და ისე წავიდნენ, მეგისთან დალაპარაკებაც ვერ მოახერხეს.

ერთი კვირის შემდეგ მშობლიურ მიწას მიაბარეს ლაშა, მაგრამ არა მარტო ჩხეიძეების ოჯახში, არამედ მთელს უბანში მწუხარება არ შემცირებულა. დიდი და პატარა ხმამაღალი ტირილით გამოხატავდა ღრმა მწუხარებას, მეგი

ორმოცი დღის განმალვობაში ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე, ანთებდა სანთლებს და სანთელის ცრემლივით წმინდა ცრემლით ასველებდა ლაშას გულზე დაყრილ მიწას. უზარმაზარი გრანიტის ქვა დაუდგეს თავთან ლაშას, ქვაზე სურათი მეგიმ დაახატვინა, ქაშუეთის მონასტერში ჯვრისწერის დროს გადაღებული უკანასკნელი სურათი, ორივენი მომღიმარი სახითა და გვირგვინით შემკობილნი, ბევრი ეხვეწენ მეგის – „მიცვალებულთან ცოცხალი ადამიანის სურათი არ შეიძლებაო“ – მაგრამ არავისი გაიგონა, თავისი განზრახვა ვერ გადაათქმევინეს და თავისი სურათი ლაშას სურათს ჩაახუტა ისე, როგორც სინამდვილეში იყო გადაღებული. სურათის თავზე წარწერა გააკეთებია:

„მე მუდამ შენთან ვიქნები“ – „მეგი“

სურათის ბოლოში კი თვითონ ამოკვეთა გრანიტი და დააწერა:

„ასე ენება ალბათ გამგებელს
ცისა და მიწის,
ჟამი მოსვლის და ჟამი წასვლის
მან უკეთ იცის...“

მოახლოვდა გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე, სულის გაცილების ჟამი. მეგიმ ქაშუეთის ეკლესიიდან მოიწვია თავისი მოძღვარი ღვთისო შალიკაშვილი, რომელმაც შეასრულა მიცვალებულის მიმართ ყველა ქრისტიანული წესი. მისცა რჩევა-დარიგება ჭირისუფლებს, ყველას დაურიგა ჯვრები და სანთლები. უკურთხა ლაშას ციური სასუფეველი, ღვთის საუფლო, სულთა ნეტართა განსვენებული ადგილი. ნახშირით გააჩაღა საცეცხლური და საკმეველის მათრობელი სურნელება შეერია სამოთხის უკვდავებას. თვითონაც აანთო და მეგისაც აანთებინა სანთლები. ერთ-ერთი უძლიერესი საეკლესიო დანიშნულების საგანი, რწმენის სიმბოლო, შუქის წყარო და მაგიური მნიშვნელობის მატა-

რებელი. ღმერთთან კავშირისა და ციურ სანთლებთან წილ-ხვედრილი. ცეცხლის ძლიერებისა და მლოცველთა ნუგეში. ქრიტიანული რწმენის თანახმად: სანთლის შუქით უზენაესს ვეზირებით, რომელსაც შეუძლია ავსულთა განრიდება და რომელშიდაც ღრმა მისტიკური საიდუმლო იგულისხმება. სანთელი ერთადერთი წმინდა სხივია, რომელიც გზას გვინა-თებს უფლისკენ სავალს. ეს კარგად იცის დეკანოზმა მამაო ღვთისომ და უნერგავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას მრევლს. ხელზე ეამბორა მოძღვარს მეგი, ცრემლიანი თვალი მიაპყ-რო და ხმის კანკალით უთხრა:

– კარგი იყო მამაო, დაგვეჯერებია თქვენთვის და არ წავ-სულიყავით მეჯლისზე. ახლა კი შემინდე, რამეთუ ღვთის სა-წინააღმდეგო ნაბიჯი გადავდგა დღეიდან, რადგან უფალმა არ ინება ჩემთან ყოფნა, სატანის მსახური უნდა გავხდე მამაო.

– ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იცის რას ამბობს, – წა-მოიძახა გაკვირვებულმა მოძღვარმა და სამგზის პირჯვარი გადასახა მეგის – მოდი ჩემთან, შვილო, მხურვალე ლოცვით მოინანიე ღმერთის წინაშე შეცოდება მაგ სიტყვისათვის, სა-ტანა, ანუ ეშმაკი, საეკლესიო ცხოვრებაში ცნობილია, რო-გორც ავი არსება, ბოროტების საწყისი, ღმერთის მთავარი მოქიშპე, ყველა ცოდვისა და უბედურების მიზეზი. წყვდი-ადის მსახური. ცბიერი, მატყუარა, ცილისმწამებელი, მაც-დური და შენც ამდაგვარი გინდა იყო ცხოვრებაში?

– ღმერთთან სიახლოვემ რა მომცა, მამაო?

– ეშმაკთან სიახლოვე რას მოგცემს?

– არც მეტს, არც ნაკლებს, რაღ ღმერთმა მომცა!

– შენ გიყვარდა ლაშა? ჰო და სხვა თუ არა იმის საპატივ-ცემულოდ არ უნდა დაგმო უფალი, შენ სანთლითა და ლოც-ვების გზით უნდა გაუნათო მიცვალებულს.

– მე შური უნდა ვიძიო მკვლელზედ და თუ შემინდობს, მა-პატიებს და მიმღებს უფალი, უწინდებურად ვემსახურები მას.

– შვილო, შურისძიება საღვთო წიგნში არ წერია, ღმერთს ნუ გადაასწრებ, უფალი თვითონ განსჯის დამნშავეს.

– არა, მამაო, ლოდინი არ შემიძლია, უმჯობესია, მეც დროულად წამიყვანოს ვინმემ, ლაშასთან ღმერთის განაჩენს ველოდო.

– ღმერთო, შეუნდე – „უფალო“ სახელითა შენითა ეშმაკნი, მეგის ტანითგან და სულითგან განმანსხევინე“ – თქვა მოძღვარმა და სამგზით გადასახა პირჯვარი მეგის.

მეორმოცე დღეც მიიწურა ლაშას გარდაცვალებიდან, უმაღლეს დონეზე ჩატარდა და დამთავრდა მიცვალებულის გაცილებისა და სულის მოსახსენიებელი ცერემონიალი. ქალაქში დაბრუნდა ჩხეიძეების ოჯახი, ქალაქში დაბრუნდა მეგიც და ჩხეიძეები ოჯახში დაიდო ბინა.

გაიგო დევდარიანებმა მეგის დაბრუნება და დიმიტრის თხოვეს დაებრუნებია როგორმე თავიანთ ოჯახში. ბევრი ყოყმანის შემდეგ წავიდა დიმიტრი შვილთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ოჯახში მისული დიმიტრი დაინახა თუ არა, თეონას გული შეუწუხდა და ძლივს მოაბრუნეს. სააქაოს მოხედულმა კი წყნარად წარმოთქვა:

– მოვიდნენ წასაყვანად! ასეც ვიცოდი, აბა ვინ დამიტოვებდა შვილის მაგიერს? კარები გაიხურა, მეორე ოთახში გავიდა, ტახტზე დაემხო და მწარედ აქვითინდა. მარტო დარჩენილი მამა-შვილი დიდხანს შესცქეროდნენ უხმოდ ერთი-მეორეს. შემდეგ ენერგია დიმიტრიმ მოიკრიბა და წყნარად უთხრა შვილს:

– მეგი, მე მომწონს შენი შემართება, შენ სწავლაც გცოდნია და სიყვარულიც, მაგრამ მომავალი ცხოვრებისათვის არ გამოგადგება შვილო, ასეთი ყოფა. გლოვაც კმარა, სახლში უნდა დაბრუნდე.

– არა, მამი, მე მთელი სიცოცხლე უნდა ვიგლოვო პირველი სიყვარული, ეს ხომ მეუღლე იყო ჩემი, ხელმოწერილი

და ჯვარდასმული, რა უფლება მაქვს, არ ვიგლოვო მეუღლე, რომელთანაც ღმერთმა დამაკავშირა?

– მერე ჩვენ რა გვეშველება, დაფიქრებულხარ ამ საკითხზე?

– პასუხს ერთი თვის შემდეგ გეტყვი, დღეიდან გამოძიებას ვიწყებ და ღმერთმა არ ინებოს, დევდარიანების ოჯახი იყოს გარეული ლაშას მკვლელობაში.

– ეს უხამსობა არც უნდა გეფიქრა, შვილო, ყველაფერი უხამსობა შეიძლება წარმოდგეს ჩვენი ოჯახიდან მკვლელი კი ნამდვილად არ მეგულება.

– მამა, იშვიათად კლავენ დღეს ხალხს ტყვიით, გაცილებით მალე ენით შეიძლება ადამიანის სიკდვილი. მე შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ და ყველაზე მეტად მებრალები, მამა. შენ შენი განათლებით იმდენად ხარ ოჯახის წევრებზე შეყვარებული, რომ მათ ჩრდილოვან მხარეს ვერ ამჩნევ, მე ვავლენ მათ ვინ როგორია, ჩამოვხსნი ნიღაბს და იქნებ შემდეგ მაინც დაინახო და შეიგრძნო ჭეშმარიტება. რაც შეეხება ოჯახში ჩემს დაბრუნებას, აზრი აარა აქვს, მამა. მე გათხოვილიქალი ვარ და ვარ ვალდებული ვემსახურო ქმრის ოჯახს სიკვდილამდის, როგორ არა, მე მოვალ დედულეთში, ისე, როგორც გათხოვილ ქალს შეეფერება, მაგრამ ისე არა, როგორც ქმრისაგან ნაცემი ქალები ბრუნდებიან.

– შვილო, შენ ძალზედ ლამაზი ხარ, არ დაგაყენებენ გაუთხოვარს და უმჯობესია, ბედს მშობლიური სახლიდან ეზიარო. კიდევ დაუფიქრდი, იქნებ ჩემი ნარჩევი ჯობია!

– სილამაზეს ეშვლება, მამა, ხორციელი სილამაზე წარმავალია. არც ვფიქრობ და არც არასოდეს ვიფიქრებ მაგ საკითხზე თუ ღმერთმა სულიერი სილამაზე შემინარჩუნა.

– შენ ისეთი გოგო ხარ, ორივეს შეინარჩუნებ, მხოლოდ ახლა გაწბილებულს ნუ გამიშვებ, ბოლო პასუხი მითხარი, შვილო!

– რა პასუხს ელოდები ვერ ამიხსნია, მამა!

– სახლში დაბრუნდები თუ არა და თუ დაბრუნდები როდის?

– ხომ გითხარი, გამოვიძიებ ლაშას მკვლელობას. თუ ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრი მკვლელობაში სულით გასვრილია, არასოდეს არ დავბრუნდები. თუ არა მოვალ, მაგრამ საცხოვრებლად მაინც ვერ დავრჩები.

– ამ პასუხით წავიდე?

– როგორც გენებოს, თუ სურვილი გაქვს, შენც ჩემთან ერთად დარჩი, ერთი ადამიანი ხარ იმ ცხოველთა სამყაროში, სადაც იმყოფები და გაგიძნელდება ცხოვრება.

– აქამდის გავძელი, კიდევ გავძლებ ამდენს და მხოლოდ შენ გამოგემშვიდობები. მე ახლა წავედი, შენს პასუხს მიუტან ქალებს და მე ხშირად გამოგივლი-ხოლმე, გინახულებ.

– არა, ნუ წახვალ, ლაშას შესანდობარი არ გინდა დაგვილიო?

– დედა! – გასძახა მცირე ოთახში მყოფ თეონას მეგიმ – მამა გვესტუმრა და შენ ტირილით უნდა შეიქციო თავი თუ პურ-მარილით უნდა გააწყო მაგიდა?

– ახლავე, შვილო, დედა გენაცვალოს, რაო, აღარ მიდიხარ?

– ნეტავი გამაგებინა, როდის მივდიოდი?!

– ჰო, შვილო, გენაცვალოს დედა, ნუ მომკლავ ცოტახანს, არ მინდა ლაშა მშიერი დაგვირჩეს, უპატრონო მკვდრების ბედი ეწიოს და მდიდრებს მიაჩერდე სხელში.

თეონამ მაგიდა გააწყო და აკაკიც მოვიდა, მიეგებნენ კაცები ერთიმეორეს. მოიკითხეს, ცრემლი შეიმშრალეს და მაგიდასთან დასხდნენ. ყველა ეპოქაში, ყოველგვარ საკითხს ღვინო და მაგიდა წყვეტს, ქალს ცრემლი უქარვებს დარდს, კაცს – ღვინო და კაცთან საუბარი, მარტოობა ჯოჯოხეთია

ადამიანისათვის, ჯოჯოხეთი კი მოგეხსენებათ, ცოდვილთა საწამებელი ადგილია. ქვესკნელში, სადაც სულები იტანჯებიან, სააქაოსაც იტანჯება სულიერად ადამიანები, რომელთა სულებზეც ბოროტ ზეგავლენას ახდენს „ძლიერი ამა ქვეყნისანი“. სარწმუნოება კი კრძალავს მათზე ხელყოფას, არ ვიცი, რამდენად სწორია ამ შემთხვევაში ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება. ნუთუ ჩვენს წინაპრებს არ სწამდათ ღმერთი, რომ ბრძოლებით შემოგვინახეს სამშობლო? როგორ თავისუფლდებოდნენ უბრძოლველად უცხოელი დამპყრობლებისაგან? დღეს რატომ გვიკრძალავენ ბრძოლას და გვპირდებიან, რომ ჩვენი მჩაგვრელები ჯოჯოჯხეთში დაიტანჯებიან!

ოთხი ადამიანი იჯდა მაგიდასთან და ერთმანეთს შესცქეროდნენ, თითოეულს ხმის ამოღების ეშინოდა, რადგან მყუდროებას შეფარებულები უდარდელად გრძნობდნენ თავს. ადამიანები ასე რომ უფრთხილდებოდნენ, ამჟამად მყუდროება ჩანგალმა დაარღვია. სწორედ ჩვეულებრივი ჩანგალი გაუვარდა ხელიდან აკაკის, რომელსაც უხერხულად აწვალებდა ხელში, ჩანგალი თეფშს მოხვდა და მისმა წკრიალმა ოთხივე შეაკრთო:

– ოჰ, შენი! – წამოიძახა აკაკიმ და საუბარიც აქედან აეწყო.

– ყველა ადამიანის დანახვა მიხარია, მაგრამ შენ რომ დაგინახე ბატონო დიმიტრი, მყისვე ვალიდოლი ჩავიდე ენის ქვეშ, რომ არ ჩავქცეულიყავი. ვიცი, რისთვისაც იქნებით მოსული, ან კი რა მეთქმის, შვილი შენია, გინდ წაიყვან გინდ დატოვებ.

– მამებო! – საუბარში ჩაერია მეგი – გთხოვთ საკუთარი თავის საკითხი თვითონ გადამაწყვეტინოთ, არავის გასატანებელი და წამსაყვანი არა ვარ მე, გთხოვთ თვითონ მააზროვნოთ, ჩემი მწუხარება ჩემსავე გულის სევდაში ჩავახრ-

ჩო. რადგან ყოველი ადამიანი და მათ შორის მეც, იმდენად არის ბედნიერი, რამდენადაც გადაწყვეტილი აქვს იყოს უბედური. მე ჩემს მამას უკვე გავუსწორე ანგარიში და ვთქვი, აქედან არსადაც არ მივდივარ!

ისევ ისე სიწყნარე ჩამოვარდა. აკაკიმ ჭიქები შეავსო,ფ ეხზე ადგომით შესვეს ლაშას შესანდობარი, პირველ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და შეცურეს მწუხარების ზღვაში. დარდიანი გული გადაუშალეს ერთი-მეორეს. მამაკაცებმა დიდხანს ისაუბრეს, დიმიტრიმ საათს დახედა, დიდი დრო გასულიყო, წამოდგა, ტკბილად გამოემშვიდობა ყველას და კარებში გასვლისას წყნარად თქვა, მაგრამ ყველამ გაიგონა:

– ოჰ, ნეტავი არ წამიყვანა აქედან!

– ყველამ თავისებურად გადათარგმნა დიმიტრის ნათქვამი, თეონამ გაიფიქრა: – „მოეწონაო ჩვენი ბინა“ – აკაკიმ გაიფიქრა – „გაუძნელდაო ჩემთან საბურის მიტოვება“ – მხოლოდ მეგიმ იცოდა თუ როგორ უძნლედებოდა მამას ოჯახში დაბრუნება, სადაც არ გააჩნდა საკუთარი „მე“.

მეორე დღეს ადრე ადგა მეგი, მაგარმ თეონა უკვე ამდგარიყო და სამზარელუოში ფუსფუსებდა. ფეხაკრებით მიუახლოვდა, ხელი მოხვია, სითბო გაუზიარა და წყნარად უთხრა:

– ყოველთვის ჩემთან იარე, მარტო ნურასდროს ნუ გამიშვებ დედა, ახლაც ჩემთან წამოდი, უნივერსიტეტში უნდა წავიდე, დეკანი მყავს სანახავი იქნებ დახმარება გამიწიოს.

– რა დახმარება გინდა, შვილო?

– მაგას იქ მოისმენ ადგილზე.

უნივერსიტეტის დეკანი, არჩილი ამაღლობელი ადგილზე დაუხვდათ, მიღება ითხოვა მეგიმ. კარებში შეეგება არჩილი მომსვლელთ, შემდეგ სავარძლები შესთავაზა და თვითონაც მათ გვერდით დაჯდა. მოიგონეს ორმოცი დღის წინანდელი შემზარავი ამბავი, თუ როგორ აიშალნენ ბანკეტის მონა-

წილენი რესტორანში, თუ როგორ გამოუდგენ მკვლელთა კვალს, მაგრამ დიდი დრო იყო გასული, ვერ დაეწივნენ.

ბევრი საუბრის შემდეგ არჩილმა მამა-შვილური სევდიანი ღიმილით უთხრა მეგის:

– შენ ისეთი ახალგაზრდა ქალობა გააკეთე, დიდხანს ექნება საამაყოდ ჩვენს უნივერსიტეტს და დიდხანს იქნება საპატიო დაფაზე შენი სურათი. ვიცი სასაუბროდ არ მოხვიდოდით. მითხარით, რისთვის შეწუხებულხართ, შეუძლებელს შევძლებ და დაგეხმარებით.

– ბატონო არჩილ, თქვენც კარგად იცით, წარჩინებით, წითელ დიპლომზე დავამთავრე უნივერსიტეტი, გამომძიებლის ადგილი მინდა პროკურატურაში, იმედი მაქვს დახმარებას გამიწევთ, მასწავლებელო.

– არა, გენაცვალე, პროკურატურისათვის არ მემეტები, მე შენთვის ადგილი კათედრაზე მაქვს შერჩეული.

– არა, პატივცემულო, პირველად გამომძიბლის ადგილისათვის დამეხმარეთ და როდესაც ლაშას მკვლელებს დავაბორკილებ, შემდეგ ვიზრენებ კათედრაზე წყნარი ცხოვრებისათვის.

– აი, თურმე სად უმიზნებ, ყოჩაღ ქალო! მეამაყები, კარგი გამიზრდიხარ! – თქვა არჩილმა და წერილის წერას შეუდგა... დაწერა, კონვერტში მოათავსა და მეგის გადასცა.

– პირველ ხანებში უფროსი გამომიძებლის ტიტულით დაკმაყოფილდი, შემდეგ კი დრო გვიჩვენებს, ეს ბარათი პირადად გადაეცი რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ის შენ დაუსწრებლად გიცნობს! შეიძლება ხვალიდან შეუდგეთ სამსახურს! მადლობა არ მითხრათ, დაგჭირდეთ, მობრძანდით, მე მსიამოვნებს თქვენი დახმარება და სიკეთეს ჩემი სიამოვნებისათვის მეტად ვაკეთებ, ვიდრე თქვენთვის...

არჩილს გაუღიმა, წამოდგა, კარებამდის მიაცილა სტუმრები, მაგრად ჩამოართვა ხელი და ტკბილად გამოემშვიდობა...

რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ ჩიქოვანიც ადგილზე დაუხვდათ: – დღეს გვიმართლებს – თქვა მეგიმ და მდივანს პროკურორთან შესვლის ნებართვა გამოთხოვა.

– რა საკითხზე მიდიხართ პროკურორთან? – შეეკითხა ზორბად შელებილი მდივანი.

– წერილი გვაქვს გადასაცემი! – უპასუხა მეგიმ და კონვერტი გაუწოდა.

– შეგიძლიათ წაბრძანდეთ, ამას მე თვითონ გადავცემ!

– ქალბატონო, მე თქვენ ფოსტალიონი ხომ არ გგონივართ, პრესა ჩაგაბაროთ და წავიდე. კონვერტზე ქართულად აწერია და გასაგებად – „პირადად!“ ესე იგი პირადად უნდა გადავცე!

– არ მენდობით?

– ღმერთო ჩემო, ისევ თავისას გაიძახის. თქვენ რომელი ავტორიტეტი ბრძანდებით ჩემთვის, რომ გენდოთ, ჩემზედ მონდობილ, ესოდენ საიდუმლო ბარათს?

– კარგი, კარგი, თქვენს თვალწინ შვუტან!

– ისევ შევუტან! ხომ გითხარით, პირადად უნდა გადავცე-მეთქი?

– როგორც გენებოთ, მაშინ დაელოდეთ, პროკურორს ახლა არ სცალია!

– კარგი, დაველოდები, მაგრამ ჩემი ლოდინი თქვენ ძვირი არ დაგიჯდეთ! – უთხრა მეგიმ და ჩანთიდან ფიჭური ტელეფონი ამოიღო.

– მიჩივით? კარგი არ გინდა გადარეკვა, შევეკითხები თუ მიგიღებთ! – თქვა მდივანმა და ტყავგადაკრული კარი შეაღო. მალე გამობრუნდა და ქალებს ზიზღნარევიხმით უთხრა: – შედით!

პროკურორმა თავაზიანად მიიღო მეგი და თეონა, გამოიკითხა ოჯახური პირობები და მხოლოდ შემდეგ წაიკითხა არჩილ ამაღლობელის გამოგზავნილი წერილი.

– ააა, თქვენ ეს ლეგენდარული მეგი ბრძანდებით? დაუსწრებლად გიცნობდით და მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება პირადად გამეცანით!

– დიახ, ბატონო, მაგრამ სალეგენდო ჯერ არაფერი გამიკეთებია.

– ვიცი, ვიცი... განცხადება გაქვს დაწერილი?

– დიახ, ბატონო, – უპასუხა მეგიმ და განცხადება მიაწოდა. პროკურორმა განცხადება წაიკითხა, უხმოდ მოაწერა ხელი და მეგის დაუბრუნა:

– კადრების განყოფილებაში შეიტანე, გაგაფორმებენ, როგორც ბატონი არჩილი მწერს – უფროს კვალმაძიებლად!

– პირადი სათხოვარი მაქვს თქვენთან, ბატონო ვახტანგ! – ძლივს ამოღერღა სიტყვა მეგიმ.

– ბრძანეთ!

– სახის პლასტიკური ოპერაცია მინდა გავიკეთო, თუ ნებას დამრთავდით!

– რას ამბობ, ქალიშვილო, თქვენს სილამაზეს კიდევ ოპერაცია ესაჭიროება?

– დიახ, ბატონო. არ მინდა ვიყო ლამაზი. ბოროტმოქმედთან ბრძოლას სილამაზე არ მოუხდება, ცოტა მინდა დავმახინჯდე, რომ შიშის ზარი დავცე ბოროტმოქმედთა სამყაროს...

– შენი სილამაზის ხელყოფა იქნება? არა, ვერ დაგთანხმდებით!

– სწორად გამიგეთ, ბატონო ვახტანგ, მე სიყვარული მომიკლეს, ახლა არ მინდა ვინმემ შურის თვალით შემომხედოს და ჩემში ახალი სიყვარული დაბადოს. ვინმეს სასიყვარულო სიტყვა ან ბარათი პირველი სიყვარულის ჭრილობებს გამიხსნის და შეიძლება თვითმკვლელობამდე მიმიყვანოს, წინასწარ მოფიქრებულად თავიდან რომ ავიცილოთ ხიფათი, ამიტომ მესაჭიროება სახის ოპერაცია!

– მერე მე რა შუაში ვარ, გაიკეთე, ბატონო!

– თქვენი თანხმობა მესაჭიროება, ბატონო ვახტანგ, შეიძლება ხვალ ვერც კი მიცნოთ თქვენთან რომ შემოვალ და თქვათ: – „ეს პიროვნება სამსახურში არასდროს მიმიღიაო“.

– არც ასეთი გულმავიწყი ვარ! – თქვა პროკურორმა და გაიღიმა.

– ესე იგი თანახმა ბრძანდებით?

– კარგი, ვარ თანახმა, მაგრამ არც ისე დამახინჯდეთ, რომ ვეღარ გიცნო! – დათანხმდა ხუთწუთიანი დუმილის შემდეგ პროკურორი.

– მაშინ ამ განცხადებაზედაც მომიწერეთ ხელი! – ღიმილით გაუწოდა ფურცელი მეგიმ.

– ეს რაღა განცხადებაა? – გაიკვირვა პროკურორმა.

– რომ თანახმა ბრძანდებით, გავიკეთო სახის პლასტიკური ოპერაცია!

– ვერაფერი გამიგია, ეს რაღა საჭიროა? – თქვა ვახტანგ ჩიქოვანმა, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა და განცხადებას თანხმობის რეზოლუცია წააწერა. – ღმერთო, შემინდე თუ ამ სილამაზეს უკანასკნელად ვხედავ! – გაიფიქრა და აკანკალებული ხელით გადასცა ხელმოწერილი განცხადება მეგის!

კარებამდის მიაცილა სტუმრები პროკურორმა და ხასიათმოწამლული თავის სავარძელში ჩაჯდა, მდივანს გამოუცხადა არავის მივიღებო და ფიქრს მიეცა – „ღმერთო, რამდენ საცოდაობას იტევს ეს ქვეყანა, ქალისაგან სილამაზის სიკდვილი პირველად მესმის, ქალთა ტომი უმშვენიერესია ცოცხალ არსებათა შორის მთელ სამყაროში, მაგრამ ეს მეგი, ყველასაგან გამოირჩევა ისე, როგორც ანგელოზთა შორის გამოირჩეოდა ლიციფერი* რომელიც თავისივე სი-

* ლიციფერი – ყველაზე ლამაზი ანგელოზი, რომელიც თავისივე სილამაზემ აცდუნა, ღმერთს შუღლი გამოუცხადა და გველში ჩაისახა.

ლამაზემ აცდუნა. ნუთუ მეგიც თავისივე სილამაზის ტყვეა და ამიტომ უნდა მოიცილოს? არ შეიძლება, ვინმემ დახატოს ანგელოზი და მეგიზე უკეთესი გამოუვიდეს: სახით, ტანადობითა და მშვენიერებით. ნუთუ მეტად ვეღარ ვიხილავ მეგის სილამაზეს? ვინც დაამახინჯებს, გაუგებელი არ დამრჩება და ციხეში ამოვალპობ. – ბოლო სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა პროკურომა და საიდუმლო კარიდან გავიდა ქუჩაში.

მეგი და თეონა კადრების განყოფილებაში შევიდნენ, განცხადება და დიპლომი გაუწოდა მეგიმ კადრების განყოფილების უფროსს.

– მშვენიერებაა! ერთი-მეორესთან შერწყმული და ერთი-მეორეზე ულამაზესი ქმნილება. პირველად ვხედავ ერთ სხეულში ორ სილამაზეს. წითელი დიპლომი ქალღმერთ აფროდიტეს ხელში. საოცრებაა. თქვა კადრების განყოფილების გამგემ და ზეზე წამოდგა: – ქედს ვიხრი თქვენი განათლებისა და სილამაზის წინაშე, ქალბატონო! ბრძანებას ხუთიოდე წუთში მოგართმევთ, შეგიძლიათ, ხვალვე მობრძანდეთ სამსახურში.

– გმადლობთ კომპლიმენტისთვის, რაც ქალებს ძლიერ სიამოვნებთ, მაგრამ სანამ ბრძანებას დაწერდეთ, ერთი თხოვნა მაქვს და გთხოვთ განათლებისა და სილამაზის საპატივცემულოდ შემისრულოთ.

– ბრძანებთ, ჩემს ძალას რომ აღემატებოდეს, იმის შესრულება თქვენს სილამაზეს მაინც ვერსად გაექცევა და აუცილებლად შევასრულებთ.

– დღეს თვრამეტი რიცხვია, გთხოვთ, ბრძანება მომავალი თვის პირველი რიცხვიდან დაწეროთ, რადგან თვის დასაწყისიდან შევუდგები სამსახურს.

– ეს სრულებითაც არ არის ძნელი დავალება, ჩათვალეთ, რომ თქვენი თხოვნა შესრულებულია! – უთხრა ყურებამდის გაღიმებულმა კადრების განყოფილების უფროსმა და ისეთი

მზერი თგააცილა კარებშიგამავალი მეგი, რომ კიდევ დიდ-ხანს ედგა თვალწინ ქალიშვილის აჩრდილი.

მართლაც ლამაზი იყო მეგი, ლამაზი იყო ბავშვობიდანვე, მაგრამ ასეთი ლამაზი არასოდეს ყოფილა, შავ ტანსაცმელ-ში ისე გამოიყურებოდა, როგორც წყვდიადში ამოსული მა-ნათობელი ვარდი. სახიდან ტერფამდე – ყველაფრამდე შემ-კობილი ადამიანი იშვიათი მოვლენაა ბუნებაში და ამიტომ ამ საოცრებას ყველა შემხვედრის თვალი მიაცილებდა.

– დღეს კარგი საქმე გავაკეთეთ, ღმერთმა თუ ყოველდღე ასე გაგვიმართლა, მალე ვასიამოვნებ ლაშას სულს! – თქვა მეგიმ და თეონას თანაგრძნობით გადახედა.

– ნეტავი გამაგებინა რა გაქვს ჩაფიქრებული, ლაშას სული ნასიამოვნებია, აღარ უნდა მას აფორიაქება. ორი ოჯახი და ექვსი ადამიანის სიცოცხლე შენ შემოგყურებს, თავს ცუდი არაფერი აუტეხო, თორემ იცოდე, ჩემი ცოდვაში მიწაში არ დაგაყენებს, მკვლელი უშენოდაც დაიტანჯება, მას არ უნდა შენი ანგარიშსწორება, მათზე შურისძიებით მეტ ზიანს მიაყენებს საკუთარ თავს და დაღუპავ ორ ოჯახს.

– აბა, რას მირჩევ, ფიცი გავტეხო? მიცვალებულის სულის წინაშე დადებული ფიცი, რომელსაც თვალცრემლიანი ისმენდა ხალხი? როგორ წარვსდგე ლაშას წინაშე? რა ვუთხრა ხალხს?

– მაგ დროს ფიცის ღალატი ცოდვად არ ჩაითვლება. რა-ღაცას გამწარებული ჭირისუფალი იტყვის, ხალხი დაივიწ-ყებს იმის სიტყვას და უფალი შეუნდობს.

– ხალხი დაივიწყებს, ემახსოვრებათ მხოლოდ მეორე უარესის მოსვლამდე. მე კი ვერ დავივიწყებ, დედა თეონა, ვერა! სიტყვა ქარს არ უნდა გაატანო, რა ვქნა ანდერძი შე-სასრულებლად მეძახის!

– ოხ, ნეტავი მოვკვდებოდე, ღმერთი არ მაძლევს უფლე-ბას თავი მოვიკლა და ცხვრად დავეკლა ჩემს შვილს, მაგრამ იმასაც მეუბნება უფალი, შენ მიტირებ მე.

– ჰო, კარგი, დედა თეონა, მხოლოდ დაწყნარდი და ახლავე გიტირებ, მეტი რა ვისწავლე შენგან? დღეს ბევრი და კარგი საქმე გავაკეთეთ, ახლა დავისვენოთ, ხვალ კიდევ გვაქვს გრანდიოზული საქმე გასაკეთებელი, შენ ხომ ისევ ჩემთან იქნები?

– ვიქნები, მაგრამ რას გააკეთებ? ყველა შენს სილამაზეს მოჩერებია, მეც შურის თვალით დავინახო?

– ხვალიდან მაგ პრობლემა მოგეხსნება, ჩემს სილამაზეს ველარავინ დაინახავს.

– რაებს ლაპარაკობ, გოგო, შენ! მითხარი ბოლოს და ბოლოს, მე მკლავ თუ შენ კვდები?! – აენთო მოთმინებიდან გამოსული თეონა.

– არც შენ მოგკლავ, არც მამიკოს, დედა, არც მე მოვკვდები, ნუ გეფიქრები, ადრე თუ გვიან უფალი მოგვკლავს, მაგრამ მაშინაც დედა იქნები.

– აგაშენა ღმერთმა, ჩალექსე და მომეცი იმედი, იმედი მაინც არ მოკვდეს ხალხში, თორემ იმედი თუ დაიღუპა, დაიღუპება საქვეყნო საქმეც, მაშინ დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ყველა ერთი მიმართულებით წავა მარილზე.

მეგის გაეღიმა.

მეორე ღდეს დილით ადრე ადგა მეგი. ალბომი გადმოიღო, ლაშასა და თავისი სურათები მოძებნა, შემდეგ სარკეში ჩაიხედა. დღევანდელ სილამაზეს შეადარა წარსული, აწმყო ჯობდა, აყვავების ხანა დადგომოდა ქალწულს; ჩაიცვა, წასასვლელად მოემზადა, მაგრამ თეონამ გაიგონა წყნარი ფეხის ხმა და თვითონაც დატოვა თბილი საწოლი.

– დილა მშვიდობისა, მეგი! სად მიდიხარ, ასე ადრიანად რომ ამდგარხარ, შვილო? – ნამძინარევი ხმით შეეკითხა თეონა.

– არსად, დედა, შენ გელოდები, ერთ ადგილზე მინდა წავიდე. წამომყვები?

– რაღას მეკითხები, გადავწყვიტე, შენს ჭკუაზე ვიარო. უმჯობესია, თოკი ჩამაბა, აღარ დაგეკარები.

– თავს ნუ იკატუნებ. მე სათოკე დედა არ მყავს. აბა, ჩაიცვი მე საუზმეს მოვამზადებ. მეგი სამზარეულოში შევიდა. თეონა თალხებში გამოეწყო. ისაუზმეს სახელდახელოდ გამზადებული საუზმით, აკაკისაც გაუმზადეს საუზმე და წყნარად გაიხურეს კარი.

– დედა, მოდი სურათები გადავიღოთ, შევინახოთ სახის სილამაზის მოსაგონებლად. შესთავაზა მეგიმ თეონას და თანხმობას არ დალოდებია. ფოტო ატელიე „კოდაკში“ შევიდა. რამოდენიმ ეპოზა სურათი გადაიღო თეონასთან ერთად. ფული გადაუხადა ფოტოგრაფს და უთხრა, ხვალ ეს ქალი გამოივლის და გამოატანეთო. მართლაც კარგი სურათები გამოვიდა, საკუთარ სარეკლამო დაფაზეც გამოაკრა ფოტოგრაფმა. ფოტო ატელიიდან გამოვიდნენ თუ არა ტაქსი გააჩერა მეგიმ. „ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი“ იცი, სადაც არის? – შეეკითხა მძღოლს.

– კი ვიცი, კანის შეცვლის ცენტრია, იობაშვილის ქუჩაზე.

– ჰო და იქ მიგვიყვანე. ორი ვართ!

– სიამოვნებით! – უპასუხა მძღოლმა და რამოდენიმე წუთში ადგილზე იყვნენ. აკადემიკოსი დავით ჯანელიძე იკითხა მეგიმ, მიასწავლეს. კარი დაუკითხავად შეაღო და ფართო კაბინეტში აღმოჩნდა, საწერ მაგიდასთან თმაშევერცხლილი, სამოციოდე წლის მამაკაცი იჯდა: – შეიძლება? – მხოლოდ ახლა ითხოვა შემოსვლის ნებართვა მეგიმ.

– თქვენ უკვე შემოხვედით! დაბრძანდით! – უპასუხა დავითმა და სავარძლებისაკენ ფართოდ გაშალა ხელი.

როდესაც ქალების ავარძელში ჩასხდნენ, აკადემიკოსმა შეახსენა თუ რისთვის იყვნენ მოსულები და წყნარად უთხრა:

– გისმენთ!

– ბატონო დავით, ჩვენ პროკურატურის საგამომძიებლო

ორგანოდან ვიმყოფებით; ინებეთ ჩვენი საბუთები! – მეგიმ პირადობის მოწმობა გაუწოდა აკადემიკოსს.

– ოჰო, საინტერესოა, რისთვის დაინტერესდა პროკურატურის საგამომძიებლო ორგანო ჩემი პიროვნებით?

– არა მარტო თქვენი პიროვნებით, ბატონო დავით, არამედ თქვენი ხელმძღვანელობით მომქმედ ყველა ექიმის საქმიანობით ვართ დაინტერესებული.

– კერძოდ? ჩვენთან კანონსაწინააღმდეგო არაფერი კეთდება. ასე რომ, ჩვენთან ჭიდილში სამძებრო ორგანო კბილმოკვეთილი დარჩება!

– ბატონო დავით, როგორც ვხედავ, ცუდად ერკვევით საგამომძიებლო ორგანოს საქმიანობაში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სანამ დანაშაულის ადგილს მიაკითხავდეს კვალმაძიებელი, ხელმოსაკიდებელი საქმის ოთხმოცდაათი პროცენტი უკვე გამოძიებული აქვს. თქვენ ბრძანეთ, რომ „კანონსაწინააღმდეგოს“ არაფერს აკეთებთ, რა თქმა უნდა, მე მჯერა აკადემიკოსის, მაგრამ ფაქტები სხვაგვარად საუბრობენ. (მეგიმ ჩანთიდან საქაღალდე ამოიღო) აი აქ არის რამდენიმე ადამიანის ჩვენება, რომელთაც თქვენს კლინიკაში გაუკეთეს სხეულის სხვადასხვა ორგანოს გადანერგვა, როგორ გგონიათ, ეს კანონს არ ეწინააღმდეგება? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ის ჯანმრთელი ადამიანები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ და თქვენს კლინიკაში ნაწილ-ნაწილ გაიყიდნენ, არც ეს ეწინააღმდეგება კანონს?

აკადემიკოსს მრავალჯერ ეცვალა ფერი და ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა.

მეგი კი განაგრძობდა საუბარს:

– აი, ინებეთ რესპუბლიკის გენერალური პროკურორისაგან სანქცირებული განცხადება. ასე რომ, მთლად სახუმაროდ არა გაქვთ საქმე.

– რაო, რას მოითხოვს პროკურორი, შევიხსნათ ქამრები? – როგორც იქნა ამოილუღლუღა დავითმა.

– არა, ბატონო დავით, ჩვენ დუმილიც შეგვიძლია!

– რაო? მერე და რას დამტკანჯე კაცი, შიშით ჩავისველე უკვე! რას მოითხოვთ თქვენი დუმილის საზღაურად?

– ბევრს არაფერს, სახის პლასტიკურ ოპერაციას!

– დღესვე მოიყვანე ვინც არის, თუ ღმერთი გწამს, მხოლოდ ეგ საქაღალდე დამიტოვე!

– საქაღალდეს თქვენს თვალწინ დავწვავ, მე კი აქა ვარ, ოპერაცია მე მესაჭიროება!

– თქვენ რისი ოპერაცია გესაჭიროებათ, მითხარით – სახისო, მე უკეთესი სილამაზე არ შემიძლია შევქმნა!

– სიმახინჯე?

– რას ამბობთ, დაგამახინჯოთ?

– დიახ!

– არა, გენაცვალე, მაგ საქმეს ვერ ვიზამ, მე სილამაზეს ვქმნი და სიმახინჯეს ვებრძვი, თქვენ კი პირიქით ბრძანებთ, ჩავიცვამ თბილად და წამიყვანეთ. ციხეში ყოფნა მირჩევნია, ვიდრე თქვენს დასამახინჯებლად ლანცეტი ავიღო ხელში.

– კარგი, ბატონო დავით, თავს მამა აბრამის ბატკნად ნურვის მოაჩვენებთ. განა ის ბავშვები ლამაზები არ იყვნენ, დღე სრომ ქუჩაში სხედან და მათხროვრობენ? მათი სიმახინჯის ცოდვა თქვენს ლაბორატორიას ხომ არ აწევს გულზე?

– ოჰ, არა, ღმერთმა დამიფაროს! – თქვა აკადემიკოსმა, მაგრამ რაღაცატომ ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა.

– ჰო, და იმას გეუბნებოდი, ბატონო დავით, ამ საქაღალდეს თქვენი თვალის წინ დავწვავ. პროკურორიც გაჩუმდება და ეს ქალბატონიც, რომელიც მე მახლავს, მხოლოდ ამ მდგომარეობის სანაცვლოდ ოპერაციაც მაღალ დონეზე უნდა ჩაატაროთ, რაც კი გინახავს ფიზიკური სიმახინჯე,

ყველამ ჩემს სახეზე უნდა მოიყაროს თავი. მხოლოდ პასუხს აგებთ ჩემს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურორიც ალაპარაკდება და ამ ქალბატონის ვიდეო ფირიც.

– ჩვენ სიცოცხლესთან და ჯანმრთელობასთან რა ხელი გვაქვს, ფაქიზად კანზე ვმუშაობთ მხოლოდ!

– გასაგებია, მაგრამ შეიძლება თქვენ იფიქროთ, ჩვენი შავ-ბნელი საქმის ერთ-ერთ მოწმეს მოიშორებთ და საშიშროებაც გაქრება, მაგრამ ხომ უნდა გაგაფრთხილოთ, ჩემს უკან დგანან ჩემზედ საშიში და დაუნდობელი ადამიანები.

– ბოლოს და ბოლოს მუდამ შიშში უნდა ვიყო?

– არა გამოსავალი გაქვს! დღეიდან კანონსაწინააღმდეგო სამსახურს შეეშვით. დღემდე კი რაც შეცოდება ჩაგიდენიათ კანონით ჩვენ გპატიობთ, სულიერად ღმერთმა გაპატიოთ.

– არავითარ შემთხვევაში, შვილი არ დამიმახინჯოთ, თორემ გადაგწვავთ! – სკამიდან წამოფრინდა თეონა – თქვენ იცით ქალისთვის რა არის სილამაზე? სწორედ სილამაზისთვის იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს, ხმაურობენ სხვადასხვა სახის „მაზებს“ და რა ვიცი კიდევ რა გითხრა, შენ კი ორმოცი დღეა პირი არ დაგიბანია და მაინც გამოირჩევი ყველასაგან, მე არ გაძლევ უფლებას, სილამაზე მოკლა, რადგან ეს მარტო შენი კუთვნილება არ არის, მეც და მრავალი სხვაც ტკბება შენი სილამაზით!

– სწორს ამბობთ, ქალბატონო, მეც თქვენი აზრისა ვარ! – დაუმოწმა სიტყვა თეონას დავითმა.

– ვიცი, რომ სწორს ბრძანებთ! – თვითონაც არ აიცილა შემოტევა მეგიმ – მაგრამ რატომ არ გესმით, რომ მე ვარ პროკურატურის გამომძიებელი და არა ამორალური სექსის სადგურში მომუშავე. მე არ მინდა ვიყო ლამაზი, რაც მეტად ვიქნები მახინჯი, ამით მეტ თავზარს დავცემ დამნაშავეებს. შენ კი დაწყნარდი, დედა, ჩემში სახის სილამაზე მოკვდება

და არა სულის, შენ რომელი გირჩევნია, სულიერი სილამაზე მოვკლა და ხორციელი სილამაზე დავიტოვო?

– არა, ორივე უნდა გქონდეს, შენ არა გაქვს უფლება, ღმერთის ნაბოძები სილამაზე ეშმაკს მიუგდო. როგორც ხარ ღმერთისგან დაჯილდოვებული, ასე უნდა იყო სიცოცხლის ბოლომდე.

– სილამაზე სიყვარულს ემსახურება, დედა. მე ღმერთმა სიყვარული წამართვა და ახლა სილამაზე ვის ვამსახურო? სხვა შევიყვარო? ეს არ მოხდება, „სიყვარული კაცთა მაღალ-დაბლობაზე დაფუძნებულ სიჯიუტეს არ ემორჩილება“. გავჯიუტდე და შევიყვარო? გეუბნებით, გული არ მემორჩილება-მეთქი, ნეტავი გამაგებინა, რისთვის მინდა სილამაზე, ყოველდღე რომ მამაკაცთა კომპლიმენტები მოვისმინო? შენ ერთი დღე იარე ჩემთან და ხომ ხარ მოწამე, რომ სიმართლეს ვლაპარაკობ. ბევრი მიფიქრია, განა მე მინდა დავკარგო ქალის უდიდესი საგანძური? ნამდვილად არ შეველეოდი და მონააზღვნად აღვიკვეცებოდი სადღაც შორეულ ეკლესიაში, როგორც განდეგილი, მაგრამ რა ვქნა, შურისძიების გრძნობა არ მაყენებს, მეც ამ ბრბოში უნდა ვიტრიალო, სადაც ჩემზე მეტი ცოდვილები დაბოგინებენ.

– რომელი შურისძიება მოგინდა, შვილო, შენ გავიწყდება, სუსტი სქესის წარმომადგენლად რომ ხარ გაჩენილი? საქმეს რომ იწყებ, ისიც უნდა აწონ-დაწონო, ამ საქმეს როგორ შემოევლება და რანაირად გაქვს ძალა გამარჯვებისა?

– ზოგჯერ დამარცხებაც გამარჯვების ტოლფასია, დედა. უბრძოლველად დანებებაა სირცხვილი, სირცხვილი კი დამარცხებზე ათასჯერ უარესია. მე უნდა ვიბრძოლო, მახვილითა და კანონის ძალით, ჩემი დამარცხება შეუძლებელია, მე გავიმარჯვებ, რწმენა მაქვს ასეთი.

– მართლა იურისტი ხართ, კარგად მსჯელობთ, ვეღარაფერს ვეღარ გეუბნებით. ხვალ მობრძანდით და ისეთ ოპე-

რაციას გაგიკეთებთ, ეშმაკს გაეჯიბრებით სიმახინჯეში! – უთხრა აკადემიკოსმა დავით ჯანელიძემ და ხელი გაუწოდა საქაღალდის გამოსართმევად, მაგრამ მეგიმ თავი გაუქნია უარის ნიშნად და ასანთი მოსთხოვა აკადემიკოსს. დავითმა სანთებელა მიაწოდა, მეგი წამოდგა, ბუხართან მივიდა და საქაღალდეს ცეცხლი მოუკიდა, საქაღალდე მთლად დაიფერფლა, მეგიმ საკეცე აიღო და ფერფლი გაანადგურა.

– ახლა ხომ დამშვიდდით? – შეეკითხა აკადემიკოსს – ვნახოთ, ხვალ მე როგორ გუნებაზე ვიქნები.

– შენს სახეს მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაინახავთ. ხვალ ჩვეულებრივ დოლბანდებში იქნები გახვეული.

– კარგად ბრძანდებოდეთ. ჩენ ყველაფერზე შევთანხმდით, ხვალ გეახლებით! – უთხრა მეგიმ და თავაზიანად გამოემშვიდობა დავითს.

ოპერაცია მტკივნეული არ აღმოჩნდა, აკადემიკოსი ყოველთვის მის გვერდით იყო, ოპერაცია პირადად მან გააკეთა და თავის ტყავს მეტად უფრთხილდებოდა, ვინემ მეგის სახის კანს.

მესამე დღეს შეხსნეს დობლანდი და თვით აკადემიკოსიც კი შეკრთა თავისი ნახელავის სიმახინჯით. ეს იყო ჩონჩხზე გადაკრული გამჭვირვალე კანი, რომელშიდაც ძალიან კარგად მოჩანდა ძვლები და კბილებიც კი. კანის გაუთოებას თვალები გაეფართოებია და გეგონებოდათ ბუდიდან აპირებენ გადმოხტომასო. წარბები და წამწამები ბანჯგვლიანი თმით იყო დაფარული, ასე ერთობ, გუშინდელი ულამაზესი მეგი დღეს საშინელებას წარმოადგენდა. თეონამ, რომელიც სამი დღე მეგის საწოლს არ მოშორებია, დოლბანდის შეხსნის დროს დატოვა პალატა: – გული არ გამიძლებს, რომ ცუდად დავინახოო – თქვა.

მეგიმ სარკე მოითხოვა, არ მოუტანეს, – „კიდევ სამი დღე იქნები ჩვენთან და შემდეგ ჩაიხედეო!“ – უთხრა აკადე-

მიკოსმა. შემდეგ მკვებავი მაზები წაუსვა და ისევ შეახვია. მესამე დღეს ისევ მოხსნეს დოლბანდი, იგივე საშინელება დაინახა აკადემიკოსმა და ნება დართო, სარკეში ჩაეხედა. მთელი დღე და ღამე იტირა, მდუღარე ცრემლით გამოემშვიდობა თავის სილამაზეს, თეონამ დაინახა თუ არა მხოლოდ ერთი დაკივლება შესძლო და ექიმების ჯგუფს დიდი გარჯა დასჭირდათ, რომ მოებრუნებიათ სააქაოსკენ.

თანდათან შეაჩვია მეგიმ თვალი თავის საშინელ სახეს. ახლა აღარც ტიროდა და აღარც უფრთხოდა, თითქოს ასე ყოფილიყოს დაბადებიდან. სარკეშიდაც ხშირად იხედებოდა და სახეზე დაეძებდა ნაკლს, რაც ოპერაციის დროს უნდა ყოფილიყო დაშვებული, მაგრამ ვერ აღმოაჩინა.

– კარგი, საშინელება ვარ! – თქვა ბოლოს. – მაგრამ ეს მკერდი, ბევრ მამაკაცს აღუძრავს სურვილს! – და აკადემიკოსთან შევიდა კაბინეტში.

– ბატონო დავით, დიდად კმაყოფილი ვარ, კარგი ნახელავი გამოგივიდათ. – უთხრა ღიმილით, მაგრამ ეს არ იყო ღიმილი, ეს იყო ჩონჩხის ქვედა ყბის ჩამოვარდნა და ენის სარსალი. იცოდა ვინც იყო, მაგრამ მაინც შეეშინდა დავითს, თვალი მოარიდა და ერთი სული ჰქონდა, როდის გავიდოდა კაბინეტიდან. „მოჩვენება“ არ ჩქარობდა, დაუკითხავად გამოსწია სავარძელი და პირისპირ დაუჯდა აკადემიკოსს.

– ბატონო დავით, ნამდვილად კარგი ვარ, სწორედ ისეთი, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ ეს სავსე მკერდი ზომაზე მეტად მაუშნოვებს, ამიტომ გთხოვთ, მარჯვენა ძუძუ მომკვეთოთ, ყოველგვარი ნარკოზისა და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებათა გარეშე, მინდა სულიერ ტკივილს შევადარო ხორციელი ტკივილი და გავიგო, რომელი უფრო მტკივნეულია.

– შევცდი, ოპერაცია რომ გაგიკეთე ჯანმრთელობის ცნობის გარეშე „ფსიხო“ უნდა მოგეტანა ჩემთვის, ნუ მიწ-

ყენ და შენ ნამდვილად არ იმყოფები სრულ ჭკუაზე. შენ თუ არა, მაშინ მე უნდა ვიყო გიჟი, რომ შენ მკერდს მოსაკვეთად შევეხო.

– კი, შენ კარგი კაცი ხარ! შეეხები! მოკვეთის უფლებას გაძლევ, მოფერებისას – არა! – ისევ გაიცინა მეგიმ.

– თქვენ გაქვთ წარმოდგენილი, ეს რა თული ოპერაცია არის?

– არ ვიცი, მინდა გავიგო, შევიგრძნო და შევადარო!

– ერთი ძუძუს მოკვეთის შემთხვევაში, მეორეში გადადის ძალი და ეს მეორე შესაძლებელია გაიზარდოს ისე, რომ ვეღარც აზიდო, ამიტომ მოდი, ხელოვნურად დავაპატარაოთ, ნუ მოიკვეთავ.

– თანახმა ვარ, მკერდი დააპატარავე, მხოლოდ მამაკაცის მკერდს არ უნდა აღემატებოდეს.

– ათი დღის მკურნალობა დაგჭირდებათ!

– გავჩერდები, მაგრამ შედეგს თუ ვერ მივაღწიეთ, შემდეგ ოპერაციას გაგაკეთებინებთ, მპირდები?

– შედეგს მივაღწევთ, არც ოპერაცია იქნება საჭირო და არც დაპირება!

გავიდა ათი დღე და აკადემიკოსსაც და მეგისაც ორივეს ერთნაირად გაუკვირდა, სად გაქრა ქალიშვილის მკერდი, რომ არც კი ეტყობა თუ აქ ოდესმე რამე ჰქონია...

დასევდიანებული დარჩა თავის კლინიკაში აკადემიკოსი, მეგი კი კმაყოფილი დაბრუნდა აკაკი ჩხეიძის ოჯახში. ახლა აკაკიც ჩაერთო ქალების ტირილში და მთელმა ოჯახმა დიდხანს იგლოვა დაკარგული სილამაზე.

მთელი ერთი კვირა სახლიდან გარეთ არ გამოსულა მეგი, ერთი კვირის შემდეგ კი ჩადრით დაიწყო სიარული და გადაწყვიტა ბებია თამარი მოენახულებინა. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა და დღისით-მზისით ჩადრში გახვეული შვილიშვილი ეწვია ბებიას.

– ვიცოდი, შვილო, რომ მოხვიდოდი, აბა ასე როგორ დაივიწყებდი შენს გამზრდელს და შენს საყვარელ ბებიკოს? – უთხრა თამარმა დანახვისთანავე მეგის.

– ჰო, მოვედი ბებო, მომენატრე, დიდხანს არ შეგაწუხებ. მალე წავალ!

– რატომ შვილო, იყავი, სულ აღარ იხედები აქეთ. ნეტავი რა დავაშავეთ ასეთი? შეყვარებული ვის არ ჰყოლია, მაგრამ თან არავინ გადაყოლია!

– ჰო, შენც ხომ გყავდა შეყვარებული, დახრჩობას გადაგარჩინა, მე კიდევ სიკვდილს, ჩემი მოსახვედრი ტყვია მოიხვედრა, შენ მართალი ხარ, ძველად იცოდნენ მაგარი სიყვარული, ახლანდელი ახალგაზრდობა გაფუჭდა აღარც უფროსების დაფასება იციან და აღარც სიყვარულის!

– სწორედაც რომ მართალი ვარ. აბა ეს რა სიყვარულია. ჩადრაფარებულმა იარო, ორმოცი დღის შემდეგ ვიღას გლოვოებენ ახლა, გააჭირე საქმე, ყველაფერში შენ უნდა იყო მაგალითი?

– მე ლამაზი ვარ, ბებო და იმიტომ ვატარებ ჩადრს, კაცები არ მინდა დავატყვევო, ჰო, მართლა სად არის ის შენი რჩეული, დამივიწყა?

– დალოცა ღმერთმა, მგონი საჩვენოსკენ მოიხედე, მე ცუდს არაფერს შეგირჩევდი, შვილო, კარგი ბიჭია და კარგი ოჯახის შვილი, ვაჟკაცი და განათლებული, შევუთვლი და მოვა ჩემს ძმასთან ერთად.

– ის კარგი ბიჭი კი არა, ძალზედ ცუდი ბიჭია, ბებო, ინსტიტუტიდან გამორიცხული, ნარკომანი, ლოთი და მექალთანე. ვის ხელში გინდოდა ჩაგეგდე, ბებო. რა დაგიშავე, რისთვის მომიკალი სიყვარული, მე გამომძიებელი ვარ და დავაზუსტე, ყოველი უბედურების სათავე შენ ხარ, შენ ამოაყვანინე ძმას გადაგვარებული ქართველი და დასაღუპავად გამიმეტე, შენ მოაკვლევინე მათ ის ჩემი სიყვარული,

ვინც ცოტა თუ ბევრად ხელს გიშლიდა, შენი ჯიშისათვის გაგეტანებია ჩემი თავი და სამუდამოდ გაგეწირე. შეყვარებული გყავდა ახალგაზრდობაში და შენ იცი სიყვარულის ფასი მრცხვენია, რომ შენ სიყვარულის სახელს ახსენებ. შენ ბოროტებისთვის გაჩენილი გული გაქვს და არა სიყვარულისთვის! რომ ბებია არ იყო ჩემი, შენს გულს ახლავე ამოვიღებდი და საკუთარი ხელით გავჭყლიტავდი, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებ, რადგან ბებია ხარ და გშველის სისხლით ნათესაობა. თუმცა შენს სიცოცხლეში სავალალოდ ისიც გეყობა, რასაც ახლა იხილავ. რათა ჩემი სიმახინჯის პირველი წარმომადეგენლი შენა ხარ, რომ ლამაზი ვიყავი, აი ახლა დატკბი ჩემი სილამაზით! – უთხრა მეგიმ და ჩადრი მოიხადა, თამარი შეკრთა, პირი დააფჩინა, თვალები გაუფართოვდა, ერთი არაადამიანურად დაიღრიალა და ჩაიკეტა. მეგიმ წყნარად გამოიხურა კარები და ისე წამოვიდა, ბებიასთვის წყალიც არ უპკურებია მოსასულიერებლად, თამარზე კი ამბობენ: – იმ დღიდან ფეხზე აღარ ამდგარა, მიიჯაჭვა ლოგინმა...

* * *

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წელია, შავი ღრუბელი ჩამოწვა საქართველოში. დაიწყო თბილისის ომი, ბრძოლა სავარძლისათვის, უპატრონოდ მიატოვა ხალხი და გაიქცა პრეზიდენტი, დაიწყო დასავლეთ საქართველოში არეულობა, იფეთქა აფხაზეთის ომმა, აჯანყდა ოსეთი.

სწორედ ამ არეულობის დროს, გადაწყვიტა მეგიმ გალში წასულიყო. არა და სამეგრელოში სიკვდილი თარეშობს. დაუჩოქა აკაკიმ და თეონამ, არ გადაედგა სასიკვდილო ნაბიჯი, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ გადაათქმევინეს, დაიხურა ჩადრი, შეიბა წვივზე ჩუან-ჩაო-შინის ნაჩუქარი დანა, ახსენა ღმერთი და გაუდგა გზას, – „სად წავა მარტოდმარ-

ტოვო“ – თქვა აკაკიმ. დაფარულად გაჰყვა უკან, აკაკის კი თეონა ჩაუდგა კვალში და ერთმანეთის მალვით გაუდგნენ გზას, მაგრამ აკაკი და თეონა თბილისის მისადგომებთან, დუშეთისაკენ მიმავალი გზის გადასახვევთან დააკავეს და უკან დააბრუნეს, მეგის კი არაფერი არ აბრკოლებდა, ეხმარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული პირადობის მოწმობა უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ, ჩადრი და საკუთარი სახის „სილამაზე“... სამი დღე და ღამე მოუნდა თბილისიდან გალში ჩასვლა და როგორც იქნა, მიაგნო ვაჟა თოფურიას აგურის ორსართულიან სახლს, მეგის ბავშვობა თითქმის აქ ჰქონდა გატარებული. ბებია თამარს ხშირად დაჰყავდა ხოლმე თავის ძმასთან, ამბობდა, „ზღვის ჰაერი უხთებაო ბავშვს“. სინამდვილეში კი თვითონ ისვენებდა და ხშირად ხვდებოდა ძველ სიყვარულს. ბევრი მოგონებები აკაშვირებდა მეგის ამ სახლთან, კარგად იცოდა სახლის ყოველი კუნჭული და სადაც საერთოდ ჯალაბობა ხშირად იყრიდა ხოლმე თავს, იმ კარებზე დააკაკუნა.

– ვინ არის?! – გაისმა მამაკაცის ბოხი ხმა. ეს ვაჟა უნდა ყოფილიყო ხმაზე იცნო მეგიმ.

– მე ვარ ბაბუა, მეგი. გამიღე კარები! – თავისი უცვლელი ხავერდოვანი ხმით უპასუხა მეგიმ.

ვაჟამ პირველად გისოს შემოყოლებული ფანჯრიდან გამოიხედა, ვერ იცნო მეგი, მაგრამ ჩადრში გახვეული ქალი იყო და არ შეშინებია. გააღო კარები.

– რამ მოგიყვანა, გოგო, ამ მეორედ მოსვლაში. იქცევა ქვეყანა, თქვენთანაც ომია?

– ომია, ომი, ბაბუა, ყველგან ომია, ცხოვრებაც ომია, მშვიდობიანობის დროსაც ომია, კლავენ ერთმანეთს!

– მოიხსენი, გოგო, ეს საბურველი, რა თათრის ქალივით შემოსილხარ!

– არა, ასე მირჩევნია. ამ ტანსაცმელში გამოწყობილს მთლად გამიადვილდა მგზავრობა.

– მერე ახლა ხომ მოხვედი მშვიდობით. გაიხადე, ნამგზავრი ხარ, დაისვენე. ჰო, მართლა, მეწყინა თქვენს თავზე დატრიალებული შავი ბედი. როგორ არის ჩემი დაიკო. ალბათ, ძალზედ განიცდის ოჯახის ტრაგედიას! – ამ სიტყვებს ისე გულწრფელად ლაპარაკობდა ვაჟა, თითქოს არაფერი არ იცოდა და ნებისმიერ ადამიანს დაარწმუნებდა თავის სისპეტაკეში, მეგიც თითქოს ვერ ხვდებოდა ბაბუის მზაკვრობასა და საუბრის თემა შეცვალა.

– მარტოდ რომ ხარ სახლში, ოჯახის წევრები სადღა არიან, ბაბუ?

– აქ ხომ ხედავ, ომი დაიწყო და ოჯახიდან გავხიზნე ყველა, ოზურგეთში წავიდნენ, ხომ იცი ჩემი ცირა გურულია და წავიდა თავის მშობლიურ სოფელ ასკანაში. ამბობენ იქ უფრო სიმშვიდეაო და ვინ იცის. მე რაც აქა ვარ, გარეთ არ გამოვსულვარ. ვის რად ვუნდივარ ბებერი.

– არა ხარ მაინცდამაინც დაჩაჩანიკებული, ბაბუ, ბევრ ახალგაზრდას აჯობებს კიდევ, ჰო, მართლა, ის სად არის ახლა ჩემი საბედო, შენ რომ მომიყვანე?

– გულში ხომ არ ჩაგივარდა, გოგო? აქ იქნება, სად წავიდოდა, ახლავე დავუძახებ და აქ გაჩნდება.

– არა, ჯერ მოიცადე, მოვილაპარაკოთ, ისინი სად ცხოვრობენ, რომლებიც ჩემს მოსატაცებლად გამოგზავნე?

– ვინ გამოვაგზავნე, გოგო, არა გრცხვენია? მაგას ვიკადრებდი დის შვილიშვილის წინაშე? მე ბიჭი გაგაცანი ერთჯერ, კარგი ადამიანი და კარგი ოჯახის შვილი. შემდეგ თქვენ რა მოილაპარაკეთ, მე რა ვიცი? თუ დაუთქვი დრო და ადგილი, კიდეც უნდა გამოყოლოდი. რა შუაში იყო ჩხუბი და აყალმაყალი, ვერ გამიგია.

– ჰო, შენ და შენმა დამ, ბებიაჩემმა არაფერი იცით, მაგრამ ახლა გაიგებ და გულისყურით მომისმინე.

გარეთ რაღაცამ იფეთქა და მეზობლის სახლს ცეცხლი მოეკიდა. – „მოსაღამოვდა და დაიწყეს უკვე, ახლა მთელი ღამე იქნება აფეთქებები და სახლების გიზგიზი“ – თქვა ვაჟამ და ფანჯარაში გაიხედა.

– გარანტიას გაძლევ, შენ და შენი ოჯახის ხელშეუხებლები იქნებით, მხოლოდ დახმარება უნდა გამიწიო, წინააღმდეგ შემთხვევაში შენი სახლიც აფეთქდება შენთან ერთად. აი, მე მაქვს ხელშეუხებლობის პირადობის მოწმობა და შემიძლია ნებისმიერი ადამიანი დავიფარო (მეშიმ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული მოწმობა უჩვენა ვაჟას).

– ძალიან კარგი, მითხარი რა დახმარება გჭირდება და მე რა შემიძლია?

– ვინც ჩემ მოსატაცებლად იყო თბილისში, ყველას უკლებლივ რვავეს მოიყვან ახლავე აქ. ეს იქნება უაღრესად დიდი დახმარება და მეც არ დაიგიკარგავ ამაგს.

– შურისძიება ხომ არ გადაგიწყვეტია, გოგო, შარში არ გამხვიო, თუ ქალი ხარ, თორემ მათი მოყვანა არ არის ძნელი საქმე, მაგრამ როგორი საკენკი დავუყაროთ, რომ მოვიტყუოთ?

– რომელი შურისძიების თავი მაქვს, ბაბუ, ცხრა ვაჟკაცის წინააღმდეგ მებრძოლი ვარ მე? საუბარი მინდა მათთან, შეიძლება კიდეც წამიყვანოს შენმა შერჩეულმა სასიძომ, მათი მოსატყუებელი საკენკი კი მზადა მაქვს, უთხრა მათ, რომ შორეული ნათესავი ვარ შენი აჭარიდან, ჩამოტანილი მაქვს დიდი რაოდენობით ჰეროინი და გამსაღებლებს დავეძებ. ეს შენი ნაცნობები ყველა ნარკომანები არიან და ადვილად წამოგებიან ანკესზედ.

– მართალს ამბობ შენ. გავაკეთებ მაგას მე! – თქვა ვაჟამ და ტელეფონს გადაწვდა: ნომერი აკრიბა – ბექა ხარ? – იკითხა.

-ჰო, ბექა ვარ. აბა ბექასთან იძახი და ნიკო ხომ არ გაგაგონებდა? – გასცეს პასუხი მავთულის მეორე ბოლოდან.

– ჰო და გულისყურით მომისმინე, ახლავე აქ გაჩნდი ჩემთან, შესაშხაპუნებელი მასალა გამოჩნდა დიდი რაოდენობით... საიდან და ერთი ნათესავი მყავდა აჭარაში, ქმარს გამოუგდია, ახლა ჩემთან არის ოჯახში, იმან ჩამოიტანა. ჰო, ქალია, აბა ქმარი კაცს როგორ გამოაგდებდა?

– ახლავე მოვდივარ! – ისევ გასიმა ჩახლეჩილი ხმა შორიდან...– არა, არა მარტო მოსვლა არ გაბედო, ისინი წამოიყვანე ყველანი, რომლებიც ერთი ჯაჭვით ვართ შეკრულნი. დიახ, რვავე... ერთიც რომ დააკლდეს ვერაფერსაც ვერ მიიღებთ, გაიგე?

– გავიგე! ათ წუთში შენსა ვიქნებით, თან პურ-მარილიც გაამზადე, მოვასწროთ მგონი ინგრევა ქვეყანა. ქალაქი სახლების ცეცხლის ალით არის განათებული!

– მოვლენ! – თქვა ვაჟამ – ცოტა პურ-მარილიც გავამზადოთ, მე წავალ, მარნიდან ღვინოს ამოვიტან, შენ სამზარეულოში მოძებნე რაღაც.

სამზარეულოში მართლაც მოიძებნა ღვინის მისატანებელი პურ-მარილი: ყველი, პური, მჟავე, მწვანილი, საცივიც კი აღმოჩნდა მაცივარში. მეგიმ მაგიდა გააწყო. შემდეგ თავისი ჩანთა გახსნა და ჰეროინის ამპულები ამოალაგა. ვაჟამ ღვინო შემოიტანა, ჩამოასხა და მაგიდა გალამაზდა.

– ბაბუ! ცეცხლსასროლი იარაღი გაქვს? – მოულოდნელად შეეკითხა მეგი.

– ნეტავი რისთვის გჭირდება?

– გეკითხები და მიპასუხე.

– კი „მაკაროვიც“ და „კალაშნიკოვიც“.

– მოიტანე, თუ გინდა საკუთარი სიცოცხლე შეინარჩუნო!

– მათი სიკდვილი გაქვს გადაწყვეტილი?

– მხოლოდ შენი დახმარებით!

– ღირსები კი არიან, ბევრი ხალხი ცოდვა ადევთ კისერზე, აყვენ ფეხის ხმას და ყაჩაღობით აგროვებენ დოვლათს...

– რვავე ყაჩაღია?

– ჰო, ერთმანეთის გარეშე პურსაც არ ჭამენ, ერთად დადიან, ერთად კლავენ, ერთად ძარცვავენ და სახლებსაც ერთად აფეთქებენ...

– ვითომ რადაო?

– რომ ყოველივე „გვარდიელებს“ დაბრალდეს, ხალში სიძულვილი დაიმსახურონ და თვითონ კი გამდიდრდნენ.

– აღარ შემეწინააღმდეგო, იარაღი გამოიტანე, მე მაკაროვი მომეცი. შენ კალაშნიკოვი, გქონდეს მზად, ყურადღება მოაქციე ჩემს ნიშანს. ეგენი ჩვენი ხელით უნდა დაიხოცონ. ამით შურსაც ვიძიებთ და ბევრს თანამოქალაქესაც გადავარჩენთ. ღალატი არ გაბედო, თორემ ჩემს უკან დგანან, იცოდე.

– მათი განწირვა ღალატში არ ჩამეთვლება?

– მათი განწირვა თანამოქალაქეთა ხსნას ნიშნავს და არც ღალატში ჩაგეთვლება და არც ცოდვაში...

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. ფანჯარაში ფანარის შუქმა შემოანათა, ვაჟამ ავტომატური თოფი ფანჯრის რაფაზე დადო, ფარდა ჩამოაფარა, პისტოლეტი მეგის გადასცა და მოსულებს მიეგება.

სტუმრები ხმაურით შემოვიდნენ, განწყობილი მაგიდა დაინახეს და ხელები მოიფშვნიტეს:

– კარგია ღვინო, მაგრამ ჰეროინი ჯობია! – თქვა ბექამ.

– ნამდვილად! – დაუმოწმა მეორემ.

მეგიმ გამოიტანა და ორ-ორი ამპულა ჰეროინი დაურიგა სტუმრებს.

– ბევრი გაქვს ასეთი? შეეკითხა ერთი მათგანი, რომელშიდაც მეგიმ მძღოლი ამოიცნო.

– ბევრი! – წყნარად უპასუხა მეგიმ.

– მოიტანე, რაღაცს გვიღორიებ, ფულს როცა ვიშოვით, მაშინ მოგცემთ. აი, ეს თქვენი ნათესავი იქნება თავდები.

– შემდეგ გასაღდება და ვალიც დაიკარგება. – ეს ბოლო სიტყვა წყნარად გადაულაპარაკა მეგრულ ენაზე გვერდით მჯდომს, მაგრამ მეგის ყურთასმენას არ გამოპარვია მათი საუბარი და ბებიას ნასწავლი სუფთა მეგრულით მიუგო:

– ცუდი სტუმრობა გცოდნიათ, ყმაწვილო, რისთვის უნდა წამართვათ და დამჩაგროთ უპატრონო ქალი? ღმერთი არ შეგარჩენთ ცოდვას!

– მაგაზე მეტი ცოდვები გვადევს კისერზედ და მაგასაც ავიტანთ, სანამ ჩვენ გავჩხრეკდეთ სახლს, თქვენ თვითონ მოიტანეთ ჰეროინი და ზედ ძვირფასელუობაც მოაყლოლეთ, თორემ თუ ძალით წავიღეთ, საიქიოდან მოვთხოვ ვალის გადახდას – უპასუხა ბექამ.

– ცოტა ხანში ქვეყანა დაწყნარდება, ხვალ რა პირი გინდა შეხვდე შენს მეზობელს, დღეს რომ მოსაკლავად იმეტებ? – შეეკითხა მეგი.

– მოსაკლავად ვისაც ვიმეტებთ, ისინი ხვალ ვეღარაფერს ვეღარ შეგვეკითხებიან, მათთთან იმ ქვეყნიურ სასამართლოზე წარვსდგებით, მაგრამ შენ, ჰე, ძუკნა, ჩადრი მოიხსენი, შენი ხმა მეცნობა, ვინა ხარ, მითხარი!

მეგიმ ელვის სისწრაფით გაიძრო კაბა და მოიხსნა ჩადრი, სტუმრების წინ შავ შარვალ-ხალათში გამოწკებილი საშინელება აღიმართა, რომელსაც მარჯვენა ხელში მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ეჭირა, მარცხენაში კი ჩუანის ნაჩუქარი დანა. სტუმრები და მათ შორის მასპინძელიც მოჩვენებამ შეაკრთო. ვაჟაც კი არ ელოდა ასეთ საშინელებას, ის ხმაზე ცნობდა მეგის და ეგონა თავის ლამაზ სახეს არიდებდა. ახლა კი ენაჩავარდნილი ატუზულიყო ფანჯარასთან და ავტომატურ თოფს თვალს არ აშორებდა.

– მიცანით? – გამყინავი მტკიცე ხმით შეეკითხა ყაჩაღებს მეგი.

– ოჩოპინტრე! – წამოიძახა ერთ-ერთმა და იარაღზე წაისვა ხელი, მაგრამ მეგიმ დაასწრო, დანა სტყორცნა და ყელი გამოღადრა მოწინააღმდეგეს. შემდეგ ვაჟას თვალი ჩაუკრა და ისიცს აჩქაროდ დაუდგა გვერდით ავტომატურ თოფმომარჯვებული.

– არა, მე ოჩოპინტრე არა ვარ, მე მეგი ვარ, ვეღარ მიცანით? მე კი ყველას გიცნობთ, აი შენ, რა გქვია? ჯერ კიდევ არ მოგრჩენია ჩემს მიერ მოტეხილი ხელი. ჰო, ის კიდევ კოჭლობს, როგორც მოვიდა, შევამჩნიე. შენ კი, ბექა, ისევ ლამაზად გამოიყურები, დიდიხიფათი გადაიტანე ჩემს გამო, ალბათ, გიყვარდი. ახლა კი მე მიყვარხარ უნდა წამოგყვე, ცოლად უნდა შემირთა. თანახმა ხარ?

– არა! – ინსტინქტურად წამოცდა ბექას.

– აბა, სადღა წავიდე, შეყვარებული შენ მომიკალი, სულითა და ხორცით შენ დამამახინჯე, ვის მივადგე, ვინ მიშველის? ვის ვჭირდები, ვინ შემიფარებს?

– ის მე არ მომიკლავს, აი ამან მოკლა! – ბექამ ხელი მიაშვირა ერთ ქერა ახალგაზრდას.

– მაგ თავისი ნებით ჩემთან არ მოსულა, შენ მოიყვანე და პირველ რიგში პასუხიც შენ მოგეთხოვება. აქვე მეგობრის გამცემო! მოღალატევ! – წარმოთქვა მეგიმ და ვაჟას რაღაც ანიშნა. ავტომატის ლულიდან კივილით ამოვარდა სამი ტყვია და ჰაერში აიტაცა ბექა, შემდეგ იატაკს დაანარცხა და ოთახის კუთხეში მოუძებნა ადგილი.

– მოვსულვარ შურისაძიებლად და გეკითხებით: – რას მემართლებოდით, რისთვის მომიკალით სიყვარული... მეგიმ შეამჩნია ერთ-ერთმა მაგიდის ქვეშ ხელი შეაპარა და მაგიდას დაუპირა წაქცევა, რათა მეგის ყურადღება მიექცია და იარაღის ამოღება მოესწრო, მაგრამ მეგის გადმოცვენილ თვალებს არ გამოპარვია მხედველობიდან მისი რეაქცია და ტყვიამ სწორედ ის ცერა თითი წააწყვიტა,

მაგიდის გადასაბრუნებლად რომ ჰქონდა კიდეს ამოდებული.

– ადექი და კუთხეში დადექი! – სახით კედლისკენ, ხელები თავზე შემოიდე, – უბრძანა მეგიმ ლაშას მკვლელს, რომელმაც მონუსხულივით შეასრულა ქალის ბრძანება. შემდეგ ვაჟას რაღაც ანიშნა და ავტომატური თოფიც აკაკანდა, მაგიდა განთავისუფლდა ტვინში და სისხლში აირია ყველაფერი, მხოლოდ ერთი დარჩა ცოცხალი – ლაშას მკვლელი!

– ჰე, შემობრუნი, ბიჭო, ახლა მხოლოდ მე და შენ ვართ ცოცხლები. პირისპირ დავდგეთ და მითხარი, რატომ მომიკალი სიყვარული, თქვენ ხომ რვა იყავით, ვაჟკაცები, ჩვენ მხოლოდ ორნი, უმწეონი, კიდევ იარაღი იხმარე? ეს რა ვაჟკაცის წესია, უგნური, მეც რატომ არ მომკალი? მოემზადე, მე შენთან უნდა ვიჩხუბო და უნდა გაგაგონო საკუთარი ძვლების მსხვერევის ხმა: – მეგიმ პისტოლეტი ვაჟა სგადასცა და მკვლელის პირისპირ დადგა.

– დაიწყე თავდაცვა, შენი სისხლითაც ისე უნდა შევიღებო ხელები, როგორც ლაშას სისხლით! – წარმოთქვა მეგიმ არაადამიანური ხმით და ხელში სწვდა, თავისკენ დაითრია და მკლავის სკამის საზურგეზე დაარტყმევინა, მკლავმა ხმელი ხის ტოტივით დაიწყო ლაწანი, მეორე მკლავსაც იგივე ბედი ეწია და ახლა იერიში ფეხებზე მიიტანა მეგიმ, პირველად წვივებში დაამტვრია ორივე ფეხი, შემდეგ ბარძაყებში. აუჩქარებლად აიღო ჩუანის ნაჩუქარი დანა და კი არ ჩასცა მკერდში მოწინააღმდეგეს, არამედ მკერდი შუაზე გაუფატრა, ჯერ კიდევ მფეთქავი გული ამოიღო და ძარღვები შეაჭრა. ცელოფანის პარკში მოათავსა, შავ მანდილში შეახვია და ჩანათაში შეინახა.

რვა გვამით ზალა საზარლად გამოიყურებოდა, ვაჟამ ვერ გაუძლო მათ ცქერას, მეორე ოთახში გავიდა და მეგისაც თავისთან დაუძახა.

– არ დამტოვო, ალქაჯო, ცოცხალი. – უთხრა ვაჟამ. – მომკალი და სახლს ცეცხლი წაუკიდე. მე მაინც მომკლავენ და ღირსი ვარ შენი ხელით მოვკვდე, მე მეტად ვარ დამნაშავე შენთან, ვიდრე ეს გვამების სუყველა ერთად.

– მაინ რაში გრძნობ თავს დამნაშავედ? – შეეკითხა მეგი.

– მე ვიცოდი ვინც იყო მაგ არაკაცი, ვიცოდი, მაგასთან ოჯახს ვერ შეადგენდი. მაგრამ ეშმაკი შემიჩნდა. ახლა მე შენი საბრალო საქმროს სისხლიც მაძევს კეფაზე, შენი სილამაზეც და ამ რვა მუტრუკის სისხლიც, დამერწმუნე, ვერ შევძლებ იმ საიდუმლოს შენახვას, შენც დაგღუპავ, თორემ მე რომ დაღუპული ვარ, თვითონ ხედავ უკვე. მომკალი, შენ უფრო შეინახავ ამ საიდუმლოს და არც შიში გექნება ვინმეს „არ გამთქვასო“. გახსოვდეს, ყველაზე საიმედო და მესაიდუმლე მკვდარი კაცია. ვიცი; მე მაინც მომკლავენ და იმის ხელით მოვკვდე, ვისთანაც დანაშაული მიმიძღვის, არა სჯობია?

– არა, ბაბუ, შენ მართლაც ხარ სასჯელის ღირსი და ამიტომ არ მოგკლავ. იტანჯე, შეიგრძნობ კიდევ მეტად შენს დანაშაულს და გაგიჟდები. ახლა კი ჩემთან წამოდი, ხომ ხედავ, ტოვებენ გალს და ვინ სად გარბის, თვითონაც არ იციან, ჩემთან უსაფრთხოდ იქნები, დაწყნარდება ქვეყანა და დაბრუნდა შენს გალში. არავინ არ იქნება ხელის შემშლელი.

– ჰო, კარგი, მართლაც და აქ რაღა მინდა. აი, ჩვენი შალიკოს სახლიც იწვის უკვე, სროლის ხმაც გესმის, ალბათ, ვიღაცას ისტუმრებენ იმ ქვეყნად. მე თვითონ დავწვავ ჩემს ნაშრომ-ნაამაგარს, რაღა სხვას დავაწვევინო! – თქვა ვაჟამ. ავტოფარეხში შევიდა, ბენზინით სავსე ბალონიგამოიტანა და იატაკზე მოასხა, აკანკალებული ხელით გაჰკრა ასანთი და კარები გამოიხურა. „ჰე, წავიდეთ!“ – უთხრა მეგის და მკლავში ხელი მოკიდა, ჭიშკართან მივიდნენ. ვაჟამ უკან შემოიხედა, სახლში ცეცხლი გარგვალებულიყო, გიზგიზებდა,

წამიერთად ჩაფიქრდა და ვინ იცის, ამ ერთ წამში რამდენი რამის გაფიქრება მოასწრო. არაადამიანურად დაიღრიალა დაღუპული შვილის სახელი და ალმოდებულ სახლში შევარდა, ხუთიოდე წუთის შემდეგ ჩამოინგრა ჭერი.

მეგის გალიდან მგზავრობა არ გაჭირვებია, ლტოლვილები მიდიოდნენ თბილისისაკენ და გაჰყვა მათ ნაკადს.

გაიხარა თეონამ და აკაკიმ, მეგის დანახვითა და მშვიდობით დაბრუნებით.

– ლაშას დარდი შენ გადაგვატანინე, შვილო და შენ მოგვკლავ ნამდვილად!

– რათა, დედა, თქვენ უნდა იცოცხლოთ, მე უნდა მოვკვდე. მე მელოდება ლაშა! – უთხრა მეგიმ.

– კარგი ენის იყავი, შვილო, მე უნდა განუგეშებდე შენ თუ პირიქით, შენ უნდა მანუგეშებდე!

– ხვალ სოფელში უნდა წავიდეთ, დედა, აი ეს უნდა მივუტანო ლაშას! – უთხრა თეონას, მეგიმ და შავ მანდილში გახეული რაღაც მიაწოდა.

– რა არის, შვილო, ეს? – გაკვირვებული შეეკითხა თეონა.

– გული, ლაშას მკვლელის გული! – უპასუხა მეგიმ.

თეონას ხელში გაუშეშდა პატარა შავი შეკვრა, რომელიც ჯერ კიდევ არ გაეხსნა და გამოშტერებული შესცქეროდა სამივე ერთმანეთს. შემდეგ პირველად გონს აკაკი მოეგო და წყნარად უთხრა მეგის:

– ეს რა გიქნია, შვილო, კაცის სიკდვილი რა ქალის საქმეა, ჯერ მე ვარ ცოცხალი, რატომ გადამისწარი?

– მე კაცი არ მომიკლავს, ლაჩარი მოვკალი, სანამ მოვკლავდი, სამჯერ ჩაისველა შიშით. ნარკომანები მაგრები მაშინ არიან, როდესაც იარაღი აქვთ და უიარაღო კაცს კლავენ, მაგრამ როდესაც მათი სიკვდილის ჯერი დადგება, ყველაფერს კადრულობენ, ბღავილსაც კი.

– მაინც ადამიანი ჰქვია, შვილო, სული რატომ წაიწყმიდე: „არა კაც ჰკლა“ – გვმოძღვრავს ქრისტე. შენ რატომ ჩაიდინე ცოდვა, რისთვის მოკალი?

– რისთვის მოვკალი და გულისთვის, მაინტერესებდა ლაშას მკვლელს ჰქონდა თუ არა გული და აი, ნახე ჰქონია, მაგრამ იცი როგორი აყროლებული? ცელოფანის პარკში რომ არ იყოს, მთელ ქუჩას ააყროლებდა.

მეორე დღეს სოფელში წასასვლელად და ლაშას საფლავის მოსანახულებლად ადრიანად მოემზადა სამივე. მაგრამ ადრიანად მოვიდა დიმიტრიც, მეგის მამა, ჩამოჯდა. გულით მოიკითხა ყველანი და შემდეგ მეგის უთხრა:

– ბებიაშენი თამარი არის ცუდად, გიხმობს, ნახვა უნდა შენი!

– რა მინდაო, რას მოითხოვს ჩემგან?

– ვკვდები, ცოდვა მიწაში არ მინდა წავიღო და პატიება უნდა ვთხოვოო!

– მამა, მე იესო ქრისტე არა ვარ, შეცდომები შეუნდო ცოდვილს, ან კი რა უფლება მაქვს ღმერთის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადავდგა, უფალმა თვითონ იცის, ვის შეუნდობს ცოდვას და ვის არა, მე თვითონ ცოდვილი მონა ვარ ღვთისა და არავითარი ცოდვების პატიება არ შემიძლია არავის მიმართ.

– გენახა მაინც სიკვდილის წინ!

– მამა, შენ ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობარი ხარ, მოგწონს ჩემი სიყვარული?

– ძალიან! მგონი გადაჭარბებულიც არის, ძლიერი სიყვარული გცოდნია!

– ჰოდა ასეთი ძლიერი ვიცი სიძულვილიც, ხომ ხედავ, საკუთარი სხეულიც არ დავინდე. ძუძუები მოვიკვეთე ბებოს სახით, ის მოკვდა ჩემში, ჩემს სილამაზესთან ერთად. თვითონ აპატიოს თავის თავს ცუდი შვილიშვილი რომ გავუზრდივარ, სიყვარულიც უსწავლებია ჩემთვის და სიძულ-

ვილიც. კარგი იქნებოდა, ერთ-ერთი ესწავლებია, იშვიათად თავსდება ერთი ადამიანის გულში, სიკეთეც და ბოროტებაც, მე ძალიან კეთილი ვიყავი, მამა. მაგრამ სიკეთემ – სიკეთე რომ არ მომიტანა, გამოვემშვიდობა სილამაზესთან ერთად და ვეზიარე სიძულვილს. ნუ მიწყენს ბებო, მე ის რამდენადაც მიყვარდა, იმავე ძალით მძულს დღეს. ძალიან მიყვარდა ჩემი სიბრძნის კბილი, მაგრამ ამტკივდა, შემიწუხა გული და სული, მაწყენია, რა წამალი არ მივუტანე, როგორ არ ვუმკურნალე, როგორ არ ველოლიავე, მაგრამ არაფერმა გაჭრა მასთან, ბოლოს ამოვიღე და გადავაგდე. აი, ახლა აღარ მაქვს ის კბილი, ასეა ადამიანიც თუ შეგიწუხა გული და სული, კარგი არაფერი დაგრჩა მასზედ მოსაგონარი, უნდა გაანთავისუფლო სული ჯოჯოხეთური ტანჯვა-მოგონებებიდან. რა ვქნა, ბრძენი ადამიანია და სიბრძნის კბილი ჩემი ბებო, მაგრამ ვერ დაიმსახურა ვერცერთი პატივისცემა ჩემში.

– მე კი ვაპატიებდი, შვილო, შენც ხომ „ჩემი გორისა ხარ“?

– შენ ძალიან ტკბილი ხარ, მამა და იმიტომ გადაგყლაპეს, ცოტა მწარე რომ ყოფილიყავი, გადმოგაფურთხებდნენ მაინც და შენს გზას ეწეოდი, ახლა ვის კუთხეში ზიხარ თვითონაც არ იცი, საბრალო.

– შენ იმაზე მეტი გაზრდილხარ, მე რომ ველოდი, აღარაფერი გესწავლება, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე, დედაშენმა რაღა დაგიშავა, რომ არ ნახულობ?

– მე დედა არ მყოლია, უდედოდ გავიზარდე, არ ვიცი დედის რძის გემო, მე არ მახსოვს დედას მკერდზე მოვფერებოდე, მე თხის რძით გავიზარდე და მიყვარს თხა, დედის მფარველობის ქვეშ რომ გავზრდილიყავი, იქნებ, სულ სხვაგვარად აეწყობოდა ჩემი ცხოვრება.

– კარგი, კარგი, ბაბუამ რაღა დაგიშავა?

– არაფერი, შენ და ბაბუა ორივე ერთნაიარდ მიყვარხართ და მებრალებით, მძულხართ იმიტომ, რომ ცხოვრებაში მამაკაცის ადგილი ვერ გიპოვიათ. მოხვედრილი ხართ ქალთა გავლენის ქვეშ და თქვენს სინდისს, ვაჟკაცობას და მამაკაცის გვირგვინს, ბრძოლის უნარიანობის ოფლის სუნი კი არ ასდის არამედ ქალის საშოს აქოთებული სუნი.

ოჯახში შემოსვლის დღიდან ყველა ქალი ცდილობს ოჯახის მთელი მონოპოლია ჩაიგდოს ხელში, მაგრამ მამაკაცმა ამის საშუალება არ უნდა მისცეს. ქალი ეშმაკია, სულში შემოგიძვრება, მოგიღიტინებს და ჩაგაძინებს, თუმცა ძილი სრულებითაც არ არის საჭირო, საკმარისია წაგთვლიმოს, რომ გამოღვიძების შემდეგ მის ჭკუაზე უნდა იარო, ამიტომ ოჯახის კაცმა თვალი არ უნდა მოხუჭოს, რომ ოჯახის მონოპოლია ქალმა არ დაიკაოს. ახლა გვიანია, თქვენი ცხენი უნაგირს აღარ დაიდგამს და როგორც გიჩანჩალებიათ ფეხით, ისე იარეთ.

– ახლა, ბოდიში, მამა, გვაგვიანდება სოფელში უნდა წავიდეთ, თუ გინდა, შენც წამოდი, შენ ხომ გიყვარს იმერეთის სოფლები.

– არა, შვილო. ახლა, არა თუ დედაშენი დავაუნაგირე ცხენით ამოვალ, თუ არა და მე ამოვალ მარტოდ ფეხით. შემდეგ, შემოდგომაზე რთველზე, ან ზამთარში – სანადიროდ.

* * *

მეგიმ ფრჩხილებით გათხარა ოციოდე სანტიმეტრი მიწა, ლაშას გულზე დაყრილი, მკვლელის გული პარკიდან ამოიღო, მუჭში მოიქცია, ყველა მხრიდან ჩაასო თავისი გრძელი ფრჩხილები და მწიფე ლეღვივით გასრისა, სისხლმა თითებს შუა გამოასხა და მკლავზე ჩამონაკადულდა. ესიამოვნა და თვიონაც გაუკვირდა, „რატომ მსიამოვნებს, ვამპირი ხომ არა ვარო“ – გაიფიქრა.

– ლაშა, შენ ხომ იცი, ფარაონებს ათასობით მონები „მიჰყავდათ“ იმ ქვეყანად, რომ ემსახურათ მათთვის, შენ ჩემი ფარაონიცა ხარ და მბრძანებელიც, სამი დღის წინ ცხრა მონა გამოგიგზავნე, აი, შენი მკვლელის გული აქ მოგიტანე, იმსახურე ისინი, ისე, როგორც მოგესურვოს. ამ დღეებში ოთხ მონას კიდევ გამოგიგზავნი და იმ მწუხარებას მოგიხსნი გულიდან, რომელი დარდიც შეუსრულებელი დაგრჩა. იძინე ტკბილად, ჩემო მეგობარო, ჩემო სიყვარულო, ჩემო ყველავ. მენატრები, სიზმარში მაინც მინახულე, ბიჭო და მითხარი, რომ თქვენთან მართლა არსებობს მარადიული ცხოვრება. მაშინ მე დაუფიქრებლად წამოვალ შენთან, ახლა რა ვქნა, არ მჯერა მღვდლების, ისინი იქნებ მატყუვებენ და მეშინია, არა, სიკდვილის კი არა, მეშინია შენი საფლავიც არ დავკარგო, ჩემი სალოცავი ადგილი, რადგან ეს არის ჩემი ტაძარი და შენი სურათი, ხატება ჩემი. ვინც ჩაიდინა ეს ბოროტება, მისი გული მომირთმევია შენთვის, წადილი ავისრულე და ახლა ისღა დამრჩენია, შენს სამუდამო განსასვენებელ ადგილამდე მოვფართხალდე და ცრემლით მოვიქარვო ნაღველი, ვით ჩიტმა, ყვავი რომ ბუდეს დაუნგრევს და თვალწინ ბარტყებს გადაუსანსლავს. ხომ გახსოვს, მეც დედა ჩიტივით შევხოვდი ქვეყნის შემოქმედს ჩვენს ბედნიერებას, მაგრამ არ ისმინა ჩვენი მუდარა. ადამიანები კი მთლად მიუკარებელნი აღმოჩნდნენ სიბრალულისთვის და დავრჩით მარტონი, შენ გაღმით, მე – გამოღმით, შუაში კი ჯოჯოხეთის უფსკრულია და ზედ ბეწვის ხიდი, მე ცამეტი ადამიანის ცოდვა უნდა მოვიკიდო ზურგზე და განა გამიძლებს ბეწვის ხიდი? ვიცი გაწყდება და ჩავვარდები ჯოჯოხეთში, მაგრამ არ ვდარდობ, ასეც იყოს, შენ ხომ მეგულვი სამოთხეში! – კიდევ მინდა შენთან ვისაბურო, მაგრამ მოდიან! – თქვა მეგიმ, თვალები ამოიმშრალ და წამოდგა. სასაფლაოს მართლაც თეონა და აკაკი მოუახლოვდა. ლეჩაქი მოიძრო თეონამ, თმების ტევრი

ლაშას სურათს დააფინა და დაიწყო გოდება მწუხარებისა, რომელმაც რამოდენიმე საათი გასტანა. საღამო ჟამს დაბრუნდნენ სხალში ფანჯრები გააღეს, ოთახები გაანიავეს და ეზოგი გამოვიდნენ:

– დედა! გამაცანი მეზობლები, ვინ სად ცხოვრობს! – სთხოვა მეგიმ თეონას. გაიცნო, ყველას სახელი ჩაიბეჭდა ტვინში, განსაკუთრებით კი მაკრინეს ეზო, სახლი და შემოგარენი. აი, წყაროც, სადაც ერთ დროს აკაკი ცურაობდა. გაახსენდა მეგის და გაეღიმა.

დაღამდა, სინათლე აანთეს და სუფრას შემოუსხდნენ.

– დედა! – მწუხრის დუმილი დაარღვია მეგიმ. – მე აქ რამოდენიმე დღე უნდა დავრჩე, მინდა დავისვენო, ძალზედ გადავიღალე.

– კი, შვილო, რამდენ ხანსაც გენებოს, ჩვენც აქ ვიქნებით, შენთან ერთად! – უპასუხა თეონამ.

– თუ არ გეწყინებათ, ლაშას საძინებელ ოთახში დავიდებ ბინას!

– კი, შვილო, სადაც გაგეხარდეს, იქ მოსივენე. სუყველაფერი შენი არ არის?

– კარები ხომ იკეტება?

– კი, შვილო, როგორ არა, მაგრამ ჩვენც აქ ვიქნებით, ხომ არ გეშინია?

– არა, რისი უნდა მეშინოდეს, მაგრამ მაინც ისე ვიკითხე, განა ლაშას ეშინოდა კარებზე საკეტი რომ მოუწყვია?

– არა, ლექსების დაკარგვის ეშინოდა, ახალგაზრდობა პარავდა ხოლმე და საკეტი დაადო კარზე.

– კარგი ადგილებია, კარგი ბუნება, აქ ლექსი მართლა შეიძლება დაწეროს ადამიანმა, სულ არ არის აუცილებელი, იყო პოეტი.

– ლაშაც ასე ამბობდა შვილო და წერდა, ძალიან უყვარდა სოფელი. ქალაქს „ბუნებრივ სეკვესტრს“ უწოდებდა, ესე

იგი – სიკვდილს. სოფელს კი „მეგობრობის დასაწყისს“, ესე იგი – ღიმილს!

მეგიმ ლაშას ოთახი მოინახულა, კარები ჩასმული საკეტი შეამოწმა, შემდეგ ფანჯარა გამოაღო, მეორე სართული იყო, მაგრამ სიმაღლე საგანგაშო არ ყოფილა, ჩასვლა და ამოსვლაც უხმაუროდ შეიძლებოდა.

მეორე დღეს ნასადილევს, მეგიმ მოიწესრიგა და დიდი ბოდიშის მოთხოვნით ავტომობილი სთხოვა აკაკის:

– მამა, თუ შეიძლება დღეს შენი ავტომანქანა მათხოვე, საჩხერეში ჩავირბენ და მალე დავბრუნდები – უთხრა აკაკის.

– კი შვილო, მე თვითონ წაგიყვან, სადაც მოისურვებ! – უპასუხა აკაკიმ.

– არა, მამა მარტო მირჩევნია, შენ აღარ შეგაწუხებ, დაისვენე, მე მალე დავბრუნდები.

– კარგი შვილო, როგორც გენებოს, მაგრამ დედა მაინც წაგეყვანა, ძალზედ განვიცდით, როდესაც მარტოდ გადიხარ სახლიდან.

– სახიფათო არაფერია და თუ შემეყრება, არც ის იჯავროთ, რაც გადაიტანეთ იმაზე უარესი რაღა იქნება? – უთხრა მეგიმ და ავტომობილის გასაღები გამოართვა აკაკის.

დრო აღარ დაუკარგავს, გადაჭარბებული სიჩქარით გასცილდა სოფელს და ავტომობილი ივდითის ჭიშკართან დაამუხრუჭა. დაუკითხავად შევიდა ეზოში და კარებზე დააკაკუნა.

– ნეტავი ვინ უნდა იყოს? – შეეკითხა ივდითი შალვა გეწაძეს, რომელიც ამჟამად მასთან ნებივრობდა.

– აბა, რა ვიცი, არ დაგაცლიან სიამოვნებას. გაუღე კარები, გაიგე ვინ არის და გააგდე კინწისკვრით ქუჩაში – უპასუხა შალვამ.

ივდითიმ კარები გააღო, კართან ჩადრაფარებული ქალი იდგა, უცნობმა სალამი მისცა ივდითის.

– საღამოს მშვიდობის, ქალბატონო, მე ლტოლვილი გახლავართ აფხაზეთიდან, წინასწარმეტყველი, ღამეს ვერ გამათევინებდით?

– ვერა, ვერა, არა მაქვს ადგილი – უთხრა ივდითმა და კარების ცხვირწინ მიხურვა დააპირა. მაგრამ შალვას ხმა გაიგონა:

– შემოიყვანე, ივდითი, სწორედ ჩვენ გვჭირდება წინასწარმეტყველი, თუ რაიმე სიმართლეს გვეტყვის, ღამეც გავათევინოთ და თუ არა გზა დავულოცოთ აფხაზეთისაკენ.

ივდითი ვერ გადავიდა საყვარლის სიტყვას და კარები უკმაყოფილოდ გაუღო ჩადრში გახვეულ ქალბატონს.

შალვამ დაინახა თუ არა ჩადრჩამოფარებული ქალი, გაიფიქრა, სილამაზეს მალავსო და კომპლიმენტი დაახვედრა:

– ქალბატონო, თქვენ ყოველთვის ასე იცვამთ თუ დღეს ჩემი გაღიზიანება გადაწყვიტეთ?

– არ გეგონოთ, სილამაზეს ვმალავდე. არ მინდა შეგაშინოთ, ქმარი მომიკლეს აფხაზეთში, მე ცოცხლად გამატყავეს და საშინელი შესახედავი ვარ! – უპასუხა მეგიმ.

– აიხადე ჩადრი, არ მჯერა, ასეთ ხავერდოვან ხმაში საშინელება იმალებოდეს! თვალების ბრიალით უთხრა შალვამ და ჩადრის ასახდელად წაიწია, მეგიმ ხელი დაუჭირა და ფრჩხილები ღრმად ჩაასო მაჯაში.

– მე თვითონ ავიხდი, თქვენ ნუ შეწუხდებით! – უთხრა მან და ჩადრი მოიხადა, კაბაც გაიხადა და შავ შარვალ-კოსტიმუში გამოწყობილი საშინელები აღიმართა მათ თვალწინ!

– ვაი, წამოიძახა ორივემ ერთად! თუ შეიძლება ისევ აიფარეთ ჩადრი თუ რაღაც შავი ჭირი! – იყვირა ივდითმა და თვალებზე აიფარა ხელი.

– პირველად მომისმინეთ, როგორც გითხარით, ლტოლვილი ვარ, დიდი პრობლემები მაქვს გადსაწყვეტი და დახ-

მარება მესაჭიროება! – დაიწყო მეგიმ, მაგრამ წინადადების დამთავრება არ ადროვა ივდითმა და თვალებზე ხელაფარებულმა იყვირა:

– გაეთრიე, გაეთრიე, თუ ქალი ხარ, ჩვენ შენი პრობლემების მოგვარებას არ ვაპირებთ, საკუთარი პრობლემებიც თავზე საყრელად გვაქვს.

– ადროვე, ივდითი, ეს მართლაც კარგი წინასწარმეტყველი იქნება, ეტყობა ფიზიონომიაზე, ჯერ ვამკითხავებინოთ და შემდეგ გავუძახოთ გარეთ – ურჩია ივდითს შალვამ.

– ჰო, კარგი, მაგრამ მე ვერ შევხედავ, აღარ დამეძინება ამაღამ, მთელი ღამე ეგ მომელანდება.

– ნუ გეშინია, ისევ ჩადრს ავაფარებ და ილაპარაკოს, ხმა სასიამოვნო აქვს და შენც მოუსმინე, რა გენაღვლება.

მეგის უბრძანეს, ჩადრი აეფარებია და დაეწყო თავისი წინასწარმეტყველება, ისიც დამორჩილდა, მარტო ჩადრი ჩამოიფარა, კაბა არ ჩაუცვამს, ასე უფრო მოხერხებული იყო ჩხუბი, თუ საჭიროება მოითხოვდა.

– დაიწყე, ჰო, რაღას ელოდები! – გესლიანად უთხრა ივდითმა.

– ნუ სცოდავ, ქალო, რას მიყვირი, ცოდვილები ისედაც თავზე საყარად გაქვს! – უთხრა შალვამ და „წინასწარმეტყველება“ განაგრძო – აი, ეს მამაკაცი, შ-შ-შა-ჰო, როგორც არის რომ ჰქვია, შენი საყვარელია, ცოლ-შვილი რომ მიატოვებინე, ეს უფლის წინაშე შეცოდება არ არის? (მეგი ისე მოიქცა, თითქოს ანგელოზებს ესაბურებოდა) – რაო? საბრალო! საყვარელს რა განძი მოაპარვიე, ქალო და ეს როგორ კი იკადრე, უდანაშაულო კაცი ჩაგისვამს ციხეში. ეს მართლაც მიუტევებელი ცოდვა ჩაგიდენია! დაიჭერენ, მე თუ არ ვუშველი? – თქვენ ორივეს დაგიჭერენ.

– შენ ხომ შეგიძლია შველა, გვიშველე ნუ დაგვღუპავ! – მუხლებზე დაეცა ივდითი.

– ქალო! შენ ღამეს არ მათევინებ, ქუჩაში მაგდებ და მე ციხეს გადაგარჩინო?

– აიღე, რაც გინდა, გასამრჯელოს მოგცემ, რასაც მთხოვ, ოღონდ გვიშველე! – შალვამაც ამოიღო ხმა.

– ჰო, კარგი, კარგი! ზეცისკენ აიხედა მეგიმ და თითქოს ანგელოზებს დაელაპარაკა, ორივე ხელი აღაპყრო და პირჯვარი გადაისახა.

– რაო, რაო, რა გითხრა, ვიღაცას ელაპარაკებოდი? მოუთმენლად შეეკითხა ივდითი.

– მომისმინეთ! – თქვა მეგიმ – ვიღაც თქვენ გაგიწირავთ და დაგიჭიერიათ, ის წყალში მოცურავე ყოფილა, იმ წყალში უნდა გაიბანოთ ორივე ერთად, უნდა განიწმინდოთ და წყალს გაატანოთ თქვენი ცოდვები, ამის შემდეგ თქვენ ბედნიერები იქნებით, აღარც ციხე გემუქრებათ და აღარც გაყრა. ღრმა სიბერემდის იქნებით ერთად – რაო? ჰო, თურმე მე უნდა გაგბანოთ ცოდვებისაგან, ღამის თორმეტიდან ორამდის, ასე ყოფილა ის თქვენს მიერ განწირული კაცი.

– ახლავე წავიდეთ! აბა, შემდეგ სადღა განახავთ. გვიშველე, გევედრებით! – მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდა ივდითი.

– ისე, მეც მივაგნებ, მაგრამ შენ იცი, სადაც არის ის წყალი? – შეეკითხა მეგი.

– ვიცი, ვიცი, მხოლო წაგვყევი! – ისევ შეეხვეწა ივდითი.

– კარგი, წავიდეთ, მე საკუთარი ავტომობილით ვარ, თვითონ წაგიყვანთ, მხოლოდ იცოდეთ, თქვენზე იყოს გასამრჯელო – უთხრა მეგიმ და საათს შეხედა. თორემეტი სრულდებოდა. ნელი სვლით გაუყვნენ გზატკეცილს, შემდეგ მოხრეშილ გზაზე გადაუხვიეს და კიდევ უფრო ნელა შეყვნენ შეღმართს. ავტომობილი სოფლის მოშორებით დააყენეს, წყარომდის ფეხით მივიდნენ, ორი საათი სრულდებოდა, ეძინა სოფელს, სადღაც მოშორებით ძაღლი თუ დაიყეფებ-

და. ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით, ისმოდა ჭრიჭინების გაბმული სტვენა, ახლა მართლაც კარგი იყო ცურაობა, შემდეგ ლოგინი, ტკბილი მოსვენება.

– აი, ის წყაროც! – თქვა ივდითმა და შეჩერდა.

– გაიხადეთ, ტანსაცმელი მშრალ ქვაზე დააწყვეთ! – ბრძანა მეგიმ.

– ამის მრცხვენია, ხელი გაიშვირა ივდითმა შალვასაკენ თითქოს პირველად უნდა დაენახა შალვას შიშველი ივდითი.

– არა უშავს, წუთიერი იქნება ყველაფერი, ვერც მოასწრებს შალიკო შენს დანახვას! – ანუგეშა მეგიმ.

– გაიხადეს, ტანსაცმელი ავზთან ახლოს დააწყვეს მშრალ ადგილზე და თითქმის ერთდროულად შეცურეს წყალში.

– ღმერთო მაპატიე! – ხელები ცისკენ აღაპყრო მეგიმ. ავზთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა ორივეს ერთდროულად. შემდეგ, ნელა ჩამოაცურა ხელი, კისერში სწვდა და საძილე არტერია მოძებნა, წუთიერად გაისმა წყალში ფეხების ბათქუნი და მალე მიწყნარდა ყველაფერი.

დილით, სანამ აკაკი ჩხეიძის ოჯახი გამოიღვიძებდა, სოფელმა გამოიღვიძა. ერთი-მეორეს გადასძახეს და საზარელი ამბავი აუწყეს მთელი სოფლის მოსახლეობას, დიდი და პატარა შეგროვდა წყაროსთან, – „ფუი! ფუი! რა უქნიათ“. იძახდნენ ქალები და თვალს არიდებდნენ შიშველი ქალისა და კაცის უსიცოცხლო გვამებს.

– აუჰ; რა წყარო წაგვიბილწეს! – თქვა ვიღაცამ და ოხუნჯობამ ღიმილი დაიმსახურა.

– ჩავაცვათ მაინც ! – თქვა რომელიღაც მამაკაცმა.

– არავითარ შემთხვევაში, ხელი არ ახლოთ! – გააფრთხილა მეორემ. – პოლიციას გამოვუძახოთ, ჩვენ არაფერი დაგვბრალდეს, წაასვენონ აქედან და კისერიც უტეხიათ.

ყველამ მოიწონა მეორე მამაკაცის წარმოთქმული აზრი და საჩქაროდ შეატყობინეს პოლიციას მომხდარი ვითარე-

ბის შესახებ. პოლიციასაც არ დაუგვიანებია, კივილით მოვიდა წყაროსთან პოლიციის ავტომანქანა, თან ექსპერტიც მოიყვანეს და ადგილზევე შეამოწმეს მიცვალებულები. გვამებზე ძალადობის ვერავითარი ნიშანი ვერ აღმოაჩინეს გაუგებარი დარჩა. თუ რატომ დაიხრჩო თავი ივდითიმ და შალვა გეწაძემ მაინცდამაინც ამ წყაროში?

– მიიღე სიცოცხლეში შენი მტანჯველი კიდევ ორის სული, ჩემო მოყვარულო ლაშა! – თქვა მეგიმ და სიამოვნებით ეძინა სადილობამდის.

– ნაშუადღევს მაკრინე გადმოვიდა აკაკის ოჯახში, ბოდიშის მოსახდელად, რაც აკაკი გაამართლეს და გაანთავისუფლეს, არ ენახა, ეხათრებოდა უდანაშაულო კაცს ცილი რომ დასწამა, შეარცხვინა და ციხეში გამოამწყვდია. ჭიშკრიდანვე დაიწყო:

– თუ მიმიღებ, აკაკი, მოვალ, დაგიჩოქებ და პატიებას გთხოვ, ჩემო ძამია!

– მობრძანდი, მაკრინე, მობრძანდი, როდის გემდუროდი, შე ქალო, არა გრცხვენია? მერე რა მოხდა, ვიღაცამ შეცდომაში შეგიყვანა და ბოროტმოქმედი გეგონე გაბოროტებულ ქალს!

– მერა რა მოხდა? მაგ შეცდომაში შეყვანამ ოთხი წელიწადი გახეხია ციხის კედლები, რომ მაგ შეცდომას არა, შეიძლება ლაშაც ცოცხალი იყოს დღეს! – დაიყვირა აივანზე გადმომდგარმა მეგიმ.

– არა, შვილო! – ახლა მეგისკენ შემობრუნდა მაკრინე – ლაშას სიკვდილს ჩვენს ამბავთან რა ხელი აქვს?

– რა ხელი აქვს და მამა რომ ციხეში არ ყოფილიყო და ოჯახი სახელგატეხილი, ლაშას გაყოლაზე, ჩემი ოჯახის წევრები უარს არ მეტყოდნენ, აღარც მე დამხვდებოდა ვინმე მოსატაცებლად და დღეს ლაშაც ცოცხალი იქნებოდა და მეც ძველებურად ლამაზი, გვექნებოდა ლამაზი ცხოვრება და ლამაზი სიცოცხლე, გაიგეთ?! აი, რას შვრება

ერთი უაზროდ წამოსროლილი სიტყვა, ღუპავს მთლიანად ოჯახს...

– თუ შეიძლება, მაპატიეთ შვილო!

– ეს ჩემი საქმე არ არის, მამამ გაპატიოს! – გადმოძახა მეგიმ და ოთახში შევიდა.

– მოდი, მოდი, მაკრინე, რა გჭირს შე ქალო უპატიებელი, მე უკვე დამავიწყდა განვლილი ტანჯვა, ხდება ცხოვრებაში შეცდომა, რა მოხდა მერე, უნდა მივუტეოთ ერთი-მეორეს და ღმერთი შეგვინდობს ყოველგვარ ცოდვებს – უთხრა აკაკიმ, მკლავში ხელი გამოდი, ბულვარში დასვა და თეონას გასძახა.

– მოდი, ბოშო, ტკბილი „ამარეტო“ მოგვიტანე ხილთან ერთად, საპატიო სტუმარი გვეწვია – მაკრინე.

– „მაკრინე, მაკრინე, გული რატომ მატკინე?“ – გამოსძახა სახლიდან თეონამ და დიდებული ხონჩა გამოიტანა. ბოლოს და ბოლოს მეგიც გამოვიდა, შერიგდნენ. დიდხანს ისაუბრეს, ღიმილიც კი აჩუქეს ერთი მეორეს, მხოლოდ მეგის არ გაუხსნია შუბლი და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, სად ჩაეგდო ხელში შურის საძიებლად. ხანდისხან ბედის ვარსკვლავს თვითონ მიჰყავს „მხეცი“ სასაკლაოზე, მაკრინესაც უბიძგა ცოდვამ და შერიგებიდან მეორეს დღეს ისევ მივიდა აკაკისთან. პირველად დიდხანს ისაუბრეს, მოიგონეს ახლგაზრდობის წლები, თავშეყრის ადგილები, ცეკვები, სიმღერები და სხვა. შემდეგ ბოდიშის მოთხოვნით უთხრა მაკრინემ:

– აკაკი, ხომ იცი აქ რომ წყაროში ხალხი ნახეს დამხრჩვალი, ერთ-ერთი ივდითი იყო, ყველაფერი იმისი ბრალი იყო, იმან ამაგულიანა შენს მიმართ, მაგრამ ჩემი მეგობარი იყო ცხონებული და მინდა სამძიმარზე წავიდე, შენ ხომ ვერ წამიყვანდი შენი ავტომობილით?

– არ ივარგებს, მაკრინე, ჩემი გამოყოლა, ხომ იცი, სახელგატეხილი ვარ შენთან და ვინ იცის ხალხი რა იფიქ-

რებს, რძალს გამოგაყოლებ ჩემსას, მეგის, წაგიყვანს, არ გეტყვის უარს.

– ძალიან კარგი! ქალი ქალთან ჯობია, კაცი – კაცთან, არის ნათქვამი.

– ნათქვამი ვიცი მე როგორც არის, მაგრამ ახლა ასე ჯობია – უთხრა აკაკიმ და მეგის დაუძახა:

– მოდი, შვილო ნუ დაგეზარება, მაკრინე წაიყვანე სამძიმარზე!

– კი, მამა, რატომ დამეზარება, უთხარი, მოემზადოს! – უთხრა მეგიმ და თავისთვის გაიფიქრა: – „მგელს უნდოდა საცხვრებოში მოხვედრა და მოხვდა საძაღლეთში“ – მგონი დადგა, „მგელო“, შენი დროც.

მოემზადა მაკრინე, ეზოში აღარ შემოსულა, ჭიშკრიდან დაუძახა მეგის, ქალიშვილიც გამოვიდა, მიუჯდა ავტომობილის საჭეს და ფეხებთან გაუჩერა მაკრინეს, რომელიც მედიდური ღირსებით დაჯდა მძღოლის გვერდით.

– მე მანდ არავის ვიცნობო – თქვა მეგიმ და სამძიმარზე არ შეყოლია მაკრინეს. საგრძნობლად დააგვიანდა, ალბათ, გამოსათხოვარ სიტყვას ეუბნებოდა დობილს. როგორც იქნა გამოვიდა თვალებჩაწითლებული მაკრინე. ეტყობოდა, გულით ეტირა დობილის დაშორება.

– ოჰ, საცოდავი, – თქვა ავტომობილში შემოსვლისას მაკრინემ – რა ძალა ედგა ნეტავი, ასე სამერცხვინოდ რომ დაიხრჩო თავი ორივემ ერთად? წარმოგიდგენია? ახლაც ორივე ერთად ასვენია, შალიკო არ მიუღია თავის ოჯახს, უთქვამთ: – „ვინც მოკლა, იმან გაასვენოსო“ და ორვიეს ერთად ასაფლავებენ სამადლოდ მეზობლები. ნათესავები არც ერთს არ ეკარება, თითქოს შავჭირიანები იყვნენ.

– შავ ჭირზე უარესია სინდის-ნამუსისა და პატიოსნების დაკარგვა, შავი ჭირი კეითლშობილი სახადია, მოგკლავს და ღირსეულად წახვალ იმ ქვეყნად, არავითარ ბინძურ ნაკ-

ვალევს არ ტოვებს განვლილი გზისას. წყაროში დახრჩობა საყვარელთან ერთად კი სასაცილოსა და სამარცხვინო ჩირქს სცხებს მთელ შთამომალვობას. თქვენ როგორ გგონიათ, თქვენმა სამძიმარზე მოსვლამ და დობილის ტირილმა თქვენც საკმაოდ არ გაგსვარათ ჩირქით საზოგადოების თვალში?

– ოჰ, ეს სუყველაფერი მკითხავის ბრალია, ის თუ არა გავჩეჩე, მე არ ვიყო ქალი, სწორედ იმ საძაგელმა გააცნო მათ ერთი-მეორე, რაღაც უწამლა შალიკოს და ოჯახი დაანგრევინა. ივდითი კი ჭკუაზე შეშალა და პატარა გოგოსავით იქცეოდა ბებერი ქალი ამ ხნის კაცთან. მეც მაგ მკითხავმა ამირია გზა და კვალი, თორემ რა მინდოდა აკაკისთან, ნუთუ არ ვიცნობდი, ვინც იყო. მაგისთანა პატიოსანი კაცი მეორე არ მეგულება მთელ საქართველოში – თქვა მაკრინემ.

– ხომ არ გავიაროთ, მეც მაინტერესებს ვინ არის ეს მკითხავი. ზოგიერთი ამბობს, ყველაფერს ხვდებაო! – შეაგულიანა მეგიმ.

– შავ წყალს ხვდება მაგისი თავი და ტანი. მე და ივდითი კი დაგვღუპა ორივე და ახლა გაიგე შენ რას ხვდება და რას არა. თუ მასთან მიმიყვან, მე ვიცი რასაც ვეტყვი ამ გამწარებულ გულზე. შენ მოისმინე და გაიგებ ვინც არის ის გათახსირებული მატყურა.

– იცი, სადაც ცხოვრობს?

– კი, როგორ არა, მე მიგასწავლი – უთხრა მაკრინემ და მეგიმაც დაძრა ავტომობილი. ნაჩვენები გზის მიმართულებით. დიდი გზა არ გაუვლიათ – აი აქ ცხოვრობსო! – თქვა მაკრინემ და ჭიშკარზე მიუთითა მეგის. პირველი მეგი შევიდა ჭიშკარში, მას სანდომიანი შეხედულების შუახნის ქალი შეეგება, ათასნაირი ქათინაურით:

– მობრძანდი, მობრძანდი, შე უბედურო, რა მთლად ახალგაზრდა დაგღუპვია ის ნათელში სამყოფი, ისა – უთხ-

რა მკითხავმა, როდესაც შავებში ჩაცმული და შავჩადრჩა-მოფარებული მეგი დაინახა.

მკითხავი სამკითხაო ოთახში შეუძღვა მეგის, რომელიც წმინდანების სურათებით იყო გაშპალერებული და რომელთა ვინაობა მკითხავმა არც ერთის არ იცოდა. მათ შორის მხოლოდ იესო ქრისტესა და დედა ღვთისმშობელს ცნობდა. ოთახის ცენტრში სამკითხაო მაგიდა იდგა სანთლებითა და ხატებით გაწყობილი. მაგიდაზე ორი უზარმაზარი, სამსანთლიანი ვერცხლის სასანთლე შანდალი იდგა, რომელშიდაც ექვსი სანთელი ბირბილებდა. ერთი შეხედვით მართლა წმინდანი გეგონებოდათ ეს ქალი და ანგელოზებთან მოსაუბრე. ენაც ისეთი ჰქონდა, ყვავს კაკალს გააგდებინებდა, მაგრამ მის თვალებში სიბრალული კი არა, ფულის სიყვარული ენთო.

– დაბრძანდით! – სამკითხაო მაგიდასთან დადგმულ სავარძელზე მიუთითა მეგის და ამ დროს მაკრინეც შემოვიდა ოთახში:

– ახლა ეს ქალიც გამოიჭირე, შე ბოზო მატყუარა?! – უყვირა მაკრინემ და წაიწია, თმაში რომ მიწვდენოდა, მაგრამ მკითხავმა მოხერხებულად შემოურბინა მაგიდას და თქვა:

– ღმერთო, მიშველე, ვიცოდი, დღეს გიჟი რომ შემომივარდებოდა სახლში! გამეცალე, ქალო, კლიენტს ნუ მიფრთხობ, თორემ პოლიციას გამოვუძახებ და შენს თავს ციხეში დავაჭერინებ. ჩამაგდებინე უდანაშაულო კაცი, რამდენი დაღუპე კიდევ, რომელიც მე არ ვიცი, ახლა გათქმევინებ და ყველა ცოდვას მოგკითხავ! – უყვირა მაკრინემ და ამჯერად მართლა მიწვდა თმაში მკითხავს, რამოდენიმეჯერ მიარტყმევინა თავი კედელზე, მაგრამ მკითხავი არ დაიბნა, მაგიდაზე დადგმულ ვერცხლის სასანთლეს მიწვდა და რა ღონეც ჰქონდა, მთელი სიძლიერით ჩასცხო მაკრინეს თავში. დარტყმა მართლაც ძლიერი გამოდგა. თეთრ სითხე შერეული

სისხლი კედელს შეეშხეფა, წმინდანთა სურათები დასვარა და თვითონ მაკრინე მოწყვეტით დაეცა იატაკზე.

– მოვკალი! – თქვა მკითხავმა. – ასეც ვიცოდი. ჰო, შენ რისთვის ხარ მოსული? მაგრამ ჯერ არა მცალია. მოდი, მომეხმარე, გვამი დავმალოთ და შემდეგ გიმკითხავებ!

– არა, არა, მკვდრის მეშინია, ხელს ვერ მოვკიდებ! – უთხრა მეგიმ და ჭიშკარში გასვლა დააპირა, მაგრამ მკითხავი წინ გადაეღობა, რომ გეუბნები, მომეხმარე, თორემ შენც მოგკლავ, მძიმეა, მარტო ვერ ავზიდავ, ჭამდის მიმათრევინე, მეტი არ მინდა, შემდეგ მე თვითონ გადავაგდებ ჭაში და ესეც მეცხრე იქნება.

– როგორ, რვა უკვე ჭაშია? – გაკვირვებით შეეკითხა მეგი.

– ასეც ხდება! პირველი ჩემი ქმარი იყო! – უპასუხა მკითხავს.

– თუ არ მოგეხმარები, ალბათ, მე მეათე ვიქნები, ხომ ასეა? თუ მოგეხმარები მაინც ვიქნები მეათე, რადგან შენ ცოცხალი მოწმე არ გაწყობს, ხომ სიმართლეს გეუბნებით?

– სრული ჭეშმარიტებაა. თქვენ აქედან ცოცხალი ვეღარ წაბრძანდებით, ვწუხვარ, მაგარმ ცუდ დროს მობრძანდით, დიდი ტრაგედიის მოწმე გახდით!

– ეჰ, მეც ვწუხვარ, რომ თქვენ არაფერი გცოდნიათ მკითხაობის, თორემ დღეს საკუთარ თავს უმკითხავებდით, რაც მოგელოდათ, გაიგებდით და სახლიდან აღარ გამოიხედავდით, მაგრამ სწორი გითხრა მაკრინემ, მატყუარა ყოფილხარ.

– ჭასთან ახლოს ვართ, მეცხრე შენ იქნები, მაკრინე – მეათე! – თქვა და ცეცხლის დაკვესა მკითხავმა, შემდეგ ხელში სწვდა მეგის და უნდოდა ჭისკენ დაეთრია, მაგრა მსწორედ აქ მოხდა სასწაული, მკითხავი ხელებზე ბორკილდადებული აღმოჩნდა,; მეგიმ აუჩქარებლად შეხსნა სათლი ჭიდან

წყლის ამოსაღებ ჯაჭვს და ბორკილი, რომელიც მკითხავს ხელს უსერავდა სანთლის ადგილზე დაამაგრა, ასე რომ, მკითხავი კარგი მსხვილი ჯაჭვით აღმოჩნდა დაბმული.

– მოდი, მოვილაპარაკოთ – უთხრა მეგის მკითხავმა და მუდარაზე გადავიდა.

– რას მეტყოდი ახალს? – მეგიმ დამცინავი მზერა მიაპყრო.

– ამიშვი და რამდენი მოგცე?

– შენ რამდენ გაიმეტებ?

– ასი ათასი ამერიკული დოლარი გეყოფა?

– ოჰ, ასი ათასს პოლიციაც გამომიყოფს პრემიის სახით!

– როგორ, შენ პოლიციას გინდა ჩამაბარო?

– აბა სახლში რად მინდევხარ, მკითხაობა შენ არ იცი, ჭრა და კერვა.

– კარგი, არც ორასი ათასი გეყოფა? სამასი, ოთხასი... მილიონზე მეტი ნაღდად არ მომეძებნება, შემხსენი ჩქარა, მიჭერს ბორკილები, თორემ ვიკივლებ!

– მეგის გაეღიმა, ჩანთიდან ფიჭური ტელეფონი ამოიღო და პოლიციას დაუკაშვირდა.

– ამიშვი! – განაგრძობდა მკითხავი მუდარას, თორემ იცოდე, ავიწყვიტავ და მოგკლავ.

– ხომ ხედავ, მილიონს შემპირდი, ახლა კი სიკვდილს მიპირებ, მინდოდა ამეშვი, მაგრამ ახლა როგორღა აგიშვა, მეშინია, მომკლავ! – უთხრა მეგიმ.

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა მკითხავს, მაგრამ ამ დროს პოლიციის ავტომანქანა მოადგა მკითხავის ჭიშკარს, მკითხავმა როგორც კი გაიგონა პოლიციის ავტომანქანის სირენის ხმა, მეგის მიაფურთხა:

– გამყიდე, ბოზო? ამიშვი, არ გაინტერესებს როგორ დავლევ შენს სისხლს?

პოლიციის თანამშრომლები ექვსი კაცის შემდაგენლობით მკითხავის ეზოში შემოიჭრნენ და მკითხავი დაბმული

რომ დაინახეს, პირდაპირ იმისკენ წავიდნენ. მკითხავს სახე აეშალა, თვალები გაუფართოვდა და არაადამიანურად დაიღრიალა: „არ დაგნებდებით!“ პოლიციელმა ხელის მოკიდება ვერ მოასწრო, მკითხავი ელვის სისწრაფით თავით გადაეშვა ჭაში. საჩქაროდ ამოწიეს ჯაჭვს, ამოიყვანეს მკითხავი, მაგრამ ის უკვე აღარ სუნთქავდა, გადახტომისას ჭის კედლისთვის მიერტყმია თავი და თავის ადგილზე მხოლოდ კისერი იყო დარჩენილი.

ასე მშვიდად არასოდეს უგრძვინია თავი მეგის, სულიერად დასვენებულია, მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გამოემშვიდობა ლაშას საფლავს და თბილისში დაბრუნდა, მეორე დღესვე აკადემიკოს დავით ჯანელიძეს მიაკითხა თხოვნით.

– ბატონო დავით, ძალზედ საშინელი გამოვიდა შენი ქმნილება, თუ შეიძლება ოდნავ შემალამაზეთ, თორემ გამისკდა გული. საკუთარი თავის მეშინია, სარკეშიდაც ვეღარ ვიხედები და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რაც არის ქალი სარკის გარეშე, დავითს გაეღიმა, ჩაფიქრდა და მეგის უპასუხა:

– შენ იცი, ღმერთმა როგორ შექმნა უზბეკი? შენ ისე არ მოგივიდეს, შენ ლამაზი იყავი, თუ გინდოდა. ახლა იარე ეგრე, როგორცა ხარ. ჩადრშიდაც შესაშინებელიხარ და ჩადრის გარეშე – კიდევ უარესი.

– კარგი რა ბატონო დავით, გემუდარები, ოდნავ მაინც შემილამაზეთ კანი გამჭვირვალე რომ არ იყოს, ეს მაინც შეძელით!

– ვეცდები, მაგრამ იცოდე, უწინდელი სილამაზის დაბრუნება არ შემიძლია!

– ჰო, როგორიც იქნება იყოს ამას აჯობოს მხოლოდ.

– მაგას აჯობებს და შენი სილამაზეც დაგიბრუნდება ერთ წელიწადში. მოდი ხვალ დილით და იცოდე, მესამედ აღარ მოხვიდე, თორემ ის დაგემართება, რაც უზბეკს დაემართა.

მესამე დღეს შეხსნეს მეგის დოლბანდი, ლამაზს ვერ ეტყოდით, მაგარმ არც მახინჯი იყო, ერთ კვირაში სახემ სილამზაის შეძენა დაიწყო და მკერდმა შევსება. თვალდათვალ ეტყობოდა, მეგის სილამაზე უბრუნდებოდა. უკვე თავისუფლად შეეძლო ქუჩაში სიარული ჩადრის გარეშე, ხალხს აღარ ეშინოდა მისი...

მეგის ჩანთაში ფიჭური ტელეფონი აწკრიალდა, სამგორ-ისანის პროკურატორი იტყობინებოდა: მეტრო „ვარკეთილ-თან“, საკანალიზაციო ჭაში, ნაპოვნია უცნობი მამაკაცის გვამი, საჩქაროდ გამოცხადდით შემთხვევის ადგილზე და დაუყოვნებლივ აწარმოეთ ძიება“.

ეს მეგის პირველი საგამომძიებლო ნათლობა იყო, ნეტავ როგორ გაართმევს თავს ძიების დახლართულ ქსელს?

სარჩევი

სიყვარულის საიდუმლო 3

გადასახედი. 11

საგამომძიებლო ნათლობა 149

GARI CHAPIDZE

SECRET OF LOVE

DETECTIVE

რედაქტორი: – მაკა ხატიაშვილი
მხატვრული რედაქტორი: – მაკა სამხარაძე
ტექნიკური რედაქტორი: – ნაზიბროლა კაპანაძე
დიზაინერი: – გვანცა მახათაძე

გამომცემლობა – „კოლორი“

შემოქმედი ადამიანისგან ფუჭად დაკარგული ყოველი წამი, სამშობლოსა და ერის წინაშე ჩადენილ უდიდეს დანაშაულად მიაჩნია აკადემიკოს გარი ჩაფიძეს! ამიტომაც ერთი ამოსუნთქვით სურს წინამდებარე ორმოცდაათტომეულის შექმნა, რომელსაც მკითხველიც ერთი ამოსუნთქვითვე გაითავისებს!

9 789941 043192